178
1963/2.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საბჭოთა საქართველო

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გაზეთი

3

1963

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საბჭოთა სამართალი

№ 3

მაისი-ივნისი

1963 წელი

გამოცემის X წელი

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს, პროკურატურისა და
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული იურიდიული კომისიის ორგანო
ორთვიური ჟურნალი

შინაარსი

 მოწინავე — იდეოლოგიური მუშაობის აღმავლობისათვის 3
დ. ზემლიანსკი — ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობა ახალი ამოცანების დონეზე 7
გრ. აფრიდონიძე — მეცნიერული კომუნიზმის ფუძემდებელი 16
თ. შავგულიძე — აფექტში ჩადენილი დანაშაულის კვალიფიკაციის ზოგიერთი საკითხი საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კანონმდებლობასა და სასამართლო პრაქტიკაში 26
ს. ჯაფარიძე — არაშრომითი შემოსავლით შეძენილი ქონების ჩამორთმევის წესის საკითხისათვის 35
უ. გახტაძე — ლ. ანდრონიკაშვილის საიურისკონსულტო მოღვაწეობის პერიოდიდან . . 40

გამოჩენილი ქართველი იურისტები

ივ. სურგულაძე — პროფ. ირ. სურგულაძის ცხოვრება და მოღვაწეობა 50
ელ. მაღრაძე — კონან დოილის შერლოკ ჰოლმსი და სისხლის სამართალი 60
კონან დოილი — ცისფერი ლალი 66
ოფიციალური მასალა 72
ინფორმაცია 82
იუმორი 92
ეპიგრამები 94
ნეკროლოგი 96

9145.

ეროვნული ბიბლიოთეკა

СОДЕРЖАНИЕ

ПЕРЕДОВАЯ — За подъем идеологической работы 3

Д. ЗЕМЛЯНСКИЙ — Деятельность административных органов — на уровень новых задач 7

Гр. АПРИДОНИДЗЕ — Основоположник научного коммунизма . . . 16

Т. ШАВГУЛИДЗЕ — Некоторые вопросы квалификации преступления, совершенного в состоянии аффекта в уголовном законодательстве и судебной практике Грузинской ССР 26

С. ДЖАПАРИДЗЕ — К вопросу о порядке отобрания имущества, приобретенного на нетрудовые доходы 35

У. БАХТАДЗЕ — Деятельность Л. Андроникашвили как юрисконсульта . . 40

ВЫДАЮЩИЕСЯ ГРУЗИНСКИЕ ЮРИСТЫ

Ив. СУРГУЛАДЗЕ — Жизнь и деятельность профессора Иродиона Сургуладзе 50

Э. МАГРАДЗЕ — Конан Дойл и уголовное право 60

КОНАН ДОЙЛ — Голубой карбункул 66

Официальный материал 72
Информация 82
Юмор 92
Эпиграммы 94
Некролог 96

შეკ. № 2050
ტირაჟი 6.000
უე 05020

სარედაქციო კოლეგია
ო. კაციტაძე (რედაქტორი), ბ. ბარათაშვილი, ბ. ბერძენიშვილი, ი. დოლიძე, გ. ინწკირველი, მ. ლომძე, ვ. მაისურაძე, თ. წერეთელი, ს. ჯორბენაძე.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ათარბეგოვის ქ. № 32. ტელეფონი—3-09-62

გადაეცა წარმოებას 12/IX-63 წ.; ხელმოწერილია დასაბეჭდად 4/X-63 წ. ანაწყობის ზომა 7×12; ქაღალდის ზომა 70×108; პირობით ფორმათა რაოდენობა 8,2; ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 6.

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტი,“
თბილისი, ლენინის ქ. № 14.

Полиграфкомбинат „Комунисти“ издательства ЦК КП Грузии
Тбилиси, ул. Ленина № 14.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იდეოლოგიური მუშაობის აღმავლობისათვის

საბჭოთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმმა სრულყოფილად და ამომწურავად განსაზღვრა თანამედროვე ეტაპზე მშრომელთა კომუნისტური აღზრდის დარგში პარტიის მუშაობის ძირითადი მიმართულებანი. პლენუმის გადაწყვეტილებებში, ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვის სიტყვაში, ამხ. ლ. ილიჩოვის მოხსენებაში, პლენუმის მონაწილეთა გაძოსვლებში დასახულია მარქსიზმ-ლენინიზმის პროპაგანდის, მთელი იდეოლოგიური მუშაობის ამ გადამწყვეტი რგოლის ორგანიზაციის, მისი იდეური დონისა და ქმედითობის სრულყოფის გზები, განსაზღვრულია პარტიის იდეურ-აღმზრდელობითი მოღვაწეობის შინაარსი, ფორმები და მეთოდები, რომლებიც შეესაბამებიან საბჭოთა საზოგადოების ცხოვრებაში უკანასკნელი წლების მანძილზე მომხდარ ცვლილებებს, კომუნიზმის მშენებელი ხალხის დიად ამოცანებს.

იდეოლოგიური მუშაობის კარდინალური საკითხების განხილვა პლენუმზე უაღრესად დიდი მოვლენაა ჩვენი პარტიის და მთელი ქვეყნის იდეურ ცხოვრებაში. პლენუმის გადაწყვეტილებებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობისათვის, სოციალისტური ბანაკის ერთიანობის განმტკიცებისათვის.

საბჭოთა ხალხმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით მსოფლიო-ისტორიული გამარჯვება მოიპოვა არა მარტო მატერიალური წარმოების დარგში, არამედ ახალი ადამიანის აღზრდის, საზოგადოების სულიერი ცხოვრების ქველა დარგში. ადამიანთა შეგნების ჩამოყალიბება, მათი შეიარაღება კომუნისტური იდეალებითა და მაღალი მორალური პრინციპებით მარქსიზმ-ლენინიზმის ყოვლისმძლე იდეების გამარჯვებაა, ლენინელთა პარტიის დაუღალავი იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის პირდაპირი შედეგია.

ახლა ჩვენ ისეთ პერიოდში ვცხოვრობთ, როცა კომუნისტური საზოგადოების ადამიანის აღზრდა დღევანდელი ცხოვრების უშუალო პრაქტიკული ამოცანა გახდა. ახალი ადამიანის აღზრდის საკითხს პარტია იხილავს და წყვეტს კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნისა და კომუნისტური საზოგადოებრივი ურთიერთობის ჩამოყალიბების ამოცანებთან მჭიდრო კავშირში. კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მშენებლობა და კომუნიზმის იდეალებით ადამიანთა აღზრდა ერთიანი პროცესი, კომუნიზმისათვის ბრძოლის გადამწყვეტი ფაქტორია.

დაძლია რა პიროვნების კულტის შედეგები, პარტიამ აღადგინა პარტიული და სახელმწიფოებრივი ცხოვრების ლენინური ნორმები; აღმოფხვრა სუბიექტივიზმი და დოგმატიზმი ეკონომიკაში, პოლიტიკასა და იდეოლოგიაში; ფართო ასპარეზი გადაუშალა ხალხის მასების ინიციატივასა და აქტივობას.

სკკპ XX და XXII ყრილობებმა, პარტიის ახალმა პროგრამამ, ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებებმა, პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელთა გამოსვლებმა შემოქმედებითად განავითარეს მარქსისტულ-ლენინური მოძღვრება, გაამდიდრეს პარტიის იდეოლოგიური არსენალი.

საბჭოთა ხალხის გადამწყვეტმა წარმატებებმა კომუნისტურ მშენებლობაში და სოციალიზმის ბანაკის ყველა ხალხის მიღწევებმა შექმნეს თვისობრივად ახალი განლაგება კლასობრივი ძალებისა მსოფლიო ასპარეზზე სოციალიზ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მისა და კომუნიზმის სასარგებლოდ. იმპერიალიზმი ზედიზედ მარცხდება ორი სისტემის ეკონომიურ შეჯიბრებაში, მას უკვე აღარ ძალუძს სამხედრო-გზით გაილაშქროს სოციალიზმის წინააღმდეგ. ამიტომ საერთაშორისო იმპერიალიზმი მთავარ იმედს ამყარებს იდეოლოგიურ დივერსიებზე სოციალისტური სახელმწიფოების მიმართ, აღვირახსნილ ანტიკომუნიზმზე, ცდილობს გააჩაღოს „იდეათა ომი“ სოციალისტურ ქვეყნებში. იმპერიალისტური სახელმწიფოების მმართველი წრეები ლამობენ იდეოლოგიების მშვიდობიანი თანაარსებობის ლოზუნგით შემოათრიონ ჩვენს საზოგადოებაში „არაპარტიული“ ხელოვნების, უიდეობისა და აპოლიტიკურობის, „თაობათა კონფლიქტის“ ყალბი კონცეფციები, იდეურად გახრწნან მერყევი ადამიანები.

ჩვენმა პარტიამ თავის უპირველეს მოვალეობად დაისახა აწარმოოს შეურიგებელი შეტევითი ბრძოლა იმპერიალისტური იდეოლოგიის წინააღმდეგ, დაიცვას მშრომელები მისი გამხრწნელი გავლენისაგან, აზიაროს მასები კომუნიზმის დიად იდეებს, იზრუნოს მარქსიზმ-ლენინიზმის სიწმინდისათვის, მისი შემოქმედებითი განვითარებისათვის. პარტიის ლენინურმა ცენტრალურმა კომიტეტმა თავის პლენუმზე საქვეყნოდ განაცხადა, რომ იდეოლოგიათა მშვიდობიანი თანაარსებობის ქადაგება ღალატია მარქსიზმ-ლენინიზმისადმი, მუშათა და გლეხთა საქმისადმი. ამიტომ ორი სამყაროს, ორი იდეოლოგიის—კომუნისტური და ბურჟუაზიული იდეოლოგიების გააფთრებული ბრძოლის პირობებში ხალხის მასების აღზრდას კომუნიზმის სულისკვეთებით პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭება. იდეოლოგიური ფრონტი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფრონტია კომუნიზმისათვის ბრძოლაში. ამ ბრძოლაში იგი მოწოდებულია იყოს მგზნებარე პროპაგანდისტი კომუნიზმის იდეებისა, საბჭოთა ადამიანის ცხოვრების წესისა, ჩვენი მაღალი მორალურ-ზნეობრივი საფუძვლებისა და იდეალებისა.

ვლადიმერ ილიას ძე ლენინი მოითხოვდა: „დავამარცხოთ კაპიტალისტთა მთელი წინააღმდეგობა, არა მარტო სამხედრო და პოლიტიკური, არამედ იდეური წინააღმდეგობაც, რომელიც ყველაზე ღრმა და ძლიერია“.

ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ თანამედროვე პირობებში პარტიის იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის მთავარი ამოცანა ის არის, რომ იდეოლოგიურად უზრუნველყოს პარტიის პროგრამის განხორციელება, კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა, კომუნისტური საზოგადოებრივი ურთიერთობის ჩამოყალიბება, ახალი ადამიანის აღზრდა; გააძლიეროს პოლიტიკური სიფხიზლე, გაშლილი ფრონტით შეუტიოს იმპერიალისტურ იდეოლოგიას, ადამიანთა შეგნებაში წარსულის გადმონაშთებს. პლენუმმა მიუთითა, რომ კომუნიზმის სულისკვეთებით მასების აღზრდის საფუძველია მარქსის, ენგელსის, ლენინის უკვდავი ქმნილებანი, პარტიის პროგრამა, პარტიის სხვა დიდმნიშვნელოვანი დოკუმენტები.

პლენუმმა მთელი პირდაპირობით ამხილა პარტიული ორგანიზაციების იდეოლოგიურ მუშაობაში არსებული სერიოზული ხარვეზები და შეცდომები, ფორმალიზმი. მისწრაფება შეაფასონ აღმზრდელობითი მუშაობის შედეგები მხოლოდ ჩატარებული ღონისძიებათა რაოდენობით და დასახა კომუნიზმის პირველი ქვეყნის მოქალაქეთა აღზრდის ღონისძიებანი.

ჩვენი პარტია სასტიკად გმობს იმათ, ვინც მოღუშული სახით ხვდება ჩვენი ცხოვრების ნათელი მხარეების ასახვას, ვინც საბჭოთა ხალხის მსოფლიო-ისტორიულ წარმატებებს უყურებს უმწიფარი ბუზღუნა ყმაწვილის თვალით, რომლებიც ყოყოჩობენ თავიანთი სკეპტიკურ-ირონიული დამოკიდებულებით ჩვენს მიერ განვლილი გზისადმი, იმისადმი, რაც წმიდათა წმიდა და ძვირფასია ჩვენთვის, „შემლამაზებლის“ იარლიყს აკრავენ მხატვრული შემოქმედების მოღვაწეებს, რომლებიც ადამიანთა ამაღლებული იდეალებისათვის ბრძოლის ჰეროიკასა და რომანტიკას ასახავენ. მათ ყველაფერი მრუდეთ ეჩვენებათ, არაფე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რი არ მოსწონთ, ყველაფერს ათვალისწუნებით უყურებენ, ხითხითებენ ჩვენს ზოგიერთ დროებითს სიძნელეებზე და თავიანთ ამ განწყობილებას გადასდებენ ახალგაზრდებს, განსაკუთრებით სუსტი ნებისყოფის ადამიანებს.

პლენუმმა იდეოლოგიური მუშაობის ძირითად მიმართულებებად მიიჩნია: მშრომელთა კომუნისტური მსოფლმხედველობის ჩამოყალიბება, წარსულის გადმონაშთების აღმოფხვრა საბჭოთა ადამიანების შეგნებასა და ყოფაქცევაში, კომუნიზმის აქტიური და შეგნებული მშენებლის შრომითი აღზრდა, ხალხის აღზრდა პატრიოტიზმისა და სოციალისტური ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით, გადამჭრელი ბრძოლა ანტიკომუნიზმის, ბურჟუაზიული იდეოლოგიის ყველა ფორმის წინააღმდეგ.

პლენუმმა ერთხელ კიდევ დაადასტურა ჩვენი პარტიის მონოლითური ერთიანობა და საყოველთაოდ ცხადყო მისი ურყევი ერთგულება მარქსიზმ-ლენინიზმის დიადი პრინციპებისადმი, მათი სიწმინდისათვის ბრძოლა.

ჩვენი პარტია თანმიმდევრულად ახორციელებს მოძმე კომუნისტური და მუშათა პარტიების შეკავშირებას მარქსისტულ-ლენინური თეორიისა და მოსკოვის 1957 და 1960 წლების თათბირების ისტორიული დოკუმენტების საფუძველზე. ასე იქცევა იგი ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტთან ურთიერთობაშიც. მაგრამ ჩინეთის კომპარტიის ხელმძღვანელობა არ იცავდა მიღწეულ შეთანხმებას ღია პოლემიკის შეწყვეტის შესახებ და გამოაქვეყნა ჩინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ამა წლის 14 ივნისის წერილი, რომელშიც თვითნებურად არის განმარტებული მარქსისტულ-ლენინური პარტიების მოსკოვის თათბირების მიერ მიღებული დეკლარაცია და განცხადება. გამახინჯებულია ამ ისტორიული დოკუმენტების უმნიშვნელოვანესი დებულებები, დაშვებულია დაუსაბუთებელი თავდასხმები საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და სხვა მოძმე პარტიათა წინაალმდეგ.

პლენუმის მონაწილეებმა დიდი ყურადღებით მოისმინეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნების სუსლოვის, პონომარიოვისა და ანდროპოვის გამოსვლები პლენუმზე, რომლებშიც ჩამოყალიბებულია ერთი მხრივ, ჩინეთის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და მეორე მხრივ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და სხვა მოძმე პარტიებს შორის უთანხმოების არსი. „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენელთა და ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენელთა მომავალი შეხვედრის შესახებ“ პლენუმმა ერთსულოვნად მოიწონა ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნისა და საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგ ნიკიტა სერგის ძე ხრუშჩოვის პოლიტიკური მოღვაწეობა მსოფლიო კომუნისტური ძალების შემდგომი შეკავშირებისათვის, აგრეთვე ყველა კონკრეტული მოქმედება და ღონისძიება, რომლებიც ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა განახორციელა ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან ურთიერთობაში.

პლენუმმა კატეგორიულად უარყო, როგორც უსაფუძვლო და ცილისმწამებლური, ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გამოხდომები ჩვენი პარტიისა და სხვა კომუნისტური პარტიების წინააღმდეგ, პარტიის XX, XXI და XXII ყრილობების გადაწყვეტილებათა, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამის წინააღმდეგ, რომელიც შემუშავებულია მარქსისტულ-ლენინური თეორიის, საბჭოთა კავშირში სოციალისტური მშენებლობისა და საერთაშორისო რევოლუციური მოძრაობის პრაქტიკული გამოცდილების საფუძველზე და რომელიც ერთსულოვნად მოიწონა მთელმა საბჭოთა ხალხმა, საერთაშორისო კომუნისტურმა მოძრაობამ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პლენუმმა დაავალა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმს ჩინეთის კომუნისტური პარტიის წარმომადგენლებთან მომავალი შეხვედრის დროს განუხრელად განახორციელოს ხაზი, რომელიც ჩვენმა პარტიამ მიიღო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX, XXI და XXII ყრილობებზე, კომუნისტურ პარტიათა თათბირებზე და, რომელიც გამოხატულია დეკლარაციასა და განცხადებაში და სავსებით დაადასტურა ცხოვრებამ, საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის პრაქტიკამ და საერთაშორისო მოვლენათა მსვლელობამ.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გასული წლის ნოემბრის პლენუმმა მიუთითა, რომ ჩვენი წარმატებების უტყუარი თავდებია ორგანიზატორული და იდეოლოგიური მუშაობის უწყვეტი ერთიანობა, რომ არ არის და არც შეიძლება იყოს „წმინდა“ იდეოლოგიური მუშაობა, ისევე, როგორც არ შეიძლება იყოს „წმინდა“ ორგანიზატორული მუშაობა. პარტიული ორგანოების გარდაქმნამ საწარმოო პრინციპის მიხედვით შექმნა პირობები ორგანიზატორული და იდეოლოგიური მუშაობის კიდევ უფრო მჭიდრო კავშირისათვის.

დიდი და საპასუხისმგებლო ამოცანები დაუსახა პლენუმმა საზოგადოებრივ მეცნიერებათა მუშაკებს — განაზოგადონ მასების ცოცხალი პრაქტიკა და ისტორიული გამოცდილება კომუნიზმის აშენებისათვის ბრძოლაში, გაბედულად, შემოქმედებითად განავითარონ რევოლუციური თეორია, იბრძოლონ მისი იდეური სიწმინდისათვის. პარტიამ მოუწოდა იდეოლოგიური დარგის მუშაკებს ღრმად გაანალიზონ ორი დაპირისპირებული მსოფლიო სისტემის ბრძოლის, კაპიტალისტური წყობილების როვევის, მუშათა რევოლუციური და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობის პროცესები, შეისწავლონ სოციალისტური ქვეყნების ერთობის შემდგომი განმტკიცების გზები და ფორმები, მათი განვითარების საერთო კანონზომიერებანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადმინისტრაციული ორგანოების მუშაობა— ახალი ამოცანების ღონეზე

დ. ს. ზემლიანსკი,

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი

უკანასკნელ წლებში საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ განახორციელეს დიდი ღონისძიებანი სოციალისტური კანონიერების განმტკიცებისათვის. ამის შედეგად ლიკვიდირებულია საბჭოთა კანონიერების უხეში დარღვევები და სტალინის კულტთან დაკავშირებული სხვა მძიმე შედეგები. ძირითადად დამთავრებულია რეაბილიტაცია პატიოსანი საბჭოთა ადამიანებისა, რომლებიც მსხვერპლად შეეწირნენ ძალაუფლების ბოროტად გამოყენებასა და უკანონობას პიროვნების კულტის პერიოდში. გაუქმებულია იმ პერიოდის საგანგებო კანონები, რომლებიც ქმნიდნენ პირობებს თვითნებობისათვის, გაუქმებულია საქმეების სასამართლოს გარეშე განხილვის წესი. ამჟამად ყველა პირობაა შექმნილი კანონის შესაბამისად საბჭოთა მოქალაქეების უფლებების საიმედო დაცვისათვის.

პარტიამ სკკპ XXII ყრილობაზე მიღებულ პროგრამაში კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის ერთ-ერთ გადაუდებელ ამოცანად დასახა მართლწესრიგის ყოველგვარი დარღვევის აღმოფხვრა, დამნაშავეობისა და მისი გამომწვევი ყველა მიზეზის ლიკვიდაცია.

უკანასკნელ ხანს სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და მთავრობამ მიიღეს უმნიშვნელოვანესი დოკუმენტები, რომლებიც განსაზღვრავენ ადმინისტრაციული ორგანოების ამოცანებს კორუპციასთან ბრძოლისა და სოციალისტური კანონიერების დაცვის საქმეში.

ამ დოკუმენტებში მოცემულია პასუხი პარტიული, საბჭოთა, ადმინისტრაციული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მუშაობის ყველა პრინციპულ საკითხზე, ნაჩვენებია სამართლის ყოველგვარი დარღვევის აღმოფხვრის კონკრეტული გზები, ფორმები და მეთოდები.

რესპუბლიკის პარტიული და საბჭოთა ორგანოები, პროკურატურა, სასამართლო და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტრო დიდ მუშაობას ეწევა ამ ამოცანების განხორციელებისათვის.

მხილებულია და მსჯავრდადებული მექრთამეების, სპეკულანტების, სახელმწიფო ქონების გამტაცებელთა მნიშვნელოვანი ნაწილი.

მაგრამ ბრძოლა საბჭოთა მართლწესრიგის დაცვისათვის ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებლად წარმოებს.

ჩვენ საკმაოდ ვიყენებთ იძულების ზომებს. ცხადია, შეუძლებელია მხოლოდ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასასჯელი ღონისძიებებით მივაღწიოთ დამნაშავეობისა და სხვა ანტისაზოგადოებრივ მოვლენათა სრულ ლიკვიდაციას. ბევრ შემთხვევაში წინასწარ რომ შეგვძლებოდა მათი თავიდან აცილება, სრულიად არ დაგვჭირდებოდა იძულების ზომების გამოყენება.

ამ საქმეში ძალიან დიდი, მართლაც და გადამწყვეტი როლი უნდა შეასრულოს ჩვენმა საზოგადოებრიობამ, ყოველმა პატიოსანმა საბჭოთა მოქალაქემ. რომელსაც შეთვისებული აქვს ძვირფასი წესი, რომ — „გვერდი არ უნდა აუარო ნებისმიერ დანაშაულს“. არ უნდა ვუცადოთ, როგორც სამწუხაროდ, ჯერჯერობით ხდება, სანამ ნაყოფი არ დამწიფდება და არ ჩამოვარდება. თავიდან უნდა ავიცილოთ დანაშაულობანი, შევქმნათ ისეთი პირობები, რომ შეუძლებელი გახდეს დანაშაულის ჩადენა. მაგრამ ჯერჯერობით შეგვიძლია დავასახელოთ ძალიან ცოტა ისეთი შემთხვევები, როდესაც მილიციისა და პროკურატურის ორგანოებმა შესძლეს მომზადებული დიდი კომბინაციის, გაფლანგვის ან მტაცებლობის თავიდან აცილება.

ქუთაისში დიდხანს თარეშობდა გამოუსწორებელი ქურდების — სავაჭრო და საფინანსო მუშაკების — ჯგუფი, რომელიც რიგი წლების განმავლობაში მილიციისა და პროკურატურის ცხვირწინ სისტემატურად ეწეოდა სახელმწიფო თანხების გატაცებას. შედარებით ცოტა ხნის განმავლობაში 42 ბოროტმოქმედმა 3 მილიონზე მეტი მანეთი მიითვისა (ფასების ძველი მასშტაბით). ეს მძარცველები დაუსჯელად მოქმედებდნენ რევიზორების მიერ მათთვის კალთის დაფარებისა და იმ ორგანიზაციების გულგრილი დამოკიდებულების გამოყენებით. რომლებსაც კონტროლი უნდა გაეწიათ მათთვის.

ქუთაისის საქმე ბევრი რამითაა დასაფიქრებელი. კერძოდ იგი იმაზე მიუთითებს, რომ ზოგიერთ დაწესებულებაში ძალიან ცუდადაა დაყენებული სოციალისტური ქონების დაცვის, მასზე კონტროლის გაწევის საქმე. განა შესაძლო იყო ასეთი საქმე არ გახსნილიყო, დამნაშავეებს ასე ხანგრძლივ ეთარეშათ, ფართო საზოგადოებრიობას, რომ სათანადო სიფხიზლე გამოეჩინა?

ახლა, როდესაც ჩვენი პარტიისა და ხალხის შემოქმედებითმა საქმიანობამ უდიდეს მასშტაბებს მიაღწია, როდესაც საბჭოთა ქვეყნის სახალხო მეურნეობა დღითი დღე, სულ უფრო და უფრო რთულ და მრავალფეროვან ხასიათს ღებულობს, ერთიანი პარტიულ-სახელმწიფოებრივი კონტროლი, კონტროლი. რომელიც მოიცავს სახალხო მეურნეობის ყოველ დარგს, კომუნიზმისაკენ მიმავალ გზაზე წარმატებით წინსვლის აუცილებელ წინაპირობად გადაიქცა.

შეიქმნა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს პარტიულ-სახელმწიფოებრივი კომიტეტი, რომლის ორგანოებში ადგილებზე ამჟამად უკვე 125 ათასი სახალხო კონტროლიორია. მათ ფრიად დიდი როლი უნდა შეასრულონ პარტიული და სახელმწიფოებრივი დისციპლინის, საბჭოთა კანონიერების განუხრელად დაცვისათვის ბრძოლაში.

ჩვენი საზოგადოებრიობის შესაძლებლობანი, მისი ძალა და როლი დამნაშავეობის პროფილაქტიკის, მისი თავიდან აცილებისა და ბოლოს, აღმზრდელობით მუშაობაში მართლაცდა დაუშრეტელია. მაგრამ ბევრნი ჯერ კიდევ ჯეროვ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნად ვერ აფასებენ საზოგადოებრიობის დიდ პოტენციალურ ძალას, ყოველთვის არ ახსოვთ ამ საკითხის თაობაზე პარტიის დიდმნიშვნელოვანი მითითებანი.

საქართველოში ამჟამად არსებობს 4 ათასი ამხანაგური სასამართლო, არის 80.000 რაზმელი. უდავოა, რომ ისინი დიდ მუშაობას ეწევიან, ფრიად ნაყოფიერ გავლენას ახდენენ იმ ადამიანებზე, რომლებმაც შეცდომა დაუშვეს, რომლებსაც ფეხი დაუცდათ; ისინი ეხმარებიან პარტიულ, პროფკავშირულ, კომკავშირულ ორგანიზაციებს საბჭოთა მოქალაქეთა შორის მაღალი მორალური თვისებების აღზრდა-დანერგვაში.

სამწუხაროდ, ამ დიდ და მნიშვნელოვან საქმეში ჩვენ ბევრი ფორმალიზმი გვაქვს, ზოგიერთი რამ თვალის ასახვევად კეთდება. ადმინისტრაციული ორგანოების პირველი რიგის ამოცანაა — ყველა ძალის, ყველა შესაძლებლობის დარაზმვა, რათა საკადრისი პასუხი გავცეთ წესრიგის დამრღვევთ და დამნაშავე ელემენტებს.

ჩვენი პარტია განუხრელად, ყოველთვის, საბჭოთა სახელმწიფოს განვითარების ყველა ეტაპზე ულმობლად ებრძოდა ისეთ სამარცხვინო მოვლენას, როგორიცაა მექრთამეობა, რომელიც მემკვიდრეობით გადმოგვეცა წარსულისაგან. ქრთამი ყოველთვის აუტანელი იყო და ასჯერ უფრო აუტანელი გახდა ახლა, თანამედროვე პირობებში. მექრთამეები წამლავენ იმ ჰაერს, რომელსაც ჩვენ ვსუნთქავთ.

რესპუბლიკის ბევრ საწარმოში, უწყებებში გვხვდება გაფლანგვისა და გატაცების ფაქტები, რაც მოწმობს, რომ ზოგიერთი დაწესებულების ხელმძღვანელები, პარტიული ორგანიზაციების მდივნები და კომუნისტები სათანადოდ ვერ ზრდიან კოლექტივს ბოლშევიკური პრინციპულობის და ნაკლოვანებებისადმი შეუწყნარებლობის სულისკვეთებით. ვერანაირად ვერ გავამართლებთ მას, ვინც იმის მაგივრად, რომ გაბედულად ააშკარავებდეს ნაკლოვანებებსა და უმსგავსოებას, მხდალივით დუმს ან შეგნებულად ჩქმალავს, აფუჩეჩებს მათ თბილი ადგილი დაკარგვის შიშით.

პარტია არა ერთხელ აფრთხილებდა პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციების ხელმძღვანელებს, რომ ისინი ვალდებული არიან მკვეთრად გადასინჯონ თავისი დამოკიდებულება სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების დაცვის კონტროლის საკითხებისადმი. მათ მთელი თავისი საქმიანობა უნდა გარდაქმნან სკკპ ცენტრალური კომიტეტის მითითებათა შესაბამისად. ამა თუ იმ დაწესებულების, საწარმოს ან ორგანიზაციის საქმიანობა უნდა შევაფასოთ არა მხოლოდ წარმოების საერთო მაჩვენებლების მიხედვით, არამედ აგრეთვე იმის ჩათვლით, თუ საერთოდ როგორ მდგომარეობაშია მათთან სახალხო ქონების დაცვის საქმე.

აქ ყველაფერი დამოკიდებულია კადრებზე, მათ შერჩევასა, განაწილებასა და აღზრდაზე. ჯერ კიდევ ხშირია შემთხვევები, როდესაც ისეთ თანამდებობაზე, რომლებიც დაკავშირებულია მატერიალურ პასუხისმგებლობასთან, ნიშნავენ წინათ თაღლითობაში შემჩნეულ პირებს. ბევრჯერ საკმაოდ არ ამოწმებენ და ისე ნიშნავენ საკონტროლო-სარევიზიო აპარატის მუშაკებს. მხოლოდ 1962 წელს სისხლის სამართალში მიცემულთაგან 770 კაცი აღმოჩნდა წინათ გასამართლებული. ასეთ პირობებში რაღა გასაკვირია, რომ ზოგიერთ ორგანიზაციაში მრავლდებიან თაღლითები, რომ მათ ეგუებიან, ზოგჯერ კი პირდაპირ ხელსაც აფარებენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კადრების შერჩევისადმი ასეთ უპრინციპო დამოკიდებულებას ბოლო უნდა მოეღოს. უნდა დავაწესოთ, რომ დიდი მტაცებლობისა და სხვა დანაშაულებისათვის პასუხს აგებდნენ არა მხოლოდ უშუალო დამნაშავეები, არამედ იმ საწარმოთა, დაწესებულებათა, უწყებათა ხელმძღვანელები, რომლებშიც დანაშაულია ჩადენილი. მაშინ ესა თუ ის ხელმძღვანელი ათჯერ დაფიქრდება, ვიდრე ლიბერალიზმს გამოიჩენდეს ან კალთას გადააფარებდეს თაღლითს. უფრო მკაცრ კონტროლს გაუწევს თავის ხელქვეითებს, მეტ სიფხიზლეს გამოიჩენს.

ჩვენს რესპუბლიკაში ყოველთვის როდია უზრუნველყოფილი კანონიერების მტკიცედ დაცვა. ზოგჯერ ვხვდებით სისხლის სამართლის საქმეთა აღძვრის დაუსაბუთებელ ფაქტებს, ან პირიქით, ასეთი საქმის აღძვრაზე უსამართლოდ უარის თქმას, მოქალაქეთა უკანონოდ დაპატიმრების, პასუხისგებაში მიცემისა და მსჯავრდადების ფაქტებს.

დამნაშავის დროულად გამოვლენა, მისი სამართლიანად დასჯა მილიციის, პროკურატურისა და სასამართლოს მუშაკების ღირსების საქმეა. ჩვენ ხშირად მკაცრად ვაკრიტიკებთ ჩვენი ადმინისტრაციული დაწესებულებების საქმიანობის ბიუროკრატიზმსა და საქმის გაჭიანურებას, მოვუწოდებთ გავარვარებული შანთით ამოწვან ყველაფერი, რაც ხელს გვიშლის დანაშაულობათა წინააღმდეგ ბრძოლაში, ამავე დროს კი უყურადღებოდ ვტოვებთ თავისი მოვალეობისადმი ჩინოვნიკური, გულგრილი დამოკიდებულების ფაქტებს.

1961 წლის 7 მარტს ყოფილი ონის რაიონის პროკურატურამ მექრთამეობისათვის სისხლის სამართალში მისცა სოცუზრუნველყოფის განყოფილების გამგე შ. ლ. ტომარაძე.

ყოფილმა პროკურორმა ბაქრაძემ გამოიძია ეს საქმე, ვერ აღმოაჩინა საჭირო მასალები და ნაჩქარევად შეწყვიტა საქმე დაუმტკიცებლობის გამო.

10 თვის შემდეგ, 1962 წლის აპრილში, რესპუბლიკის პროკურატურამ გადასინჯა ეს საქმე და, როგორც არასწორად შეწყვეტილი, აღადგინა და დამატებით გამოძიებისათვის გადასცა რაიონის პროკურატურას.

1962 წლის ივლისში საქმე სასამართლოში გადაგზავნეს, შემდეგ მან ამბროლაურის, ონის, ტყიბულის რაიონების სასამართლოებში ამოყო თავი და 7 თვის განმავლობაში არ ეღირსა ამ საკითხს კანონიერი გადაწყვეტა.

სამწუხაროდ, ასეთი ფაქტები ბევრია. საკმაოა ითქვას, რომ მხოლოდ შარშან გაუქმდა განაჩენი 781 კაცის მიმართ.

გაჭიანურებული საქმეები, უკანონოდ გამოტანილი განაჩენები, საქმეების გადაგზავნა ერთი სასამართლოდან მეორეში — ყოველივე ეს, როგორც მძიმე ბალასტი, აფერხებს და ხელს უშლის ჩვენი სასამართლოს მექანიზმის გამართულ მუშაობას, რომლის „სწორად სვლისა“ და სიზუსტისაგან ბევრი რამ არის დამოკიდებული.

ადმინისტრაციული ორგანოების მუშაკები პარტიისა და ხალხის წინაშე პასუხისმგებლობის ღრმა შეგნებით ასრულებენ თავის სამსახურებრივ მოვალეობას. მაგრამ სასამართლოს, მილიციისა და პროკურატურის ორგანოების თანამშრომლებს შორის კიდევ ვხვდებით უხეირო, გულგრილ, ზოგჯერ კი უპატიოსნო ადამიანებს. უხეირო, გამოუცდელ მუშაკს კიდევ ეშველება — შეიძლება მას შევასწავლოთ, აღვზარდოთ იგი, მაგრამ რა ვთქვათ იმათზე, ვინც გულგრილია ადამიანის ბედის მიმართ, ვინც დიდი უფლებებით არის აღჭურვილი და თავის

ამ მდგომარეობას ადამიანების, საზოგადოების საზიანოდ იყენებს? პირდაპირ აღმაშფოთებელია შემდეგი შემთხვევა: ჩვენმა საგამომძიებლო ორგანოებმა ერთი წელი პატიმრობაში გაატარებინეს მოქალაქე ა. მ. ჯადუგიშვილს. მას მკვლელობას აბრალებდნენ, შემდეგ კი გამოირკვა, რომ ნამდვილი მკვლელი იყო მილიციის მუშაკი კარტოზია.

კარტოზიას უმაღლესი სასჯელი მიესაჯა, მოქალაქე ჯადუგიშვილი კი, რასაკვირველია, სავსებით გაამართლეს, მაგრამ ეს უდანაშაულო ადამიანი ხომ მთელ წელიწადს იჯდა ციხეში! რა უნდა თქვან, რით უნდა იმართლონ თავი საგამომძიებლო ორგანოებმა?

პატიოსანი ადამიანების უკანონოდ დაპატიმრება, ციხეში ჩასმა თურმე კიდევ არაფერია — უარესიც ხდება. ამას წინათ ადგილი ჰქონდა მოქალაქისადმი ყოვლად უმსგავსოდ მოპყრობას, რაც პირდაპირ აღშფოთებას იწვევს. მიმდინარე წლის 4 მარტს სადგურ სამტრედიის მილიციის განყოფილებაში პირადობის დასადგენად მიიყვანეს მოქ. კირპიჩნიკოვი. განყოფილების მორიგემ, მილიციის უფროსმა ლეიტენანტმა ფრანგიშვილმა, წინასწარი პატიმრობის კამერაში მოათავსა იგი.

კირპიჩნიკოვი ფსიქიურად დაავადებული ყოფილა და ზოგ შეკითხვაზე გაუგებარ პასუხს იძლეოდა, ზოგზე კი სულ არ პასუხობდა.

რა ქნა ფრანგიშვილმა, მილიციის ოფიცერმა, ძალა-უფლებითა და ნდობით აღჭურვილმა პირმა? რაკი ვერ ეღირსა კირპიჩნიკოვისაგან ჩვენების მიცემას, ფრანგიშვილმა გამოიყენა გამოძიების დაუშვებელი მეთოდი, ფიზიკური ძალმომრეობა. მილიციონერის, მილიციის ოფიცრის მუნდირი სუფთა უნდა იყოს, მასზე ერთი ლაქაც კი არ უნდა იყოს. ისეთები კი, როგორიც ფრანგიშვილია, თავს ჭრიან ადმინისტრაციულ ორგანოებს, იწვევენ მათ დისკრედიტირებას. ფრანგიშვილი დაპატიმრებულია და მალე წარსდგება სასამართლოს წინაშე. ვფიქრობთ იგი დამსახურებულ სასჯელს მიიღებს.

საოცარია, როგორ მოხვდა ფრანგიშვილი მილიციის მუშაკების რიგებში? ვინ ზრდიდა მას, ვინ გაუწია რეკომენდაცია, რომ ის მიეღოთ ამ ძნელ და კეთილშობილურ სამუშაოზე?

სამწუხაროა, რომ ადმინისტრაციული ორგანოების ხელმძღვანელები ზოგჯერ ვერ ახერხებენ თანამშრომლების წესიერად შერჩევას, პარტიული ორგანიზაციები კი ხანდახან განზე არიან გამდგარი, ყურადღებას არ აქცევენ ამ მნიშვნელოვან საქმეს.

ადმინისტრაციული ორგანოების ზოგიერთი სინდისგარეცხილი მუშაკი ვერ გრძნობს საჭირო პასუხისმგებლობას და ბოროტმოქმედების გზას ადგება.

ასე მოუვიდათ თბილისის მილიციის მე-13 განყოფილების უფროსს მუღალაშვილს და ამავე განყოფილების უბნის რწმუნებულს პაიჭაძეს. მათ დანაშაულებრივი კავშირი ჰქონდა თბილისის ერთ-ერთ ფაბრიკაში მოკალათებულ საქმოსანთა ჯგუფთან და ხელი შეუწყეს 600 ათას მანეთად ღირებული ქონების გატაცება-მითვისებაში.

აი კიდევ ერთი მაგალითი:

ერთ-ერთი რაიონის პროკურორის საქციელის შესახებ ბევრი სიგნალი მიიღეს რესპუბლიკის პროკურატურის ხელმძღვანელებმა, მაგრამ ყურადღება არ მიუქცევიათ ამისათვის. რამდენიმე ხნის წინათ, როდესაც დაიწყეს შემოსული მასალების შემოწმება, ქილაში, რომელიც პროკურორს მეზობელთან მიემალა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

40.000 მანეთი აღმოჩნდა (ძველი ფულის მასშტაბით). განა შეეძლო პროკურორს, ცოლ-შვილის პატრონს ამდენი თანხა დაეგროვებინა თავისი ხელფასიდან?!

დაუსაბუთებელი დაპატიმრება, სისხლის სამართლის საქმის აღძვრა და მით უმეტეს საბჭოთა ადამიანის უმართებულოდ მსჯავრდადება დიდ ზიანს აყენებს მართლმსაჯულების განხორციელებას, დამნაშავეების წინააღმდეგ ბრძოლის საქმეს, იწვევს ადმინისტრაციული ორგანოების დისკრედიტირებას. მე უკვე არაფერს არ ვამბობ იმაზე, რომ ზოგჯერ ეს გამოუსწორებელ მორალურ ტრამვას აყენებს სრულიად უდანაშაულო მოქალაქეებს.

მილიციის, პროკურატურისა და სასამართლოს ზოგიერთი მუშაკი ახლაც იმ აზრისაა, რომ ასეთი შემთხვევები გარდუვალია, რომ დასაშვებია გარკვეული „დანახარჯები". ეს ყოვლად მიუღებელი, მავნე შეხედულება ძირფესვიანად უნდა იქნეს აღმოფხვრილი. უნდა აღვკვეთოთ უმართებულო მტკიცება — თითქოს ორგანოების იმ მუშაკებისადმი მკაცრმა მიდგომამ, რომლებსაც მოსდით კანონიერების დარღვევა, შეუძლია შეასუსტოს დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლა.

დანაშაულებრივ გამოვლინებებთან ბრძოლის გაძლიერება და კანონების დაცვა — ეს ერთიანი კანონზომიერი პროცესია. ერთის დაპირისპირება მეორესთან ზიანის მეტს არაფერს მოგვიტანს.

ამავე დროს დაუშვებელია ამ საქმეში უკიდურესობა, ხელაღებით დასჯა მუშაკებისა, ჩადენილი დანაშაულის მიზეზებისა და კონკრეტული პირობების გაუთვალისწინებლად. თუ ასე არ მოვიქეცით ჩვენი მუშაკების გამბედაობა კანონით გათვალისწინებულ ღონისძიებათა გამოყენებისას, როდესაც აუცილებელია მათი გამოყენება საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევისა და დამნაშავეობის წინააღმდეგ საბრძოლველად, შეიძლება შესუსტდეს, ეს კი დაუშვებელია.

მილიციის მუშაკების, გამომძიებლების, მოსამართლეებისა და პროკურორების მუშაობა რთულია და მრავალმხრივი. მათ უნდა ჰქონდეთ ფართო ჰორიზონტი, კარგი პროფესიული ცოდნა, ცხოვრების გამოცდილება, მუშაობის წარმოების კულტურა, გულისხმიერი დამოკიდებულება ადამიანების მიმართ. სწორედ ამიტომ მუშაკების ეს კატეგორია უნდა განიცდიდეს მთელი ჩვენი პარტიულ-აღმზრდელობითი მუშაობის ყოველდღიურ გავლენას. პარტიული ორგანიზაციებისა და ადმინისტრაციული ორგანოების მნიშვნელოვანი ამოცანაა ამ კადრების გამოწრთობა პოლიტიკურად და იდეურად, მათში კანონების დამრღვევთა მიმართ შეურიგებლობის გრძნობის, მაღალი მორალური სიმტკიცისა და კრისტალური პატიოსნების აღზრდა.

ადმინისტრაციული ორგანოების მუშაკებში იშვიათადაა ისეთები, რომლებსაც არ ჰქონდეთ იურიდიული განათლება ან არ იმაღლებდნენ თავის პროფესიულ ცოდნას. ეს კარგია. მუშაკების კვალიფიკაციის ამაღლებას შემდგომაც სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს. პირველხარისხოვანი ამოცანაა — გავწაფოთ ისინი დამნაშავის დაძებნასა და გაუვნებლებაში. ზოგჯერ თაღლითი უფრო ეშმაკი და გამოცდილია, ვიდრე საგამომძიებლო მუშაკი და პირდაპირ რომ ვთქვათ, თვალს უხვევს მას. ჩვენი ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ ადმინისტრაციული აპარატის მუშაკი შეუპოვრად, დაჟინებით იმაღლებდეს კვალიფიკაციას.

ჩვენ მომავალშიც უნდა მივიღოთ ზომები, რომ მილიციის, პროკურატურისა და სასამართლოს ყველა რგოლს სათავეში ედგნენ კრისტალურად პატიოსა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნი, მათდამი მინდობილი საქმისადმი მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობით ალ-ჭურვილი ადამიანები.

უკანასკნელ პერიოდში საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა რიგი ღონისძიება გაატარა ადმინისტრაციული ორგანოების კადრების გადასინჯვის მიზნით. ამ ორგანოების განმტკიცებისათვის იქ სამუშაოდ გაიგზავნა ახალგაზრდა, უნარიანი ამხანაგები პარტიული, საბჭოთა და კომკავშირული აქტივიდან. განახლდა საზოგადოების წესრიგის დაცვის სამინისტროს, საქართველოს სსრ პროკურატურისა და უმაღლესი სასამართლოს ხელმძღვანელობა. სერიოზული მუშაობა ჩატარდა ორგანოების გასაწმენდად იმ პირებისაგან, რომელნიც საეჭვოდ გამოიყურებოდნენ, ნდობას ვერ იმსახურებდნენ. მხოლოდ გასულ წელს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს, პროკურატურისა და სასამართლოს ორგანოებიდან მოიხსნა სამასი მუშაკი, რომელთა მოქმედება ჩირქს სცხებდა ადმინისტრაციულ ორგანოებს.

მიუხედავად ამისა, ადმინისტრაციულ ორგანოებში კადრებთან მუშაობა საგრძნობლად ჩამორჩება წაყენებულ მოთხოვნებს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტს არა ერთხელ მიუთითებია, რომ ხელმძღვანელ პარტიულ ორგანოებს ეკისრება სრული პასუხისმგებლობა კანონიერების განმტკიცებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის, აგრეთვე დამნაშავეობასთან ბრძოლის ორგანიზაციისა და ამ საქმეში ფართო საზოგადოებრიობის ჩაბმისათვის.

იმ რაიონებსა და ქალაქებში, სადაც პარტიული ორგანოები სისტემატურად მუშაობენ ამ საკითხებზე, აქტიურად უწევენ კონტროლს პროკურატურის, მილიციისა და სასამართლოს ორგანოებს და ჯეროვნად წარმართავენ მათ მუშაობას, იქ განუხრელად მტკიცდება საზოგადოებრივი წესრიგი და მცირდება დამნაშავეობა.

მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენი რესპუბლიკის ყველა რაიონსა და ქალაქში როდია საქმე ასე დაყენებული.

დამნაშავეობასთან ბრძოლის ორგანიზაციის საქმეში ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული ნაკლი ისაა, რომ ზოგიერთ ქალაქკომს, რაიკომს და პარტკომს თავის ყოველდღიურ დიდმნიშვნელოვან საქმედ არ მიაჩნია სკკპ პროგრამით დასახული ამოცანა, რომელიც გულისხმობს წესრიგის ყოველგვარი დარღვევის და მათი გამომწვევი მიზეზების აღმოფხვრას. მათ ჰგონიათ, რომ დამნაშავეობასთან ბრძოლა მხოლოდ მილიციის, პროკურატურისა და სასამართლოს საქმეა.

ზოგიერთი პარტიული კომიტეტი ჯერ კიდევ კამპანიურად და ზოგჯერ ფორმალურად უდგება დამნაშავეობასთან ბრძოლის ორგანიზაციის საქმეს. უმეტეს შემთხვევაში საქმე ასე გამოიყურება: პარტიის ქალაქკომები და რაიკომები დამნაშავეობასთან ბრძოლის ამა თუ იმ საკითხებს მხოლოდ მას შემდეგ განიხილავენ, როდესაც ამ საკითხებზე უკვე არსებობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის ან საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებები. მაშინ იღებენ კარგ გადაწყვეტილებებს და სახავენ კონკრეტულ ღონისძიებებს. მაგრამ ამ გადაწყვეტილებათა განხორციელებას ხშირად ხელს არ უწყობს ორგანიზატორული მუშაობა, რის გამოც დამნაშავეობასთან ბრძოლის საქმე ფრიად ნელა უმჯობესდება.

პარტიის ცალკეული ქალაქკომები და რაიკომები ძალიან იშვიათად იჩენენ ინტერესს იმისადმი თუ რა მდგომარეობაშია საპროკურორო და სასამართლო

ეროვნული ბიბლიოთეკა

პრაქტიკა, როგორ გამოიყურება პროკურატურის, სასამართლოსა და მილიციის ორგანოების საქმიანობა, როგორია მათი კადრები, როგორ მუშაობენ სახალხო რაზმეულები და ამხახაგური სასამართლოები, რა ძოხაწილეობას ღებულობენ პარტიული, კომკავშირული და პროფკავშირული ორგახიზაციები საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში, ამხანაგური სასამართლოებისა და სახალხო რაზმეულების მუშაობაში, მშრომელთა კოლექტივებში სამართლის დამრღვევთა ახლებურად აღზრდაში.

უკანასკნელ ხანს პარტიულმა ორგანოებმა რიგ ადგილებში შეასუსტეს ყურადღება ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულების მუშაობისადმი, თავი აარიდეს საქალაქო და რაიონული შტაბების უშუალო ხელმძღვანელობას.

დამნაშავეობის ლიკვიდაციის დიდი და რთული ამოცანების წარმატებით გადაჭრა დამოკიდებულია არა მხოლოდ ადმინისტრაციული ორგანოების მუშაობისაგან, არამედ აგრეთვე ყველა სახელმწიფო ორგანოსა და საზოგადოებრივი ორგანიზაციის საქმიანობისაგან და ბევრ სხვა ფაქტორისაგან. მხოლოდ პარტიულ ორგანოებს შესწევთ უნარი აქტიურად აამოძრაონ ეს ძალები და ხელმძღვანელობა გაუწიონ მათ.

გვერდს ვერ ავუვლით იმ მდგომარეობას, რომ ჯერ კიდევ გვხვდება ისეთი მძიმე დანაშაულობანი, როგორიცაა მკვლელობა, ქურდობა, ხულიგნობა. ანალიზი გვიჩვენებს, რომ ამ დანაშაულობათა მეტი წილი ჩადენილია იმ პირების მიერ, რომლებიც არ ეწევიან საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომას. ჩვენ ბევრს ვლაპარაკობთ და ვწერთ იმის შესახებ, რომ მიწა უნდა იწვოდეს მუქთახორების ფეხქვეშ. მაგრამ, სამწუხაროდ, ხშირად ვკმაყოფილდებით კეთილი სურვილებით და მგზნებარე მოწოდებით — ბოლო მოვუღოთ ნაკლოვანებებს.

1962 წელს ჩვენს რესპუბლიკაში გამოავლინეს მრავალი ადამიანი, რომელნიც უსაქმოდ დაეხეტებოდნენ, საზოგადოებრივად სასარგებლო შრომას არ ეწეოდნენ, უქნარები და პარაზიტები იყვნენ. ზოგი მათგანი მოაწყვეს სამუშაოზე, ხოლო ზოგიერთი განსაკუთრებით ისინი, რომელნიც უხეშად არღვევდნენ ჩვენი საზოგადოების პირველ ცნებას — „ვინც არ მუშაობს, ის არც ჭამს“ — გაასახლეს. ამ საკითხის განხილვისას გასული წლის აგვისტოში საქართველოს კპ ცენტრალუმა კომიტეტმა აღნიშნა, რომ ბევრი პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაცია სისტემატურად არ მუშაობს იმაზე, რომ საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომაში ჩააბან სხვადასხვა პირნი, განსაკუთრებით კი ახალგაზრდები.

ჩვენ ვამაყობთ ჩვენი შესანიშნავი ახალგაზრდებით, მათი შრომითი გმირობით, მათი წარმატებებით სწავლაში. მაგრამ განა შეგვიძლია თვალი დავხუჭოთ იმაზე, რომ დანაშაულობის ჩამდენთა დიდ პროცენტს ახალგაზრდობა შეადგენს?

საჭიროა პარტიის თბილისის ქალაქკომის და კომკავშირის ქალაქკომის ყურადღება მივაქციოთ იმაზე, რომ თბილისის ორი ათასამდე კომკავშირელი არსად არ მუშაობს და არ სწავლობს. ისინი მთელ დღეს, ხანდახან კი ღამესაც, ჩვენი ქალაქის ქუჩების ტკეპნას უნდებიან. განსაკუთრებით შემაშფოთებელია ის ფაქტი, რომ უკანასკნელ ხანებში ხშირია არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაულობანი. როგორც ეტყობა არ არსებობს საჭირო საქმიანი კავშირი ბავშვთა უმეთვალყურეობასა და დამნაშავეობასთან მებრძოლ ორგანო-

ებსა და განათლების ორგანოებს, აგრეთვე კომკავშირის ორგანიზაციებს შორის. ისინი და არასრულწლოვანთა საქმეების კომისიები ვერ ახერხებენ ამ დარგში თავის ღონისძიებათა წესიერად კოორდინირებას; ბავშვები, უკონტროლოდ დარჩენილნი, ხშირად ჰყვებიან ხოლმე უფროს დამნაშავეთა გავლენის ქვეშ და ცდებიან პატიოსან გზას.

ყოველივე ეს მოითხოვს პარტიული და საბჭოთა ორგანოებისაგან, კომკავშირის ცენტრალური კომიტეტისაგან, უფრო მეტი პოლიტიკური სიმახვილის გამოჩენას მუშაობაში, უფრო მეტ მიზანსწრაფვას, ყოველი ფაქტის უფრო ღრმა ნალიზს. როდესაც ახალგაზრდა კაცი მოხვდება ბრალდებულის სკამზე, უნდა დაისვას საკითხი სკოლებსა და სხვა სასწავლო დაწესებულებებში მთელი აღმზრდელობითი მუშაობის გადაჭრით გაუმჯობესების შესახებ.

ცნობილია, რომ მიმდინარე წლიდან პარტიის წევრების შესახებ სისხლის სამართლის საქმეების აღძვრა, დაპატიმრება, საქმეების სასამართლოში გადაცემა და განხილვა საერთო საფუძვლების შესაბამისად ხდება. ამ საკითხების გადაჭრისას საგამომძიებლო და სასამართლო ორგანოებისათვის საჭირო აღარ არის პარტიული ორგანოების სანქცია ან სხვა გადაწყვეტილება. პარტიის წევრობა დამნაშავეს უპარტიოებთან შედარებით არავითარ უპირატესობას არ ანიჭებს კანონის წინაშე.

ეს სიახლე, ახალ ნაბიჯს წარმოადგენს პარტიულ და სახელმწიფოს ცხოვრებაში, ლენინური ნორმების სრული აღორძინების საქმეში. ამავე დროს იგი მოწმობს ჩვენი საპროკურორო-საგამომძიებლო და სასამართლო ორგანოების დიდ ნდობას.

ახლა ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ გავშალოთ რაც შეიძლება ფართო შეტევა დანაშაულებრივ გამოვლინებათა და მათ ჩამდენთა წინააღმდეგ. ამ შეტევაში ჩავაბათ არა მხოლოდ ადმინისტრაციული ორგანოები, არამედ ჩვენი ყველა საზოგადოებრივი ორგანიზაციები და მათი ხელმძღვანელები. ამასთან ეს შეტევა უნდა ვაწარმოოთ არა შემთხვევიდან შემთხვევამდე, არა კამპანიურად, არამედ განუწყვეტლივ და მთელ ფრონტზე, დაწყებული დადგენილი წესების დარღვევის ყველაზე პატარა დანაშაულებითა და ამორალური ქმედებით და გათავებული თავისუფლების აღკვეთის ადგილებში მოთავსებულთა ახლებურად აღზრდით.

ჩვენი ადმინისტრაციული ორგანოების მუშაკები, აქტივთან და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ერთად, პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობითა და დახმარებით ღირსეულად შეასრულებენ მათ წინაშე მდგომ ამოცანებს, აიყვანენ თავიანთ საქმიანობას ახალი ამოცანების დონეზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეცნიერული კომუნიზმის ფუძემდებელი

დოც. გ. აფრიდონიძე

145 წლის წინათ დაიბადა კ. მარქსი — ჩაგრულთა და ექსპლოატირებულთა დიდი ბელადი და მასწავლებელი, მეცნიერული კომუნიზმის ფუძემდებელი, უდიდესი მეცნიერი და მოქალაქე. გენიალურმა შრომებმა მას საკვეყნოდ გაუთქვეს სახელი. ასეული მილიონობით ადამიანი წმინდად ინახავს ამ დიდების შარავანდედით მოსილი პიროვნების ხსოვნას.

კ. მარქსი დაიბადა 1818 წლის 5 მაისს რეინისპირა პრუსიის ქ. ტრირში იურისტის ოჯახში. გიმნაზიის დამთავრების შემდეგ ის სწავლობდა ჯერ ბონის, ხოლო შემდეგ ბერლინის უნივერსიტეტების იურიდიულ ფაკულტეტებზე. იურიდიული მეცხიერების შესწავლასთან ერთად ის დიდ დროს ანდომებდა ისტორიის, ფილოსოფიის, პოლიტეკონომიისა და ლიტერატურის შესწავლას. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ბრწყინვალედ დაიცვა სადოქტორო დისერტაცია — „განსხვავება დემოკრიტეს ნატურფილოსოფიასა და ეპიკურეს ნატურფილოსოფიას შორის“.

კ. მარქსმა მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება, დიდი ნიჭი, ერუდიცია და ენერგია მოახმარა ჩაგრულთა განთავისუფლების — მეცნიერული კომუნიზმის საქმეს. მისი ცხოვრება, შემოქმედება და მოღვაწეობა განუყოფელია უახლოესი მეგობრისა და თანამებრძოლის ფრ. ენგელსის სახელთან.

კ. მარქსის მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაში გარკვეული როლი შეასრულა საჟურნალისტო მოღვაწეობამ. მან რევოლუციური მოღვაწეობა დაიწყო სრულიად ახალგაზრდამ. 1842 წელს გამოსვლა იწყო „რეინის გაზეთმა“. ამავე წელს მარქსი ბრუნო ბაუერთან ერთად მიწვეული იქნა ამ გაზეთის მთავარ თანამშრომლად. 1842 წლის ოქტომბერში ის ამ გაზეთის მთავარი რედაქტორი ხდება. გაზეთი რევოლუციურ-დემოკრატიული მიმართულებისა იყო, მაგრამ მასში მარქსის თანამშრომლობამ კიდევ უფრო გააძლიერა ეს მხარე.

მარქსის პირველი პუბლიცისტური შრომები მიძღვნილი იყო პრესის თავისუფლებისადმი. პრესაში დაიწყო მან თავისი პოლიტიკური მოღვაწეობა, როგორც რევოლუციონერმა დემოკრატმა. მარქსი ღრმად და ყოველმხრივ დაინტერესდა საგაზეთო საქმით. მისთვის აშკარა ხდება, თუ რა დიდი ცოდნა და ენერგიაა საჭირო გაზეთის მუშაკისათვის. გაზეთში მუშაობისას მარქსი დარწმუნდა, რომ ის სათანადოდ არ იცნობდა პოლიტიკურ ეკონომიას და შეუდგა მის ღრმად შესწავლას. სტატიაში „კ. მარქსი“ ვ. ი. ლენინი წერდა: „საგაზეთო მუშაობამ დაანახვა მარქსს, რომ ის საკმაოდ არ იცნობს პოლიტიკურ ეკონომიას, და მან გულმოგინედ მოჰკიდა ხელი მის შესწავლას“.[1]

მარქსის მსოფლმხედველობა ყალიბდებოდა იმ ეპოქაში, რომელიც უშუა-

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 21, გვ. 39.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოდ წინ უსწრებდა 1848-1849 წლების რევოლუციას. კაპიტალიზმის განვითარებას, როგორც სხვა ქვეყნებში, ასევე დასავლეთ ევროპაშიც თან ახლდა პროლეტარიატის კლასობრივი შეტაკებანი ბურჟუაზიასთან, მუშათა მოძრაობის, ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციების გაშლა. რევოლუციურ გამოსვლებს ადგილი ჰქონდა ინგლისში, საფრანგეთში, გერმანიაში. ყველა ამ გამოსვლების საერთო დამახასიათებელი ის იყო, რომ ისინი ჯერ კიდევ სტიქიურ, არაორგანიზებულ ხასიათს ატარებდნენ. იგრძნობოდა, რომ პროლეტარიატი ჯერ კიდევ არ ჩამოყალიბებულიყო კლასად, არ ჰყავდა თავისი დამოუკიდებელი პარტია.

მარქსი და ენგელსი აღიარებდნენ პროლეტარიატს მიზნის გაგებით და ბრძოლის საშუალებებით. რევოლუციური მარქსიზმის თეორია ყალიბდებოდა და მწიფდებოდა ბურჟუაზიულ იდეოლოგიასთან, და აგრეთვე, იმ დროს მუშათა შორის გავრცელებულ წვრილ ბურჟუაზიულ, ეტოპიური სოციალიზმისა და უხეში განმათანაბრებელ კომუნიზმის წინააღმდეგ ბრძოლასთან.

პრუდონიზმის წინააღმდეგ დაწერილ ცნობილ შრომაში „ფილოსოფიის სიღატაკე", რომელიც პასუხი იყო პრუდონის „სიღატაკის ფილოსოფიაზე" (გამოვიდა 1847 წელს), პირველად იქნა ფორმულირებული დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის ძირითადი დებულებანი და საფუძველი ჩაეყარა სოციალიზმის პოლიტიკურ ეკონომიას.

ჩამოყალიბების პროცესში მყოფი ახალი ეკონომიური მოძღვრების პოპულარიზაცია მარქსმა მოგვცა აგრეთვე მის მიერ 1847 წელს წაკითხულ ლექციებში, რომლებიც გამოქვეყნებული იყო 1849 წელს „რეინის ახალ გაზეთში", სათაურით „დაქირავებული შრომა და კაპიტალი".

9145

მარქსმა და ენგელსმა შექმნეს „კომუნისტთა კავშირი"—მუშათა კლასის ახალი ტიპის პარტიის პირველსახე და შეიმუშავეს მისი პროგრამა „კომუნისტური პარტიის მანიფესტი", მეცნიერული კომუნიზმის პირველი პროგრამული დოკუმენტი.

„ამ ნაწარმოებში, — წერდა ვ. ი. ლენინი, — გენიალური სიცხადითა და სიმკვეთრით გადმოცემულია ახალი მსოფლმხედველობა, თანმიმდევრული მატერიალიზმი, რომელიც სოციალური ცხოვრების სფეროსაც მოიცავს, დიალექტიკა, როგორც უაღრესად ყოველმხრივი და ღრმა მოძღვრება განვითარებაზე, თეორია კლასობრივი ბრძოლისა და პროლეტარიატის, როგორც ახალი, კომუნისტური საზოგადოების შემოქმედის მსოფლიო-ისტორიული რევოლუციური როლისა".[1]

კომუნისტური პარტიის მანიფესტში — მის პირველ სტრიქონებშივე ვკითხულობთ ევროპაში კომუნიზმის მოახლოების, მისი აჩრდილის შესახებ, კომუნისტური პარტიის მანიფესტის გამოცემის აუცილებლობაზე, ბურჟუაზიისა და პროლეტარიატის წარმოშობის, მათ შორის დაუნდობელი კლასობრივი ბრძოლის შესახებ. აქ მარქსი და ენგელსი მიუთითებენ, რომ დღემდე არსებული საზოგადოების (პირველყოფილი თემის გამოკლებით) ისტორია არის კლასთა ბრძოლის ისტორია. აქვე ხაზგასმულია, რომ ყველა იმ კლასთა შორის, რომელიც ბურჟუაზიის პირისპირ დგანან, მხოლოდ პროლეტარიატია ბოლომდე რევოლუციური კლასი.

კომუნისტური პარტიის მანიფესტში მარქსი და ენგელსი ასწავლიან პროლეტარიატს, რომ „აქამდე არსებული ყველა ძოძრაობა იყო მოძრაობა უმცირე-

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ. ტ. 21, გვ. 41.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სობისა, ან უმცირესობის სასარგებლოდ. პროლეტარული მოძრაობა არის თავისთავად მოძრაობა დიდძალი უმრავლესობისა დიდი უმრავლესობის სასარგებლოდ“ (გვ. 60). ამაშია ამ მოძრაობის ძალა და წარმატების საფუძველი.

მანიფესტში მოცემულია იდეა პროლეტარიატის დიქტატურის შესახებ, თუმცა ეს ტერმინი აქ ჯერ კიდევ არ არის ნახმარი, მაგრამ მისი შესატყვისია გამოთქმა „გაბატონებულ კლასად ორგანიზებული პროლეტარიატი“.

დიდი ადგილი აქვს დათმობილი მარქსიზმის ამ პირველ პროგრამულ დოკუმენტში პროლეტარიატის პარტიის საკითხს. მასში ფორმულირებულია ძირითადი დებულებანი პროლეტარიატის პარტიის შესახებ. დასაბუთებულია, რომ ამ პარტიას არა აქვს სხვა ინტერესები, გარდა იმისა, რომ ემსახუროს პროლეტარიატს, რომ კომუნისტური პარტია არის ნამდვილი ავანგარდი, შორსმჭვრეტელი რევოლუციური თეორიით შეიარაღებული ნაწილი მუშათა კლასისა. ამით მას უპირატესობა აქვს სხვა პარტიებთან შედარებით.

მანიფესტში ბრწყინვალედ არის დასაბუთებული, რომ კომუნისტების თეორიული დებულებანი სრულიადაც არ ემყარებიან ისეთ იდეებს, პრინციპებს, რომლებიც გამოუგონია თუ აღმოუჩენია მსოფლიოს ამა თუ იმ რეფორმატორს.

„ისინი მხოლოდ არსებული კლასობრივი ბრძოლის ფაქტიური ვითარების, ჩვენ თვალწინ წარმოებული ისტორიული მოძრაობის საყოველთაო გამოხატულებას წარმოადგენენ“.[1]

კომუნისტური პარტიის მანიფესტი გაჟღენთილია უდიდესი ჰუმანური იდეით. მასში დასაბუთებულია პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპები. შემთხვევითი არ არის, რომ ეს გენიალური ნაწარმოები მთავრდება მსოფლიო პროლეტარიატისადმი მოწოდებით — „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!“.

აქვეა მოცემული მარქსამდელი სოციალურ მიმდინარეობათა იდეური განადგურება და უტოპიური სოციალიზმის კრიტიკა.

მარქსის შეხედულებათა და მოძღვრების სისტემას ეწოდა მარქსიზმი, რომელიც კანონიერი მემკვიდრეა ყოველივე საუკეთესოსი, რომელიც კაცობრიობას შეუქმნია გერმანული კლასიკური ფილოსოფიის, ინგლისური პოლიტიკური ეკონომიისა და ფრანგული უტოპიური სოციალიზმის სახით. მაგრამ მარქსიზმი, როგორც რევოლუციური მოძღვრება, ამ მიმდინარეობათა უბრალო გაგრძელება როდია.

მარქსიზმის მოძღვრება წარმოადგენდა ძირეულ გადატრიალებას აზროვნებაში, უპირველეს ყოვლისა კი ფილოსოფიაში, პოლიტიკურ ეკონომიასა და სოციალიზმის იდეის განვითარებაში.

თავის განთქმულ წინასიტყვაობაში „პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის“ მარქსმა მოგვცა ისტორიული მატერიალიზმის არსის გენიალური ფორმულირება.

„მან, — წერდა ენგელსი, — აღმოაჩინა ის მარტივი ფაქტი, რომელიც მანამდე მიჩქმალული იყო იდეოლოგიურ მოსაზრებათა სამოსელში, რომ ადამიანებს პირველყოვლისა უნდა ჰქონდეთ საჭმელი, სასმელი, საცხოვრებელი ბინა და ტანისამოსი, რათა მათ შესძლონ ხელი მოჰკიდონ პოლიტიკას, მეცნიერებას, ხელოვნებას, რელიგიას და სხვ., რომ, მაშასადამე, არსებობის უშუალო მატერია-

[1] კ. მარქსი და ფ. ენგელსი, კომუნისტური პარტიის მანიფესტი, თბილისი, 1948 წ., გვ. 64.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლური საშუალებების წარმოება და ამასთან ერთად ამა თუ იმ ხალხის თუ ისტორიული ეპოქის ეკონომიური განვითარების შესაფერი საფეხური შეადგენს საფუძველს, საიდანაც ვითარდებიან სახელმწიფო დაწესებულებანი, უფლებრივი შეხედულებანი, ხელოვნება და თვით ადამიანთა რელიგიური წარმოდგენებიც კი და რომლიდანაც უნდა გამოვდიოდეთ ყველა ამ მოვლენის ახსნის საქმეში, და არა პირიქით, როგორც აქამდე ეგონათ".[1]

მარქსმა მიუთითა, რომ მატერიალური ცხოვრების წესი განსაზღვრავს სოციალური, პოლიტიკური და გონებრივი ცხოვრების პროცესს საზოგადოდ. ადამიანთა საზოგადოებრივი ყოფიერება განსაზღვრავს მათ ცნობიერებას. მან აღნიშნა, რომ სოციალური რევოლუცია შედეგია იმ წინააღმდეგობისა, რომელიც საწარმოო ძალებსა და წარმოებით ურთიერთობას შორის წარმოიშვება მათი განვითარების განსაზღვრულ საფეხურზე, მაშინ, როდესაც წარმოებითი ურთიერთობა საწარმოო ძალთა განვითარების ბორკილებად იქცევა. ეკონომიური საფუძვლის ცვლილებასთან ერთად მთელი უზარმაზარი ზედნაშენიც მეტ-ნაკლები სისწრაფით გადატრიალდება. მარქსის ამ აღმოჩენამ პირველად დააყენა ისტორია თავის ნამდვილ საფუძველზე.

ისტორიის მატერიალისტური გაგების აღმოჩენამ, როგორც ვ. ი. ლენინი მიუთითებს, მოსპო წინანდელი ისტორიული თეორიების ორი მთავარი ნაკლი: 1) ეს თეორიები განიხილავდნენ ადამიანთა ისტორიული მოღვაწეობის მხოლოდ იდეურ მოტივებს, არ იკვლევდნენ, თუ რა იწვევს ამ მოტივებს, ვერ ხედავდნენ ობიექტურ კანონზომიერებას საზოგადოებრივ ურთიერთობათა სისტემის განვითარებაში, ვერ ამჩნევდნენ ამ ურთიერთობათა ფესვებს მატერიალური წარმოების განვითარების დონეში; 2) წინანდელი თეორიები არ მოიცავდნენ სწორედ მოსახლეობის **მასების** მოქმედებას. ისტორიულმა მატერიალიზმმა პირველად მოგვცა შესაძლებლობა სიზუსტით გამოვიკვლიოთ მასების ცხოვრების საზოგადოებრივი პირობები და ამ პირობების ცვლილებანი. თუ მარქსამდელი სოციოლოგია და ისტორიოგრაფია უკეთეს შემთხვევაში იძლეოდნენ დაუმუშავებელი, ნაწყვეტ-ნაწყვეტად შეკრებილი ფაქტების გროვას და ისტორიული პროცესის ცალკეული მხარეების სურათს, „მარქსიზმმა გვიჩვენა საზოგადოებრივ-ეკონომიური ფორმაციების წარმოშობის, განვითარებისა და დაცემის პროცესის ყოვლისმომცველი, ყოველმხრივი შესწავლის გზა, რადგან იგი განიხილავს ყველა წინააღმდეგობრივი ტენდენციის **ერთობლიობას,** გამოჰყავს ისინი საზოგადოების სხვადასხვა კლასის ცხოვრებისა და წარმოების ზუსტად განსაზღვრული პირობებიდან, უკუაგდებს სუბიექტივიზმსა და თვითნებობას ცალკეული „გაბატონებული" იდეების არჩევასა და განმარტებაში, ააშკარავებს უკლებლივ ყველა იდეისა და ყველა სხვადასხვა ტენდენციის **ფესვებს** მატერიალური საწარმოო ძალების მდგომარეობაში".[2]

ისტორიის ამ ახალი გაგებით დამტკიცდა, რომ მთელი ისტორია (პირველყოფილი თემის გამოკლებით) კლასობრივი წინააღმდეგობის, კლასობრივი ბრძოლის გზით მიმდინარეობდა, რომ კაცობრიობა მუდამ იყოფოდა გაბატონებულ და დამონებულ კლასებად. ადამიანთა დიდი უმრავლესობის ხვედრი მუდამ მძიმე შრომა და უბადრუკი არსებობა იყო. მხოლოდ პრივილეგიური უმცირესობისათვის იყო უზრუნველყოფილი არსებობა. პროლეტარიატი, როგორც ყველა-

[1] კ. მარქსი და ფ. ენგელსი, რჩ. ნაწერები, ტ. II, გვ. 190.
[2] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 21, გვ. 52.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზე რევოლუციური კლასი, დაეპატრონება რა საზოგადოების საწარმოო ძალებს, უზრუნველყოფს მის მძლავრ აღმავლობას, მუდამ მზარდი მოთხოვნილების დაკმაყოფილება თვითეულისათვის უზრუნველყოფილი იქნება.

პოლიტიკურ ეკონომიაში მარქსის აღმოჩენა იმაში მდგომარეობს, რომ მან გამოააშკარავა, თუ როგორ ხდება მუშის ექსპლოატაცია თანამედროვე საზოგადოებაში არსებული წარმოების კაპიტალისტური წესის დროს. მან აღმოაჩინა წარმოების კაპიტალისტური წესისა და მისგან წარმოებული ბურჟუაზიული საზოგადოების განვითარების განსაკუთრებული კანონი — ზედმეტი ღირებულების თეორია.

ზედმეტი ღირებულების თეორია მარქსის ეკონომიური მოძღვრების ქვაკუთხედია. ამ კანონის აღმოჩენამ ნათელი მოჰფინა წარმოების კაპიტალისტური წესის და ბურჟუაზიული საზოგადოების განვითარებას, მაშინ როდესაც ყველა წინანდელი მკვლევარი — ბურჟუაზიული ეკონომისტი-კრიტიკოსი ბნელში დაეხეტებოდა.

მარქსისა და ენგელსის უდიდესი დამსახურება მსოფლიო პროლეტარიატის წინაშე ის არის, რომ მათ სოციალიზმი უტოპიიდან მეცნიერებად აქციეს, შექმნეს მეცნიერული სოციალიზმის თეორია. ისინი პირველნი იყვნენ, რომლებმაც განმარტეს, რომ სოციალიზმი მეოცნებეთა გამონაგონი კი არ არის, არამედ თანამედროვე კაპიტალისტური საზოგადოების განვითარების აუცილებელი შედეგია. ისინი ასწავლიდნენ პროლეტარიატს, რომ კაპიტალისტური საკუთრების გადაქცევა საზოგადოებრივ საკუთრებად შესაძლებელია არა რეფორმების გზით, არამედ სოციალისტური რევოლუციის გზით, კაპიტალისტური საზოგადოების ახალი საზოგადოების თვისობრივი შეცვლით.

დიდი მოვლენა, რომელიც დაკავშირებული იყო ბურჟუაზიულ-დემოკრატიული მოძრაობის გამოცოცხლებასთან, იყო პირველი ინტერნაციონალის შექმნა. მისი შემქმნელი და ბელადი მარქსი იყო. პირველი ინტერნაციონალი შეექმნა 1864 წლის 28 სექტემბერს ხალხმრავალ მიტინგზე ლონდონში. მარქსმა შექმნა ამ ინტერნაციონალის პირველი პროგრამული დოკუმენტები.

მარქსი დიდად იყო დაინტერესებული რუსული კულტურით, რუსული ლიტერატურით. რუსეთისადმი, მისი კულტურისადმი დიდი ინტერესის შესახებ მეტყველებს ის ფაქტი, რომ მარქსმა უკვე ხანდაზმულობის პირობებშიც კი აუცილებლად ჩათვალა შეესწავლა რუსული ენა, გაცნობოდა რუსეთის ცხოვრებას. ის ორიგინალში, ხშირად ლექსიკონის დაუხმარებლად, კითხულობდა დოსტოევსკის, გერცენისა და ჩერნიშევსკის თხზულებებს.

მარქსმა „კაპიტალის“ პირველი ტომის მეორე გამოცემის წინასიტყვაობაში საჭიროდ ჩათვალა აღენიშნა დამსახურება დიდი რუსი მეცნიერისა და კრიტიკოსის ჩერნიშევსკისა, რომელმაც თავის ნაშრომში „ნარკვევები პოლიტიკური ეკონომიიდან (მილის მიხედვით)“ გვიჩვენა ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის ბანკროტობა.

მარქსიზმში მთავარია მოძღვრება პროლეტარიატის, როგორც სოციალისტური საზოგადოების შემოქმედის მსოფლიო ისტორიული როლის შესახებ — პროლეტარიატის დიქტატურის შესახებ. კომუნისტური პარტიის მანიფესტში ამ მოძღვრების მხოლოდ იდეაა მოცემული. ამის შემდეგ მარქსი და ენგელსი, განსაკუთრებით კი მარქსი, არა ერთხელ დაუბრუნდნენ ამ საკითხს და მოგვცეს მისი საფუძვლიანი გაშუქება.

როდესაც მარქსი და ენგელსი აანალიზებდნენ ევროპის 1848-1849 წლების

ეროვნული ბიბლიოთეკა

რევოლუციას, მათ მიერ დაწერილ ცენტრალური კომიტეტის მოწოდებაში კომუნისტთა კავშირისადმი (1850 წ.), ჩამოაყალიბეს იდეა განუწყვეტელი რევოლუციის შესახებ და მოგვცეს პროლეტარიატის პარტიის ტაქტიკა გერმანიის მომავალ რევოლუციაში.

1848-1849 წლების რევოლუციის ანალიზს მარქსმა მიუძღვნა შრომა „კლასთა ბრძოლა საფრანგეთში 1848 წლიდან 1850 წლამდე".

საფრანგეთის რევოლუციის გამოცდილების საფუძველზე მარქსი ამტკიცებდა, რომ მუშათა კლასს არ ძალუძს დაამარცხოს კაპიტალიზმი ისე, თუ თავის მხარეზე არ მიიმხრობს გლეხობას. აქ პირდაპირ არის დაყენებული საკითხი პროლეტარიატის მოკავშირის შესახებ. ამავე შრომაში მარქსი კონკრეტულად აყენებს საკითხს პროლეტარიატის დიქტატურის შესახებ, რომლის იდეაც კომუნისტური პარტიის მანიფესტშია მოცემული. აქვეა პირველად ნახმარი გამოთქმა — პროლეტარიატის დიქტატურა.

შემდგომ, ავითარებს რა ამ აზრს, ცნობილ წერილში ი. ვეიდემეიერისადმი, კ. მარქსი აღნიშნავდა იმას, თუ რა ახალი შეიტანა მან კლასებისა და კლასთა ბრძოლის საკითხში, რომ მას არ ეკუთვნის არც პირველისა და არც მეორის აღმოჩენა, რომ იგი გააკეთეს მასზე ადრე ბურჟუაზიულმა ისტორიკოსებმა და ეკონომისტებმა.

„ის, რაც მე ახალი გავაკეთე, — წერს მარქსი, —იმის დამტკიცებაში მდგომარეობს, რომ 1) კლასთა არსებობა მხოლოდ **წარმოების განვითარების განსაზღვრულ ისტორიულ ფაზებთანაა დაკავშირებული;** 2) კლასთა ბრძოლას აუცილებლად მივყევართ **პროლეტარიატის დიქტატურამდე;** 3) რომ თვით ეს დიქტატურა მხოლოდ **ყველა კლასთა მოსპობასა და უკლასო საზოგადოებისაკენ** გადასვლას წარმოადგენს".[1]

ამ წერილში მარქსმა გენიალური სიცხადით გამოხატა თავისი მოძღვრების მთავარი და ძირითადი განსხვავება ბურჟუაზიის მოწინავე და ყველაზე ღრმა მოაზროვნეთა მოძღვრებისაგან და მეორეც სახელმწიფოს შესახებ თავისი მოძღვრების არსი.

პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის საკითხს მარქსი არა ერთხელ დაუბრუნდა. შემდგომ ავითარებდა მოძღვრებას პროლეტარიატის დიქტატურის შესახებ. ცნობილ ნაშრომში „თვრამეტი ბრიუმერი ლუი ბონაპარტისა" (1852 წ.) მარქსმა მიუთითა საფრანგეთის გლეხობის ორმაგ წინააღმდეგობრივ ბუნებაზე. გლეხობის ინტერესების სწორად გაგებამ ისინი უნდა მიიყვანოს მუშათა კლასთან კავშირში. განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობისაა ამავე ნაშრომში მარქსის მიერ გაკეთებული გენიალური დასკვნა. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ პროლეტარული რევოლუციის ამოცანაა დაამსხვრიოს ძველი სახელმწიფოებრივი მანქანა. მარქსის ეს გენიალური დასკვნა სავსებით გამომდინარეობდა რევოლუციურ პრაქტიკასთან განუყრელი კავშირიდან.

პარიზის კომუნას, მიუხედავად იმისა, რომ ის დამარცხდა, უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა არა მარტო ფრანგი, არამედ ყველა ქვეყნის მუშათა კლასისათვის. კომუნის გაკვეთილებზე პროლეტარიატმა ისწავლა უფრო შეუპოვრად ებრძოლა ექსპლოატატორული წყობილების წინააღმდეგ.

[1] კ. მარქსი და ფ. ენგელსი, რჩეული წერილები, თბილისი, 1949 წ., გვ. 62.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავის წერილებში კუგელმანისადმი, რომელიც თვით რევოლუციის მსვლელობაში იწერებოდა, მარქსმა შესძლო შეეფასებინა პარიზის კომუნის ისტორიული მნიშვნელობა, გამოეაშკარავებინა მისი შეცდომები და გაეკეთებინა მეტად მნიშვნელოვანი დასკვნები.

1871 წლის 12 აპრილს მარქსი კუგელმანს წერდა: „თუ გადახედავ ჩემი „თვრამეტი ბრიუმერის“ უკანასკნელ თავს, დაინახავ, რომ საფრანგეთის რევოლუციის შემდგომ ცდად მე ვაცხადებ: არა სამხედრო მანქანის ერთი ხელიდან მეორეში გადაცემას, როგორც ეს აქამდე ხდებოდა, არამედ მის **დამსხვრევას;** აი, სწორედ ეს არის ყოველი ნამდვილი სახალხო რევოლუციის წინაპირობა კონტინენტზე. ასეთია სწორედ ჩვენი გმირული პარიზელი პარტიული ამხანაგების ცდა“.[1]

მარქსმა კომუნის დამარცხების შემდეგ სპეციალურ მონოგრაფიაში „სამოქალაქო ომი საფრანგეთში“ (1871 წ.) თეორიულად განაზოგადა კომუნის გაკვეთილები.

კომუნის გამოცდილებამ დაადასტურა მარქსის ცნობილი დებულება ბურჟუაზიული სახელმწიფოებრივი მანქანის დამსხვრევის აუცილებლობის შესახებ. ახალი გამოცდილების საფუძველზე მარქსმა გააკეთა დასკვნა იმის შესახებ, რომ არაპარლამენტური რესპუბლიკა, არამედ პარიზის კომუნის ტიპის ორგანიზაცია არის ყველაზე მიზანშეწონილი ფორმა პროლეტარიატის დიქტატურისა.

მარქსი სასტიკი კრიტიკით უმასპინძლდებოდა ბაკუნისტებს, რომლებიც რეაქციის მოკავშირეებად გამოდიოდნენ. ისინი რეაქციასთან და ძველ წყობილებასთან ბრძოლაში უარყოფდნენ პროლეტარიატის ორგანიზაციას — პარტიას, უარყოფდნენ პროლეტარიატის დიქტატურას, იარაღს, რომელიც აუცილებლად სჭირდება მუშათა კლასს ექსპლოატატორული კლასების წინააღმდეგობის დასათრგუნავად და სოციალიზმის სრული და საბოლოო გამარჯვებისათვის.

როდესაც პირველმა ინტერნაციონალმა შეასრულა თავისი ისტორიული ამოცანა, ამოსწურა თავისი შესაძლებლობანი, მარქსმა, როგორც პროლეტარიატის დიდმა მასწავლებელმა და ბელადმა ახალი პოლიტიკური ამოცანა დასახა — ცალკეულ ქვეყნებში ამ ქვეყნების სპეციფიკურობის გათვალისწინებით პროლეტარული პარტიების შექმნა.

პროლეტარული პარტიების შექმნას მრავალი დაბრკოლება ეღობებოდა წინ: თეორიული და პრაქტიკული გამოცდილების უქონლობა, ოპორტუნისტული ელემენტების წინააღმდეგობა, აეცდინათ პროლეტარიატი სწორი გზიდან, დაემორჩილებინათ მათი ინტერესები ბურჟუაზიისადმი. პროლეტარიატის პარტიის შექმნისას გადახვევებს და დამახინჯებებს ჰქონდა ადგილი თვით გერმანიაშიც. გერმანელმა სოციალისტებმა უგულებელყვეს მარქსისა და ენგელსის მითითებანი, რის გამოც 1875 წ. ეიზენახელების პარტია დათანხმდა კომპრომისულ უპრინციპო გაერთიანებაზე ლასალიანელებთან. ამ გაერთიანების შემდეგ მიღებული იქნა ე. წ. „გოთას“ პროგრამა, რომელიც მთელ რიგ უხეშ და პრინციპული ხასიათის შეცდომებს შეიცავდა. ეს პროგრამა საფუძვლიანად იქნა გაკრიტიკებული მარქსის შრომაში „გოთას პროგრამის კრიტიკა“. ლასალიანელების შეურიგებელ კრიტიკასთან ერთად, ამ ნაშრომში დიდი ადგილი აქვს დათმობილი მეცნიერული კომუნიზმის თეორიის საკითხებს. ამ ნაშრომში მარქ-

[1] კ. მარქსი და ფ. ენგელსი, რჩეული წერილები, თბილისი, 1949 წ. გვ. 285.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სი ერთმანეთისაგან განასხვავებს კომუნიზმის ორ ფაზას, გვაძლევს კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გარდამავალი პერიოდის ღრმა დახასიათებას. ხაზგასმულია, რომ კაპიტალიზმიდან სოციალიზმში გადასვლას თან ახლავს გარდამავალი პერიოდი. „მარქსი ოდნავადაც არ ცდილობს შეთხზას უტოპიები... იგი კომუნიზმის საკითხს ისე აყენებს, როგორც ბუნებისმეტყველი დააყენებდა ახალი, ვთქვათ, ბიოლოგიური ნაირსახეობის განვითარების საკითხს, რაკი ჩვენ ვიცით, რომ იგი ასე და ასე წარმოიშვა და ასეთი და ასეთი გარკვეული მიმართულებით იცვლის სახეს“.[1]

მარქსი, უკუაგდებს რა იმ არევ-დარევას, რომელიც „გოთას“ პროგრამას შეაქვს სახელმწიფოს საკითხში, გვაძლევს გარდამავალი პერიოდის ანალიზს და ამ პერიოდის სახელმწიფოს დახასიათებას:

„კაპიტალისტურ და კომუნისტურ საზოგადოებას შორის მდებარეობს ერთის მეორედ რევოლუციური გარდაქმნის პერიოდი. ამ პერიოდს შეესაბამება აგრეთვე პოლიტიკურად გარდამავალი პერიოდი, რომლის დროს სახელმწიფო არ შეიძლება სხვა რამ იყოს, თუ არა პროლეტარიატის დიქტატურა“.[2]

ვ. ი. ლენინმა მარქსის მოძღვრების განვითარების საფუძველზე დაასაბუთა კაპიტალიზმიდან სოციალიზმში გარდამავალი პერიოდის ეკონომიკის უმნიშვნელოვანესი დებულებანი. ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ გარდამავალი პერიოდის ეკონომიკა ერთნაირი არ არის, რომ იგი აერთებს სოციალიზმისა და კაპიტალიზმის ელემენტებს. კაპიტალიზმიდან სოციალიზმში გადასვლის ფორმები დამოკიდებულია კონკრეტულ პირობებზე, რომლებშიც სხვადასხვა ქვეყნებში იწყება სოციალიზმისაკენ მოძრაობა.

ვ. ი ლენინმა „სახელმწიფო და რევოლუციაში“ მიუთითა, რომ ოპორტუნისტებსა და ანარქისტებს ანათესავებს პროლეტარიატის დიქტატურის უარყოფა. მემარჯვენე სოციალისტთა ლიდერები უარყოფდნენ ბურჟუაზიული სახელმწიფო მანქანის მსხვრევას. ანარქისტები იმის წინააღმდეგი იყვნენ, რომ პროლეტარიატს გამოეყენებინა სახელმწიფო სოციალიზმის ასაშენებლად, ამით ისინი უარყოფდნენ პროლეტარიატის დიქტატურას.

ვ. ი. ლენინმა ხაზი გაუსვა მარქსისტულ დებულებას, რომ გამარჯვებულმა პროლეტარიატმა მთლიანად უნდა დაამსხვრიოს ბურჟუაზიული სახელმწიფო მანქანა და კაპიტალიზმიდან კომუნიზმში გარდამავალი მთელი პერიოდისათვის დაამყაროს პროლეტარიატის დიქტატურა.

„სახელმწიფოს შესახებ მარქსიზმის მოძღვრების არსი შეთვისებული აქვს მხოლოდ იმას, ვინც გაიგო, რომ ერთი კლასის დიქტატურა აუცილებელია არა მარტო ყოველი კლასობრივი საზოგადოებისათვის საერთოდ, არა მარტო **პროლეტარიატისათვის**, რომელსაც ბურჟუაზია დაუმხია, არამედ მთელი იმ **ისტორიული პერიოდისთვისაც**, რომელიც კაპიტალიზმს ჰყოფს „უკლასო საზოგადოებისაგან“, „კომუნიზმისაგან“.[3]

სკკპ და მოძმე მარქსისტულ-ლენინური პარტიების გამოცდილება ადასტურებს, რომ პროლეტარიატის დიქტატურა გამოხატავს და იცავს მშრომელთა ინტერესებს. ის წარმოადგენს ახალ, უფრო უმაღლეს ფორმას დემოკრატიისას ბურჟუაზიულ-დემოკრატიასთან შედარებით. საბჭოთა კავშირში სოციალიზმის გამარჯვების შედეგად დემოკრატია გახდა საყოველთაო, სოციალისტური დე-

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 25, გვ. 569.

[2] კ. მარქსი და ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, ტ. 2, გვ. 27.

[3] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 25, გვ. 508.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოკრატია. მარქსიზმის თეორია და პრაქტიკა ადასტურებს, რომ პროლეტარიატის დიქტატურის განხორციელება შეუძლებელია კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობის გარეშე.

პროლეტარიატის დიქტატურამ ჩვენს ქვეყანაში მიიღო საბჭოების სახელმწიფოებრივი ფორმა. ეს აღმოჩენა ვ. ი. ლენინს ეკუთვნის.

კ. მარქსი მიუთითებდა, რომ იდეები ხდება მატერიალურ ძალად, როგორც კი მასებს დაეუფლება. ისტორიული გამოცდილება ამ დებულების ჭეშმარიტებაზე მეტყველებს. მარქსისა და ენგელსის იდეები ქმედითი ხასიათისაა, პრაქტიკის საქმეს ემსახურებიან. ჩვენს ეპოქაში, ეპოქაში, რომლის მთავარ შინაარსს შეადგენს კაპიტალიზმიდან სოციალიზმში გადასვლა, განსაკუთრებით თავი იჩინა მოწინავე რევოლუციური იდეების მნიშვნელობამ, ასეული მილიონობით ადამიანი დაეუფლა და გაჰყვა ამ მოწინავე იდეებს, რომლებიც მძლავრ მატერიალურ ძალად გადაიქცა საზოგადოებრივ განვითარებაში. შეიქმნა სოციალიზმის მსოფლიო სისტემა. სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობა უკვე დიდი ხანია არა მარტო თეორიული დებულებაა, არამედ პრაქტიკაში ხორციელდება. პირველი ქვეყანა, რომელიც გაჰყვა მარქსისა და ენგელსის მოწინავე რევოლუციურ იდეებს, ეს არის ჩვენი ქვეყანა, რომელიც მარქსიზმის ტრიუმფალური წარმატებების სამშობლო გახდა, სწორედ ჩვენში აშენდა პირველად სოციალიზმი, სწორედ ჩვენი ხალხი ახორციელებს პირველად კაცობრიობის სანუკვარ ოცნებას — კომუნიზმს.

მარქსიზმის სამივე შემადგენელი ნაწილის განვითარება მოცემულია ვ. ი. ლენინის, მისი თანამებრძოლებისა და მოწაფეების შრომებში, საბჭოთა კავშირის კომუნისტური და მოძმე მარქსისტულ-ლენინური პარტიების გადაწყვეტილებებში. განსაკუთრებით დიდი წვლილი შეიტანა მარქსიზმის საუნჯეში სკკპ XX, XXI, XXII ყრილობებმა და პარტიის ახალმა პროგრამამ, რომელსაც სამართლიანად უწოდებენ ჩვენი ეპოქის „კომუნისტური პარტიის მანიფესტს“. სკკპ პროგრამა წარმოადგენს მარქსის, ენგელსის, ლენინის, რევოლუციური თეორიის ახალ სიმაღლეზე აყვანის ნიმუშს და მოასწავებს მეცნიერული კომუნიზმის თეორიისა და პრაქტიკის განვითარებაში ახალ ეტაპს.

სკკპ პროგრამა შემუშავებულია მარქსიზმის თეორიის საფუძველზე. იგი ეყრდნობა მარქსიზმის ცნობილ პროგრამულ დოკუმენტებს, ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის მშენებლობის მდიდარ პრაქტიკას, საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის გამოცდილებას. პარტიის პროგრამა არის უდიდესი თეორიული სიღრმით დამუშავებული დოკუმენტი, რომელსაც თან ახლავს კონკრეტული გეგმა ჩვენი ქვეყნის განვითარებისა კომუნიზმის გზით. განსაზღვრულია მთავარი ამოცანები — კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა, სოციალისტური წარმოებითი ურთიერთობის გადაზრდა კომუნისტურ წარმოებით ურთიერთობაში, ახალი ადამიანის აღზრდა. მას პასუხი აქვს გაცემული კომუნიზმის მშენებლობის თეორიისა და პრაქტიკის ყველა საკითხზე.

პროგრამაში ჩაწერილია, რომ საბჭოთა სახელმწიფო ამჟამად თავისი განვითარების ახალ ეტაპზე იმყოფება, რომ პროლეტარიატის დიქტატურამ შეასრულა თავისი ისტორიული მისია. სსრ კავშირში გაიმარჯვა სოციალიზმმა და საზოგადოება გადავიდა კომუნიზმის გაშლილ მშენებლობაზე. შინაგანი განვითარების თვალსაზრისით იგი აღარ არის აუცილებელი. სახელმწიფო, რომელიც წარმოიშვა, როგორც პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფო, ახალ თანამედროვე ეტაპზე გადაიქცა საერთო-სახალხო სახელმწიფოდ, იგი გამოხატავს მთელი ხალ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხის ინტერესებსა და ნებას. ამავე დროს, კვლავ რჩება მუშათა კლასის ხელმძღვანელი როლი, როგორც საბჭოთა საზოგადოების ყველაზე მოწინავე და ორგანიზებული ძალისა. მუშათა კლასის დიქტატურა აუცილებელი აღარ არის ჯერ კიდევ მანამდე, სანამ სახელმწიფო მოკვდებოდეს.

სახელმწიფო, როგორც საერთო-სახალხო ორგანიზაცია, დარჩება კომუნიზმის სრულ გამარჯვებამდე. საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე იშლება ახალი პერსპექტივები. მან უნდა განახორციელოს კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა, სოციალისტური ურთიერთობის გარდაქმნა კომუნისტურ ურთიერთობად, განახორციელოს კონტროლი შრომის ზომისა და მოხმარების ზომისადმი, ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესება, დაიცვას საბჭოთა მოქალაქეების უფლებანი და თავისუფლებანი, სოციალისტური მართლწესრიგი და სოციალისტური საკუთრება, აღზარდოს ხალხის მასები, უზრუნველყოს ქვეყნის სამხედრო ძლიერება და სოციალისტური სამშობლოს დაცვა, განავითაროს თანამშრომლობა, მჭიდრო ურთიერთობა სოციალისტურ ქვეყნებთან, დაიცვას საყოველთაო მშვიდობა, ნორმალური ურთიერთობა ჰქონდეს ყველა ქვეყანასთან.

საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფო კვლავ განვითარდება სოციალისტური დემოკრატიის გზით, ამ „პროცესში მოხდება სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების თანდათანობით გადაქცევა საზოგადოებრივი თვითმმართველობის ორგანოებად, კიდევ უფრო განვითარდება დემოკრატიული ცენტრალიზმის ლენინური პრინციპი...“[1]

მარქსი და ენგელსი ხაზგასმით აღნიშნავდნენ, რომ პროლეტარიატს თავისი ისტორიულ-ისტორიული როლის შესრულება მხოლოდ მაშინ შეუძლია, თუ მას ეყოლება საკუთარი, სხვა კლასებისაგან დამოუკიდებელი პარტია. ასეთი პარტია, მათი აზრით არის კომუნისტური პარტია. ჩვენს ქვეყანაში ვ. ი. ლენინის მიერ შექმნილმა და გამოწრთობილმა კომუნისტურმა პარტიამ უზრუნველყო მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის ამოცანის გადაჭრა, პროლეტარიატის ძალაუფლების აღება, სოციალიზმის სრული და საბოლოო გამარჯვება. ამ გამარჯვებათა შედეგად მუშათა კლასის კომუნისტური პარტია გადაიქცა საბჭოთა ხალხის ავანგარდად, გახდა მთელი ხალხის პარტია. კომუნისტურ პარტიას ჩვენი ქვეყნის მშრომელები ახალი გამარჯვებებისაკენ მიჰყავს.

იმ გრანდიოზული ამოცანების შესაბამისად, რომელიც დასახულია კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის პერიოდში, იზრდება კომუნისტური პარტიის როლი, რომელიც საბჭოთა საზოგადოების ხელმძღვანელი და წარმმართველი ძალაა. მხოლოდ მასების გმირული შრომითა და კომუნისტური პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობით იქნება აგებული ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის ნათელი შენობა, რომლის პირველი ავტორი უკვდავი კარლ მარქსია.

---

[1] სკკპ პროგრამა, გვ. 112-113.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აფექტში ჩადენილი დანაშაულის კვალიფიკაციის ზოგიერთი საკითხი საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კანონმდებლობასა და სასამართლო პრაქტიკაში

თ. შავგულიძე

1. **საქართველოს** სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 106-ე და 113-ე მუხლები შემსუბუქებულ პასუხისმგებლობას აწესებენ განზრახი მკვლელობის ანდა განზრახ სხეულის მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანებისათვის, თუ ამგვარი დანაშაული ჩადენილია „უეცარი და ძლიერი სულიერი აღელვების დროს, რომელიც გამოწვეულია დამნაშავის ან მისი ახლობლების მიმართ დაზარალებულის მიერ უკანონო ძალადობით ან მძიმე შეურაცხყოფით“.

„უეცარ და ძლიერ სულიერ აღელვებაში“ ჩვეულებრივად გულისხმობენ ე. წ. ფიზიოლოგიური აფექტის მდგომარეობას. „აფექტები წარმოადგენენ ერთბაშად წამოჭრილს, სწრაფად წარმავალ და უკიდურესად ინტენსიურ ემოციას, რომელიც მის განცდის მომენტში ეუფლება პიროვნებას, წარმართავს მის ქცევას და ძლიერი გამომხატველი მოძრაობით ხასიათდება“[1].

ფიზიოლოგიური აფექტი გარკვეულ გავლენას ახდენს ადამიანის ფსიქიკაზე. „იგი ამუხრუჭებს შეგნებულ ინტელექტუალურ საქმიანობას, დინამიკური მომენტები ჭარბობენ მოქმედების აზრობრივ შინაარსსა და არჩევით ხასიათს“[2].

ასეთმა ფსიქიკურმა მდგომარეობამ შეიძლება უბიძგოს ადამიანს დანაშაულებრივი განზრახვისაკენ, თუმცა არ არის გამორიცხული სხვაგვარი გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობაც, რადგან ფიზიოლოგიური აფექტი ასუსტებს, მაგრამ არ სპობს თვითკონტროლისა და გარემოში სწორად გარკვევის უნარს[3].

„აფექტი ხანმოკლე გრძნობაა: იგი ერთბაშად ჩნდება და შედარებით მალე ქრება, მისთვის აფეთქებაა დამახასიათებელი“[4]. აქედან გამომდინარე, ფიზიოლოგიური აფექტის დროს დანაშაულებრივი განზრახვა წარმოიშვება უეცრად და დაუყოვნებლივ მოიყვანება სისრულეში. თუ განზრახვა უეცრად არ წარ-

---

[1] რ. ნათაძე, ზოგადი ფსიქოლოგია, თბილისი, 1956 წ. გვ. 135.

[2] С. Л. Рубинштейн, Основы общей психологии, М., 1940, стр. 395

[3] ფიზიოლოგიური აფექტი უნდა განვასხვავოთ პათოლოგიური აფექტისაგან, რომელიც წარმოადგენს არა პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ, არამედ მის გამომრიცხველ გარემოებას. „პათოლოგიური აფექტი არის ხანმოკლე ავადმყოფური ფსიქიკური მდგომარეობა. რომელიც უეცრად წარმოიშვება ტრავმის ზიმყენებელ განცდებთან დაკავშირებით. მისი წარმოქმნა დასაწყისშივე ხასიათდება განსაკუთრებით ძლიერი, დამახასიათებელი აფექტით, რომელსაც ცნობიერების აშლილობა მოჰყვება, რის შედეგად ირღვევა უნარი თავისი ქცევების წარმართვისა. ნებისმიერი შეფერხებანი გამოირიცხებიან და მოქმედება ავტომატურ ხასიათს ღებულობს (სასამართლო ფსიქიატრია, თბილისი, 1951, გვ. 309).

[4] დ. უზნაძე, ზოგადი ფსიქოლოგია, თბილისი, 1940, გვ. 120.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოშობილა, ანდა იგი თუმცა აფექტის მდგომარეობაში წარმოიშვა, მაგრამ მის განხორციელებამდე ან განხორციელების ცდამდე გარკვეული დრო გავიდა, მაშინ ჩვენ საქმე გვექნება ჩვეულებრივ და არა აფექტის მდგომარეობაში ჩადენილ დანაშაულთან.

აღნიშნული თვალსაზრისით საინტერესოა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1960 წლის 13 თებერვლის № 307 განჩინება.

ი-ს და მის ქმარს ფ-ს ხშირად ჰქონდათ უსიამოვნება. ფ. ლოთობდა და სისტემატურად სცემდა ცოლს. ფ-ს პატიმრობაც კი ჰქონდა მოხდილი ი-ს მძიმედ დაშავების გამო. შემთხვევის ღამეს, 1959 წ. 24 დეკემბერს, ცოლ-ქმარს კვლავ მოუვიდათ ჩხუბი. ფ-მ გამოძალა ი-ს ფული, დალია არაყი და კვლავ სცემა მას.

ქმრის ლოთობამ და სისტემატურმა ძალადობამ ი. მისი მოკვლის განზრახვამდე მიიყვანა. 1959 წ. 24 დეკემბერს ღამით ჩხუბის შემდეგ ი-მ მძინარე ქმარს ქვა ჩაარტყა თავში, თვით კი გამოცხადდა მილიციის განყოფილებაში და აღიარა დანაშაული (ფ-მ ქვის დარტყმის შედეგად მიიღო სხეულის მძიმე დაზიანება).

ქ. თბილისის 26 კომისრის სახელობის რაიონის სახალხო სასამართლომ ი-ს მოქმედება დააკვალიფიცირა საქართველოს სსრ 1928 წ. სისხლის სამართლის კოდექსის 19-144-ე მუხლებით.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ არასწორად ცნო საქმის ამგვარი გადაწყვეტა და ი-ს მოქმედება გადააკვალიფიცირა საქართველოს სსრ 1928 წ. სისხლის სამართლის კოდექსის 19-146-ე მუხლებზე (მკვლელობის მცდელობა, ჩადენილი უეცარი და ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში), რაც ჩვენი აზრით არ უნდა იყოს სწორი.

ი-ს დანაშაული არ ჩაუდენია ფიზიოლოგიური აფექტის მდგომარეობაში. მართალია, ი-ს ქმრის მოკვლის განზრახვა აღუძრა ამ უკანასკნელის უმსგავსო მოქმედებამ, მაგრამ ასეთი მოქმედებიდან დანაშაულის ჩადენამდე გავიდა გარკვეული დრო, რაც ბუნებრივად გამორიცხავს ფიზიოლოგიური აფექტის მდგომარეობაში ყოფნის შესაძლებლობას.

II. იმისათვის, რათა აფექტში ჩადენილი განზრახი მკვლელობა ანდა განზრახ მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანება კვალიფიცირებულ იქნას საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 106-ე ან 113-ე მუხლებით, კანონის თანახმად აუცილებელია, რომ აფექტის მდგომარეობა გამოწვეული იყოს „დამნაშავის ან მისი ახლობლების მიმართ დაზარალებულის მიერ უკანონო ძალადობით ან მძიმე შეურაცხყოფით“.

უკანონო ძალადობა არის კანონსაწინააღმდეგო აქტიური მოქმედება, მიმართული პიროვნების წინააღმდეგობის ან მისი თავისუფლების დათრგუნვისაკენ; ძალადობა შეიძლება გამოიხატოს როგორც ფიზიკური, ისე ფსიქიკური იძულების ფორმაში და ყოველთვის გულისხმობს აქტიურ მოქმედებას.

აქედან გამომდინარე, არ შეიძლება ძალადობად ჩაითვალოს დანაშაულებრივი უმოქმედობა, ან ისეთი აქტიური მოქმედება, როდესაც დანაშაული ჩადენილია დაზარალებულის თანხმობით ანდა მისგან ფარულად (მაგალითად, თაღლითობა, ქურდობა და სხვ.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეურაცხყოფა არის „პიროვნების პატივისა და ღირსების განზრახ დამცირება, გამოხატული უწესო ფორმით“ (საქართველოს სსრ სს კოდექსის 138-ე მუხლის I ნაწილი). კანონმდებელი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, აფექტში ჩადენილი მკვლელობის ან სხეულის დაზიანების საქართველოს სსრ სს კოდექსის 106-ე და 113-ე მუხლებით დაკვალიფიცირებისათვის მოითხოვს, რომ აფექტი გამოწვეული იყოს დაზარალებულის მხრივ დამნაშავის ან მისი ახლობლების არა ჩვეულებრივი შეურაცხყოფით, არამედ — მძიმე შეურაცხყოფით.

თუ როგორი შეურაცხყოფა შეიძლება ჩაითვალოს მძიმედ, ეს უკვე ფაქტის საკითხია და იგი სასამართლომ უნდა დაადგინოს შეურაცხყოფილ პიროვნების ფსიქიკური და ფიზიკური მდგომარეობის და გარემო ვითარების დეტალური შესწავლის შედეგად.

ამგვარად, აფექტში ჩადენილი მკვლელობის ან სხეულის დაზიანების კვალიფიკაციის საკითხში საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსი გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებს დაზარალებულის კანონსაწინააღმდეგო მოქმედების გამოვლინების ფორმებს.

თუ აფექტში ჩადენილი მკვლელობა ან სხეულის დაზიანება გამოწვეული იყო დაზარალებულის ისეთი კანონსაწინააღმდეგო მოქმედებით, რომელიც არ შეიცავდა ძალადობის ან მძიმე შეურაცხყოფის ნიშნებს, მაშინ აფექტში ჩადენილი ასეთი დანაშაული უნდა დაკვალიფიცირდეს, როგორც ჩვეულებრივი განზრახი მკვლელობა ან სხეულის დაზიანება. ის გარემოება, რომ დანაშაული აფექტში იყო ჩადენილი და აფექტი გამოწვეული იყო დაზარალებულის არამართლზომიერი მოქმედებით, მხედველობაში მიიღება სასჯელის დანიშვნის დროს, როგორც პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოება (იხ. საქართველოს სსრ სს კოდექსის 38-ე მუხლის მე-5 პუნქტი)[1].

აღსანიშნავია, რომ საქართველოს სსრ 1928 წ. და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების 1926—1928 წლების სისხლის სამართლის კოდექსების იმ მუხლებში, რომლებიც შემცირებულ პასუხისმგებლობას აწესებდნენ აფექტში ჩადენილი მკვლელობის ან სხეულის დაზიანებისათვის[2], ისევე როგორც საქართველოს სსრ ახალ სისხლის სამართლის კოდექსში წამოყენებული იყო პირობა, რომ აფექტში ჩადენილი მკვლელობა გამოწვეული უნდა ყოფილიყო დაზარალებულის უკანონო ძალადობით ამ მძიმე შეურაცხყოფით.

მიუხედავად ასეთი შემადგენლობების არსებობისა, საბჭოთა სასამართლო პრაქტიკა სხვა გზით წავიდა. სასამართლოები ერთნაირად აკვალიფიცირებდნენ აფექტში ჩადენილ მკვლელობას ან სხეულის დაზიანებას იმის მიუხედავად, თუ დაზარალებულის როგორმა მოქმედებამ გამოიწვია დამნაშავის აღელვება: ძალადობამ, შეურაცხყოფამ, თუ სხვა კანონსაწინააღმდეგო მოქმედებამ.

მაგალითისათვის მოვიტანთ საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საქ-

---

[1] საქართველოს სსრ სსკ 38-ე მუხ. მე-5 პუნქტი პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებად თვლის დანაშაულის ჩადენას „ძლიერი სულიერი აღელვების გავლენით, რაც გამოწვეულია დაზარალებულის არამართლზომიერი მოქმედებით“.

[2] საქართველოს სსრ 1928 წ. სსკ 146-ე და 153-ე, რსფსრ 1926 წ. სსკ 138-ე და 144-ე და აგრეთვე სხვა მოკავშირე რესპუბლიკების 1926-1928 წლების სსკ-ბის შესაბამისი მუხლები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეთა სასამართლო კოლეგიის 1958 წ. 5 აპრილის № 1389 დადგენილებას ტ. და ხ. გ-ბის საქმეზე.

1957 წ. 9 ნოემბერს მთვრალი ლ. შევიდა მისი მეზობლის ტ. გ-ს ოთახში და მოინდომა ტ. გ-ის 7 წლის გოგონასთან გარყვნილი გზით სქესობრივი ჟინის დაკმაყოფილება. ამ დროს ოთახში შემოვიდნენ გოგონას მშობლები ტ. და ხ. გ-ბი, რომლებიც ძლიერ ააღელვა ლ-ს ამორალურმა საქციელმა. მათ სცემეს ლ-ს. ცემის შედეგად ლ-მ მიიღო სხეულის მძიმე დაზიანება.

ქ. თბილისის კალინინის სახელობის რაიონის სახალხო სასამართლომ ხ. და ტ. გ-ბის მოქმედება დააკვალიფიცირა საქართველოს სსრ 1928 წლის სისხლის სამართლის კოდექსის 153-ე მუხლით, როგორც სხეულის მძიმე დაზიანება ჩადენილი უეცარი და ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ აღნიშნული კვალიფიკაცია სწორად ცნო.

როგორც ვხედავთ, ლ-ს მოქმედებაში არ ყოფილა არც ძალადობა (გოგონას არ ჰქონდა შეგნებული ლ-ს მოქმედების ხასიათი და ამიტომ იგი მას არავითარ წინააღმდეგობას არ უწევდა), და არც შეურაცხყოფა, მაგრამ მიუხედავად ამისა სასამართლომ ტ. და ხ. გ-ების მოქმედება დააკვალიფიცირა საქართველოს სსრ 1928 წლის სისხლის სამართლის კოდექსის 153-ე მუხლით.

ჩვენი აზრით, საქმის ამგვარი გადაწყვეტა სავსებით სწორია. იგი გამომდინარეობს აფექტში ჩადენილი დანაშაულის ბუნებიდან და შეესაბამება თვით კანონმდებლის თვალსაზრისს აფექტში ჩადენილი დანაშაულის შემსუბუქების საერთო საფუძვლის შესახებ. ეჭვს გარეშეა, რომ ტ. და ხ. გ-ების მოქმედების შემცირებულ დასჯადობას იგივე საფუძველი უნდა ჰქონდეს, რაც აფექტში ჩადენილი ისეთი სხეულის დაზიანების დასჯადობას, რომელიც გამოწვეული იყო დაზარალებულის ძალადობით ან შეურაცხყოფით. ის გარემოება, რომ ლ-ს არამართლზომიერი მოქმედება არ იყო გამოხატული ძალადობით ან შეურაცხყოფით, სრულიადაც არ ნიშნავს ამ ქმედობის ნაკლებ საზოგადოებრივ საშიშროებას და არც იმას, რომ ამგვარმა ქმედობამ ნაკლებად შეიძლება ააღელვოს ადამიანი, ვიდრე, ვთქვათ, შეურაცხყოფამ.

აფექტის მდგომარეობაში ჩადენილი მკვლელობისა და სხეულის დაზიანების კვალიფიკაციის საკითხში გარკვეული სიახლე შეიტანა რსფსრ-ს ახალმა სისხლის სამართლის კოდექსმა, რომელმაც გაიზიარა ამ საკითხთან დაკავშირებით სასამართლო პრაქტიკის მიერ შემუშავებული დებულებები.

რსფსრ-ს ახალი სისხლის სამართლის კოდექსის 104-ე და 110-ე მუხლებით შესაბამისად კვალიფიცირდება მკვლელობა და სხეულის მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანება, ჩადენილი „უეცრად წარმოშობილი ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში, რომელიც გამოიწვია დაზარალებულის ძალადობამ ანდა მძიმე შეურაცხყოფამ, და ასევე მისმა სხვა კანონსაწინააღმდეგო მოქმედებამ[1], თუ კი ამ მოქმედებას მოჰყვა ან შეიძლებოდა მოჰყოლოდა დამნაშავის ან მისი ახლობლებისათვის მძიმე შედეგი“.

საკითხის ამგვარი გადაწყვეტა წინ გადადგმული ნაბიჯია საბჭოთა სისხლის სამართლის კანონმდებლობაში. მაგრამ მაინც შესაძლებელია, რომ რსფსრ-ს სისხლის სამართლის კოდექსის 104-ე და 110-ე მუხლებმა ყოველთ-

[1] ხაზგასმა ჩემია, თ. შ.

ვის ვერ მოგვცეს შესაძლებლობა აფექტში ჩადენილი ზოგიერთი დანაშაულის სწორი კვალიფიკაციისა. პრაქტიკაში შეიძლება შეგვხვდეს ისეთი შემთხვევა, როდესაც აფექტში ჩადენილი მკვლელობა, ან სხეულის დაზიანება გამოწვეულია დაზარალებულის საზოგადოებრივად საშიში, მაგრამ არაკანონსაწინააღმდეგო მოქმედებით და, მიუხედავად ამისა, საქმის ვითარება არ იძლევა საფუძველს დავსაჯოთ ასეთი მკვლელობა უფრო მძიმედ, ვიდრე ასეთივე მოქმედება, გამოწვეული დაზარალებულის უკანონო ქმედობით.

მაგალითისათვის მოვიტანოთ ასეთი შემთხვევა: ა. განიცდიდა დიდ მწუხარებას. ბ. იმის ნაცვლად, რომ შეემსუბუქებინა მეგობრისათვის მწუხარება, აქეზებდა მას თვითმკვლელობისაკენ. შესაფერ მომენტში ბ. იარაღს აწვდის ა-ს და კვლავ აძლევს წინადადებას მოიკლას თავი. ა. თავს იკლავს. ა-ს მამა, აღელვებული ამ უბედურებით და ბ-ს ამორალური საქციელით, ფიზიოლოგიური აფექტის მდგომარეობაში ჰკლავს ბ-ს.

როგორც ვხედავთ, ბ-ს ქცევა არ გამოხატულა არც ძალადობაში, არც შეურაცხყოფაში და არც სხვა რაიმე კანონსაწინააღმდეგო მოქმედების ფორმაში. მაგრამ ეჭვს გარეშეა, რომ ბ-ს ქცევის გარეგანი გამოვლინების ფორმას ამ შემთხვევაში არა არსებითი მნიშვნელობა აქვს. ბ-ს მოქმედება დიდ საზოგადოებრივ საშიშროებას შეიცავს. ამ მოქმედებას მოჰყვა სიკვდილი დამნაშავის უახლოესი ადამიანისა და მან გამოიწვია დამნაშავის ძლიერი სულიერი აღელვება. ყოველივე ეს საფუძველს იძლევა ა-ს მამის მოქმედება განვიხილოთ, როგორც მკვლელობა უეცარი და ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში.

რსფსრ-ს სისხლის სამართლის კოდექსის 104-ე მუხლი კი ამის შესაძლებლობას არ იძლევა.

ასეთი შესაძლებელი უხერხულობის თავიდან აცილების მიზნით, ვფიქრობთ უმჯობესი იქნებოდა, რომ რსფსრ-ს სისხლის სამართლის კოდექსის 104-ე მუხლი[1], დაზარალებულის მოქმედების კანონსაწინააღმდეგობის პირობის ნაცვლად, შეიცავდეს მოქმედების საზოგადოებრივი საშიშროების პირობას. მაშინ აღნიშნული მუხლით დაკვალიფიცირდება აფექტში ჩადენილი ყველა მკვლელობა, გამოწვეული დაზარალებულის ისეთი საზოგადოებრივად საშიში მოქმედებით, რასაც მოჰყვა ან შეიძლებოდა მოჰყოლოდა მძიმე შედეგი დამნაშავის ან მისი ახლობლებისათვის.

III. აფექტში ჩადენილი მკვლელობის, ანდა სხეულის მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანების საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 106-ე ან 113-ე მუხლებით დაკვალიფიცირებისათვის კანონმდებელი აყენებს პირობას, რომ ძალადობა ან შეურაცხყოფა მიმართული იყოს დამნაშავის ან მისი ახლობლების წინააღმდეგ.

„ახლობლებად“ უნდა ჩაითვალოს უპირველეს ყოვლისა ახლობელი ნათესავები. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 25-ე მუხლის მე-13 პუნქტის თანახმად „მახლობელი ნათესავები“ ნიშნავენ მშობლებს,

[1] ასევე რსფსრ-ს სისხლის სამართლის კოდექსის 110 მუხლი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შვილად ამყვანთ, შვილებს, შვილად აყვანილებს, ძმებსა და დებს, პაპას, ბებიას, შვილიშვილებს, აგრეთვე ქმარს და ცოლს".

გარდა „ახლო ნათესავებისა" ახლობლებში უთუოდ უნდა ვიგულისხმოთ საცოლე და საქმრო, მეგობრები, არა ახლობელი ნათესავები და სხვა. საერთოდ იმის დადგენა, არის თუ არა პირი დამნაშავის ახლობელი, ფაქტის საკითხია და იგი სასამართლომ უნდა გადაჭრას ადამიანთა კონკრეტული ურთიერთობის გულდასმითი შესწავლის შედეგად.

თუ სასამართლო დაადგენს, რომ აფექტში ჩადენილი მკვლელობა, ანდა სხეულის მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანება გამოიწვია დაზარალებულის ისეთმა ძალადობამ ან ისეთმა მძიმე შეურაცხყოფამ მისი მხრით, რომელიც მიმართული იყო არა დამნაშავის ან მისი ახლობლების, არამედ გარეშე პირის წინააღმდეგ, მაშინ დანაშაული არ შეიძლება დაკვალიფიცირდეს საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 106-ე ან 113-ე მუხლებით.

ასეთი მოქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს ჩვეულებრივად, როგორც განზრახი მკვლელობა, ანდა განზრახ სხეულის მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანება. ის ფაქტი, რომ დანაშაული ჩადენილი იყო აფექტში, რომელიც გამოიწვია თვით დაზარალებულის არამართლზომიერმა მოქმედებამ, თანახმად საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 38-ე მუხლის მე-5 პუნქტისა, მხედველობაში მიიღება სასჯელის დანიშვნის დროს, როგორც პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოება.

IV. როგორც ზემოთ დავინახეთ, საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 106-ე და 113-ე მუხლებით კვალიფიცირდება აფექტში ჩადენილი დანაშაულის მხოლოდ ერთი ნაწილი, აფექტში ჩადენილი მკვლელობის და სხეულის დაზიანების ის შემთხვევები, რომლებიც არ აკმაყოფილებენ საქართველოს სსრ სს კოდექსის 106-ე და 113-ე მუხლებში წამოყენებულ ყველა პირობას და აგრეთვე აფექტში ჩადენილი ყველა სხვა სახის დანაშაული კვალიფიცირდება ჩვეულებრივად შესაბამისი მუხლებით; ხოლო ის გარემოება, რომ დანაშაული ჩადენილი იყო აფექტის მდგომარეობაში, განიხილება, როგორც პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოება,

ეს ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს აფექტის მდგომარეობაში დანაშაულის ჩადენის ფაქტი ყოველთვის ამსუბუქებდეს სასჯელს.

კანონმდებელი სასჯელის შემამსუბუქებელ გარემოებად თვლის აფექტში ჩადენილ მხოლოდ ისეთ დანაშაულს, რომელიც გამოწვეულია დაზარალებულის არამართლზომიერი მოქმედებით (საქართველოს სსრ სს კოდექსის 38-ე მუხლის მე-5 პუნქტი).

აქედან გამომდინარე, სასამართლომ მხოლოდ მაშინ უნდა დასვას საკითხი ფიზიოლოგიური აფექტის მდგომარეობაში დანაშაულის ჩადენის შესახებ, როდესაც საქმე ეხება დაზარალებულის არამართლზომიერ მოქმედებას. თუ დაზარალებულის მოქმედება არამართლზომიერი არ არის, მაშინ სასჯელი არ შემსუბუქდება, თუნდაც ასეთმა მოქმედებამ დამნაშავის ძლიერი სულიერი აღელვება გამოიწვიოს.

ამის ილუსტრაციას წარმოადგენს საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1960 წლის 25 ნოემბრის № 6716 განჩინება ბ-ს საქმეზე.

1960 წლის 16 თებერვალს ღამით, მთვრალი ი. ბ. ქუთაისის რკინიგზის სადგურში შეხვდა თავის ქვისლს ა. მ-ს, რომელსაც თან ახლდა მისი ნაცნობი ქალი გ. მ. სამივე შევიდნენ რესტორანში და დალიეს ორი ბოთლი ღვინო. ამის შემდეგ ი. ბ-მ გადაწყვიტა მიეცილებინა გ. მ. ა.-მ-ს სახლამდე. სოფ. ჭოლევისაკენ მიმავალ გზაზე ი. ბ. მისი ქვისლის თხოვნით წინ წავიდა, ხოლო თვითონ ქვისლი თავის ნაცნობ ქალთან გ. მ-სთან ერთად ჩამორჩა. ი. ბ-მ რამდენჯერმე დაუძახა მათ, მაგრამ პასუხი ვერ მიიღო. მაშინ იგი უკან დაბრუნდა და წააწყდა მათ ინტიმურ ურთიერთობის მომენტს. ი. ბ-მ ამოიღო დანა და რამდენჯერმე ჩაარტყა ქალს, რომელმაც ამის შედეგად სხეულის მძიმე დაზიანება მიიღო.

ტყიბულის რაიონის სახალხო სასამართლომ ი. ბ-ს მოქმედება დააკვალიფიცირა საქართველოს სსრ 1928 წ. სისხლის სამართლის კოდექსის 153-ე მუხლით.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ გააუქმა აღნიშნული განაჩენი. კოლეგიის განჩინებაში მითითებულია: „სასამართლოს მოსაზრება, თითქოს ი. ბ. სულიერად აღელდა ამ სურათის ნახვით და ამიტომ დასჭრა გ. მ., უსწოროა და არ შეიძლება გაზიარებულ იქნეს, რადგან ზემოთ აღწერილ სურათს არ შეეძლო გამოეწვია ი. ბ-ს ისეთი უეცარი და ძლიერი სულიერი აღელვება, რომ დაეჭრა გ. მ. ი. ბ-ს სწორად ჰქონდა წარდგენილი 151-ე მუხლის 1 ნაწილი და მისი ქმედობის 153-ე მუხლით დაკვალიფიცირების საფუძველი სასამართლოს არ გააჩნდა“.

განჩინება პრინციპში სწორია. მაგრამ, ჩვენი აზრით, განაჩენის უსწორობის დასასაბუთებლად სრულიადაც არ იყო საჭირო იმის მტკიცება, შეეძლო თუ არა გ. მ-ს მოქმედებას გამოეწვია ი. ბ-ს უეცარი და ძლიერი სულიერი აღელვება. აქ ამ საკითხის დასმაც კი არ იყო საჭირო. გ. მ-ს მოქმედება არამართლზომიერი არ ყოფილა, ამიტომ კიდეც რომ გამოეწვია მას ი. ბ-ს ძლიერი სულიერი აღელვება, სასამართლოს არ ექნებოდა საფუძველი ი. ბ-სათვის სასჯელი შეემსუბუქებინა.

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 38-ე მუხლის მე-5 პუნქტში მითითებულია დაზარალებულის არამართლზომიერ მოქმედებაზე, მაგრამ კანონში არ არის პირდაპირი მითითება იმაზე, თუ რა იგულისხმება არამართლზომიერ მოქმედებად, ე. ი. საკმარისია თუ არა დაზარალებულის მოქმედების ობიექტური არამართლზომიერება, თუ აუცილებელია, რომ იგი სუბიექტურადაც მართლწინააღმდეგი იყოს.

ამ საკითხის გაშუქებას მცირე მნიშვნელობა როდი აქვს სასამართლო პრაქტიკისათვის. თუ დავუშვებთ, რომ კანონმდებელი გულისხმობს დაზარალებულის მოქმედების სუბიექტურ მართლწინააღმდეგობას, მაშინ პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებად ვერ ჩავთვლით ზიანის მიყენებას ისეთ პირობებში, როდესაც აღელვება გამოწვეული იყო დაზარალებულის ობიექტურად არამართლზომიერი, მაგრამ ამავე დროს არაბრალეული მოქმედებით. ასეთ შემთხვევას შეიძლება ადგილი ჰქონდეს, მაგალითად, მაშინ, როდესაც აღელვება გამოწვეული იყო შეურაცხადი პირის ძალადობით, ან როცა მოძალადე იმყოფებოდა მოჩვენებითი მოგერიების, ანდა სხვაგვარი ფაქტიური შეცდომის მდგომარეობაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი ფიქრით, ამგვარი დასკვნა არ შეესაბამება კანონის აზრს. თუ დაზარალებულის მოქმედება ობიექტურად მართლსაწინააღმდეგო იყო, თუ ამავე დროს მან შელახა დამნაშავის კანონიერი უფლებები და ამით ამ უკანასკნელში ფიზიოლოგიური აფექტის მდგომარეობა გამოიწვია, მაშინ, ჩვენის აზრით, არსებობს ის საფუძველი, რის გამოც კანონმდებელი აფექტში ჩადენილ დანაშაულს პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებად თვლის. სწორი არ იქნებოდა იმის დაშვება, თითქოს კანონმდებელი მოითხოვდეს დამნაშავის პასუხისმგებლობის დამძიმებას მხოლოდ იმ საბაბით, რომ აფექტში მყოფი ადამიანი ვერ გაერკვა მისი ინტერესების დამრღვევის ფსიქიკურ მდგომარეობაში.

ამგვარად, ჩვენი აზრით, კანონმდებელი დაზარალებულის მოქმედების არამართლზომიერების პირობაში გულისხმობს მოქმედების ობიექტურ არამართლზომიერებას და არა სუბიექტურ მართლწინააღმდეგობას.

V. უეცარი და ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში ჩადენილი დანაშაული თავისი გარეგნული ნიშნებით წააგავს ხელმყოფისათვის ზიანის მიყენებას აუცილებელი მოგერიების უფლების განხორციელების დროს. ორივე შემთხვევაში საქმე გვაქვს არამართლზომიერ ხელყოფასთან და ხელმყოფისათვის ზიანის მიყენებასთან. აუცილებელი მოგერიების დროსაც ხელმყოფისათვის ზიანის მიყენება მეტწილად ხდება ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში.

ეს გარეგნული მსგავსება ერთგვარად აძნელებს ამ ორი მოვლენის გამიჯვნას. სასამართლო პრაქტიკაში ხშირად ვხვდებით შემთხვევებს, როდესაც აუცილებელი მოგერიების უფლების განხორციელების დროს თავდამსხმელისათვის ზიანის მიყენებას აკვალიფიცირებენ, როგორც დანაშაულს, ჩადენილს ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში.

მაგალითისათვის მოვიტანოთ საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1957 წლის 17 ივნისის № 332 განჩინება ი-ს საქმეზე.

სამამულო ომის პირველი ჯგუფის ინვალიდი ი., რომელსაც ამპუტირებული აქვს ორივე ფეხი, 8 თვის განმავლობაში მკურნალობდა ჰოსპიტალში. ი-ს არ ყოფნის დროს მის ბინაში შესახლდა მოქალაქე ტ., რომელმაც დაიწყო ცხოვრება ი-ს ცოლთან. დაბრუნების შემდეგ ი-მ თავისი სახლიდან გააძევა ტ. მიუხედავად ამისა, ტ. მოსვენებას არ აძლევდა ი-ს ცოლს, ემუქრებოდა მას და მოითხოვდა, რომ გაეგრძელებინა მასთან კავშირი. ი-მ არაერთგზის მიმართა პროკურატურას და მილიციას თხოვნით, დაეცვათ მისი ოჯახი ტ-ს თვითნებობისაგან. მილიციაში ხელწერილი ჩამოართვეს ტ-ს, რომელმაც პირობა დადო, რომ მოეშვებოდა ი-ს ცოლს. მიუხედავად ასეთი პირობისა, ტ. რამდენჯერმე მიუხტა ი-ს. ტ. სარგებლობდა ი-ს ინვალიდობით და თითქმის მის თვალწინ აღწევდა კავშირს მის ცოლთან.

1956 წ. 27 ივლისს ღამით, მთვრალი ტ. კვლავ მიადგა ი-ს სახლს და მოითხოვა გაეღოთ მისთვის კარი. ი-მ გააფრთხილა, რომ ესროდა, თუ ტ. იხმარდა ძალას. (ი-მ რამდენიმე დღით ადრე შეიძინა სანადირო თოფი). ტ-მ არაფრად ჩაუგდო ი-ს გაფრთხილება, შეამტვრია კარის ზედა ნაწილი და შეეცადა გადასულიყო აივანზე. ი-ს ცოლი გადაეღობა ტ-ს და დაუწყო თხოვნა შეეწყვიტა ძალადობა. ტ-მ ამის პასუხად წაავლო მას კისერში ხელი და დაუწყო დახრჩობა. დაინახა რა თავისი ცოლი ასეთ მდგომარეობაში, ი-მ გაის-

ეროვნული ბიბლიოთეკა

როლა ჰაერში. ტ-მ ხელი უშვა ქალს და დაიძახა „ეხლა მე დავიწყებ სრულად. შენ არ გცოდნია სროლაო“. ამ სიტყვებით ტ-მ დაიწყო გატეხილი კარიდან აივანზე გადაძრომა. იმ მომენტში როდესაც ტ. მთელი კორპუსით გაძვრა კარებში, ხოლო ფეხებით ჯერ კიდევ კიბეზე იდგა, ი-მ ესროლა და მოჰკლა იგი.

გაგრის რაიონის სახალხო სასამართლომ ი-ს მოქმედება დააკვალიფიცირა საქართველოს სსრ 1928 წლის სისხლის სამართლის კოდექსის 144-ე მუხლის „ა“ პუნქტით, როგორც განზრახ მკვლელობა, ჩადენილი ეჭვიანობის ნიადაგზე.

აფხაზეთის ასსრ უმაღლესმა სასამართლომ აღნიშნული მოქმედება გადააკვალიფიცირა იმავე კოდექსის 146-ე მუხლზე, როგორც მკვლელობა, ჩადენილი ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ არ გაიზიარა რესპუბლიკის პროკურორის მოადგილის პროტესტი, რომელიც ი-ს მოქმედებას თვლიდა აუცილებელი მოგერიების უფლების განხორციელების აქტად და განჩინება ძალაში დატოვა.

ჩვენი აზრით, პროტესტის მოთხოვნა სამართლიანი იყო. ი. თავს იცავდა თავდასხმისაგან. მას ამოძრავებდა თავდასხმის ძოგერიების მიზანი და მისი მოქმედება მიმართული იყო ამ მიზნის მისაღწევად. აქედან გამომდინარე, ი. იმყოფებოდა აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში და სასამართლოს არ ჰქონდა უფლება მისი მოქმედება დაეკვალიფიცირებინა, როგორც აფექტში ჩადენილი განზრახი მკვლელობა.

აფექტში ჩადენილი დანაშაულისათვის, როგორც წესი, არ არის დამახასიათებელი თავდაცვის მიზანი. აქ არამართლზომიერი ხელყოფა უკვე დამთავრებულია და სუბიექტმა ეს იცის, მაგრამ დაზარალებულის მხრივ უკანონო ხელყოფის გამო ის ძლიერ სულიერ აღელვებას განიცდის და განზრახ აყენებს ზიანს ხელმყოფს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არაშრომითი შემოსავლით შეძენილი ქონების ჩამორთმევის წესის საკითხისათვის

ს. ჯაფარიძე,
იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი

სოციალისტური საზოგადოების მოქალაქეებს პირად საკუთრებაში შეიძლება ჰქონდეთ მხოლოდ ისეთი ქონება, რომელიც აუცილებელია მათი მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის. სკკპ XXII ყრილობაზე ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვი აღნიშნავდა, რომ „მშრომელის პირადი საკუთრება ბევრ საგანზე, როგორც პირადი მოხმარების ფორმა, არ ეწინააღმდეგება კომუნისტურ მშენებლობას, სანამ იგი ინარჩუნებს გონივრულ ზომას და არ იქცევა თვითმიზნად. მაგრამ გარკვეულ პირობებში გაბერილი პირადი საკუთრება შეიძლება გადაიქცეს და ხშირად იქცევა საზოგადოებრივი პროგრესის მუხრუჭად, კერძო მესაკუთრული ზნე-ჩვეულებების ბუდედ; მას შეიძლება მოჰყვეს წვრილბურჟუაზიული გადაგვარება. ისეც ხდება, რომ ნივთები იმონებენ ზოგიერთ ადამიანს და იგი ხდება ნივთების მონად“.

მოქალაქეთა პირადი საკუთრების უფლება მათ შრომით შემოსავალსა და დანაზოგზე, საცხოვრებელ სახლსა და დამხმარე საოჯახო მეურნეობაზე, პირადი მოხმარების საგნებზე ყოველმხრივ დაცულია საბჭოთა კანონით. საბჭოთა კანონი არ იცავს არაშრომითი შემოსავლით შეძენილ პირადი საკუთრების უფლებას.

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლების 31-ე მუხლის თანახმად სახელმწიფოს მიერ ქონების უსასყიდლოდ ჩამორთმევა სამართალდარღვევისათვის სანქციის სახით დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში და იმ წესით, რომელსაც ადგენს სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობა. ამ მუხლის შესაბამისად მოკავშირე რესპუბლიკებს შეუძლიათ სამართალდარღვევისათვის სანქციის სახით დააწესონ ქონების უსასყიდლოდ ჩამორთმევა როგორც სისხლის სამართლის, ისე სამოქალაქო სამართლის კანონმდებლობით.

საბჭოთა მოქალაქეთა დიდი უმრავლესობა პატიოსნად შრომობს საწარმოებსა და მშენებლობებზე, საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში. მაგრამ ჩვენში ჯერ კიდევ არიან ისეთი პირები, რომლებიც არაშრომითი შემოსავლით, აგრეთვე სახელმწიფო საწარმოების, დაწესებულებების, კოლმეურნეობების, კოოპერაციული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების სახსრების უკანონოდ გამოყენების ხარჯზე აშენებენ ან იძენენ საცხოვრებელ სახლს, აგარაკს და სხვა ნაგებობებს. ამგვარ ანტისაზოგადოებრივი მოქმედების აღკვეთას ემსახურება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1962 წლის 15 აგვისტოს ბრძანებულება „მოქალაქეთა მიერ არაშრომითი შემოსავლით აშენებული ან შეძენილი სახლების, აგარაკების და სხვა ნაგებობათა უსასყიდლოდ ჩამორთმევის შესახებ“. ბრძანებულება აწესებს, რომ მოქალაქეთა მიერ არაშრომითი შემოსავლით, აგრეთვე სახელმწიფო საწარმოების, დაწესებულებების, კოლმეურნეობების და სხვა კოოპერაციული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების სახს-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რების უკანონოდ გამოყენების ხარჯზე აშენებული ან შეძენილი სახლები, აგარაკები და სხვა ნაგებობანი უნდა ჩამოერთვას მათ მეპატრონეებს უსასყიდლოდ და გადაეცეს მშრომელთა დეპუტატების რაიონულ, საქალაქო საბჭოს, კოლმეურნეობას ან სხვა კოოპერაციულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციას.

მასალებს, არაშრომითი შემოსავლით აშენებული ან შეძენილი საცხოვრებელი სახლის, აგარაკისა და სხვა ნაგებობის უსასყიდლოდ ჩამორთმევის შესახებ განიხილავს რაიონული (საქალაქო) სასამართლო მშრომელთა დეპუტატების რაიონული ან საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის მოთხოვნის საფუძველზე. თუ სასამართლო გამოარკვევს, რომ საცხოვრებელი სახლი, აგარაკი ან სხვა ნაგებობა აშენებულია ან შეძენილია არაშრომითი შემოსავლით, აგრეთვე სახელმწიფო საწარმოების, დაწესებულებების, კოლმეურნეობებისა და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების სახსრების უკანონოდ გამოყენების ხარჯზე, გამოიტანს დადგენილებას აღნიშნულ ნაგებობათა უსასყიდლოდ ჩამორთმევისა და მათი მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოსათვის, კოლმეურნეობის ან სხვა კოოპერაციული და საზოგადოებრივი ორგანიზაციისათვის გადაცემის შესახებ. ისეთ შემთხვევაში, როდესაც სასამართლო გამოარკვევს, რომ საცხოვრებელი სახლის, აგარაკის ან სხვა ნაგებობის მხოლოდ გარკვეული ნაწილი არის აშენებული ან შეძენილი არაშრომითი შემოსავლით ან სახელმწიფო საწარმოების, დაწესებულებების, კოლმეურნეობებისა და სხვა კოოპერაციული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების სახსრების უკანონოდ გამოყენების ხარჯზე, მესაკუთრეს უსასყიდლოდ უნდა ჩამოერთვას აღნიშნულ ნაგებობათა მხოლოდ ის ნაწილი (მაგალითად, $^1/_5$, $^1/_4$, $^1/_3$, $^1/_2$), რომელიც აშენებულია ან შეძენილია არაშრომითი შემოსავლით ან ორგანიზაციათა სახსრების უკანონოდ გამოყენების ხარჯზე. ჩამორთმეული ნაგებობის ნაწილის სარგებლობის საკითხი გადაწყვეტილ უნდა იქნას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1962 წლის 5 ივნისის ბრძანებულების „სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლების 25 მუხლის მეორე ნაწილის, 26 და 95 მუხლების გამოყენების შესახებ საქართველოს სს რესპუბლიკაში“ შესაბამისად. ამ ბრძანებულებით მოქალაქეთა და სახელმწიფოს, მოქალაქეთა და კოოპერაციული ან საზოგადოებრივი ორგანიზაციების საერთო საკუთრების უფლება უნდა შეწყდეს ერთი წლის განმავლობაში საერთო საკუთრების წარმოშობის დღიდან შემდეგი საშუალებებით: ნაგებობის გაყოფით, თუ ასეთი გაყოფა შესაძლებელია; სახელმწიფოს, კოოპერაციულ ან საზოგადოებრივი ორგანიზაციის მიერ იმ წილის გამოსყიდვით, რომელიც მოქალაქეს ეკუთვნის; მოქალაქისათვის იმ წილის მიყიდვით, რომელიც ეკუთვნის სახელმწიფო, კოოპერაციულ ან საზოგადოებრივ ორგანიზაციას; ანდა მთელი ნაგებობის გაყიდვით და მიღებული თანხის თანამესაკუთრეთა შორის განაწილებით მათი წილის შესაბამისად. საერთო საკუთრების უფლების შეწყვეტის საშუალებებიდან ერთ-ერთის არჩევა მოხდება თანამესაკუთრეთა თანხმობით, ხოლო შეთანხმების მიუღწევლობისას — სასამართლოს გადაწყვეტილებით. ამასთან საცხოვრებელი სახლის გაყიდვის შემთხვევაში ყიდვის უპირატესი უფლება ეკუთვნის იმ პირებს, რომლებიც მასში ცხოვრობენ.

1962 წლის 15 აგვისტოს ბრძანებულების გამოყენებასთან დაკავშირებით სასამართლო პრაქტიკაში წამოიჭრა საკითხი ამ ბრძანებულებისათვის უკუქცევითი ძალის მიცემის შესახებ. კერძოდ, ბრძანებულებით გათვალისწინებული სანქცია გამოიყენება თუ არა იმ

ნაგებობათა მიმართ, რომლებიც აშენებულია ან შეძენილია არაშრომითი შემოსავლით ან სახელმწიფო საწარმოების, დაწესებულებების, კოლმეურნეობებისა და სხვა კოოპერაციული ან საზოგადოებრივი ორგანიზაციების სახსრების უკანონოდ გამოყენების ხარჯზე ამ ბრძანებულების გამოცემამდე. იმ ვარემოების ძალით, რომ საბჭოთა სამართალი არ ცნობს მოპოებითი ხანდაზმულობის ინსტიტუტს, საკითხი ბრძანებულებისათვის უკუქცევითი ძალის მიცემის შესახებ დადებითად უნდა იქნას გადაწყვეტილი. კანონით დადგენილი ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო არ შეიძლება დაკანონებულ იქნას საკუთრების უფლება იმ ქონებაზე, რომელიც შეძენილია არაშრომითი შემოსავლით. მოცემულ შემთხვევაში აშენების ან შეძენის მომენტს არა აქვს არსებითი მნიშვნელობა. არსებით გარემოებას წარმოადგენს მხოლოდ აშენების ან შეძენის საფუძვლიანობა.

სასამართლო პრაქტიკაში წამოიჭრა საკითხი იმის შესახებ, რომ არაშრომითი შემოსავლით ან სახელმწიფო საწარმოების, დაწესებულებების, კოლმეურნეობებისა და სხვა კოოპერაციული ან საზოგადოებრივი ორგანიზაციების სახსრების უკანონოდ გამოყენების ხარჯზე აშენებული ან შეძენილი საცხოვრებელი სახლი, აგარაკი ან სხვა ნაგებობა შეიძლება თუ არა ჩამოერთვას იმ პირს, რომელმაც იგი მიიღო მემკვიდრეობის წესით, ჩუქების, ყიდვა-გაყიდვის ან გაცვლის ხელშეკრულების საფუძველზე. საერთო წესის მიხედვით მემკვიდრეს შეუძლია მემკვიდრეობის წესით მიიღოს მხოლოდ ის ქონება, მათ შორის საცხოვრებელი სახლი, რომელიც კანონიერ საფუძველზე ეკუთვნოდა კარდაცვალებულს. ამიტომ თუ საქმის განხილვის პროცესში გამოირკვა, რომ სამკვიდროს დამტოვებელმა ქონება, რომელიც მემკვიდრეს გადასცა, შეიძინა არაშრომითი შემოსავლით, სასამართლო გამოიტანს დადგენილებას მემკვიდრისათვის ქონების უსასყიდლოდ ჩამორთმევის შესახებ. ასევე თუ ორივე მხარის წინასწარი შეცნობით დადებულია არაშრომითი შემოსავლით აშენებული ან შეძენილი საცხოვრებელი სახლის, აგარაკის ან სხვა ნაგებობის ყიდვა-გაყიდვის, ჩუქების ან გაცვლის ხელშეკრულება, საერთო წესის მიხედვით სახელმწიფო შემოსავალში ჩაირიცხება ყოველივე ის, რაც მხარეებმა მიიღეს აღნიშნული გარიგებით. მოცემულ შემთხვევაში ხელშეკრულების ბათილობისა და ქონების უსასყიდლოდ ჩამორთმევის საკითხს სასამართლო გადაწყვეტს ერთდროულად ერთ პროცესზე. იმ შემთხვევაში, როდესაც არაშრომითი შემოსავლით აშენებული ან შეძენილი სახლი, აგარაკი ან სხვა ნაგებობა მიეყიდა სახელმწიფოს, კოოპერაციულ ან საზოგადოებრივ ორგანიზაციებს ან იგი მოქალაქემ შეიძინა კეთილსინდისიერად თავისი პირადი შრომითი შემოსავლით და დანაზოგით, ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება მათ მიმართ ძალაში რჩება, ხოლო ნაგებობის ყოფილ მესაკუთრეს სახელმწიფოს შემოსავალში ჩასარიცხად გადახდება ნაგებობის ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებით მიღებული ღირებულება.

1962 წლის 15 აგვისტოს ბრძანებულების მე-4 მუხლის თანახმად სასამართლოს შეუძლია საცხოვრებელი სახლის უსასყიდლოდ ჩამორთმევასთან ერთად გადაწყვიტოს საკითხი ყოფილი მესაკუთრისა და მისი ოჯახის წევრების სახლიდან გამოსახლების შესახებ. ამ შემთხვევაში საცხოვრებელი სახლის უსასყიდლოდ ჩამორთმევა წარმოადგენს კანონიერ საფუძველს მხოლოდ სახლის ყოფილი მესაკუთრისა და მისი ოჯახის წევრთა გამოსახლებისათვის. რაც შეეხება იმ პირებს, რომლებიც ჩამოსართმევ სახლში ცხოვრობენ საცხოვრებელი ფართობის ქირავნობის ხელშეკრულების საფუძველზე, ‘ათი გამოსახლება შეიძლე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბა მხოლოდ სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლების 61-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

1962 წლის 15 აგვისტოს ბრძანებულების თანახმად საქმეს, არაშრომითი შემოსავლით აშენებული ან შეძენილი საცხოვრებელი სახლის, აგარაკისა და სხვა ნაგებობის უსასყიდლოდ ჩამორთმევის შესახებ. სასამართლო განიხილავს მხოლოდ მშრომელთა დეპუტატების რაიონული ან საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილების საფუძველზე. ამასთან დაკავშირებით პრაქტიკაში წამოიჭრა საკითხი იმის შესახებ, რომ სასამართლოს შეუძლია თუ არა თავისი ინიციატივით გამოიტანოს დადგენილება არაშრომითი შემოსავლით აშენებული ან შეძენილი სახლის, აგარაკისა და სხვა ნაგებობის უსასყიდლოდ ჩამორთმევისა და მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის, კოლმეურნეობებისა ან სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციებისათვის გადაცემის შესახებ. ჩვენი აზრით თუ სასამართლოში საერთო სასარჩელო წესით აღიძვრის დავა საცხოვრებელი სახლის, აგარაკის ან სხვა ნაგებობის პირადი საკუთრების უფლების შესახებ და საქმის განხილვის პროცესში გამოირკვევა, რომ საცხოვრებელი სახლი, აგარაკი ან სხვა ნაგებობა აშენებულია ან შეძენილია არაშრომითი შემოსავლით ან სახელმწიფო საწარმოების, დაწესებულებების, კოლმეურნეობების, კოოპერაციული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების სახსრების უკანონოდ გამოყენების ხარჯზე, სასამართლო ვალდებულია დააყენოს საკითხი მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის წინაშე 1962 წლის 15 აგვისტოს ბრძანებულების შესაბამისად სახლის, აგარაკის ან სხვა ნაგებობის უსასყიდლოდ ჩამორთმევის შესახებ. მოცემულ შემთხვევაში სასამართლო გამოიტანს დასაბუთებულ დადგენილებას საერთო სასარჩელო წესით საქმის წარმოების შეწყვეტისა და მასალების ბრძანებულების შესაბამისად წარმართვის შესახებ.

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო სასამართლო წარმოების საფუძვლების პირველი მუხლის შესაბამისად ის საქმეები, რომლებიც წარმოიშვება ადმინისტრაციულ სამართლებრივი ურთიერთობიდან, განიხილება სასამართლო წარმოების საერთო წესების მიხედვით, გარდა ცალკეული გამონაკლისებისა, რომლებსაც ადგენს სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობა. აქედან გამომდინარე ნაგებობათა უსასყიდლოდ ჩამორთმევის საქმეთა სასამართლო განხილვისათვის მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით შეიძლება დადგენილ იქნას გამონაკლისი სასამართლო წარმოების საერთო წესებიდან. კერძოდ, საქმეთა განხილვის ვადა, სასამართლოს დადგენილების გასაჩივრების წესი, მხარეთა წარმომადგენლის მონაწილეობის შეზღუდვა და სხვა. არაშრომითი შემოსავლით შეძენილ ნაგებობათა უსასყიდლოდ ჩამორთმევის საქმეს სასამართლო განიხილავს არა უგვიანეს ათი დღისა საქმის მიღების დღიდან. მოქალაქეს, რომლის მიმართ სასამართლოში აღძრულია საქმე ნაგებობის უსასყიდლოდ ჩამორთმევის შესახებ, უფლება აქვს გაეცნოს შემოწმების მასალებს, მისცეს განმარტება და თავის მოსაზრებათა დასადასტურებლად წარადგინოს საბუთები და სხვა მტკიცებანი. საქმის განხილვა ხდება ღია სამსჯავრო სხდომაზე პროკურორისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენელთა მონაწილეობით. საქმის განხილვა იწყება მოსამართლის მოხსენებით, რის შემდეგ სასამართლო შეუდგება საქმეში არსებული და სხდომაზე მხარეთა მიერ წარმოდგენილი საბუთების შესწავლას, მოისმენს იმ პირის გან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარტებას, რომლის მიმართ აღძრულია საქმე ნაგებობის უსასყიდლოდ ჩამორთმევის შესახებ, შეისწავლის საქმეში მონაწილე პირთაგან წარმოდგენილ დამამტკიცებელ საბუთებს, შემდეგ მოისმენს საზოგადოების წარმომადგენელთა აზრს და პროკურორის დასკვნას და ამის შემდეგ გამოიტანს დასაბუთებულ დადგენილებას.

სასამართლოს შეუძლია გამოიტანოს დადგენილება ნაგებობის ჩამორთმევის ან ჩამორთმევაზე უარის თქმის შესახებ, აგრეთვე მესაკუთრისა და მისი ოჯახის წევრების გამოსახლების ან გამოსახლებაზე უარის თქმის შესახებ. საჭიროების შემთხვევაში სასამართლოს შეუძლია დააბრუნოს მასალები დამატებითი შემოწმებისათვის.

მოცემულ საქმეზე სასამართლოს დადგენილება საბოლოოა და მისი გასაჩივრება არ შეიძლება. იგი შეიძლება გადასინჯულ იქნას ზედამხედველობის წესით.

რაიონული (საქალაქო) სასამართლოს დადგენილების აღსრულება წარმოებს სასამართლოს აღმასრულებლის მიერ საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული წესების შესაბამისად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლ. ნ. ანდრონიკაშვილის საიურისკონსულტო მოღვაწეობის პერიოდიდან

(ერთი მნიშვნელოვანი დოკუმენტის გამო)

უ. ბახტაძე,
იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი

მიმდინარე წლის 20 თებერვალს საქართველოს საზოგადოებრიობამ ფართოდ აღნიშნა გამოჩენილი ქართველი იურისტის, პროფესორ ლუარსაბ ხიკოლოზის ძე ანდრონიკაშვილის დაბადების 90 წლისთავი.

ლ. ანდრონიკაშვილი დიდი ერუდიციის, მრავალმხრივი საზოგადოებრივი და მეცნიერულ-პედაგოგიური მოღვაწეობისა და ნიჭის გამო მეტად პოპულარული და საყვარელი ადამიანი იყო ყველასათვის. მან დიდი გავლენა მოახდინა ქართული იურიდიული აზროვნების განვითარებაზე.

ამიტომ მეტად დიდი მნიშვნელობა ენიჭება ყველა ცნობას თუ დოკუმენტს, რომელიც ამ გამოჩენილი ადამიანის სახელთან არის დაკავშირებული.

წინამდებარე სტატიაში მკითხველებს გვინდა მოვუთხროთ ჩვენს მიერ მიკვლეულ ერთ მეტად საინტერესო დოკუმენტზე, რომელსაც ხელს აწერს ლ. ანდრონიკაშვილი და რომელიც შეეხება ბათუმში წინათ არსებულ ინგლისამერიკის სააქციო საზოგადოებათა კუთვნილ ნავთსაცავების ნაციონალიზაციასთან დაკავშირებულ დავას.

იმისათვის, რომ უკეთ გავიგოთ ამ დოკუმენტის შინაარსი და მისი მნიშვნელობა, მოკლედ შევეხოთ საკითხის ისტორიას.

როგორც ცნობილია ლ. ანდრონიკაშვილი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოწვევით 1921 წელს ჩამოვიდა საბჭოთა საქართველოში. იგი სამშობლოში დაბრუნების შემდეგ მეცნიერულ და პედაგოგიურ მუშაობასთან ერთად ფართო საკონსულტაციო მუშაობას ეწეოდა საქართველოსა და ამიერკავკასიის სფსრ-ის უმაღლეს სახელმწიფო ორგანოებში.

ჩვენს მიერ მიკვლეული დოკუმენტი, რომელიც დათარიღებულია 1921 წლის აგვისტოს თვით, განეკუთვნება იმ დროს, როდესაც ლ. ანდრონიკაშვილი მუშაობდა საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოში (სმუს-ი) საიურისკონსულტო ნაწილის გამგედ[1].

ეს ის პერიოდია, როდესაც საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება სულ რამდენიმე თვის დამყარებული იყო, როდესაც ხდებოდა ძველი პოლიტიკური და სამართლებრივი ინსტიტუტების მსხვრევა და მათ ნაცვლად ახალი, საბჭოური, პოლიტიკური და სამართლებრივი ინსტიტუტების შენება.

---

[1] დასახელებული დოკუმენტი დაცულია მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის პარტარქივში, ფონდი 14, საქმე 530, ფურცელი 87. ვფიქრობთ, საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს საარქივო დოკუმენტების შესწავლა კიდევ გამოავლენს ბევრ მასალას ლ. ანდრონიკაშვილის შესახებ.

ეს არის ახალი ეკონომიური პოლიტიკის (ნეპის) შემოღების პერიოდი. ვ. ი. ლენინი ამ პერიოდში საქართველოს კომუნისტების ყურადღებას მიაქცევდა უცხოეთის ქვეყნებთან ამიერკავკასიის რესპუბლიკების სავაჭრო ურთიერთობის რაც შეიძლება ფართოდ განვითარების აუცილებლობაზე.

ვ. ი. ლენინი კავკასიის კომუნისტებს ურჩევდა, რომ „კავკასიას შეუძლია უფრო სწრაფად და უფრო ადვილად მოავვაროს „თანაცხოვრება“ და საქონელცვლა კაპიტალისტურ დასავლეთთან... ეკონომიური მხრივ ყოველნაირად, გაძლიერებით, სწრაფად გამოვიყენოთ კაპიტალისტური დასავლეთი კონცესიებისა და საქონელცვლის პოლიტიკაში. ნავთი, მარგანეცი, ქვანახშირი... სპილენძი — ასეთია უდიდესი სამთამადნო სიმდიდრეთა ოდნავადაც არასრული სია. არის სრული შესაძლებლობა, რომ ფართოდ გაიშალოს კონცესიების პოლიტიკა და საქონელცვლა საზღვარგარეთთან.. ეკონომიურად ერთბაშად დაეყრდენით კაპიტალისტურ საზღვარგარეთთან საქონელცვლას და არ იძუნწოთ...“[1]

ვ. ი. ლენინის დირექტივების თანახმად საქართველოს რევკომმა 1921 წლის 10 აპრილს გამოაქვეყნა განცხადება იმ უცხოეთის ვაჭრებისა და ფირმების შესახებ, რომელთაც სურდათ განეახლებინათ საქართველოსთან სავაჭრო-სამრეწველო ურთიერთობა.

ამ განცხადების თანახმად მთელი საგარეო ვაჭრობა უცხოეთის დაინტერესებულ პირებთან, ჯგუფებთან და ფირმებთან, როგორც საქონლის შემოტანის და გატანის, ასევე ტრანზიტის ხაზითაც, უნდა განხორციელებულიყო რესპუბლიკის მთავრობის ერთიანი ორგანოს — საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის მიერ. განცხადების თანახმად ყოფილი მთავრობის მიერ უცხოელებთან დადებული ყველა ხელშეკრულება და გარიგება საქონლის შემოტანაზე და გატანაზე ცნობილი იქნა საბჭოთა საქართველოს მთავრობის მიერ... ასევე ცნობილი იქნა კონცესიები, ამასთანავე როგორც ძველ, ისევე ახალ კონცენსიონერებისათვის გარანტირებული იყო მათ მიერ შემოტანილი მასალებისა და ტექნიკური მოწყობილობის სრული ხელშეუხებლობა, აგრეთვე სათანადო პირობები მუშაობისათვის.

განცხადების თანახმად ყველა გემი და სხვა ნავჭურჭელი, რომლებიც შემოვიდოდნენ საბჭოთა საქართველოს ნავსადგურებში უცხოელ მოქალაქეთა და სავაჭრო ფირმების საქონლით, ისევე როგორც თვით საქონელი, თავისუფალი რჩებოდა ყოველგვარი რეკვიზიციის, სეკვესტრებისა და კონფისკაციისაგან. მათ უფლება ენიჭებოდათ გასულიყვნენ საქაროველოს ნავსადგურებიდან ყოველ დროს და ყველა მიმართულებით. ამავე დროს საერთაშორისო სამართლის ნორმებისა და ადათების შესაბამისად საქართველოს ტერიტორიულ წყლებში მყოფ გემებისათვის ცხადდებოდა სრული ხელშეწყობა საბჭოთა საქართველოს შესაბამისი ხელისუფალთა მხრივ[2].

ვინაიდან აღნიშნული განცხადება ხმირად ირღვეოდა, რაც იწვევდა უცხოელთა საჩივრებს, ამიტომ საქართველოს რევკომმა 1921 წლის 20 აპრილს მიიღო სავალდებულო დადგენილება, რომლის თანახმად არავის არ ჰქონდა უფლება დაემყარებინა ურთიერთობა უცხოელებთან საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის გარეშე. რესპუბლიკის დაწესებულებებს და მოსამსახურეებს სასტიკად ეკრძალებოდათ რეკვიზიცია ეყოთ, გაეჩხრიკათ ან აღრიცხვაზე აეყ-

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 32, გვ. 398-399.

[2] გაზ. „პრავდა გრუზიი“ 1921 წ., 13 აპრილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვანათ უცხოელ ქვეშევრდომთა კუთვნილი ინვენტარი საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის ნებართვის გარეშე. მათვე სასტიკად ეკრძალებოდათ მტკიცე ფასებში გამოესყიდათ უცხოელ ქვეშევრდომთა კუთვნილი საქონელი. მხოლოდ საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატს ან მის ქვემდებარე ორგანოებს ენიჭებოდათ უფლება დაემყარებინათ კომერციული კავშირი უცხოეთის ადგილობრივ კომერსანტებთან[1].

წარმატებით ახორციელებდა რა ვ. ი. ლენინის დირექტივას კაპიტალისტურ ქვეყნებთან ვაჭრობის განვითარების შესახებ, საბჭოთა საქართველოს მთავრობა ასევე წარმატებით ახორციელებდა ქვეყნის შიგნით დამხობილი ექსპლოატატორული კლასებისათვის ეკონომიური საფუძვლის გამოცლის პოლიტიკას. დიდი ყურადღება ექცეოდა წარმოების, ძირითად იარაღებსა და საშუალებებზე კერძო საკუთრების გაუქმებას, მათ ნაციონალიზაციას. იმისათვის, რომ ხელი შეეწყო საქართველოს მოშლილი ეკონომიკის განმტკიცებისათვის, საქართველოს რევკომმა, ერთ-ერთი ღონისძიების სახით, 1921 წლის 6 ივლისს მიიღო დეკრეტი „ნავთის საცავების ნაციონალიზაციის შესახებ“, რომლის თანახმად „ყველა ნავთის საცავი და კეროსინის აუზი, რომელიც საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის ტერიტორიაზე არის, — და რომლის საერთო ტევა-სივრცე თვითეული მფლობელობის ფარგლებში ათას ფუთს უდრის, ნაციონალიზაციის წესით გამოცხადებულია საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის საკუთრებად მთელი მისი ინვენტარით, აქტივით და პასივით.

შენიშვნა: ამის გამონაკლისს შეადგენს კოოპერატივების და მათი კავშირთა ნავთსაცავები და აუზები“. (მუხ. I).

დეკრეტით ზემოაღნიშნული ნავთის საცავები და აუზები გადადიოდა სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს ზომარაგების საბჭოს გამგებლობაში. რომელსაც ევალებოდა ორი კვირის განმავლობაში, დღიდან ამა დეკრეტის გამოქვეყნებისა, მოეხდინა მათი რეგისტრაცია და ჩაბარება[2].

დეკრეტის თანახმად ნაციონალიზებული იქნა ბათუმში არსებული „ბრიტანეთ-ბაქოს სავაჭრო და სახომალდო საქციო საზოგადოების“ და „შეზღუდული პასუხისმგებლობით ნავთობის რეზერვუარებში შენახვისა და გადაზიდვის ამერიკის საქციო საზოგადოების“ კუთვნილი ნავთსაცავები, აგრეთვე ინგლის-ამერიკის სხვა ფირმათა კუთვნილი ნავთსაცავებიც. ბათუმის სახალხო მეურნეობის საბჭომ აუკრძალა უცხოეთის ფირმის წარმომადგენლებს თავისუფლად ევაჭრათ იმ საქონლით, რომელსაც მათგან არ შეიძენდა საქართველოს სსრ საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატი. მათ ასეთი თავისუფალი ვაჭრობისათვის ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ნებართვა უნდა აეღოთ ბათუმის სახალხო მეურნეობის საბჭოსაგან.

ამასთან დაკავშირებით „ბრიტანეთ-ბაქოს სავაჭრო და სახომალდო საქციო საზოგადოების“ რწმუნებულმა ბ. ა. ფოქსმა საჩივრით მიმართა საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს და სთხოვა მას მიეღო ზომები უცხოელთა ფირმების კანონიერი ინტერესების დასაცავად.

იმავე რწმუნებულმა 1921 წლის 1 აგვისტოს განცხადებით მიმართა საქარ-

[1] გაზ. „პრავდა გრუზიი“, 1921 წლის 20 აპრილი.

[2] საქართველოს სსრ შსკ „მოამბე“ № 11, 1921 წ. გვ. 1-2.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თველოს სსრ საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატს[1]. განცხადებაში გადმოცემულია რა საქმის ფაქტიური ვითარება, მითითებულია, რომ მართალია საქართველოს რევკომის 1921 წლის 6 ივლისის დეკრეტის თანახმად ნავთსაცავები სამდვილად ნაციონალიზებულია, მაგრამ ამავე დროს სავსებით ცხადია ისიც, რომ ეს დეკრეტი არ შეიძლება გავრცელდეს უცხოელთა ფირმებზე, რომელთა მიმართ საბჭოთა მთავრობის პოლიტიკა გამოირჩევა სიცხადით, რომელიც ყოველგვარი ეჭვის საფუძველს სპობს[2]. რწმუნებული მიუთითებდა საქართველოს რევკომის 1921 წლის 10 აპრილის განცხადების შინაარსზე, იმავე რევკომის 1921 წლის 20 აპრილის სავალდებულო დადგენილებაზე და ასკვნიდა, რომ რევკომის დამოკიდებულება უცხოელთა ფირმებისადმი იმდენად კატეგორიულია, რომ შეუძლებელია მას, როდესაც სცემდა 6 ივლისის დეკრეტს, მხედველობაში ჰქონოდა უცხოელების კუთვნილი ნავთსაცავების კონფისკაციაო.

დამატებით მითითებული იყო ინგლისსა და რსფსრ-ს შორის 1921 წლის 10 მარტს დადებული სავაჭრო ხელშეკრულება, რომელიც აგრეთვე ითვალისწინებდა უცხოელთა უფლებებისა და მათი კუთვნილი ქონების დაცვას... და რომელსაც, რწმუნებულის აზრით, ვერ უარყოფდა რუსეთის მოკავშირე საქართველოს საბჭოთა მთავრობა[3].

შემდეგ, განცხადება შეიცავდა საჩივარს ბათუმის სახალხო მეურნეობის საბჭოს მოქმედებაზე, რომელიც მათ ნებას არ რთავდა გაეყიდათ თუნდაც ერთი გირვანქა ნავთი, თუ ისინი ყოველ ცალკეულ შემთხვევაში განსაკუთრებულ ნებართვას არ აიღებდნენ მისგან. ამასთანავე ბათუმის სახალხო მეურნეობის საბჭო ხშირად თვითონ მიუთითებდა უცხოეთის ფირმათა წარმომადგენლებს თუ რომელი დაწესებულებისათვის უნდა მიეყიდათ მათ ნავთი და რა ფასებში. ასეთი მოქმედება რწმუნებულს მიაჩნდა საქართველოს რევკომის 1921 წლის 20 აპრილის სავალდებულო დადგენილების მე-3 მუხლის მე-2 შენიშვნის დარღვევად, რომლის თანახმადაც თუ საქართველოს საგარეო ვაჭრობა დაინტერესებული არ იქნებოდა შეეძინა საქონელი ამა თუ იმ ფირმისაგან, მაშინ მათ უფლება ჰქონდათ ამ საქონლით თავისუფლად ვაჭრობისა[4].

დაბოლოს, განცხადება შეიცავდა თხოვნას საქართველოს საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატისადმი, რათა ამ უკანასკნელს განემარტა ბათუმის სახალხო მეურნეობის საბჭოსათვის, რომ საქართველოს რევკომის 1921 წლის 6 ივლისის დეკრეტი ნავთსაცავების ნაციონალიზაციის შესახებ არ ვრცელდებოდა უცხოეთის ფირმათა ნავთსაცავებზე და, რომ, იმ საქონლით ვაჭრობა, რაც

---

[1] აღსანიშნავია, რომ ამავე დღეს ბ. ა. ფოქსთან ერთად საქართველოს საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატს ანალოგიური ხასიათის ერთობლივი განცხადებით მიმართა, აგრეთვე „შეზღუდული პასუხისმგებლობით ნავთობის რეზერვუარებში შენახვისა და გადაზიდვის ამერიკის საააქციო საზოგადოების“ რწმუნებულმა ი. ვ. შევალიემაც (იხ. მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის პარტარქივი, ფ. 14, ს. 530, ფ. ფ. 79, 88-89).

[2] მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის პარტარქივი, ფ. 530, ფ. 85.

[3] იქვე.

[4] იხ. გაზ. „პრავდა გრუზიი“, 1921 წ. 20. IV.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეძენილი არ იყო საგარეო ვაჭრობის მიერ, არ საჭიროებდა ბათუმის სახალხო მეურნეობის საბჭოს ნებართვას[1].

საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატმა 1921 წლის 3 აგვისტოს ინგლის-ამერიკის სააქციო საზოგადოებათა რწმუნებულების განცხადებანი გაუგზავნა საქართველოს სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარეს. ძათვე გაეგზავნა საქართველოს რევკომის პრეზიდიუმის მიერ 1921 წლის 1 აგვისტოს მიღებული და ჯერ გამოუქვეყნებელი დეკრეტი და თხოვნა, რომ მათ ამ დეკრეტის მე-14 და მე-16 მუხლების თანახმად საჩქაროდ ეცნობებინათ მათი განკარგულების შესახებ[2].

იმავე დღეს სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ საკითხის შესწავლა და სათანადო დასკვნის გამოტანა დაავალა სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს საიურისკონსულტო ნაწილს, რომელსაც მაშინ საქართველოში ახლად ჩამოსული და საქვეყნოდ ცნობილი იურისტი ლ. ანდრონიკაშვილი ხელმძღვანელობდა.

ლ. ანდრონიკაშვილმა მისთვის ჩვეული გულმოდგინებით მოჰკიდა ხელი ამ საკმაოდ დახლართული საკითხის შესწავლას. 1921 წლის 5 აგვისტოს სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს საიურისკონსულტო ნაწილის დასკვნა № 296 ლ. ანდრონიკაშვილის ხელისმოწერით უკვე მზად იყო.

აი, რას ვკითხულობთ ამ დოკუმენტში, რომელიც ასე მდიდარია პრაქტიკული და თეორიული მნიშვნელობის დასკვნებით.

„გიბრუნებთ რა „ბრიტანეთ-ბაქოს სავაჭრო და სახომალდო სააქციონერო საზოგადოების“ ნაციონალიზაციის საქმის შესახებ მიმოწერას... გაცნობებთ შემდეგს:

ნავთსაცავების ნაციონალიზაციის შესახებ რევკომის 1921 წლის 6 ივლისის დეკრეტის პირველი მუხლის აზრის მიხედვით ზემოაღნიშნული საზოგადოების ნავთსაცავები, ჩანს, ექვემდებარება ნაციონალიზაციას. უცხოელ ქვეშევ-

---

[1] მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის პარტარქივი, ფ. 14, ს. 530, ფ. 86.

[2] იქვე, ფ. ფ. 79, 84. აქ ლაპარაკია საქართველოს რევკომის მიერ 1921 წლის 1 აგვისტოს მიღებულ და შემდეგ 1921 წლის 8 აგვისტოს გამოქვეყნებულ № 64 დეკრეტზე „უცხოელების შესახებ“, რომლის თანახმადაც „უცხოელის სავაჭრო წარმოება, რომელსაც მიზნად აქვს სავაჭრო ურთიერთობა იქონიოს საქართველოსა და უცხო სახელმწიფოთა შორის, სარგებლობს განსაკუთრებულ უფლება-მფარველობით ქვემოთ მოყვანილ დებულებათა ძალით. ასეთ წარმოებათა რეგისტრაცია საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატთან მოხდება გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატის, სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს და გაერთიანებული საგარეო ვაჭრობის კომისარიატის წარმომადგენელთა მონაწილეობით“... (მუხ. 13).

„რეგისტრაციაში გატარებული წარმოებათა საქონელი და ქონება ხელუხლებელია კონფისკაციისა, რეკვიზიციისა და, საზოგადოდ, იძულებითი ჩამორთმევისაგან, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საქონლისა და ქონების შეკვრა და გადახდევინება სასამართლო წესით დადასტურებულია“ (მუხ. 14).

„რეგისტრაციაში გატარებული წარმოებათა საწყობები, კონტორები და პირადი საცხოვრებელი ბინები მათი პატრონების, რწმუნებულის და წარმომადგენლებისა, როდესაც ისინი უცხოელნი არიან, რეკვიზიციისა და შევსებისაგან თავისუფალია“... (მუხ. 16). (იხ. საქართველოს სსრ შსკ „მოამბე“, 1921 წ. № 6, გვ. 8).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოდომთათვის არავითარი გამონაკლისი არ არის დაშვებული. დეკრეტის პირველი მუხლის შენიშვნა გამონაკლისს აწესებს იმ ნავთსაცავებისათვის, რომლებიც ეკუთვნით კოოპერატივებს, მაგრამ დეკრეტი, უშვებს რა ამ გამონაკლისს, არ მიუთითებს გამონაკლისს იმ ნავთსაცავებისათვის, რომლებიც უცხოელებს ეკუთვნით. ამასთანავე დეკრეტი მომარაგების საბჭოს[1] აკისრებს ვალდებულებას მიიღოს ნავთსაცავები მფლობელთაგან ერთი კვირის[2] განმავლობაში.

ამიტომ ბათუმში ნავთობის განყოფილების მოქმედება არ შეიძლება ჩაითვალოს კანონსაწინააღმდეგოდ, ვინაიდან ის ემყარებოდა ზემოაღნიშნულ დეკრეტს.

მიუხედავად ამისა, „ბრიტანეთ-ბაქოს სავაჭრო და სახომალდო საზოგადოების“ რწმუნებულის საჩივარს იმის თაობაზე, რომ ბათუმის სახალხო მეურნეობის საბჭოს წარმომადგენელთა მოქმედება არ შეესაბამება საქართველოს რევკომის ა. წ. 10 აპრილის განცხადებას და რევკომის 20 აპრილის სავალდებულო დადგენილებას, გააჩნია საფუძველი.

ეს შეუსაბამობა გამოწვეულია გამოცემულ აქტებში არსებულ წინააღმდეგობათა გამო.

მართლაც, საქართველოს რევკომის სავალდებულო დადგენილების მე-3 მუხლი ამბობს: „მოსამსახურეებსა და დაწესებულებებს სასტიკად ეკრძალებათ რეკვიზიცია უყონ, აღრიცხვაზე აიყვანონ, მტკიცე ფასებში გამოისყიდონ უცხოელ ქვეშევრდომთა კუთვნილი საქონელი. მხოლოდ საგარეო ვაჭრობას ან მის ქვემდებარე ორგანოებს აქვთ უფლება კომერციული კავშირისა ადგილობრივ უცხოელ კომერსანტებთან.

შენიშვნა: 1. ზემოხსენებული პუნქტები არ ვრცელდება წვრილ ვაჭრობაზე.

შენიშვნა: 2. უკეთუ საგარეო ვაჭრობა დაინტერესებული არ არის შეიძინოს საქონელი ამა თუ იმ ფირმისაგან, მაშინ უკანასკნელთ საქონლით თავისუფლად ვაჭრობის უფლება აქვთ“.

ეს დადგენილება ხელმოწერილია რევკომის თავმჯდომარის მოადგილის, სამხედრო-საზღვაო სახალხო კომისრის, საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის, იუსტიციის სახალხო კომისრისა და საგანგებო კომისიის თავმჯდომარის მიერ.

რევკომის 10 აპრილის დეკლარაციაც აგრეთვე შედგენილია ცოტად თუ ბევრად კატეგორიული გამოთქმებით, რომლებიც განაპირობებენ უცხოელთა უფლებებს და აძლევენ მათ საფუძველს ჩათვალონ, რომ ისინი ადგილობრივ მცხოვრებლებთან შედარებით განსაკუთრებულ (პრივილეგიურ) მდგომარეობაში იმყოფებიან მათი ქონებრივი უფლებების მხრივ.

საკანონმდებლო აქტებს შორის კოლიზიის დროს მეტად ძნელია ვუპასუხოთ კითხვას, თუ როგორ უნდა მოვიქცეთ მოცემულ შემთხვევაში.

კანონთა კოლიზიის დროს და მათ შორის ნამდვილი წინააღმდეგობის არსებობის შემთხვევაში აუცილებელია გამოიცეს კანონი, რომელიც გააუქმებს წინა კანონებს. ახსნა-განმარტებამ კი შეიძლება კიდევ უფრო მეტად დახლართოს საკითხი.

---

[1] ლაპარაკია საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს მომარაგების საბჭოზე.

[2] აქ უნდა იყოს ერთის ნაცვლად ორი კვირა, ისე როგორც ეს საქართველოს რევკომის 1921 წლის 6 ივლისის დეკრეტშია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცხოელთა საკითხი ასეთ მდგომარეობაში იმყოფება: გამოცემულია რამდენიმე აქტი, რომლებიც ადგენენ უცხოელთა უფლებებს მათი კუთვნილი ქონების რეკვიზიციისაგან, კონფისკაციისაგან და ა. შ. განთავისუფლების შესახებ. მეორეს მხრივ, რევკომმა ნაციონალიზაციის შესახებ დეკრეტთა პროექტებიდან[1] გამორიცხა ის შენიშვნა, რომ ნაციონალიზაციისაგან თავისუფლდებიან უცხოელ ქვეშევრდომთა კუთვნილი საწარმონი.

მართალია, ეს გამორიცხვა შეიძლება განმარტებულ იქნეს იმ აზრით, რომ რამდენადაც გამოცემულია განსაკუთრებული კანონი, საჭირო არ არის განმეორებები და შენიშვნები სხვა აქტებში და, რამდენადაც ეს კანონი გაუქმებული არ არის — იგი ინარჩუნებს ძალას[2]. მაგრამ აქ იბადება საკითხი: შეიძლება თუ არა შეინარჩუნოს ძალა სავალდებულო დადგენილებამ გამოცემული დეკრეტის არსებობის პირობებში, როგორია თანაფარდობა რევკომის დეკრეტებს, ბრძანებებსა და სავალდებულო დადგენილებებს შორის?

ყველა ამ საკითხის გადაწყვეტისათვის აუცილებელია ზუსტი განსაზღვრა ცნებებისა: დეკრეტი, ბრძანება, სავალდებულო დადგენილება; აუცილებელია იმ ორგანოთა დადგენა, რომლებიც კომპეტენტურნი იქნებიან გამოსცენ დასახელებული აქტები, აუცილებელია განისაზღვროს ამ აქტთა თანაფარდობა და დადგენილ იქნეს, თუ როგორ უნდა მოვიქცეთ დეკრეტებსა და ბრძანებებს შორის კოლიზიის შემთხვევაში; დაბოლოს, საჭიროა განისაზღვროს ორგანო, რომელიც კომპეტენტური იქნება ერთგვაროვანი ახსნა-განმარტება მისცეს გამოცემულ აქტებს.

ამისათვის სასურველი იქნებოდა ორგანიზებული ყოფილიყო სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოსა და ფინანსთა, იუსტიციის, საგარეო საქმეთა, საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატების წარმომადგენელთა საუწყებათაშორისო თათბირი, ამ თათბირში დასახელებული სახალხო კომისარიატების იურიდიული ძალების ჩაბმით.

ეს თათბირი შეძლებდა შეემუშავებინა შესაბამისი დეკრეტის პროექტი, რომელიც ერთხელ და სამუდამოდ ბოლოს მოუღებდა იმ მუდმივ სიძნელეებს, რასაც ადგილი აქვს საკანონმდებლო აქტების შეფარდებისა და ახსნა-განმარტების დროს.

ამ საქმესთან დაკავშირებით საიურისკონსულტო ნაწილი ფიქრობს, რომ ზემოაღნიშნულ სიძნელეთა და, აგრეთვე, საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის ცნობის თანახმად, რევკომის მიერ უცხოელთა შესახებ უკვე მიღებული დეკრეტის მე-20 მუხლის გამო, საერთო საკითხის გადაწყვეტამდე, შეჩერებულ უნდა იქნეს იმ ნავთსაცავის ნაციონალიზაცია, რომელიც ეკუთვნის „ბრიტანეთ-ბაქოს სავაჭრო და სახომალდო სააქციონერო საზოგადოებას“[3].

---

1 ვფიქრობთ, აქ ლ. ანდრონიკაშვილი გულისხმობს როგორც საქართველოს რევკომის 1921 წლის 6 ივლისის დეკრეტს, ასევე საქართველოს რევკომის პრეზიდიუმის 1921 წლის 1 აგვისტოს დეკრეტის პროექტს „უცხოელების შესახებ“, რომელიც გამოქვეყნდა 1921 წლის 8 აგვისტოს № 64 დეკრეტის სახით, ე. ი. ამ დოკუმენტის შედგენის შემდეგ.

2 აქ ლ. ანდრონიკაშვილს მხედველობაში აქვს საქართველოს რევკომის 1921 წლის 20 აპრილის სავალდებულო დადგენილება, რომელიც, ოფიციალურად, საქართველოს რევკომის 1921 წლის 6 ივლისის დეკრეტით გაუქმებული არ ყოფილა.

3 დასახელებული პარტარქივი, ფ. 14, ს. 530, ფ. 87.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასეთია ამ უაღრესად საინტერესო დოკუმენტის შინაარსი.

როგორც ვხედავთ, ლ. ანდრონიკაშვილი, ინგლისის საქციო საზოგადოების რწმუნებულის ზემოთ მოტანილ მტკიცებათა საწინააღმდეგოდ, ყოველგვარი შენიშვნების გარეშე აღიარებს იმ უცილობელ ფაქტს, რომ ნავთსაცავების ნაციონალიზაციის შესახებ საქართველოს რევკომის მიერ 1921 წლის 6 ივლისს გამოცემული დეკრეტი სავსებით და მთლიანად ვრცელდებოდა აგრეთვე უცხოეთის ფირმებზეც. სწორედ ამიტომ მას საფუძველმოკლებულად მიაჩნდა უცხოელთა დავა მათი კუთვნილი ნავთსაცავების შესახებ, თითქოს ისინი არ ექვემდებარებოდნენ ნაციონალიზაციას.

მართალია ლ. ანდრონიკაშვილმა, ერთის მხრივ, დამაჯერებლად უარყო „ბრიტანეთ-ბაქოს სავაჭრო და სახომალდო საქციონერო საზოგადოების“ რწმუნებულის მოსაზრება და დაასაბუთა, რომ ნავთობსაცავების ნაციონალიზაციის შესახებ დეკრეტი სავსებით ვრცელდებოდა მათ კუთვნილ ნავთსაცავებზე, მაგრამ, მეორეს მხრივ, მას არ შეეძლო არ დაენახა ისიც, რომ ამ რწმუნებულის პრეტენზიებიც არ იყო სავსებით საფუძველს მოკლებული.

იგი, როგორც დავინახეთ, ამ წინააღმდეგობას ხსნიდა თვით საქართველოს რევკომის მიერ სხვადასხვა დროს გამოცემულ, და ჩვენს მიერ უკვე აღნიშნულ. აქტებში არსებული წინააღმდეგობებით.

მაგრამ ლ. ანდრონიკაშვილი არ კმაყოფილდება მხოლოდ ფაქტის აღნიშვნით და ნორმატიულ აქტებს შორის არსებულ კოლიზიაზე მითითებით. პირიქით ივი ცდილობს პრაქტიკის, ცხოვრების მიერ წამოჭრილი საკითხი შეისწავლოს არა მხოლოდ მოცემულ კონკრეტულ შემთხვევასთან დაკავშირებით, არამედ ამ საკითხის განზოგადების მიზნითაც, რათა ამით დახმარებოდა საქართველოს ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკის ჯერ კიდევ სუსტ და განუვითარებელ კანონმდებლობას გარკვეულიყო მომენტით გამოწვეულ რთულ სიტუაციებში.

მოცემულ კონკრეტულ შემთხვევასთან დაკავშირებით მან აღძრული საკითხი გამოიყენა იმისათვის, რომ განემარტა კანონთა კოლიზიის არსი, მიეთითებინა, თუ როგორ უნდა მოიქცეს კანონმდებელი ასეთი არასასურველი შემთხვევების დროს და სხვ.

იგი სავსებით სამართლიანად მიუთითებს, რომ კანონთა კოლიზიის შემთხვევაში საჭიროა დადგენა და ზუსტი განსაზღვრა მოქმედ სამართლებრივ ნორმათა ცნებებისა, მათი იურიდიული ძალისა, ამ აქტების გამომცემ ორგანოთა კომპეტენციისა და სხვა.

რათა გავიგოთ და უკეთ დავაფასოთ ლ. ანდრონიკაშვილის მიერ საკითხის ასეთ ასპექტში დაყენების მთელი მნიშვნელობა, და ისიც, თუ როგორ შემოქმედებითად უდგებოდა იგი მის წინაშე მდგარი საკითხების შესწავლას, აუცილებლად უნდა გვახსოვდეს ის გარემოება, რომ ამ პერიოდში საქართველოს საკანონმდებლო პრაქტიკა ჯერ კიდევ მკაფიოდ არ მიჯნავდა ურთიერთისაგან ნორმატიულ აქტებს. მაგ. კანონის ცნების ქვეშ იგულისხმებოდა თითქმის ყველა ზოგადი ხასიათის ნორმა, რასაც დეკრეტის ან დადგენილების სახით გამოსცემდნენ ცენტრალური სახელმწიფო ორგანოები. ეს ის პერიოდია, როდესაც ჯერ კიდევ არ იყო მკაფიოდ განსაზღვრული სახელმწიფო ორგანოთა მიერ მიღებული აქტების იურიდიული ძალა, თვით ამ ორგანოთა ურთიერთდამოკიდებულება და ა. შ. ხშირი იყო შემთხვევები, როდესაც ერთსა და იმავე საკითხზე კანონმდებლობდნენ სხვადასხვა ორგანოები, რაც ხშირად იწვევდა პა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რალელიზმს და კოლიზიას ამ ორგანოთა მიერ გამოცემულ სამართლებრივ აქტებს შორის. მკაფიოდ არ იყო განსაზღვრული თუ რომელი ორგანო რა ხასიათის აქტებს სცემდა, როგორი იყო ამ აქტებს შორის დამოკიდებულება. დადგენილი არ იყო ის ორგანოც, რომელსაც მოქმედი სამართლებრივი ნორმების ოფიციალური ახსნა-განმარტების უფლება ექნებოდა[1]

შეიძლება შემოგვედავონ, რომ როდესაც ლ. ანდრონიკაშვილი ამას წერდა. უკვე არსებობდა საქართველოს რევკომის 1921 წლის 21 აპრილის № 27 დეკრეტი „საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის სარევოლუციო კომიტეტის ხელისუფლების ორგანიზაციის შესახებ“, რომლის თანახმადაც საქართველოს რევკომი ითვლებოდა რესპუბლიკის უმაღლეს საკანონმდებლო, განმკარგულებელ და კონტროლის გამწევ ორგანოდ. დეკრეტის თანახმად რევკომი ამტკიცებდა მის განსახილველად შეტანილ დეკრეტებსა და სხვა წინადადებათა პროექტებს, ~~ეგი~~ დამოუკიდებლად სცემდა დეკრეტებს, დადგენილებებს და სხვა ხასიათის აქტებს[2]... მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ ეგი ჯერ კიდევ არ განსაზღვრავდა, თუ როგორი იყო ამ აქტების იურიდიული ძალა, როგორი იყო მათი ურთიერთდამოკიდებულება და სხვ. მხოლოდ 1922 წლის 10 იანვარს მიიღო საქართველოს რევკომმა № 130 დადგენილება „ხელისუფლების ორგანოთა ურთიერთობლივი დამოკიდებულების შესახებ“, რომელიც საგრძნობლად ავსებდა და ავითარებდა № 27 დეკრეტს. ეს დადგენილება უკვე საკმაოდ დეტალურად განსაზღვრავდა ხელისუფლებისა და მმართველობის ცენტრალურ ორგანოთა კომპეტენციებს, მათ მიერ მიღებული აქტების იურიდიულ ძალას და ა. შ.[3].

ცხადია, ასეთ ვითარებაში ლ. ანდრონიკაშვილს სრული საფუძველი გააჩნდა მოეთხოვა კანონმდებლობის სფეროში თვით ცხოვრების მიერ წამოჭრილი საკითხების მოწესრიგება, მოეთხოვა შექმნილიყო ორგანო, რომელიც უფლებამოსილი იქნებოდა ერთგვაროვანი ახსნა-განმარტება მიეცა მოქმედი სამართლებრივი ნორმებისათვის; გამოცემული ყოფილიყო ისეთი ერთიანი საკანონმდებლო აქტი. რომელიც ერთხელ და სამუდამოდ ბოლოს მოუღებდა იმ მუდმივ სიძნელეებს, რასაც იმ პერიოდში ჰქონდა ადგილი საკანონმდებლო აქტების ახსნა-განმარტებისა და შეფარდების დროს.

რაც შეეხება ლ. ანდრონიკაშვილის მიერ უცხოელთა კუთვნილი ნავთსაცავების ნაციონალიზაციის შეჩერების მოთხოვნას, აქ მკითხველთა საყურადღებოდ გვინდა განვმარტოთ, რომ ლ. ანდრონიკაშვილი არ მოითხოვს საქართველოს რევკომის 1921 წლის 6 ივლისის დეკრეტის გაუქმებას და უცხოეთის ფირმათა კუთვნილი ნავთსაცავების დენაციონალიზაციას. მას არასოდეს არ ეპარებოდა ეჭვი იმაში, რომ ეს დეკრეტი სავსებით სამართლიანად ვრცელდებოდა აგრეთვე უცხოელთა კუთვნილ ნავთსაცავებზე. მაგრამ, თუ, მიუხედავად ამისა, ლ. ანდრონიკაშვილი ამ ნავთსაცავების ნაციონალიზაციის შეჩერების მომხრეა, მხოლოდ იმიტომ, რომ მას, როგორც დიდ იურისტს, კარგად ესმოდა: ზემოაღნიშნულ საერთო საკითხების გადაწყვეტამდე უცხოეთის ფირმათა წარ-

1 შემდეგში ეს ფუნქცია დაეკისრა საქართველოს სსრ იუსტიციის სახალხო კომისარიატს. ეს დოკუმენტი საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ამ საქმეში ლ. ანდრონიკაშვილის დამსახურება უეჭველად ყურადსაღებია.

2 გაზ. „კომუნისტი“, № 41, 1921 წ., 21. IV. გვ. 3.

3 საქართველოს სსრ შსკ „მოამბე“, № 28, 1922 წ., გვ. 6-7.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მომადგენლებს ყოველთვის ექნებოდათ ფორმალური საფუძველი, რათა საეჭ-ვოდ გაეხადათ საბჭოთა ხელისუფლების სავსებით კანონიერი მოქმედება მათი ნავთსაცავების ნაციონალიზაციის საკითხში. ლ. ანდრონიკაშვილი თავის დასკვნაში სწორედ ამიტომ უსვამდა ხაზს იმას, რომ საჭირო იყო ისეთი დეკრეტის შემუშავება, რომელიც ერთხელ და სამუდამოდ მოუღებდა ბოლოს იმ მუდმივ სიძნელეებს, რაზედაც ზემოთ გვქონდა საუბარი.

ლ. ანდრონიკაშვილის დასკვნა ნათელი და გასაგებია. იგი ამავე დროს სწორია. მაგრამ გაუგებარია მოვლენათა შემდგომი განვითარება. კერძოდ საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1921 წლის აგვისტოს თვის № 74 დადგენილება, ჩვენს მიერ უკვე აღნიშნული, ინგლის-ამერიკის სააქციო საზოგადოებათა კუთვნილი ნავთობსაცავების დენაციონალიზაციის შესახებ[1].

მხოლოდ საქართველოს სსრ უმაღლესი ორგანოების აქტიური ჩარევის შედეგად საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა შეცვალა აღნიშნული დადგენილება და 1921 წლის 20 დეკემბერს მიიღო ახალი, რომლითაც კვლავ ნაციონალიზებულ იქნა ბათუმში არსებული ინგლის-ამერიკის ფირმათა კუთვნილი ნავთსაცავები[2].

ასეთია ამ მეტად საინტერესო დოკუმენტის შინაარსი და მასთან დაკავშირებული საკითხის მოკლე ისტორია.

---

[1] იხ. დასახელებული პარტარქივი, ფ. 14. ს. 530. ფ. 82.

[2] იქვე, ფ. 80.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაბადების 70 წლისთავისათვის

პროფ. ირაკლი სურგულაძის ცხოვრება და მოღვაწეობა

პროფ. ივ. სურგულაძე

ირაკლი აპოლონის ძე სურგულაძე დაიბადა 1892 წელს ამბროლაურის რაიონის სოფ. ხვანჭკარაში „საშუალო შეძლების სოფლის მეურნის ოჯახში" (მისი ავტობიოგრაფიიდან). საშუალო სასწავლებელი წარმატებით დაამთავრა თბილისში 1912 წელს და იმავე წელს შევიდა პეტერბურგის ფსიქო-ნევროლოგიურ ინსტიტუტში. ამ ინსტიტუტში სწავლობდა ორი წლის განმავლობაში და გაიარა ე. წ. საერთო საგანმანათლებლო ციკლი. ირ. სურგულაძემ ვერ აიტანა ლენინგრადის ჰავა და იძულებული გახდა დაეტოვებია ეს ქალაქი. სწავლის გასაგრძელებლად ის მიემგზავრება ქ. ტარტუში (მაშინდელი იურიევი) და 1914 წელს შედის დორპატის (ახლანდელი ტარტუს) ცნობილი უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე. მან, IV კურსის სტუდენტმა, დაწერა საპრემიო ნაშრომი „Философские предпосылки учения о праве", რომელიც წარადგინა სადიპლომო შრომად. შრომამ ოქროს მედალი დაიმსახურა. ამ შრომის საფუძველზე ირ. სურგულაძე უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ (1917 წ.), დატოვებულ იქნა საპროფესოროდ მოსამზადებლად სახელმწიფო სამართალში პროფ. ლ. შალლანდთან.

1918 წელს ი. სურგულაძე დაბრუნდა საქართველოში და ცხოვრობდა რაჭაში მშობლებთან 1921 წლამდე. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ იგი მუშაობას იწყებს ქ. ონში რაჭის მაზრის რევკომის იუსტიციის განყოფილების გამგის თანამდებობაზე.

1922 წელს ირ. სურგულაძე გადმოვიდა თბილისში და, დორპატის უნივერსიტეტის ცნობის საფუძველზე, ჩაირიცხა ასპირანტად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაშინდელი სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტზე.

1923-24 წლების განმავლობაში ის აბარებს ზეპირ სადოქტორო გამოცდებს: სახელმწიფო სამართალში (1923 წლის 9 თებერვალს), ადმინისტრაციულ სამართალში (1923 წლის 19 ივნისს), საერთაშორისო სამართალში (1924 წლის 21 მაისს). ყველა საგანში მან მიიღო შეფასება „ფრიადი".

საგამოცდო კომისიის წევრები იყვნენ: პროფ. ი. გამბაროვი, პროფ. ლ. ანდრონიკაშვილი და პროფ. შ. ნუცუბიძე.

ირ. სურგულაძემ 1925 წელს გამოაქვეყნა შრომა — „ხელისუფლება და სამართალი" (გერმანულ ენაზე). ეს იყო სადოქტორო დისერტაცია, რომელიც მან დაიცვა 1927 წელს. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ეს პირველი შემთხვევა იყო იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად დისერტაციის დაცვისა. 1923 წელს ირ. სურგულაძე უნივერსიტეტის მიერ მიწვეული იქნა სახელმწიფო სამართლის ლექტორად, ხოლო 1925 წლიდან მასვე მიენდო ადმინისტრაციული სამართლის კურსი. 1927 წელს ირ. სურგულაძეს მიენიჭა დოცენტის წოდება, ხოლო 1929 წელს პროფესორის წოდება.

პროფ. ირ. სურგულაძე აქტიურად მონაწილეობდა სოციალ-ეკონომიური ფაკულტეტისა და სამართლის ინსტიტუტის საქმიანობაში. ერთხანს ის იყო დეკანის მოადგილე (1926-1930 წლამდე), შემდეგ უნივერსიტეტისაგან გამოყოფილ საბჭოთა აღმშენებლობისა და სამართლის ინსტიტუტის სასწავლო ნაწილის გამგედ (1930-1933 წ.), ხოლო ინსტიტუტის დახურვისა და უნივერსიტეტთან იურიდიული ფაკულტეტის ჩამოყალიბების

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემდეგ იგი იყო დეკანად 1933-დან 1935 წლამდე.

ირ. სურგულაძეს მინიჭებული ჰქონდა მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდება.

პროფ. ირ. სურგულაძე აქტიურ საზოგადოებრივ მუშაობას ეწეოდა. 1926 წლიდან 1928 წლამდე ის იყო უნივერსიტეტის ადგილკომის თავმჯდომარე და ამასთანავე მეცნიერ მუშაკთა სექციის ცენტრალური ბიუროს წევრი.

1937 წლიდან 1945 წლამდე (გარდაცვალებამდე) არჩეული იყო თბილისის საბჭოს დეპუტატად.

1943 წლიდან შეთავსებით მუშაობდა საქართველოს აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის უფროს მეცნიერ თანამშრომლად.

პროფ. ირ. სურგულაძე სამეცნიერო-პედაგოგიურ მუშაობას ათავსებდა პარტიკულ საქმიანობასა და საზოგადოებრივ მოღვაწეობასთან. 1922 წლიდან 1927 წლამდე ის იყო შრომის სასამართლოს თავმჯდომარე და უზენაესი სასამართლოს წევრი. ლექციებიდან სტუდენტები ხშირად სასამართლო პროცესზე მიდიოდნენ, რომელსაც ირ. სურგულაძე ხელმძღვანელობდა. უზენაეს სასამართლოში კი პროფ. ირ. სურგულაძეს ყველაზე რთულ საქმეებს აძლევდნენ გასარჩევად. ბუნებრივი იყო, რომ ასეთი საქმეები საინტერესო იყო იურიდიული თვალსაზრისით და სტუდენტებთან პრაქტიკული მეცადინეობის დროს სწორედ ასეთი საქმეები მოჰქონდათ სავარჯიშოდ. პროფ. ირ. სურგულაძე სამართლის ნორმების პრაქტიკულად გამოყენების მაგალითს უჩვენებდა სტუდენტებს.

პროფ. ირ. სურგულაძე გარდაიცვალა 1945 წლის 22 ნოემბერს უნივერსიტეტში სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს (ლექციის დაწყების წინ).

პროფ. ირ. სურგულაძის ადრინდელი შრომები იდეალისტური კონცეფციით არის დაწერილი. ჰუსერლის ფილოსოფიასა და უკანასკნელის საფუძველზე წარმოშობილ სამართლის ფენომენოლოგიურ სკოლას საკმაო გავრცელება ჰქონდა ბურჟუაზიულ ქვეყნებში, როგორც მოდურ ფილოსოფიასა და სკოლას ირ. სურგულაძის სტუდენტობის ხანაში. ირ. სურგულაძეც ჰუსერლის ფილოსოფიისა და სამართლის ფენომენოლოგიური სკოლის გავლენის ქვეშ აღმოჩნდა. სამართლის ფენომენოლოგიური სკოლის თვალსაზრისით სამართლის მეცნიერებას განყენებული ხასიათი აქვს; ეს სკოლა სამართალს იხილავს მისი კონკრეტული ისტორიული შინაარსის გარეშე, მისი კლასობრივი შინაარსის გარეშე. მოქმედი სამართლის ნორმები, ამ სკოლის აზრით ასახავენ მუდმივი არსებობის მქონე პოსტულატებს, რომლებიც შეიცხობა აპრიოლურად, ინტელექტუალური ინტუიცით. ამიტომ, ამ სკოლის აზრით, სამართლის მეცნიერება გამორიცხავს მიზეზობრიობის კანონზომიერებაზე დამყარებულ კვლევას: სამართლის მეცნიერებამ უნდა შეისწავლოს სამართლის ამსახველი მუდმივი პოსტულატები, ხოლო უკანასკნელთა შესწავლის ერთადერთი საშუალება მდგომარეობს ინტუიციის გზით მათ გამოცნობაში.

როდესაც პროფ. ირ. სურგულაძის მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებისა და განვითარების გზებს ვიხილავთ, საჭიროა აღვნიშნოთ, რომ პროფ. ირ. სურგულაძის მხოლოდ პირველი შრომებია დაწერილი ჰუსერლისა და სამართლის ფენომენოლოგიური სკოლის გავლენის ქვეშ. ამ შემთხვევაშიც პროფ. ირ. სურგულაძეს აქვს წამოყენებული ზოგიერთი ორიგინალური და საღი მოსაზრება. შემდგომ შრომებში პროფ. ირ. სურგულაძე მართებულად იმარჯვებს მარქსიზმ-ლენინიზმის მეთოდოლოგიას.

პირველი შრომა, რომელიც პროფ. ირ. სურგულაძემ გამოაქვეყნა 1925 წელს გერმანულ ენაზე, იყო მისი სადოქტორო დისერტაცია შემდეგი სათაურით: Gewalt und Recht. Abhandludn zum Problem des Verhältnisses von Staat und Recht. Erster Feil der Begriff des Rechtsverhältnisses" („ხელისუფლება და სამართალი. სახელმწიფოსა და სამართლის ურთიერთდამოკიდებულების პრობლემის შესახებ", ნაწილი პირველი, მართლწესრიგის ცნება, 1925 წ. 155 გვ.).

ეს არის პირველი ნაწილი, ანუ ერთგვარი შესავალი ავტორის მიერ მოფიქრებული დიდი შრომისა — „ხელისუფლება და სამართალი", რომელიც მას აღარ დაუწერია შემდეგში. მაგრამ ამ პირველ ნაწილს სავსებით დამოუკიდებელი მნიშვნელობა აქვს და ამდენად დამთავრებულ მონოგრაფიას წარმოადგენს. შრომა ეხება სამართლის თეორიისა და სახელმწიფო სამართლის ზოგიერთ ძირითად საკითხს. ავტორის აზრით, სახელმწიფო სამართლის ბუნების შესასწავლად, პირველ ყოვლისა, აუცილებელია მართლწესრიგის ცნების ყოველმხრივი შესწავლა. მართლწესრიგის ცნების დასადგენად პროფ. ირ. სურგულაძე სწავლობს უფლებრივ ურთიერთობას, როგორც მართლწესრიგის უმარტივეს ელემენტს. უფლებრივი ურთიერთობის შემადგენელი ნაწილების — სუბიექტის, ობიექტის, უფლების, მოვალეობისა და უკანასკნელებთან დაკავშირებულ პრობლემების განხილვა შეადგენს პროფ. ირ. სურგულაძის ხსენებული შრომის საგანს.

პროფ. ირ. სურგულაძე სახელმწიფო სამართლის სპეციალისტი იყო და ამიტომაც, პირველ ყოვლისა, მან მიზნად დაისახა ამ მეცნიერების საგნის განსაზღვრა. სწორედ ამ საკითხთან დაკავშირებით აქვს მას გამოთქმული თავისი შეხედულება სამართლის სხვადასხვა საკითხზე.

პროფ. ირ. სურგულაძე ასე აყენებს საკითხს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახელმწიფო სამართლის, როგორც დამოუკიდებელი მეცნიერების დასაბუთება მაშინ არის შესაძლებელი, თუ დავასაბუთებთ ამ მეცნიერების განსაკუთრებულ საგანს.

თავისთავად საკითხის ასეთი დაყენება მართებულია: მეცნიერების ყოველ დარგს თავისი შესწავლის საგანი აქვს და პირველ ყოვლისა ეს საგანი უნდა იქნეს განსაზღვრული. მაგრამ პროფ. ირ. სურგულაძე ამ შემთხვევაში საკითხს იდეალისტური პოზიციებიდან მიუდგა. პროფ. ირ. სურგულაძის აზრით, საჭიროა მივაგნოთ ობიექტურად არსებულ განსხვავებულ საგნებს და ამის მიხედვით განვსაზღვროთ ამა თუ იმ მეცნიერების საგანი. მისი აზრით სოციალური პროცესების ერთობლიობა, რომელსაც ჩვენ ვხედავთ სახელმწიფოს ცხოვრებაში, არ ამოსწურავს სახელმწიფოს არსს და სახელმწიფო, როგორც ადამიანთა თანაცხოვრების გარკვეული ფორმა განსხვავდება სახელმწიფოსაგან, როგორც სამართლებრივი ინსტიტუტისაგან. ასეთი განსხვავება, პროფ. ირ. სურგულაძის აზრით, წმინდა ლოგიკურია; სინამდვილეში კი სოციალური და სამართლებრივი მჭიდროდ არის ერთმანეთთან დაკავშირებული და თითოეული მათგანი ცალ-ცალკე არც არსებობს.

ამ კონცეფციის იდეალისტური შინაარსი ძირითადად იმაში მდგომარეობს, რომ სახელმწიფო, როგორც სოციალური ფენომენი დაპირისპირებულია სახელმწიფოსადმი, როგორც სამართლებრივ ინსტიტუტთან.

ამ განმარტებაში სავსებით უგულებელყოფილია სახელმწიფოს, როგორც კლასთა ბატონობის ორგანოს დანიშნულება.

პროფ. ირ. სურგულაძის აზრით, არ არის საკმარისი იმის აღნიშვნა, რომ სახელმწიფო, როგორც სამართლის ინსტიტუტი განსხვავებულია სახელმწიფოსაგან, როგორც სოციალური წარმონაქმნისაგან. ავტორის აზრით, საერთოდ დამოუკიდებელი მეცნიერება შეიძლება არსებობდეს მხოლოდ მაშინ, როცა ეს მეცნიერება თავის საკუთარ კანონებს ემყარება, ისეთ კანონებს, რომლებსაც სხვა მეცნიერება არ ემყარება. ამ შემთხვევაში ავტორი ჰუსერლის მისდევს. ავტორი საკითხს ამგვარად აყენებს: სამართლებრივი კატეგორიები, რომლებსაც ჩვენ ვხვდებით სამართლებრივ ურთიერთობაში არ ატარებენ რეალურად არსებული მოვლენის ხასიათს; რეალურად არსებული მოვლენები მიზეზობრიობის კანონებს ემორჩილებიან, ხოლო სამართლებრივი კატეგორიები, როგორც იდეალური წარმონაქმნები, არ ემორჩილებიან მიზეზობრივ კანონზომიერებას. ბუნების მოვლენები მიზეზობრიობის კანონს ემორჩილება, სამართალი კი, რომელსაც არა აქვს რეალური ხასიათი არ ემორჩილება მიზეზობრიობის კანონზომიერებას. პროფ. ირ. სურგულაძის აზრით, თუ სამართალს რეალური არსებობის ხასიათს მივანიჭებთ, მაშინ მას დავუმორჩილებთ მიზეზობრიობის კანონს, ისე როგორც ყოველგვარი რეალურად არსებულ მოვლენას და ამით წავშლით ყოველგვარ განსხვავებას ბუნებისა და სამართლის მოვლენებს შორის, ბაზისსა და ზედნაშენს შორის და ა. შ.

ჰუსერლიც სოციოლოგიის, როგორც დამოუკიდებელი მეცნიერების არსებობის აუცილებელ პირობად სწორედ იმას თვლიდა, რომ უპირისპირებდა ერთმანეთს რეალურსა და ლოგიკურ კატეგორიებს.

საყურადღებოა აღინიშნოს, რომ პროფ. ირ. სურგულაძე ამ საკითხის გადაჭრაში ჰუსერლის იშველიებს და ხშირად მოყავს ციტატები მისი შრომიდან (კერძოდ, მეცნიერებათა კლასიფიკაციის საკითხის გადაჭრაში ის ჰუსერლის ემყარება).

პროფ. ირ სურგულაძე სახელმწიფო სამართლის, როგორც დამოუკიდებელი მეცნიერების, დასაბუთების ცდაში მივიდა იმ დასკვნამდე, რომ სამართალი მოკლებულია რეალურ ყოფიერებას, რომ ის არ ემორჩილება მიზეზობრივ კანონზომიერებას. სამართალი, პროფ. ირ. სურგულაძის აზრით, თავისი დანიშნულებით წარმოადგენს საშუალებათა კომპლექსს, რომლის მიზანია საზოგადოებრივ მიმართებათა რეგულირება. ამიტომ და ამდენად, განაგრძობს პროფ. ირ. სურგულაძე, მართლწესრიგი თავის შინაგანი კანონზომიერებით არ შეიძლება ემთხვეოდეს საზოგადოებრივ მიმართებას.

პროფ. ირ. სურგულაძის აზრით, სამართლისა და რეალურად არსებულ საზოგადოებრივ ურთიერთობათა გასამიჯნავად, საშუალებისა და მიზნის დაპირისპირება ერთგვარი ამოსავალია. საქმე იმაშია, რომ მოვლენები, რომლებიც საშუალებას ეკუთვნის, განსხვავდებიან იმ მოვლენისაგან, რომლებიც მიზანს ეკუთვნის, მაგრამ ეს განსხვავება არ არის საკმარისი დამოუკიდებელი მეცნიერების არსებობის დასასაბუთებლად.

პროფ. ირ. სურგულაძის აზრით, ეს იმას ნიშნავს, რომ სამართლისა და სოციალურ მიმართების შორის განსხვავება არ ამოიწურება იმ განსხვავებით, რომელიც საშუალებასა და მიზანს შორის არსებობს. უკანასკნელი ხასიათის (საშუალება და მიზანი) განსხვავება შეიძლება არსებობდეს ერთი და იმავე ონტოლოგიური რიგის მოვლენებს შორის და ასეთ შემთხვევაში ის სპეციალური კანონზომიერება, რომელიც ამ ორი წყების მოვლენის შორის არსებობს, აუცილებლად უნდა დასაბუთდეს ონტოლოგიური რიგის ძირითადი კანონზომიერებით. ეს უკანასკნელი კი არის ძირითადი საფუძველი, რომლითაც ერთი რიგის ონტოლოგიური მოვლენები განსხვავდება სხვა რიგის მოვლენებისაგან.

პროფ. ირ. სურგულაძის აზრით, ასეთი საფუძ-

ველმბადებელი განსხვავება სამართლისა და საზოგადოებრივ მიმართებათა შორის იმაში მდგომარეობს, რომ სოციალური მიმართების ყოფიერება ხასიათდება ონტოლოგიურად, როგორც რეალური ყოფიერება და მის არსებობას განსაზღვრავს მისთვის ძირითადი მიზეზობრივი კანონზომიერება; მაშინ, როდესაც მართლწესრიგი, სამართალი ონტოლოგიურად წარმოადგენს ყოფიერების იდეალურ ფორმას, რომლის შინაგანი კანონზომიერება გამორიცხავს მიზეზობრივ კანონზომიერებას. პროფ. ირ. სურგულაძის მოსაზრებით, სწორედ აქ არის მოცემული ის დასაბუთება, რომელიც ესაჭიროება სახელმწიფო სამართალს, როგორც დამოუკიდებელ მეცნიერებას.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ საკითხის ასეთი გადაწყვეტა იდეალისტურია. რადგან ამ შეხედულებით სამართლებრივი მოვლენები მოკლებულია ყოფიერების ნიშანს და ამით ის გამოცალკევებულია რეალურად არსებული სამყაროდან. ამასთან ერთად, პროფ. ირ. სურგულაძე აყენებს საკითხს იმის შესახებ თუ რა დამოკიდებულებაა, ან როგორია იმ დამოკიდებულების ხასიათი, რომელიც არსებობს სამართალსა და სოციალურ მოვლენებს შორის.

პროფ. ირ. სურგულაძის აზრით, სამართლის კატეგორიებში მოცემულია შინაგანი ორბუნებოვანობა, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ კატეგორიებში წმიდა სამართლებრივ მომენტების გვერდით მოცემულია აგრეთვე არასამართლებრივი მოვლენებიც. ავტორის აზრით, სამართლის შესწავლის დროს, ისე როგორც ყოველი საგნის მეცნიერული შესწავლის დროს, უნდა შევისწავლოთ არა მარტო ის, რაც შეინიშნება სამართალში მისი განცალკევებით წარმოდგენისას, არამედ ისიც, რაც სამართალს ახასიათებს სხვა საგნებთან დამოკიდებულებაში. მხოლოდ ამ დამოკიდებულებების შინაარსის მეცნიერულად ამოხსნითაა შესაძლებელი სამართლის ჭეშმარიტი ბუნების შესწავლა. სამართალი ზედნაშენის კატეგორიაა. აქედან გამომდინარეობს, რომ სამართალი ბაზისზე ანუ ეკონომიური რიგის მოვლენაზეა დამოკიდებული.

სახელმწიფო სამართლის საგანი ნორმათა გარკვეული სისტემაა, რომელიც არ შეიძლება იზოლირებული იყოს არასამართლებრივი მოვლენებისაგან, რადგანაც ნორმათა ეს სისტემა სწორედ არასამართლებრივ მოვლენებთან კავშირში ამჟღავნებს თავის ბუნებას.

სახელმწიფოს ორივე მხარე სოციალური და სამართლებრივი, ავტორის აზრით მჭიდროდ არიან ერთმანეთთან დაკავშირებულნი. სამართლებრივი სისტემა წარმოადგენს სოციალური ცხოვრების ნამდვილსა და გაუთიშავ მომენტს.

პროფ. ირ. სურგულაძის ხსენებულ ნაშრომში წამოყენებულია ძირითადი დებულება იმის შესახებ, რომ სახელმწიფო სამართლის საგნის სწორი განმარტებისათვის აუცილებელია წინასწარ იმის გაშუქება, თუ რა თავისებურება ახასიათებს სამართალს საერთოდ. სარეცენზიო ნაშრომი მთლიანად ამ ამოცანის გადაჭრისადმი არის მიძღვნილი. ნაშრომში დასმულია და გაშუქებულია საკითხი სამართლის ძირითადი ელემენტების და მათი ბუნების შესახებ. ამასთანავე, სამართლის ეს ელემენტები შრომაში განხილულია სამართლისა და არასამართლებრივი მოვლენების შორის დამოკიდებულების ვითარებაში და ნაჩვენებია, რომ ამ დამოკიდებულების შესწავლის გარეშე შეუძლებელია სამართლის არსის ამოხსნა.

ავტორი მართებულად სვამს საკითხს სამართლის ელემენტების შესახებ. სწორია აგრეთვე ავტორის შეხედულება იმის შესახებ, რომ სამართლებრივი და არასამართლებრივი მოვლენები ერთობლიობაში, ურთიერთკავშირში უნდა იქნას განხილული. პროფ. ირ. სურგულაძის მიერ დასმულ საკითხზე (სამართლებრივ და არასამართლებრივი მოვლენების ერთობლივად შესწავლის შესახებ) ავტორის მეორე შრომის გარჩევისას შევჩერდებით.

პროფ. ირ. სურგულაძის მეორე შრომის (რომელიც ერთგვარ დამატებას წარმოადგენს პირველი შრომისა) სახელწოდებაა: „იურიდიული მეთოდოლოგიისათვის“ (ჟურნ. „მნათობი“, 1928 წელი, № 10, გვ. 198-210). ნაშრომი თავისი შინაარსით პოლემიკური ხასიათისაა. მისი ქვესათაური ასეთია: „პასუხი გ. ნანეიშვილს“ (ჟურნ. „მნათობი“, 1928 წელი, № 3). პროფ. გ. ნანეიშვილმა გამოაქვეყნა წერილი სათაურით — „ერთი წიგნის მეთოდოლოგიისათვის“. ეს წერილი წარმოადგენს რეცენზიას პროფ. ირ. სურგულაძის შრომაზე — „ხელისუფლება და სამართალი“; პროფ. ირ. სურგულაძის ეს წერილი პროფ. გ. ნანეიშვილის რეცენზიის პასუხია.

ამ შრომაში პროფ. ირ. სურგულაძე ცდილობს დაიცვას სადოქტორო შრომის ძირითადი დებულებები. მაგრამ ამასთანავე იგი მკითხველის ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ ხსენებულ შრომაში მას საუბარი აქვს სამართლის დამოკიდებულებაზე სოციალურ-ეკონომიური პირობებისაგან.

პროფ. ირ. სურგულაძემ მართლაც დააყენა საკითხი სოციალურ და სამართლებრივ ურთიერთობის შესახებ და თავისებურად გადაჭრა ის. პროფ. ირ. სურგულაძის აზრით, სამართლის შესწავლა ცალკე, სოციალ-ეკონომიური მოვლენებისაგან იზოლირებულად შეუძლებელია. სამართალი ზედნაშენური კატეგორიაა; როგორც ზედნაშენი, სამართალი მჭიდროდ არის დაკავშირებული სოციალ-ეკონომიურ ფაქტორთან. სამართლის ჭეშმარიტი არსის ამოხსნა შესაძლებელია მხოლოდ მაშინ

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ სამართალი და სოციალური მოვლენები ერთად იქნება შესწავლილი. ამ შემთხვევაში პროფ. ირ. სურგულაძის შეხედულება ორიგინალურია იმ მხრივ, რომ სამართლის ფენომენოლოგიური სკოლის სხვა წარმომადგენელთათვის, და საერთოდ ნორმატიული სკოლის წარმომადგენელთათვის საკითხისადმი ასეთი მიდგომა უცხოა. ამავე დროს პროფ. ირ. სურგულაძის მიერ წამოყენებული დებულება სამართლის და სოციალური მოვლენის შესწავლის შესახებ შედარებით უფრო პროგრესულია, ე. ი. წინ გადადგმული ნაბიჯია. საერთოდ კი ეს სწორი დებულება ეწინააღმდეგება მის შრომებში გატარებულ იდეალისტურ კონცეფციას.

როგორც ვთქვით, პროფ. ირ. სურგულაძეს ხსენებულ შრომებში ის აზრი აქვს გატარებული, რომ სოციალური და სამართლებრივი მოვლენები ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ, თავთავიანთ კანონზომიერებას ემორჩილებიან. ამ შემთხვევაში ირ. სურგულაძე ჰუსერლის ფილოსოფიის საფუძველზე დგას და სამართლის ფენომენოლოგიური სკოლისათვის დამახასიათებელ დებულებებს ანვითარებს.

საყურადღებოა იმ გარემოების აღნიშვნა, რომ უფრო გვიან თვითონ პროფ. ირ. სურგულაძე აღნიშნავდა ამ შრომებში დაშვებული მეთოდოლოგიური შეცდომების შესახებ.

1930 წელს თბილისში მოეწყო დისკუსია „საბჭოთა საქართველოში იურიდიული აზრის შესახებ“, სადაც განხილული იქნა აგრეთვე პროფ. ირ. სურგულაძის ხსენებული შრომებიც. დისკუსიაზე განსაკუთრებული ყურადღება მიექცა საბჭოთა ხელისუფლების დროს სამართლის დარგში გამოქვეყნებული შრომების მეთოდოლოგიურ მხარეს. ამ დისკუსიაზე ორჯერ გამოვიდა სიტყვით პროფ. ირ. სურგულაძე (იხ. ამის შესახებ „Против идеализма в правовой мысли Советской Грузии“, 1931 г).

სიტყვებში პროფ. ირ. სურგულაძემ აღნიშნა, რომ თავის შრომებში მას საუბარი აქვს სამართალზე როგორც ზედნაშენზე, რომ სამართალი შესწავლილი უნდა იქნეს სოციალ-ეკონომიურ მოვლენებთან დაკავშირებით და სხვა. ამასთანავე დისკუსიის შესახებ სტენოგრაფიულ მასალას დართული აქვს პროფ. ირ. სურგულაძის განცხადება, რომ მისი სადოქტორო შრომა შეიცავს მეთოდოლოგიური ხასიათის შეცდომებს.

კიდევ უფრო გვიან ამ შრომების შესახებ პროფ. ირ. სურგულაძე წერდა: ეს შრომები „როგორც მეთოდოლოგიურად, ისე შინაარსის მხრივ ჯერ კიდევ ბურჟუაზიული უფლებრივი იდეოლოგიის ძლიერი გავლენის ქვეშ იმყოფებოდნენ“ („მეცნიერება საბჭოთა საქართველოში 25 წლის მანძილზე“, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, 1946 წელი, პროფ. ირ. სურგულაძის წერილი — „სამართალი“, გვ. 107, წერილი დაწერილია 1945 წელს, გამოქვეყნდა ის ავტორის გარდაცვალების შემდეგ).

პროფ. ირ. სურგულაძის მიერ შემდგომ გამოქვეყნებული შრომები ძირითადად სწორ მეთოდოლოგიურ საფუძველზეა აგებული.

პროფ. ირ. სურგულაძემ 1928 წელს გამოაქვეყნა შრომა „საჯაროსამართლებრივი ხელშეკრულების პრობლემა“ (ჟურნ. „საბჭოთა სამართალი“, 1928 წ. № 5). ავტორს ამ შრომაში განხილული აქვს საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ უნდა იქნეს დახასიათებული ის მდგომარეობა, როცა იურიდიული მიმართების სუბიექტად გამოდიან ერთის მხრივ სახელმწიფო, როგორც საჯარო ხელისუფლების მატარებელი, მეორეს მხრივ კი კერძო მოქალაქე. ავტორის აზრით, საერთოდ საჯარო სამართალი არ გამორიცხავს ხელშეკრულების ცნებას, ამის მაჩვენებელია საერთაშორისო ხასიათის ხელშეკრულებანი, აგრეთვე სახელმწიფოს შიგნით დაწესებულებათა შორის დადებული ხელშეკრულებანი.

ავტორი აღნიშნავს, რომ სახელმწიფო თავის დამოკიდებულებას კერძო პირთან აწესრიგებს არა მარტო ცალმხრივი განკარგულებით, არამედ ხელშეკრულებითაც.

ავტორს მოყავს ამ საკითხზე ბურჟუაზიულ იურიდიულ მეცნიერებაში გამოთქმული სხვადასხვა მოსაზრებანი.

პროფ. ირ. სურგულაძე აკრიტიკებს თითოეულ შეხედულებას. მისი აზრით, ამ პრობლემის გადაჭრა „მჭიდროდ არის დაკავშირებული სამართლის მოძღვრების ზოგიერთ ძირითად ცნებასთან“.

ავტორს განზრახული ჰქონდა ამ საკითხებზე მეორე წერილის დაწერაც (ხსენებული წერილის ბოლოს წერია: „გაგრძელება იქნება“), რომელშიაც დაწვრილებით იქნებოდა მოცემული ავტორისეული შეხედულება, მაგრამ, როგორც ჩანს, ეს განზრახვა მას ვერ განუხორციელებია. ამის გამო ხსენებული შრომა დამთავრებულად არ ჩაითვლება.

1929 წელს პროფ. ირ. სურგულაძემ გამოაქვეყნა შრომა შემდეგი სათაურით—„კ. კაუცკის ახალი მოძღვრება სახელმწიფოს შესახებ“ (ჟურნ. „მნათობი“, 1929 წელი, № 10). წერილი წარმოადგენს ვრცელ რეცენზიას კ. კაუცკის შრომაზე: „Die materialistische Geschitsauffassung,“ 1927, Bd I—II.

პროფ. ირ. სურგულაძის აზრით, სახელმწიფოს არსის შესწავლას უდიდესი მნიშვნელობა აქვს, რადგან სახელმწიფო თავისი წარმოშობის დროიდანვე დიდ გავლენას ახდენდა საზოგადოების განვითარებაზე, სახელმწიფოს ბუნების შესწავლის გარეშე შეუძლებელიც არის საზოგადოების განვითარების სხვადასხვა ეტაპების გათვალისწინება.

ავტორი აღნიშნავს, რომ სახელმწიფოს არსის გაგების საკითხში კ. კაუცკი სავსებით ჩამოშორდა მარქსიზმს, თუმცა თვით კ. კაუცკის რომ დავუჯეროთ, ამ საკითხში ის მარქსისა და ენგელსის თეორიის „ძირითად საფუძვლებს“ არ მოშორებია.

პროფ. ირ. სურგულაძის აზრით, კ. კაუცკის მიერ სახელმწიფოს ბუნების შესწავლა, პირველ რიგში, სახელმწიფოს წარმოშობის საკითხის შესწავლის აუცილებლობა მართებულია, მაგრამ თვით საკითხის კაუცკისეული გადაჭრა არ არის მარქსისტული.

პროფ. ირ. სურგულაძე ასაბუთებს, რომ კ. კაუცკის აზრით სახელმწიფო წარმოიშობა ერთი ტომის მიერ მეორე ტომის დაპყრობის შედეგად. ამ შემთხვევაში კ. კაუცკის შეხედულება გუმპლოვიჩის თეორიისაგან არსებითად არ განსხვავდება.

პროფ. ირ. სურგულაძის აზრით, კ. კაუცკის ძალადობის თეორია უარყოფს მარქსიზმის იმ ძირითად დებულებას, რომ სახელმწიფო წარმოიშობა პირველყოფილი თემური წყობილების შინაგანი ეკონომიური განვითარების შედეგად, როდესაც კერძო საკუთრების გაჩენა აპირობებს ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციას, ე. ი. კლასების გაჩენას.

პროფ. ირ. სურგულაძის აზრით, კ. კაუცკი შორდება მარქსიზმს აგრეთვე თანამედროვე კაპიტალისტური სახელმწიფოს დანიშნულების გაგების საკითხში.

პროფ. ირ. სურგულაძეს მოჰყავს კაუცკის მოსაზრება იმის შესახებ, რომ ბურჟუაზიული ქვეყნების დემოკრატია სახელმწიფოს ისეთი ფორმაა, რომელიც არსებითად განსხვავდება წინამორბედი სახელმწიფოსაგან. მას, ე. ი. ბურჟუაზიულ დემოკრატიულ სახელმწიფოს არ მიუდგება მარქსიზმის ის განმარტება, რომლის მიხედვით სახელმწიფო არის კლასთა ბატონობის ორგანო. პროფ. ირ. სურგულაძე გადმოგვცემს, რომ კ. კაუცკის მსოფლმხედველობით, განსხვავებით ანტიკური დემოკრატიისა, თანამედროვე ე. ი. ბურჟუაზიული დემოკრატია თავისი არსით, ბუნებით, დანიშნულებით არ ითმენს არავითარ, განსაკუთრებული უფლებებით აღჭურვილ ორგანიზაციას, რადგანაც ის ემყარება ყველა მოქალაქის თანასწორუფლებიანობას და ამ მხრივ ის უახლოვდება პირველყოფილთემურ წყობილებას, რომელმაც არ იცოდა აგრეთვე უთანასწორობა. კ. კაუცკის აზრით, ასკვნის პროფ. ირ. სურგულაძე, ბურჟუაზიული დემოკრატია პროლეტარიატს ესაჭიროება სოციალური გამარჯვებისათვის, დემოკრატია კლასობრივ ბრძოლას აძლევს მშვიდობიან ხასიათს, იგი შეუძლებლად ხდის შეიარაღებული ბრძოლის საჭიროებას კლასობრივი კონფლიქტების გადასაჭრელად.

პროფ. ირ. სურგულაძე მიუთითებს კაპიტალისტურ ქვეყნებში მუშათა მოძრაობის პრაქტიკაზე, როგორც ისეთ მოვლენაზე, რომელიც „ეწინააღმდეგება“ კ. კაუცკის შეხედულებას. კ. კაუცკის აზრით, პროლეტარიატი სოციალიზმს უნდა შეეზარდოს მშვიდობიანი გზით, ხოლო ბურჟუაზიული დემოკრატია ის პოლიტიკური ფორმაა, რომელიც უზრუნველყოფს ამ მშვიდობიან მსვლელობას. პროფ. ირ. სურგულაძე მართებულად აღნიშნავს, რომ კაუცკი უარყოფს მარქსიზმის კლასიკოსების თეორიას პროლეტარიატის დიქტატურის შესახებ.

პროფ. ირ. სურგულაძე აღნიშნავს, რომ კ. კაუცკიმ სავსებით უარყო მარქსიზმი, მისი ძირითადი დებულება, რომ ეკონომიკა არის განვითარების საფუძველი, რომ სახელმწიფო არის გაბატონებული კლასის ორგანო.

პროფ. ირ. სურგულაძის შრომა — „კ. კაუცკის ახალი მოძღვრება სახელმწიფოს შესახებ“ ძირითადად მარქსიზმ-ლენინიზმის მეთოდოლოგიურ საფუძველზეა აგებული.

მაგრამ ამ წერილშიც ავტორს აქვს მოცემული ზოგიერთი საკითხის არა საკმარისი განმარტება ანუ არაზუსტი ფორმულირება. ასეთია, მაგალითად, საზოგადოებისა და სახელმწიფოს დამოკიდებულება სახელმწიფოს წარმოშობის საკითხთან დაკავშირებით. ამ საკითხის განხილვისას ავტორი ხაზს არ უსვამს იმ გარემოებას, რომ სახელმწიფოს წარმოშობა არის შედეგი კლასთა წინააღმდეგობის შეურიგებლობისა.

შემდგომ პერიოდში პროფ. ირ. სურგულაძის მიერ გამოქვეყნებული შრომებიდან კი ჩანს, რომ მათი ავტორი სავსებით დაეუფლა მარქსიზმ-ლენინიზმის მეთოდოლოგიას.

1937 წელს პროფ. ირ. სურგულაძემ გამოაქვეყნა შრომა „მოქალაქეთა უფლებები და მოვალეობანი 1936 წლის კონსტიტუციის მიხედვით“ (ჟურნ. „კომუნისტური აღზრდისათვის“, 1937 წელი, № 3, გვ. 81-90).

ავტორის აზრით, 1936 წლის კონსტიტუციის მე-10 თავის შეფასება უნდა მოხდეს „საზოგადოების ისტორიული განვითარების პერსპექტივის თვალსაზრისით“.

ავტორი იხილავს პიროვნების ძირითად უფლებების საკითხს ანტაგონისტურ საზოგადოებათა ისტორიაში და აღნიშნავს, რომ საერთოდ ანტაგონისტურ საზოგადოებაში პიროვნების უფლებები გაბატონებული კლასის ინტერესების შესაბამისად წყდებოდა და ამოსავალი პრინციპი, რომელზედაც იყო დაფუძნებული პიროვნების უფლებები — ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია იყო.

მშრომელთა ექსპლოატაციის ის ფორმები, რომლებიც მონათმფლობელურისა და ფეოდალური საზოგადოებისათვის იყო დამახასიათებელი, აუცილებლად თხოულობდა გარეეკონომიურ იძულებას. მონები და ყმები მოკლებულნი იყვნენ ადამიანურ

ეროვნული ბიბლიოთეკა

უფლებებს, შონას განიხილავდნენ როგორც ნივთს, მოლაპარაკე ინსტრუმენტს; მაშასადამე, ის სამართლის მხოლოდ ობიექტი იყო. რაც შეეხება ყმას, მისი უფლებები ამოიწურებოდა „სამოქალაქო ბრუნვაში შეზღუდულ ფორმებში მონაწილეობის შესაძლებლობით“, ხოლო საჯარო უფლებრივი სფეროდან ყმა სავსებით გამორიცხული იყო.

ავტორი აღნიშნავს, რომ მონათმფლობელურსა და ფეოდალურ საზოგადოებაში თავისუფალი ფენების მდგომარეობაც არ იყო ერთგვარი, მაგრამ ორთავე საზოგადოებისათვის საერთო ის იყო, რომ გაბატონებული კლასის ინტერესი განსაზღვრავდა ადამიანის უფლებებს.

კაპიტალისტურ საზოგადოებაში, რასაკვირველია, მოცემულია ეს შინაგანი შეუძლებლობა ადამიანის უფლებების აღიარებისა. ექსპლოატაციის საფუძველზე აგებულ კაპიტალისტურ საზოგადოებას არ შეუძლია პიროვნების უფლებების ცნობა, რადგანაც სამართლებრივ ზედნაშენის „სფეროში მოცემული მოვლენები თავისი შინაარსით მხოლოდ“ კლასობრივი ექსპლოატაციის მიზნით არის განსაზღვრული. ადამიანის უფლებები ბურჟუაზიულ საზოგადოებაში ფორმალურად არის აღიარებული და რეალურად არ ხორციელდება.

„ნამდვილი მთლიანობა ინდივიდის და საზოგადოების ინტერესებს შორის, ნამდვილი კოლექტიურობის მიღწევა, მხოლოდ კლასობრივი ექსპლოატაციის, საზოგადოებრივ მიმართებათა ანტაგონისტური ფორმების მოსპობის ნიადაგზეა შესაძლებელი. ამას კი ადამიანი სოციალისტურ საზოგადოებაში აღწევს“, წერს ავტორი.

ანტაგონისტურ საზოგადოებაში საჯარო უფლებებით სარგებლობა ფაქტიურად შეუძლებელია. იმ დიდი ცვლილების შინაარსი, რომელიც 1936 წლის სსრ კონსტიტუციის მე-10 თავს შეაქვს, „პიროვნების უფლებრივი მდგომარეობის საკითხში ის არის, რომ აქ პირველად ჰპოებს თავს განთავისუფლებული ადამიანი, განთავისუფლებული კლასობრივი საზოგადოების ყველა ხუნდისაგან და მას თავისი ძალისა და ნიჭის განვითარების უსაზღვრო პერსპექტივები ეშლება წინ“.

პროფ. ირ. სურგულაძის ეს ნაშრომი მეთოდოლოგიურად სწორ საფუძველზეა აგებული.

განხილული შრომის შემდეგ, ე. ი. 1937 წლის შემდეგ, პროფ. ირ. სურგულაძემ თავის მეცნიერულ კვლევის საგნად სახელმწიფო სამართლის ნაცვლად ძირითადად სამართლის ისტორია გაიხადა. მთელი თავისი უშრეტი ენერგია და მეცნიერული კვლევის დიდი ალღო გადაიტანა მან სამართლის ისტორიის პრობლემების დამუშავებაზე. სამართლის ზოგადი ისტორიის საკითხების შესწავლის შემდეგ ის შეუდგა საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიის შესწავლას.

ამასთანავე უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე პროფ. ირ. სურგულაძე შეუდგა სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი ისტორიის, საჭოთა კავშირის ხალხების სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიისა და რომის სამოქალაქო სამართლის კურსების წაკითხვას.

ფართო იურიდიული განათლება, დიდი ნიჭი და ერუდიცია, რომის სამართლის იშვიათი ცოდნა თავდები იყო იმისა, რომ პროფ. ირ. სურგულაძეს დიდი წარმატება ექნებოდა სამართლის ისტორიის დარგში. პირველ ყოვლისა, ის შეუდგა ძველ აღმოსავლეთის სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიის შესწავლას. პროფ. ირ. სურგულაძე არ დასჯერდა რუსულ, გერმანულ, ფრანგულ და ინგლისურ ენებზე არსებულ ლიტერატურას ძველი აღმოსავლეთის შესახებ და პირველ წყაროებზე მუშაობისათვის შეუდგა ასურული და ეგვიპტური დამწერლობის შესწავლას. პროფ. ირ. სურგულაძე მიემგზავრება სამეცნიერო მივლინებაში მოსკოვსა და ლენინგრადში სათანადო სპეციალისტებთან მჭიდრო კონტაქტის დასამყარებლად და შესასწავლი პრობლემებისათვის საჭირო მასალების მოსაპოვებლად. ამასთანავე იურიდიულ უმაღლეს სასწავლებელთა საკავშირო სამმართველო ავალებს პროფ. ირ. სურგულაძეს სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი ისტორიის სახელმძღვანელოს შედგენას. ამ დავალების შესრულება მას არ დასცალდა, მაგრამ აღმოსავლეთის ხალხების სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიის შესწავლის მიმართულებით კი მან სერიოზული ნაბიჯი გადადგა.

პროფ. ირ. სურგულაძემ დაწერა შესანიშნავი გამოკვლევა ეგვიპტის ძველი პერიოდის სახელმწიფოს და სამართლის ისტორიიდან. შრომის სათაური ასეთია: „საგვარეულო წყობილების ორგანოების აღმნიშვნელი ტერმინები ძველ ეგვიპტურ ენაში“ I (სსრ კავშირის მეცნიერების აკადემიის საქართველოს ფილიალის მოამბე, ტ. I, № 8, 1940, გვ. 629-636; II წერილი ამავე სათაურით მოთავსებულია იმავე „მოამბის“ 1940 წლის № 10-ში, გვ. 771-778, ხოლო III წერილი „მოამბის“ II ტომში, 1941 წლის № 3 გვ. 285-292). მიუხედავად იმისა, რომ სამივე წერილი ერთსა და იმავე სახელს ატარებს, შინაარსის მიხედვით ისინი სამ გამოკვლევას წარმოადგენენ, რადგანაც თითოეული წერილის საკვლევი ობიექტი სხვადასხვაა: პირველ წერილში შესწავლილია საგვარეულო წყობილებიდან მომდინარე ერთი ტერმინი, მეორეში სხვა და მესამეში კიდევ სხვა.

თავის პირველი წერილის დასაწყისში ავტორს ერთგვარი შესავალი აქვს გაკეთებული. ამ შესავალში მას აღნიშნული აქვს, რომ ეგვიპტის გვაროვნული წყობილების ინსტიტუტების შესწავლას მნიშვნელობა აქვს არა მარტო ეგვიპტის

ისტორიისათვის, არამედ საერთოდ პირველყოფილი თემური წყობილების შესწავლის თვალსაზრისითაც.

პირველყოფილ-თემური წყობილების „შესახებ მეცნიერულად გამართული თეორია მარქსიზმის ფუძემდებელთაგან დიდი ისტორიულ-ეთნოგრაფიული მასალის საფუძველზე იყო გამომუშავებული; მაგრამ მარქსისტულ-ლენინური მოძღვრება პირველყოფილი საზოგადოების მოძრაობისა და არსებითი სტრუქტურის შესახებ ძირითადში იმ სოციალურ სინამდვილეზე არის ორიენტირებული, რომელსაც განვითარების წინაკლასობრივ საფეხურზე ანტიკური ქვეყნები და ევროპის ხალხები გვიჩვენებენ, ხოლო მეორე მხრივ იმ მასალაზე, რომელიც XIX-XX სს. ეთნოგრაფიულ კვლევათა შედეგად არის ამოცნობილი“. როგორც ცნობილია, აღნიშნავს ავტორი, ძველი აღმოსავლეთის ქვეყნების საზოგადოებრივი განვითარების თავისებურებათა შესახებ მარქსიზმის კლასიკოსების შრომებში ფუძემდებელი შენიშვნებია გაკეთებული, „რომელიც ამ დარგში ყოველი მეცნიერული კვლევისათვის მეთოდოლოგიურსა და შინაარსობრივ დასაყრდენს წარმოადგენს, მაგრამ, როგორც ცნობილია, აღმოსავლეთის ხალხებში საგვარეულო წყობილების საკითხი მარქსიზმის ფუძემდებელთაგან სპეციალური დამუშავების საგნად დასახული არ ყოფილა.“

ამიტომ, პროფ. ირ. სურგულაძის მოსაზრებით, კიდევ უფრო დიდია მეცნიერული ინტერესი აღმოსავლეთის ქვეყნებში გვაროვნული წყობილების შესწავლისადმი, რადგანაც ხსენებული პრობლემა ჯერ კიდევ შეუსწავლელია და იმავე დროს ისტორიის ეს პერიოდი აღმოსავლეთის ქვეყნებში რიგ თავისებურებათა მატარებელია. ამ პრობლების „მეცნიერული გაშუქება, მარქსისტულ-ლენინური თეორიის დებულებათა საფუძველზე შესრულებული ამ თეორიის შემდგომ კონკრეტიზაციას, მის განვითარებას ემსახურება“.

აღმოსავლეთის ქვეყნებში გვაროვნული წყობილების შესასწავლად, იმ თავისებურებათა გამოსავლინებლად, რომლებიც დამახასიათებელია ამ ქვეყნის გვაროვნული წყობილებისათვის, ავტორს საჭიროდ მიაჩნია აღმოსავლეთის ცალკეული ქვეყნების სათანადო მასალის ანალიზი, ამ მასალის მონაცენების გააზრება, რომ ამ გზით შესაძლებელი იყო სხვადასხვა ქვეყნებისათვის საერთო დასკვნების გამოტანა.

ავტორი გვაროვნული წყობილების შესწავლას იწყებს ეგვიპტიდან. პროფ. ირ. სურგულაძე აღნიშნავს, რომ არქეოლოგიური გათხრების შედეგად ეგვიპტის ტერიტორიაზე აღმოჩენილი მატერიალური კულტურის ძეგლების ანალიზი ეჭვს არ ტოვებს იმაში, რომ ნილოსის დაბლობის მოსახლეობამ თანმიმდევრულად განვლო გვაროვნული წყობილების სხვადასხვა საფეხური. ამასთანავე, ავტორის აზრით, არქეოლოგიური მასალის ანალიზის საფუძველზე შესაძლებელია გვაროვნული წყობილების ძირითადი საფეხურების განსაზღვრა. მაგრამ ეს მასალა არ არის საკმარისი იმისათვის, რომ დახასიათებულ იქნას ეგვიპტის გვაროვნული წყობილების თავისებურებანი. ეგვიპტის საგვარეულო საზოგადოების კონკრეტული სტრუქტურის აღდგენისათვის საჭიროა „იდეოლოგიური შემონაქმედის კრიტიკული ანალიზი“. ამასთანავე ავტორი აღნიშნავს, რომ ტექსტები, რომელთა მიხედვით შეიძლება საგვარეულო წყობილების ინსტიტუტების შესწავლა მოგვიანო პერიოდში გვხვდებიან, როცა ეგვიპტის მონათმფლობელურ სახელმწიფოს დიდიხნის ისტორია აქვს გავლილი. „მაგრამ ერთხელვე გამომუშავებული ცნებებისა და ტერმინების კონსერვატულობის შედეგად“ ამ ტერმინებში გვაროვნული წყობილებისათვის დამახასიათებელი ესა თუ ის ნიშანია შემონახული და ამდენად ხსენებულ ტერმინთა შინაარსის გამორკვევის შედეგად შესაძლებელია ავტორის აზრით ეგვიპტის გვაროვნული წყობილების ამა თუ იმ მხარის შესწავლა.

ამ მიზნით ავტორი იღებს ერთ-ერთ ასეთ ტერმინს d^3d^3—t. სწავლობს მას სხვადასხვა ტექსტების ანალიზის საფუძველზე, რომელშიაც გვხვდება ეს ტერმინი. ავტორი მიდის იმ დასკვნამდე, რომ პირველად ამ ტერმინით აღინიშნებოდა გვაროვნული წყობილების ორგანო — თანამოგვარეთა საერთო კრება. ეგვიპტის მონათმფლობელურ სახელმწიფოში, რასაკვირველია ამ ტერმინს შინაარსი შეცვლილი აქვს, მაგრამ მაინც შესაძლებელია იმის გამოცნობა, რომ ის გვაროვნული წყობილებიდან მომდინარეობს.

თავის მეორე წერილში პროფ. ირ. სურგულაძე ასაბუთებს რომ ტექსტებში ხმარებული ტერმინი, რომლითაც გადმოიცემა კორპორაცია, საგვარეულო წყობილებიდან მოდის და მაშინ ეს ტერმინი, უხუცესთა საბჭოს ნიშნავდა.

თავის მესამე წერილში ავტორი არკვევს მონარქების ტიტულების მიხედვით ზოგიერთ ფუნქციას, რომელიც ტომის ბელადს ჰქონდა.

შრომები ემყარება დიდძალი მასალის ანალიზს და სათანადო სამეცნიერო ლიტერატურის ღრმა დამუშავებას.

1942 წელს პროფ. ირ. სურგულაძემ შეასრულა შრომა „სუბიექტის საჯარო უფლებების პრობლემის ისტორიისათვის“ (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სამეცნიერო სესია, 1940 წ. 7-11 მაისი, მოხსენებათა თეზისები). თეზისების მიხედვით შრომაში წამოყენებული, საყურადღებო დებულებები სუბიექტური საჯარო უფლებების შესახებ. ავტორის აზრით, „საზოგადოების ეკონომიური სტრუქტურა“ გან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

საზღვრ ვს პიროვნების უფლებრივ რეჟიმს „სხვადასხვა ისტორიულ ეპოქაში“. ავტორი იხილავს პიროვნების უფლებების საკითხს ანტაგონისტურ საზოგადოებაში და მიდის იმ დასკვნამდე, რომ კაცობრიობის ისტორიაში მხოლოდ სოციალიზმის ეპოქაში ხდება პირველად „ადამიანის ნამდვილი უფლებების აღიარება“.

პროფ. ირ. სურგულაძის მიერ ქართული სამართლის ისტორიიდან გამოქვეყნებულია შრომა შემდეგი სათაურით: „ძეგლი ერისთავთა“ და მისი მნიშვნელობა სახელმწიფოს წარმოშობის ზოგიერთ საკითხისათვის“ (ენიმკის მოამბე, 1943 წ. XIII, გვ. 219-232). ავტორს მიზნად დაუსახავს ხსენებული ძეგლის ანალიზის საფუძველზე განიხილოს სახელმწიფოს წარმოშობის ზოგიერთი მნიშვნელოვანი საკითხი. აღნიშნული საკითხის გასარკვევად ავტორი არ კმაყოფილდება მარტო ხსენებული ძეგლით, გზადაგზა ის იშველიებს სხვა წყაროებსაც, მაგრამ როგორც შრომის სათაურიდანაც ჩანს, ძირითადი წყარო, რომელიც ავტორმა საფუძვლად დაუდო თავის შრომას არის „ძეგლი ერისთავთა“.

ავტორი, პირველ ყოვლისა, ეხება საკითხს იმის შესახებ, რომ „სახელმწიფო სოციალურ ურთიერთობებში“ მძლავრი ფაქტორია და „მის წარმოშობას“ არ შეეძლო არ შეეცვალა როგორც საზოგადოებრივი სინამდვილის მთლიანი სახე, ისე კულტურულ-შემოქმედებითი პროცესის მიმართულება, შინაარსი და სტილი. ამიტომ სახელმწიფოს წარმოშობის საკითხი საქართველოში „კიდევ დიდხანს დარჩება ჩვენი მეცნიერული საზოგადოებრიობის ყურადღების ცენტრში“.

ავტორი ახასიათებს „ძეგლი ერისთავთა“-ს, როგორც ქსნის ერისთავების ისტორიული გენეალოგიის წყაროს და აღნიშნავს, რომ ძეგლი ნახევრად ლეგენდარულ თხრობას შეიცავს, რომლის მიზანია ყოველგვარი საშუალებით განადიდოს ქსნის ერისთავთა გვარი. ავტორი აღნიშნავს, რომ ცალკეულ მსხვილ ფეოდალთა ასეთი ლოკალური შინაარსის მატიანეები დამახასიათებელია ფეოდალური სახელმწიფოსათვის ისეთ ვითარებაში, როცა ცენტრალური ხელისუფლება ძლიერ დასუსტებულია და მსხვილ ფეოდალებს ფართო სარბიელი აქვთ შექმნილი თავიანთი დეცენტრალისტური მიდრეკილების განსახორციელებლად. ძეგლში მოთხრობილი ისტორიული ფაქტები და მათი თანამიმდევრობა „უდავოდ მრავალ საეჭვო ელემენტს შეიცავს“, მაგრამ „ისტორიულ-სოციალური აზრი, რომელიც ძეგლის ნარატიულ ფორმაში არის გახვეული, უაღრესად მნიშვნელოვანია და შორეული წარსულის სოციალური სინამდვილის მრავალ საინტერესო მხარეს უთითებს“. ავტორი ხსენებული ძეგლის სწორედ იმ ადგილების ინტერპრეტაციას იძლევა, რომელიც საქართველოში სახელმწიფოს წარმოშობის პროცესთან რაიმე მხრივ არის დაკავშირებული.

ძეგლი შედგენილი უნდა იყოს XIV-XV საუკუნეებში. რასაკვირველია, ძეგლში სახელმწიფოს წარმოშობაზე არ არის საუბარი. ასეთ რამეს, აღნიშნავს ავტორი, ამგვარი ხასიათის ძეგლებიდან არც უნდა მოველოდეთ. საერთოდ კი „თვით პრობლემა სახელმწიფოს წარმოშობისა კულტურული ევოლუციის გაცილებით უფრო გვიან საფეხურზე ჩნდება“.

ძეგლში, რომელიც გვიანფეოდალურ პერიოდში არის შედგენილი და, მაშასადამე, სახელმწიფოს წარმოშობის პერიოდს დიდი ხნით არის დაშორებული, უძველესი ეპოქიდან მომდინარე ტრადიცია გამოიცნობა.

ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა ძეგლის დასაწყისი ნაწილი, რომელშიაც მოთხრობილია როსტომ ქვენიფნეველის ლარგვისში დამკვიდრების ამბავი.

ავტორი ყურადღებას აქცევს იმ გარემოებას, რომ ძეგლში ერთი მხრივ ნაჩვენებია საერისთაო ხელისუფლების წარმოშობა ცხრაძმის ხევში და მეორე მხრივ როსტომ ქვენიფნეველის გაერისთავება. ამ ორი მოვლენის აღწერილობა ძეგლში წინააღმდეგობას შეიცავს. საერისთაოს დაწესება ძეგლში წარმოდგენილია მეფის ხელისუფლების არ არსებობის პირობებში, მაშინ როდესაც როსტომის გაერისთავება ძეგლის მიხედვით თითქოს მეფე იუსტინიანეს უკავშირდება.

ავტორი ანალიზს უკეთებს ძეგლის დასაწყის ადგილს, სადაც საუბარია ცხრაძმისხეველთა შესახებ, რომ მათ „ერისთაობა არავისი ინებეს“, ისინი ისეთ კაცს ეძებდნენ, რომელიც ხევის მართვაში ძალადობას არ მიმართავდა. ავტორის აზრით, ძეგლის მიხედვით ამ შემთხვევაში ცხრაძმისხეველთა სახით მოცემულია ისეთი კოლექტივი, „რომელიც თვითვე სწყვეტს პოლიტიკური წყობილების ისეთ მნიშვნელოვან საკითხს, როგორიც არის ერისთაობის არსებობა არ არსებობის საკითხი“.

ავტორი საგანგებოდ ჩერდება იმაზე, რომ როსტომის გაერისთავება, რომელიმე ჯგუფის, საზოგადოების, რომელიმე კლასის სურვილის მიხედვით კი არ მომხდარა, არამედ „ცხრაძმისხეველთა საერთო დადგენილებით“. ავტორი ყურადღებას აქცევს იმ გარემოებას, რომ ძეგლში მოცემული ბრძოლის აღწერილობა ისეთ მომენტებს შეიცავს, რომ გამორიცხავს კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს არსებობას. მაგალითად ბრძოლაში მონაწილედ არ ჩანს სპეციალურად გამოყოფილი ჯარი, არ ჩანს პოლიტიკური ძალაუფლებით აღჭურვილი მეთაური, ბრძოლას აწარმოებენ ცხრაძმისხეველები, როგორც ერთიანი კოლექტივი. ამასთანავე დვალელებისაგან განსხვავე-

ბით ცხრაძმისხეველებში უკვე მოჩანს სოციალური დიფერენცირების პროცესის მაჩვენებელი ნიშნები. ამის დამადასტურებელია ის, რომ ძეგლში საუბარია „ნაქონზე“ სოფლებზე, ციხე-სიმაგრეებზე და სხვა. მიუხედავად ამისა, ცხრაძმისხეველთა საზოგადოება ჯერ კიდევ საგვარეულო წყობილების ფარგლებიდან არ არის გამოსული. ეს ჩანს იქიდან რომ როსტომი ერისთავად დასვეს „საერთო დადგენილებით“ და ამასთანავე, შემდეგაც ძეგლში ნაჩვენებია ცხრაძმისხეველთა კოლექტიური დამოკიდებულება ახლად დასმულ ერისთავისადმი: „რქუა ყოველმან ერმან როსტომს: „რა გნებავს რათა ვჰყოთ შენთვის?“ პროფ. ირ. სურგულაძე ასკვნის: „მოყვანილი ადგილები უდავოდ ადასტურებენ, რომ მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი საკითხები აქ საერთო კრების საგანს შეადგენს, ე. ი. საგვარეულო წყობილებისათვის დამახასიათებელი ტრადიცია აქ მთლიანად დაცულია“. მაგრამ ამასთანავე, აქვე „საქმე გვაქვს პოლიტიკური ფორმის პირველ ჩასახვასთან, რომელიც ჯერ კიდევ როსტომამდე იყო შემზადებული“. ეს ჩანს როსტომის მიერ „ციხის და სახლების“ აგება-დაპატრონებაში, რომელიც „ძეგლში გარკვევით არის კვალიფიცირებული როგორც ქვეყნის დაუფლების... ე. ი. პოლიტიკური ბატონობის დამყარების ცდა“. ამ შემთხვევაში ავტორს მხედველობაში აქვს ძეგლის ის ადგილი, რომელიც შემდეგნაირად იკითხება: როსტომი და მისი ძმები „შემდგომად მცირედისა ღაეუფლნენ ყოველსა ქუეყანას ჩუენსა“.

ძეგლის ამ დასაწყისი ადგილის სახით, პროფ. ირ. სურგულაძის აზრით, „სხვადასხვა“ პერიოდიდან წარმომდგარ იდეოლოგიურ დანაშრევებთან გვაქვს საქმე, რომელთა შეერთების ცდა ხდება არა მხოლოდ ისტორიული სინამდვილის დამახინჯების, არამედ შინაგანი შინაარსობრივ-ლოგიკური შეუთანხმებლობის ხარჯზე. მიუხედავად ამისა, ავტორმა ძეგლზე ხანგრძლივი მუშაობისა და ღრმა ანალიზის შედეგად შესძლო ფრიად საყურადღებო დასკვნების გამოტანა.

ძეგლის მიხედვით ავტორმა დაახასიათია საზოგადოება, რომელიც პირველყოფილ-თემური წყობილების რღვევისა, კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს დასაწყის პერიოდში იმყოფება.

ჩვენ განვიხილეთ პროფ. ირ. სურგულაძის ეფრო მნიშვნელოვანი შრომები. გარდა ამისა, მას მრავალი სტატია აქვს გამოქვეყნებული ჟურნალებსა და გაზეთებში.

თავის ცხოვრების უკანასკნელ ხანებში პროფ. ირ. სურგულაძე მთელი თავისი ენერგიით მუშაობდა ქართული სამართლის ისტორიის ძეგლებზე. ის იშვიათი გულმოდგინეობით სწავლობდა წყაროებს. პროფ. ირ. სურგულაძე უკანასკნელი წლების განმავლობაში მუშაობდა ბექა-აღბუღას სამართლის წიგნზე, მაგრამ ამ შრომის დამთავრება არ დასცალდა.

პროფ. ირ. სურგულაძე ღრმად იყო დაუფლებული სამართლის კატეგორიებს. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი დიდი ერუდიცია სამართლის ფილოსოფიაში. საერთოდ პროფ. ირ. სურგულაძე ფართო ჰორიზონტის და დიდი დიაპაზონის მეცნიერი იყო. მისი შრომები განსაკუთრებით გამოირჩევა დაუცხრომელი მაძიებლური გონებით. როგორც მოაზროვნე ის ორიგინალური. მისი მიზანი იყო სამართლის შესახებ თავისი ორიგინალური შეხედულება გამოეტანა ევროპულ მეცნიერთა სამსჯავროს წინაშე. ეს განახორციელა მან თავისი გერმანულ ენაზე დაწერილი შრომით, რომლის შესახებ ზემოთ გვქონდა საუბარი.

გაზ. „Заря Востока“-სა და გაზ. „კომუნისტში“ 1945 წლის 25 ნოემბერს, პროფ. ირ. სურგულაძის გარდაცვალების გამო, დაიბეჭდა ნეკროლოგი, რომელშიც აკადემიკოსები ს. ჯანაშია, ნ. ბერძენიშვილი, ვ. კუპრაძე, ნ. კეცხოველი ა. ბარამიძე და სხვები წერდნენ: „გარდაიცვალა იურიდიული მეცნიერების ერთ-ერთი გამოჩენილი მოღვაწე... საქართველოს მეცნიერული საზოგადოება გულწრფელად ვლოვობს, რომ დაკარგა მეცნიერი, რომელსაც შეეძლო ჯერ კიდევ ბევრი რამ ღირსშესანიშნავი მიეცა მშობლიური მეცნიერებისათვის“. პროფ. ირ. სურგულაძე 52 წლის ასაკში გარდაიცვალა. მის მიერ დასახული ამოცანებიდან მრავალი განუხორციელებელი დარჩა.

პროფ. ირიდიონ სურგულაძის სახელი, როგორც მეცნიერის, მასწავლებლისა და საზოგადო მოღვაწის სამუდამოდ დარჩება ქართველი ხალხის ხსოვნაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კონან დოილის შერლოკ ჰოლმსი და სისხლის სამართალი

შერლოკ ჰოლმსზე შექმნილი მოთხრობების ავტორი ცნობილი ინგლისელი მწერალი არტურ კონან დოილია, რომელიც მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარსა და მეოცე საუკუნის ოცდაათიან წლებამდე ცხოვრობდა და მოღვაწეობდა. ლიტერატურული საქმიანობა კონან დოილმა ოთხმოციან წლებში დაიწყო. ედინბურგის ტექნიკუმისა და გერმანიის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ იგი გემზე იწყებს ექიმად მუშაობას. ასე მოიარა მან მრავალი ქვეყანა, მერე ლონდონში დასახლდა და ექიმის პრაქტიკას მოეკიდა. მალე იძულებული გახდა საყვარელი ხელობისათვის თავი მიენებებინა და მთლიანად ლიტერატურული მოღვაწეობისათვის მოეკიდებინა ხელი. იგი მრავალი წიგნის ავტორია, მაგრამ, მსოფლიო სახელი მას შერლოკ ჰოლმსზე დაწერილმა მოთხრობებმა მოუტანა.

როგორც ცნობილია, ინგლისი სხვა ქვეყნებზე ადრე დაადგა კაპიტალისტური განვითარების გზას და ამიტომ, ბუნებრივია ყველა იმ წინააღმდეგობებმა, რაც შრომასა და კაპიტალს ახასიათებს თავდაპირველად სწორედ ამ ქვეყანაში იჩინა თავი. ინგლისში თანამედროვე გაბატონებული კლასის წინაპარნი განსაკუთრებული სისხლიანი სიმკაცრით იყენებდნენ სისხლის სამართალს, როგორც თავიანთი ბატონობის შენარჩუნების ერთ-ერთ ძირითად იარაღს. მათ ჯერ კიდევ XV-XVI საუკუნეებში დაიწყეს „სისხლიანი კანონმდებლობის", როგორც მას მეცნიერული კომუნიზმის მამამთავარმა მარქსმა უწოდა, გამოყენება სოფლის მოსახლეობის მიმართ. „ისინი ცდილობდნენ სოფლის მოსახლეობა, რომელსაც ძალით წაართვეს მიწები, ღია ცის ქვეშ დაჰყარეს და ძირითადად მაწანწალებად აქციეს, მათრახით, შანთით, ტანჯვით და მხეცური ტერორისტული კანონებით აეძულებინათ დაქირავებულ შრომას მისჩვეოდნენ"[1].

პირველ დამგროვებელთა ჩამომავალნი შემდეგშიც ასეთივე წარმატებით იყენებდნენ და იყენებენ სისხლის სამართალს მშრომელი და ექსპლოატირებული მოსახლეობის დასათრგუნავად. მას შემდეგ კი, რაც კაპიტალიზმი გადაიზარდა თავის უმაღლესსა და უკანასკნელ სტადიაში — იმპერიალიზმში, სისხლის სამართლის გამოყენებამ, მოსახლეობის ძირითადი უმრავლესობის დასამორჩილებლად, უკიდურეს საზღვარს მიაღწია. იმ იარაღთა არსენალში, რომელსაც ინგლისელი და ამჟამად კი მათზე უფრო მეტად ამერიკელი რეაქციონერები იყენებენ დემოკრატიის, პროგრესის, მუშათა მოძრაობისა და კომუნიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად, სისხლის სამართალს უპირველესი ადგილი უჭირავს. გაბატონებული კლასების ხელში არსებული „გრძელხელება" კანონი ერთის მხრივ ზღუდავს და სასტიკად უსწორდება ჩაგრულთ, ვინც ლუკმა პურისა და თავისი უფლებებისათვის იბრძვის, ხოლო მეორე მხრივ დაუსჯელად ტოვებს განგსტერებსა და მათ ბანდებს, რომლებიც სწორედ ამ მშრომელებთან საბრძოლველად სჭირდებათ. განგსტერები და მათი ბანდები აშინებენ გაფიცულთ, აბეზღებენ მუშებს, საჭიროების შემთხვევაში, როცა ამას მათი ბატონ-პატრონები მოითხოვენ მხეცურად უსწორდებიან მშრომელებს და ხელისუფალთა წყალობით დაუსჯელნი რჩებიან, როგორც მეტად „საჭირო ხალხი". მსხვილ მეწარმეთა და პოლიტიკოსთა კავშირმა განდიტებთან ამერიკის შეერთებულ შტატებში, ისეთ უმაგალითო საზღვარს მიაღწია, რომ როცა ცნობილ ამერიკელ განგსტერ ალ კაპონეს ჰკითხეს: შენ ხომ დიდი ხანია არქიმილიონერი ხარ და რატომ დამნაშავე ელემენტებთან კავშირს არ წყვეტო, მან უპასუხა: „მსხვილი ბანკირები, საქმოსნები, პოლიტიკოსები და პროფკავშირთა ხელმძღვანელები მთხოვენ, რომ ჯერ კიდევ ვიმუშაო მათთან ერთადო"[2].

სახელმწიფო აპარატის თანამშრომლები, ზოგჯერ არც მალავენ თავიანთ კავშირს სისხლის სამართლის დამნაშავეებთან. როცა ამერიკელ ბანდიტებს შორის ყველაზე უფრო ცნობილი და პოპულარული ბანდიტი ჯილინგერი მცირე ხნით ციხეში მოათავსეს, გაზეთებში გამოქვეყნდა ფოტოსურათი, სადაც მკითხველებმა ჯილინგერი, ციხის უფროსი და პროკურორი ერთად ხელგადახვეულნი იხილეს. ამერიკელი პროფესორი უაიტი წიგნში — „სისხლის სამართალი მოქმედებაში" წერს: კანონმდებელნი, ჩინოვნიკები, კანტორათა მფლობელნი, გაზეთების წარმომადგენელნი, გავლენიანი და ხელისუფლების მქონე პოლიტიკოსები, — ადამიანთა ის კლასი, ვის აზრსაც სახელ-

[1] კ. მარქსი და ფ. ენგელსი, თხზ., ტ. XVII, გვ. 806.

[2] პროფ. უტევსკი „სისხლის სამართალი ინგლის-ამერიკული რეაქციის სამსახურში", გვ. 15.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მწიფო საქმეების გადაწვეტის დროს ანგარიშს უწევენ, ყველა ისინი საპატივსაცემოდ და არა გართობის მიზნით მოსულიყვნენ ჩიკაგოში და საქვეყნოდ ცნობილი განგსტერების დიონ ო'ბანიონისა და ანდრეა ჯიმ კოლოსიმოს დაკრძალვას ესწრებოდნენ. როცა ბრუკლინში არა ნაკლებად სახელგანთქმულ განგსტერს ფრანკ იოლას ასაფლავებდნენ, რომელმაც ო'ბანიონი იმ ქვეყნად გაისტუმრა, გვირგვინები ორმოცდაათიათას დოლარად იქნა შეფასებული.

ალ კაპონეს მოღვაწეობისადმი მიძღვნილ წიგნში ერთი ამერიკელი ავტორი წერს: „თუ ჩიკაგოს მერი ქალაქის ოფიციალური ბატონ-პატრონია, მეორე კაცი და არა ნაკლებ მასზე ძლიერი, შეიძლება პირდაპირ ითქვას, პოლიტიკურ წრეებში უფრო გავლენიანიც, გახლავთ ალ კაპონე. ერთი სიტყვით ტომპსონის შემდეგ ჩიკაგოში ყველაზე საპატივსაცემო კაცი ალ კაპონეა"[1].

განგსტერი ჯილინგერი იყო ნიუ-იორკის ნაციონალ-სოციალისტური პარტიის წევრი. როცა ჩიკაგოში მუსოლინის ემისარი ჩავიდა, ალ კაპონე პირველი მიესალმა მას.

ძირითადად, განგსტერებს შემოსავლიდან გადასახადის გადაუხდელობისათვის ასამართლებენ ხოლმე. თუ რომელიმე ცნობილ ბანდიტს ორმხრივ სროლაში სიცოცხლეს უსპობენ ეს უმთავრესად მაშინ ხდება, როცა იგი „სხვის ტერიტორიაზე" მოქმედებს. ცენტრალური პოლიციის ორგანოები ხანდახან თავიანთი რეპუტაციის შენარჩუნებისათვის კლავენ ბანდიტთა მეთაურებს. უნდა ითქვას, რომ პოლიციას ბანდიტების მოკვლა უფრო იოლ საქმედ მიაჩნია, ვიდრე მათი ციხეში მოთავსება და გასამართლება, ვინაიდან ბანდიტთა დაპატიმრება მოსახლეობაში დიდ აურზაურს იწვევს.

აი, დაახლოებით ასეთ სამყაროში უხდებოდა კონან დოილს, ლიტერატურულ გმირს — ჰოლმსს თავისი სამძებრო მუშაობის წარმოება და ასეთი დამნაშავის პროტოტიპი კონან დოილმა პროფესორ მორიერტის სახით წარმოგვიდგინა მოთხრობაში „ჰოლმსის უკანასკნელი საქმე". პროფესორ მორიერტს უმაღლესი მათემატიკური განათლება აქვს მიღებული. მას ნიუტონის ბინომზე შრომაც კი გამოუქვეყნებია, რომელმაც როგორც მეცნიერს მსოფლიო სახელი შეუქმნა; მას კათედრაც ჩააბარეს უნივერსიტეტში, მაგრამ მორიერტიმ სწავლულის უწყინარ, ტკბილ, უზრუნველ ცხოვრებას დამნაშავეთა მეთაურობა ამჯობინა და მთელი ლონდონის სისხლის სამართლის დამნაშავეთა გზის მასწავლებელი, წარმმართველი, ორგანიზატორი, სულის ჩამდგმელი და ბატონ-პატრონი შეიქმნა. იგი მეთაურობდა ყველა ჯურის დამნაშავეთ: ყალბისმქმნელებს, მძარცველებს, მკვლელებს და მას თვითონ საგამომძიებლო საქმის „ოსტატმა ჰოლმსმა დანაშაულის სფეროში ნაპოლეონი უწოდა. მორიერტი, ჰოლმსის სიტყვებით რომ ვთქვათ, იჯდა ისე, როგორც ობობა თავისი ქსელის ცენტრში და მისგან ათასი მხრით მიდიოდა დანაშაულის ძაფი და ყოველ ამ ძაფს მორიერტი უდიდესი გულმოდგინებით უთვალთვალებდა.

იგი ადგენდა, აზუსტებდა და ამუშავებდა დანაშაულის გეგმებს და მერე მის შემსრულებლებად ათასობით აგენტი ჰყავდა. მათი მეშვეობით ახორციელებდა წინასწარ მოფიქრებულსა და მომზადებულ დანაშაულს. თუ ლონდონში ვინმეს სურდა რაიმე მნიშვნელოვანი დოკუმენტის მოპოვება, სახლის გაძარცვა, კაცის მოკვლა, ანდა რომელიმე ადამიანის გზიდან ჩამოცილება, მორიერტის დანაშაულებრივი მანქანა მუდამ მზად იყო მის დასახმარებლად და განზრახულის სისრულეში მოსაყვანად. შეიძლება მორიერტის განკარგულებაში მყოფი დამნაშავენი მართლმსაჯულებას ჩავარდნოდნენ კიდეც ხელში, მაგრამ მორიერტი უდიდესი გულმოდგინებით ცდილობდა მათ გამოხსნას მართლმსაჯულების კლანჭებიდან, დამცველებსაც შოულობდა მათ გასამართლებლად და პოლიციისა და სასამართლოს მოსაქრთამავად ფულსაც არ ზოგავდა. თვითონ კი თავისი მოხერხების წყალობით მუდამ დაუსჯელი რჩებოდა. იგი პატრიარქივით იდგა დამნაშავეთა სინდიკატის სათავეში და თავის ირგვლივ დანაშაულის კვალს, ყოველგვარი საშუალების გამოყენებით სპობდა. მორიერტი იყო წინაპარი ალ კაპონეს, ჯილინგერის, ო' ბანიონის, კოლოსიმოს და სხვა თანამედროვე ბანდიტთა სინდიკატების მეთაურებისა, რომლებიც ყველას თვალწინ, დღისით მოქმედებენ, ყოველგვარ დანაშაულს ჩადიან, მაგრამ იმის გამო, რომ ისინი საწარმოო სინდიკატების მეხვეურებს სჭირდებათ კომუნისტური პარტიების, პროფკავშირების, პროგრესულ მოღვაწეთა და მშრომელების წინააღმდეგ საბრძოლველად, დაუსჯელნი რჩებიან.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ როგორც გამომძიებელი შერლოკ ჰოლმსი, ასევე დამნაშავეთა მოთავე პროფესორი მორიერტი ერთმანეთს უპირისპირდებიან, როგორც XIX საუკუნის ნამდვილი ღვიძლი შვილები, შვილები იმ ეპოქისა, როცა მეცნიერებამ ადამიანის სამსახურში იწყო ჩადგომა. ჰოლმსს, როგორც გამომძიებელს, კვლევა-ძიება უნდა ისეთივე ზუსტი მეცნიერება გახადოს, როგორც მათემატიკაა. მას სურს მოვლენათა ურთიერთკავშირი, მოვლენათა ურთიერთგანპირობება და მიზეზ-შედეგობრივი ერთიანობა, რაც ბუნებაში არსებობს, გამოძიების ხელოვნებაში გადაიტანოს. სწორედ ასეთივე მეცნიერული ცოდნით შეი-

[1] პროფ. უტევსკი „სისხლის სამართალი ინგლის-ამერიკული რეაქციის სამსახურში", გვ. 54.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არაღებული, დამნაშავეთა მოთავე, პროფესორი მორიერტი უპირისპირდება ჰოლმსს და მათი ორთაბრძოლა, როგორც ღირსეული მოწინააღმდეგეგბისა, ავსებს მოთხრობის „ჰოლმსის უკანასკნელი საქმეს“ შინაარსს და ორივეს ტრაგიკული დაღუპვით მთავრდება.

მაგრამ, შეცდომა იქნებოდა დაგვესკვნა, რომ ჰოლმსის წარმატების მიზეზი მარტო წვრილმანების კირკიტი, დანაშაულის ადგილის დათვალიერების დროს გამომჟღავნებული ოსტატობა, მოვლენათა ურთიერთკავშირი, ურთიერთგანპირობებულობა, მიზეზ-შედეგობრივი კავშირი და სხვა მისთანანი იყოს. ჰოლმსი ავტორმა მარტო მახვილი თვალით არ დააჯილდოვა, რომელსაც შეუმჩნეველი არაფერი რჩება და არავითარი წვრილმანი არ გამოეპარება. კონან დოილმა ჰოლმსი აღჭურვა ადამიანთა ბუნების ცოდნით, იმ ფსიქოლოგიური ანალიზის უნარით, რომლითაც მხოლოდ ძალიან ცოტა რჩეული ადამიანები არიან ბუნებისაგან დაჯილდოებულნი. ჰოლმსი დანაშაულის შემადგენლობაში, პირველ ყოვლისა, ადამიანთა ურთიერთდამოკიდებულებას უკვირდება, მას აანალიზებს; ამავე დროს მან კარგად იცის მგლური კანონები გარემომცველი სამყაროსი, სადაც „ადამიანი ადამიანის მგელია“, სააშკარაოზე გამოაქვს ადამიანთა საქციელის განმსაზღვრელი და მამოძრავებელი მიზეზები და ღრმად იჭრება ადამიანთა სულიერ სამყაროში.

კონან დოილი შერლოკ ჰოლმსის ბიოგრაფიის, მისი მშობლების, ნათესავების და ახლობლების ცხოვრების აღწერითა და ხასიათების ძერწვით არ ღლის მკითხველს. იგი სრულიად უბრალოდ იწყებს თხრობას და თავისი ლიტერატურული გმირი ისე შემოჰყავს წიგნის დასაწყისში და ისე ლაღად მოგვითხრობს მის საქმეებზე, რომ დაინტერესებული მკითხველი, ნადირის კვალს აყოლილ მეძებარივით, მზადაა ქვესკნელში ჩაჰყვეს კეთილი საქმისათვის მებრძოლ ჰოლმსს; მისი წარუმატებლობა განიცადოს, მისი წყლული მიიჩნიოს საკუთარ წყლულად, მისი მარცხი ჩათვალოს საკუთარ მარცხად და მისი წარმატებით იზეიმოს.

შერლოკ ჰოლმსი ორიგინალური და თავისებურია, იგი დამოუკიდებელი ლიტერატურული გმირია და კონან დოილის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან იგი თავის ლიტერატურულ წინაპრებს არ დაამგვანა. მაგრამ შეცდომა იქნებოდა ჰოლმსის ძიებაში წარმატების მიზეზები მარტო მის მახვილ თვალს, უტყუარ ალღოს, რკინისებურ ლოგიკას და სხვა ამდაგვარ, მარტო ჰოლმსისათვის დამახასიათებელ ამბებს მივაწეროთ. რაც ძირითადი და მთავარია ჰოლმსი თავისი ეპოქის ღვიძლი შვილია. მისთვის ადამიანების ფსიქიკა და მათი სულის ოდნავი რხევაც კი გასაგებია. მისთვის ძირითადია დანაშაულის გამომწვევი მიზეზი და მოტივი, აქედან იწყებს ის ერთი შეხედვით ძალიან რთულ წინასწარმეტყველებას დამნაშავეთა საქციელის შესახებ, თუ რატომ, რა მიზეზით უნდა იყოს გამოწვეული ესა თუ ის ამბავი. ზედმიწევნით იცნობს რა თავის ეპოქას და ადამიანების სულიერ სამყაროს, მას სხვებზე უფრო უადვილდება განჭვრიტოს და დაასკვნას, თუ სახელდობრ, როგორ ჰოიქცეოდა ესა თუ ის ადამიანი განსაზღვრულ პირობებში. აქედან გამომდინარე ის აკეთებს წინასწარ დასკვნებს, რასაც მკითხველი წინასწარმეტყველებად მიიჩნევს; გაოცებულია და აღტაცებული ადევნებს თვალს სტრიქონებს. ჰოლმსის ყოველი წარმატება თუ წარუმატებლობა გულთან ძალიან ახლოს მიაქვს.

დაკვირვების იშვიათი უნარი, ანალიზის შესანიშნავი ოსტატობა და უტყუარი ალღო ჰოლმსს აქცევს თითქმის ჯადოქრად, რომლის წინაშე არ არსებობს საიდუნლოება და ყველაფერი დღესავით ნათელია. დაკვირვების იშვიათი უნარი არის იმის გარანტია, რომ ჰოლმსს შეუძლია შეუმცდარად გამოიცნოს იმ წამს გაცნობილი და პირველად ხილული ადამიანის პროფესია. განსაზღვროს ის ადგილი, საიდანაც იგი მოვიდა და დაბეჯითებით თქვას რა საქმიანობის მიმდევარია იგი. ჰოლმსი ზედმიწევნითაა გაწაფული თავის რთულ პროფესიაში. იგი სხვებისათვის შეუმჩნეველ წვრილმანებს აღმოაჩენს ხოლმე და მათი შემწეობით ხსნის ძალზე დახლართულ სისხლის სამართლის საქმეებს.

ჯერ კიდევ უძველესი დროიდან ცნობილ დებულებას: „რომ დამნაშავე აუცილებლად ტოვებს კვალს დანაშაულის ადგილზე“, შერლოკ ჰოლმსი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს. იგი დიდ გულმოდგინებასა და შეიძლება ითქვას, გადაჭარბებულ პედანტობას იჩენს, დანაშაულის ადგილის დათვალიერებისას მუდამ კურდღელივით დაცქვეტილია, არ ნერვიულობს, პირიქით, დინჯად და მთელი გულისყურით ჩაჰკირკიტებს ყოველ წვრილმან საგანს და ნივთს, იქნებ რაიმე კვალს წავაწყდეო. მან კარგად იცის, რომ იმ ნივთებისა და საგნების დათვალიერება, რომლებითაც დამნაშავე სარგებლობდა ან უბრალოდ შეეხო, ესაა დანაშაულის კვალის მიგნების და გახსნის სწორი, უტყუარი გზა.

ეს საგამომძიებლო ორგანოების იმ მუშაკებს, რომლებიც ხშირად არიდებენ თავს შემთხვევის ადგილის დათვალიერებას და სხვას გადაანდობენ ხოლმე გამომძიებლისათვის ამ უპირველესი მოვალეობის შესრულებას, ერთხელ კიდევ მოაგონებს, რომ დანაშაულის ადგილის დათვალიერება საგამომძიებლო საქმის გახსნის უმნიშვნელოვანესი პირობაა. შეახსენებს, რომ დანაშაულის ჩადენის ადგილის დათვალიერება მიზნად ისახავს არა მარტო ნათელი მოჰფინოს დანაშაულის ჩადენის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვითარებას და გარემოებას, არამედ გამოძიებას მოაპოვებინოს ნივთიერი დამამტკიცებელი საბუთები, ნაწილობრივ მაინც აღადგინოს დანაშაულის ჩადენის სურათი, გაერკვიოს რა საშუალებები იქნა გამოყენებული დამნაშავის მიერ დანაშაულის ჩადენის მომენტში და დაადგინოს დანაშაულის ჩამდენი, ან ეჭვმიტანილი პირები.

საიდუმლოებით მოცული ყველა საქმის გახსნა— ესაა ჰოლმსის ცხოვრების მიზანი. ლაბირინთებსა და სიმნელით მოცულ ფოლიანტებში ჰოლმსი თავისუფლად დააბოტებს. ჩვეულებრივი ადამიანებისათვის შეუმჩნეველი და არა მარტო მათთვის, არამედ თვითონ სამძებრო საქმის სპეციალისტთათვისაც მიუწვდომელი, ამოუცნობი და დახლართული დანაშაულის კვალის ამოცნობა და კვალის გახსნა, ესაა საშობლოსა და მრავალ სხვა ქვეყანაშიც ამ ლეგენდად ქცეული ლიტერატურული გმირის სიცოცხლის დანიშნულება.

გარდა ამისა, ჰოლმსი შეიარაღებულია დედუქციის მეთოდით და მისი მსჯელობა და კერძო დასკვნები ამა თუ იმ კონკრეტულ საქმეზე ლოგიკურად გამომდინარეობენ ზოგადი, საერთო ამბებიდან, წესებიდან და კანონებიდან. სწორედ ამის შედეგია მის მიერ დახლართული, ღვლარჭნილი, ენითუთქმელი და გონებისათვის მიუწვდომელი საიდუმლოებებისათვის ფარდის ახდა, რასაც ის გასაოცარი მოხერხებით ასრულებს.

ჰოლმსის წარმატების საწინდარი, სწორედ ეს მსჯელობა და დასკვნები გახლავთ და მკითხველი მოწმე და თითქმის უნებური მონაწილეც ხდება მისი აზროვნებისა. არტურ კონან დოილის დაშსახურება ისაა, რომ მან თავისი ეპიგონებივით დეტექტივზე არ გაამახვილა ყურადღება. მისმა მიმდევრებმა დეტექტური რომანი, თუ წმინდა გამოძიების თვალსაზრისით მივუდგებით, უფრო მაღალ საფეხურზე აიყვანეს. მათ შექმნეს საგამომძიებლო მოთხრობისა თუ რომანის ისეთი სიუჟეტები, რომ მკითხველი მოჯადოებულივით ადევნებს თვალს მოვლენათა განვითარებას, მაგრამ ეს მოთხრობები და რომანები არ წარმოადგენენ გონებისათვის სასინჯ ქვას და ზიანის გარდა არავითარი სარგებლობა არ მოაქვთ მკითხველისათვის, ვინაიდან ისინი პროპაგანდას უფრო უწევენ და დამნაშავეთა საიდუმლოებით მოცული ცხოვრების აპოლოგიას უფრო შეიცავენ, ვიდრე მის დაგმობასა და გაკიცხვას.

ჰოლმსზე შექმნილ მოთხრობებში კი მუდამ სიკეთე იმარჯვებს ბოროტებაზე, დამნაშავენი არასოდეს არ რჩებიან დაუსჯელნი და ყოველივე ამას ავტორის და მკითხველის სიყვარულით გარემოსილი ლიტერატურული გმირი, შერლოკ ჰოლმსი სჩადის.

ჰოლმსს, კონან დოილი ისეთ ყურადღებიან და ზრუნველ ადამიანად გვიხატავს, რომ მან არ შეიძლება მკითხველის სიმპათია არ დაიმსახუროს. ჰოლმსის ზრუნვა, ყურადღება და გულისყური ბედში მყოფ მდიდრებისა და უბედობით დაჩაგრულ ღარიბთადმი ერთნაირია. უფრო მეტიც, იგი ხშირ შემთხვევებში ღარიბ, გაჭირვებაში ჩავარდნილ ადამიანებისადმი უფრო მეტ გულისყურს იჩენს, ვიდრე ყოველი დროის მედიცინის მსახური. სწორედ ამით მოიპოვეს კონან დოილმა და მისმა ლიტერატურულმა გმირმა მსოფლიო სახელი.

ჰოლმსს აქვს დაუშრეტელი ენერგია, რომელსაც იგი დაუნანებლად ახმარს თავის საყვარელ საქმეს. აი, რას წერს მისი მეგობარი უოტსონი ჰოლმსზე: „როცა ჰოლმსს რაიმე გადაუწყვეტი საქმე ჰქონდა, იგი მთელ კვირას უძილოდ ატარებდა. ფიქრობდა საქმეზე, ფაქტებს ერთიმეორეს უპირისპირებდა ან აღწევდა სანუკვარ მიზანს, ანდა იმას მაინც დაადგენდა, რომ მცდარ გზას ადგა და მერე სხვა ახალ გზას ირჩევდა“[1].

ჰოლმსის აზროვნება, მსჯელობა და დასკვნები მუდამ კონკრეტული საქმის ღრმა ცოდნისა და რეალისტური მიდგომიდან გამომდინარეობდა. მისი იშვიათი ალღო და რკინისებური ლოგიკა დაფუძნებულია არა რაღაც ღვთაებრივ, მაგიურ საშუალებებზე, არამედ მოვლენათა განვითარების, ადამიანური ურთიერთდამოკიდებულების და ათასგვარი წვრილმანის წინასწარ გათვალისწინებასა და აწონ-დაწონაზე. აქ ვლინდება ჰოლმსის, როგორც ჭეშმარიტი შემოქმედის, უაღრესად ნათელი აზროვნება და გამჭრიახობა. მისი ყოველი მოქმედება და გადადგმული ნაბიჯი წინასწარაა გამოთვლილი, იგი უკეთ აზროვნებს, ვიდრე მოწინააღმდეგენი, ანდა მისივე კოლეგები. იგი გონებრივად აშკარად ჩაგრავს ყველას, ვინც მის გარშემო ტრიალებს და სწორედ ამით აღწევს განსაცვიფრებელ შედეგებს. ჰოლმსს არ უყვარს თავისი გონებრივი უპირატესობის დემონსტრაცია. იგი უბრალო ადამიანია და თავი ძალიან თავმდაბლურად უჭირავს. როცა მისი სასწაულებრივი წინასწარმეტყველება დადასტურდება ხოლმე და ყველაფერს ზზის სინათლე ეფინება. თითქოს ყოველივე ისე იოლად გვეჩვენება, რომ თუ ჩვენც ჩავფიქრდებოდით, აღნიშნულ მოვლენებს გავაანალიზებდით, ჩვენც ასეთივე დასკვნები უნდა გაგვეკეთებინა. საინტერესოა ამ მხრივ უოტსონისა და მისი საუბარი:

„თქვენ ამბობდით, რომ ადამიანი, რომელიც ყოველდღიურად სარგებლობს რაიმე ნივთით, აუცილებლად ამ ნივთს თავის კვალს დაამჩნევსო. ხოლო მას, ვინც თქვენებრ დაკვირვებების უნარითაა დაჯილდოებული შეუძლია ამ ნივთის საშუალებით მისი პატრონის ხასიათი გამოიცნოს. აი,

[1] „მოთხრობები შერლოკ ჰოლმსზე“ გვ. 104.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საათი, რომელიც ამ ცოტა ხნის წინათ შეეიძინე და ძალიან გთხოვთ მის ჩემამდე მფლობელზე მითხრათ რაიმე.

მე საათი ჰოლმსს გადავეცი. მან იგი გახსნა, გულდასმით გასინჯა, მერე გამადიდებელი შუშაც მოიშველია და ისე დაათვალიერა. ღიმილი ძლივს შევიკავე, როცა შეწუხებულმა საათი უკანვე დამიბრუნა.

— თითქმის არავითარი კვალი არა სჩანს, — მითხრა მან, — საათი ამ ცოტა ხნის წინათ შეუკეთებიათ და ფაქტები ვეღარ დამიდგენია.

— მართალი ბრძანდებით, სანამ ჩემი საკუთრება გახდებოდა, საათი შეაკეთეს.

— თუმცა ჩემი გამოკვლევა მთლად უშედეგოდ არ დამთავრებულა. ჩემის აზრით, საათი ეკუთვნოდა თქვენს უფროს ძმას და იგი მამათქვენისაგან მემკვიდრეობით მიიღო.

— თქვენ ეს ინიციალების მიხედვით დაასკვენით არა?

— დიახ. საათი დაახლოებით ორმოცდაათი წლისა უნდა იყოს. ინიციალებიც მაშინაა გაკეთებული. ძვირფასი ნივთები მამებიდან უფროს ვაჟებზე გადადის, რომლებიც ხშირად მამის სახელს ატარებენ. რამდენადაც მე მახსოვს მამათქვენი დიდი ხანია გარდაიცვალა და საათს თქვენი ძმა ატარებდა.

დიახ, ჯერჯერობით ყოველივე მართალია.

— თქვენი ძმა დაუდევარი და ძალიან უწესრიგო კაცი ყოფილა. მას კარგ მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ, მაგრამ ყოველივე უგულებელუყვია და თავისი დღენი სიღარიბეში დაულევია; ხანდახან თუ გაუღიმებდა ბედი. ბოლოს გალოთებულა და გარდაცვლილა. აი ის, რაც მე შევძელი აღმომეჩინა.

მე ადგილიდან წამოვხტი და ოთახში ბოლთას ცემა დავიწყე. ჰოლმსის სიტყვებმა გული მატკინა.

— ეს თქვენ არ გეკადრებათ ჰოლმს. მე ვერ წარმოვიდგენდი, რომ თქვენ ამას ჩაიდენდით! თქვენ ჩემს ძმაზე ცნობები წინასწარ შეჰკრიბეთ და ახლა მე მეუბნებით, რომ ეს რაღაც დასკვნებით თქვენი დაკვირვების შედეგად გააკეთეთ. ხომ არ გგონიათ დაგიჯერებთ, რომ ყოველივე ეს თქვენ ჩემი ძმის საათის დათვალიერების მერე დაასკვნით? ეს არაა ჯენტლმენის შესაფერი საქციელი, პირდაპირ გეტყვით, რომ თქვენი საქციელი შარლატანობას მიაგავს.

— ძვირფასო ექიმო, — მომმართა მან მშვიდად, — ორიოდ სიტყვა თავის გასამართლებლად მეც მათქმევინეთ. მე ამ საკითხს, როგორც აბსტრაქტულ პრობლემას ისე მივუდექი და თქვენს წყენაზე არც მიფიქრია. გარწმუნებთ, რომ თუ ძმა გყავდათ საათის დათვალიერებამდე არც ვიცოდი.

— მაშ საიდან იცით ასეთი სიზუსტით ყოველივე წვრილმანი?

—ოო, ეს ნამდვილი გამარჯვებაა! მე საგანგებოდ ვთქვი ზოგიერთი რამ.

— მაგრამ თქვენ მკითხავივით ლაპარაკობთ!

— სრულიადაც არა. მე ჩემს დასკვნებს მიხვედრებზე არ ვაგებ. ეგ აშკარად ლოგიკური აზროვნების საწინააღმდეგო საზიზღარი ჩვეულებაა. თქვენ ჩემი დასკვნები უცნაურად იმიტომ გეჩვენებათ, რომ თქვენ პატარ-პატარა ფაქტებს, რომლებიდანაც დიდი დასკვნების გაკეთება შეიძლება, არავითარ მნიშვნელობას არ ანიჭებთ და ჩემებრ არ აზროვნებთ. მე გითხარით, რომ თქვენი ძმა იყო დაუდევარი. მიაქციეთ ყურადღება საათის ბუდეს, იგი ორ ადგილასაა მიჭყლეტილი და გაჩხაპნილი, რაც იმის შედეგია, რომ იგი საათთან ერთად ჯიბეში სხვა მაგარ ნივთებსაც იდებდა — ხურდა ფულს ან გასაღებებს. აქედან ლოგიკური დასკვნა: რომ ის კაცი, ვინც ძვირფას ნივთს ასე ეექცევა, დაუდევარია.

ცხადია აგრეთვე, რომ კაცი, რომელიც ასეთ ძვირფას ნივთს იღებს მემკვიდრეობად, სხვა მხრივაც უზრუნველყოფილია.

ხშირად, ინგლისელი მევახშეები როცა საათს იგირავებენ ქვითრის ნომრებს საათის ჩარჩოს შიგნით აჩხაპნიან. როცა გამადიდებელი შუშით საათს ვათვალიერებდი ოთხი ასეთი ნომერი შევნიშნე, დასკვნა: — თქვენი ძმა ხშირად რჩებოდა უსახსროდ. შემდეგი დასკვნა, — მას ხანდახან ბედიც უღიმოდა, რადგან საათი ოთხჯერვე გამოუსყიდია. დაბოლოს აი, ნახეთ სახურავის შიგნითა მხარე, სადაც დასაქოქი გასაღები უკეთდება. მიაქციეთ ყურადღება ნახვრეტის გარშემო არსებულ უამრავ განაკაწრებს. ეს გახლავთ ნახვრეტთან არასწორად მიტანილი გასაღების განაკაწრის კვალი. შეიძლება ეს ფხიზელმა ადამიანმა ჩაიდინოს? ასე მხოლოდ ლოთების საათებს ემართებათ ხოლმე. ისინი ცდილობენ ნაბახუსევებმა გვიან საღამოთი დაქოქონ საათი და ზედ თავიანთი აკანკალებული ხელის ნაკვალევს სტოვებენ. რა არის ამაში გასაკვირველი და საოცარი"[1].

აი, როგორ დასკვნებს აკეთებს იგი სრულიად პატარა ამბებიდან.

ჰოლმსი განათლებული და კულტურული ადამიანია. მას აქვს გამოქვეყნებული შრომები: კრიმინალისტიკის, ქიმიის, ფიზიკისა და ფსიქიატრიის დარგში. უყვარს მუსიკა, თვითონაც უკრავს ვიოლინოზე, ხშირად ესწრება კონცერტებს, კარგად იცის მხატვრული ლიტერატურა და ფილოსოფია.

[1] „მოთხრობები შერლოკ ჰოლმსზე" გვ. 418.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ კონან დოილმა ალბათ განგებ არ აღჭურვა თავისი გმირი საზოგადოებრივი მეცნიერების ცოდნით. ებრძვის რა ათასი ჯურის დამნაშავეთ, მსჯელობს რა მათ საქციელზე და გამოჰყავს დასკვნები, ჰოლმსი ერთხელაც არ დაფიქრებულა იმ ამბავზე, თუ რა წარმოშობს დამნაშავეებს, რა აიძულებს ადამიანებს ხიფათში ჩაიგდონ თავი და მშვიდ ძილსა და პატიოსან ცხოვრებას, შფოთიანი ღამეები და ბოროტი. უმრავლესობისათვის საძულველი გზა ირჩიონ საცხოვრებლად.

იგი დანაშაულის სოციალურ ფესვებს არ ეძებს და არც იმ საკითხს აყენებს რომ არა მარტო დამნაშავეებთან ბრძოლაა საჭირო, არამედ იმ წყობილებასთანაც, რომლებიც ამ დამნაშავეებს წარმოშობს. აქ იჩენს თავს. მისი შემქმნელის, კონან დოილის ბურჟუაზიული შეზღუდულობა. საბჭოთა მკითხველისათვის შერლოკ ჰოლმსზე შექმნილი მოთხრობები იმდენადაა საინტერესო, რამდენადაც მასში რეალისტური საღებავებითაა ნაჩვენები, თუმცა არაპირდაპირ, ის არაადამიანური სამყარო და წყობილება. რომელიც ათასი ჯურის დამნაშავეთ წარმოშობს. კონან დოილი ამ დანაშაულის წარმომშობ მიზეზებს არ ხსნის, არ აგვიწერს და მკითხველი უკვე დამდგარ დანაშაულებრივ შედეგს მზამზარეულად, ყოველგვარი შემზადების გარეშე ეცნობა და ავტორის ლიტერატურული გმირი ჰოლმსიც იძულებულია, მკითხველივით ეს დანაშაულებრივი შედეგი მიიღოს, როგორც უკვე მომხდარი ფაქტი და ძიება კონკრეტული დამნაშავის წინააღმდეგ წარმართოს. ნამდვილი დამნაშავე კი — ის წყობილებაა, რომელიც ადამიანს უბიძგებს ჭეშმარიტი, პატიოსანი გზიდან ცხოვრების წუმპეში ჩაეფლოს და სიცოცხლის შესანარჩუნებლად ყველაზე უფრო ხიფათიანი და სარისკო საქმე ირჩიოს. ეს წყობილება კონან დოილთან განაჩენგამოუტანელი და დაუსჯელი რჩება.

მაგრამ თვითონ ის დანაშაულებრივი ფაქტები, რასაც კონან დოილი აგვიწერს, სამარცხვინო ბოძზე აკრავს ბურჟუაზიულ წყობას და გვანიშნებს, რომ ამ წყობილებამ თავისი დრო მოჭამა და აუცილებლად უნდა დაიღუპოს.

კონან დოილის დამსახურება ისაა, რომ მწერალმა გვიჩვენა ბურჟუაზიული სამყაროს ნამდვილი, შეუფერადებელი სურათები. ღრმად ჩაგვახედა ამ სინამდვილით დამახინჯებულ ადამიანთა სულში. დაგვიხატა, ერთის მხრივ. ამ სინამდვილით გამხეცებულ ადამიანთა სიხარბე, გულქვაობა, ანგარება, თაღლითობა და ათასგვარი მაქინაციები დასახული მიზნის მისაღწევად და მეორეს მხრივ—ცხოვრებისაგან გამხეცებულ ამ ადამიანთა უდანაშაულო მსხვერპლნი, რომელთა საცოდაობა გულს უკლავს მკითხველს და რომელთადმი სიბრალულიც აღაგზნებს მას თვითონ ამ საზოგადოების წინააღმდეგ.

ელგუჯა მაღრაძე.

ჯონან დოილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

შობის მესამე დღეს მოვინახულე ჩემი მეგობარი შერლოკ ჰოლმსი. ის ტახტზე წამოწოლილიყო და წინ დილის გაზეთები გადაეშალა. ტახტის გვერდით სკამი იდგა, რომლის ზურგზეც ძველი, ჭუჭყიანი ფეტრის ქუდი ეკიდა. ჰოლმსი, ეტყობოდა, დიდი ყურადღებით სწავლობდა ამ ქუდს, რადგანაც სკამზე პინცეტი და ლუპა იდო.

— თქვენ დაკავებული ხართ, — ვთქვი მე. — მგონი ხელი შეგიშალეთ.

— სრულიადაც არა, — მიპასუხა მან. — მე მოხარული ვარ, რომ მყავს მეგობარი, რომელთანაც დაკვირვების შედეგებზე შემიძლია ვისაუბრო.

მე ჩავჯექი სავარძელში და ხელების გათბობა დავიწყე ბუხართან. ძლიერ ყინავდა; ფანჯრები ყინულის სქელი ფენით იყო დაფარული.

— ეს ქუდი რაღაც დანაშაულთანაა დაკავშირებული, — შევნიშნე მე.

— არა, არავითარი დანაშაული, — თქვა სიცილით შერლოკ ჰოლმსმა. — იცნობთ თქვენ პეტერსონს, შიკრიკს?

— დიახ.

— ეს ნადავლი მას ეკუთვნის.

— მაშ ეს მისი ქუდია?

— არა, არა. მან ეს იპოვა. მისი პატრონი უცნობია. ეცადეთ შეხედოთ მას არა როგორც ძველმანს, არამედ როგორც სერიოზულ ამოცანას... უპირველეს ყოვლისა მე მოგიყვებით, თუ როგორ მოხვდა ეს ქუდი აქ, შობის დილას, დაახლოებით 4 საათზე. პეტერსონი, ცნობილი როგორც კეთილშობილი და პატიოსანი კაცი, შინ ბრუნდებოდა. თავის წინ, გაზის ფანრის შუქზე, მან დაინახა მაღალი კაცი, რომელსაც მხარზე თეთრი ბატი ჰქონდა გადებული. ქუჩის კუთხეში უცნობს ხულიგნები აედევნენ. ერთმა მათგანმა ქუდი გადაუგდო. მაღალმა კაცმა თავდაცვის მიზნით ჯოხი გაიქნია და სრულიად შემთხვევით გატეხა მაღაზიის ფანჯარა. პეტერსონი გაიქცა უცნობის დასახმარებლად, მაგრამ ფანჯრის გატეხვით შეშინებულმა მისკენ გამოქცეული კაცი რომ დაინახა, ბატი ხელიდან გაუშვა და მთელი სისწრაფით მოკურცხლა. პეტერსონის დანახვაზე ხულიგნებიც მიიმალნენ. ამგვარად, პეტერსონი ბრძოლის ველზე მარტო დარჩა ამ ძველი ქუდით და ბატით...

—... რომელიც პეტერსონმა, რასაკვირველია, უცნობს დაუბრუნა.

— სწორედ ამაშია გამოცანა, ჩემო ძვირფასო ვინ არის ის უცნობი და სად ცხოვრობს იგი? მართალია პატარა ბარათზე, რომელიც ბატის მარცხენა ფეხზე იყო მიბმული, ეწერა: „ქალბატონ ჰენრი ბეიკერისათვის“ და ამავე დროს ქუდის სარჩულზე გარკვევით ჩანს ასოები „ჰ“ „ბ“. მაგრამ ვინაიდან ჩვენს ქალაქში ათასობით ბეიკერია და ასობით ჰენრი ბეიკერი, ამიტომ არც თუ ისე ადვილია დაკარგული ქუდის პატრონის პოვნა.

— რა ქნა მერე პეტერსონმა?

— ქუდი და ბატი მე მომიტანა, რადგან იცოდა, რომ მე სულ უბრალო გამოცანების ამოცნობაც კი მაინტერესებს. ბატი შევწვით, ხოლო უცნობის ქუდი მე დამრჩა. თქვენ ხომ კარგად იცით ჩემი მეთოდი. რა შეგიძლიათ თქვათ ადამიანზე, რომელსაც ეს ქუდი ეკუთვნოდა?

მე ხელში ავიღე ძველი ქუდი და შევათვალიერე. ის იყო ჩვეულებრივი შავი ქუდი, გახუნებული წითელი აბრეშუმის სარჩულით. ფაბრიკის მარკის ნახვა ვერ შევძელი, მაგრამ როგორც ჰოლმსმა მითხრა, გვერდით ჩანდა ინიციალები „ჰ“ „ბ“.

— ვერაფერს ვხედავ, — ვთქვი მე და დავუბრუნე ქუდი შერლოკ ჰოლმსს.

— არა, უოტსონ, თქვენ ხედავთ ყველაფერს, მაგრამ არ გინდათ დაუკვირდეთ.

— მაშინ თქვენ მითხარით, რა დასკვნებს აკეთებთ ამ ქუდის დათვალიერებისას?

ჰოლმსმა ხელში აიღო ქუდი და ყურადღებით დაიწყო მისი დათვალიერება.

— მე ბევრს ვერაფერს გეტყვით ამ ქუდის შესახებ, — შენიშნა მან. ჯერ მხოლოდ ცოტა რამ არის ნათელი. ცხადია, მაგალითად, რომ მისი მესაკუთრე დიდი ჭკვიანი კაცია და სამი წლის წინათ მას საკმაოდ ბევრი ფული ჰქონდა, ხოლო ამჟამად შავი დღეები დაუდგა. ის ძლიერ წინდახედული იყო ყოველთვის, ზრუნავდა მეორე დღისთვის, ხოლო ახლა ცოტა მოეშვა. რადგან მისი კეთილდღეობა დაეცა, ჩვენ შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ იგი რაიმე მომაკვდინებელ ცოდვას დაეწაფა. შეიძლება, ლოთობას. იქნებ ამიტომაც აიყარა გული ცოლმა მასზე...

— ჩემო კეთილო ჰოლმს!

— მაგრამ მას კიდევ შერჩა თავისი ღირსება,— განაგრძობდა ჰოლმსი, უყურადღებოდ მიატოვა რა ჩემი წამოძახილი. — იგი მჯდომარე ცხოვრე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბას ეწევა, იშვიათად გამოდის სახლიდან, სრულიად არ მისდევს სპორტს. ეს ადამიანი შუახნისაა, ჭაღარა თმები აქვს, ისვამს საცხს და ამ რამდენიმე დღის წინათ გაიკრიჭა. ამასთან ერთად მე ღრმად მწამს, რომ სახლში მას გაზის განათება არა აქვს.

— თქვენ, ნამდვილად, ხუმრობთ, ჰოლმსს!

— სრულიადაც არა. ნუთუ იმის შემდეგ როცა ამდენი რამ გითხარით, თქვენ კიდევ არ შეგიძლიათ მიხვდეთ, როგორ გავიგე მე ყოველივე ეს.

— ჩამთვალეთ იდიოტად, მაგრამ უნდა ვაღიარო რომ არ შემიძლია თქვენი გაგება. მაგალითად, საიდან მიხვდით რომ ის ძალზე ჭკვიანია?

ამის საპასუხოდ ჰოლმსმა ქუდი ჩამოიფხატა თავზე. ქუდი მას ცხვირამდე ჩამოეფხატა.

— ხედავთ, რა მოცულობაა! — თქვა მან. — არ შეიძლება სრულიად ცარიელი იყოს ასეთი დიდი თავი.

—მისი ქონების შესახებ?

— ეს ქუდი სამი წლის წინათაა შეძენილი. საუკეთესო ხარისხისაა. შეხედეთ ამ აბრეშუმის ბაფთას, მშვენიერ სარჩულს. თუ კი ამ კაცს სამი წლის წინ შეეძლო ეყიდა ასეთი ძვირფასი ქუდი და მას შემდეგ სხვა ქუდი არ უყიდია, ცხადია მისი საქმეები შეირყენ.

— კეთილი, ამაში თქვენ მართალი ხართ. მაგრამ რაც შეეხება მის წლოვანებას და თმას?

— თუ დააკვირდებით სარჩულის ქვედა ნაწილს, თქვენ დაინახავთ დალაქის მიერ შეკრეჭილ ჭაღარა თმის ბოლოებს.

—მაგრამ მისი ცოლი? თქვენ თქვით, რომ ცოლს იგი აღარ უყვარს.

— ქუდი რამდენიმე კვირაა არ გაწმენდილა. ჩემო ძვირფასო, უოტსონ, თქვენ რომ მენახეთ ქუდით, რომელზედაც თუნდაც ერთი კვირის ჭუჭყი იქნებოდა დაგროვილი და თქვენი მეუღლე გიშვებთ გარეთ ასეთნაირად, მე შიში შემიპყრობდა, რომ თქვენ გაუბედურდით მეუღლის სიყვარულის დაკარგვის გამო.

— მაგრამ იქნებ ის უცოლოა?

— არა, მას ბატი სახლში სწორედ იმიტომ მიჰყავდა, რომ ცოლი მოემადლიერებინა. გაიხსენეთ ფრინველის ფეხზე მიბმული ბარათი.

ამ დროს კარი გაიღო და ოთახში ძლიერ აღელვებული პეტერსონი შემოვარდა.

— ბატი-კი, ბატი, მისტერ ჰოლმსს! — ყვიროდა ის.

— რა მოუვიდა? გაცოცხლდა და გაფრინდა სამზარეულოს ფანჯრიდან?

ჰოლმსი ტახტზე მოტრიალდა, რომ უკეთ დაენახა პეტერსონის აღელვებული სახე.

— ნახეთ სერ, ნახეთ რა იპოვა ჩემმა ცოლმა მის ჩინჩახვში!

მან ჰოლმს ხელი გაუწოდა და მის ხელის გულზე ჩვენ დავინახეთ ბარდას მარცვალზე უფრო პატარა ზომის, მკვეთრად მოკაშკაშე ცისფერი ქვა.

ჰოლმსმა დაუსტვინა და ტახტზე დაეშვა.

— სინდისს ვფიცავარ, პეტერსონ, — თქვა მან, თქვენ განძი იპოვეთ! — დარწმუნებული ვარ თქვენ გესმით რა არის ეს?

— ბრილიანტია სერ, ძვირფასი ქვა! ის კარაქივით ჭრის შუშას!

— ეს ძვირფას ქვაზე მეტია. ეს სწორედ ის ძვირფასი ქვაა. ეს გრაფინია მორკარის ცისფერი ლალია. მე ვიცი როგორია ის, რადგანაც ამ ბოლო დღეს ყოველდღე ვკითხულობ განცხადებებს „ტაიმსში“. ეს ქვა ერთადერთია. ჯილდო ათასი გირვანქა, რომელსაც მპოვნელს სთავაზობენ, მისი ღირებულების მეოცედ ნაწილსაც ძლივს შეადგენს.

— ათასი გირვანქა! ღმერთო ჩემო! შიკრიკმა ზღართანი მოადინა სავარძელში და გაოცებული გვიჭვრეტდა ხან მე და ხან ჰოლმს.

— ეს ჯილდოდ, მაგრამ მე ვიცი, გრაფის ცოლი მისცემდა თავისი ქონების ნახევარს ოღონდ დაებრუნებინა ეს ქვა.

— თუ არ ვცდები ის ქვა დაიკარგა სასტუმრო „კოსმოპოლიტენში“ — აღვნიშნე მე.

— დიახ, ზუსტად ხუთი დღის წინ, 22 დეკემბერს. პოლიციამ დააპატიმრა მრჩილავი — ჯონ ჰორნერი, რადგან ის მუშაობდა გრაფის ცოლის ოთახში, ქვის დაკარგვაც მას ბრალდებოდა. ეს ამბავი მე რამდენიმე დღის წინ წავიკითხე გაზეთში. იგი დიდხანს ათვალიერებდა გაზეთებს, საბოლოოდ აიღო ერთ-ერთი და წაიკითხა შემდეგი:

ძვირფასეულობის ქურდობა სასტუმრო „კოსმოპოლიტენში“.

26 წლის მრჩილავს ჯონ ჰორნერს ბრალი ედება მასში, რომ ამ თვის 22-ს გრაფის ცოლს მორკარს პატარა ყუთიდან მოჰპარა ძვირფასი ქვა — „ცისფერი ლალი“. ჯეიმს რაიდერმა, სასტუმროს უფროსმა მსახურმა, უჩვენა, რომ ქურდობის დღეს ჰორნერი ნახა გრაფის ცოლ მორკარის საპირფარეშოში, სადაც იგი რჩილავდა მორყეული წნულის ქვის მოაჯირს. რამდენიმე ხანი რაიდერი ჰორნერთან ერთად იყო ოთახში, მაგრამ მერე მას გამოუძახეს. დაბრუნებულმა შეამჩნია, რომ ჰორნერი გაუჩინარდა, ყუთი გატეხილია და როგორც შემდეგში გაირკვა, პატარა ტარსიკონის ბუდე, სადაც გრაფის ცოლი ჩვეულებრივად ძვირფას ქვას ინახავდა, საპირფარეშოს მაგიდაზე ეგდო ცარიელი. რაიდერმა მაშინვე ატეხა განგაში და იმავე ღამეს ჰორნერი დააპატიმრეს. მაგრამ ქვა არ აღმოჩნდა არც პირადად მასთან და არც მის ბინაში. კეტერინ კიუზეკმა, გრაფის ცოლის მოახლემ, უჩვენა, რომ მოესმა რა რაიდერის სასოწარკვეთილი ძახილი, შევარდა ოთახში და მანაც შეამჩნია ქვის გაქრობა. „ბ“ ოლქის პოლიციის ინსპექტორმა ბრედსტრიტმა გასცა განკარგულება ჰორნერის დაპატიმრებაზე, რომელიც სასტიკ წინააღმდეგობას უწევდა და ყოველმხრივ ამტკიცებდა თავის უდანაშაულობას. მაგრამ რადგანაც ჰორნერი ად-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეც იყო ნასამართლები ქურდობისათვის, მოსამართლემ უარი განაცხადა ამ საქმის გარჩევაზე და საქმე გადასცა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს. ჰორნერს, რომელიც მთელი დროის განმავლობაში ძლიერ აღელვებული იყო, ამ გადაწყვეტილების გამო გული წაუვიდა და გამოყვანილ იქნა სასამართლოს დარბაზიდან.

— ახლა რას აპირებთ?

— ჩვენ უნდა ვნახოთ ჰენრი ბეიკერი და გავიგოთ თუ რა წვლილი მიუძღვის მას ამ პატარა საიდუმლოში. აუცილებლად უნდა გამოვაცხადოთ ყველა საღამოს გაზეთებში — თქვა ეს შერლოკ ჰოლმსმა, აიღო ფურცელი, ფანქარი და დაწერა: „ნაპოვნია ბატი და შავი ფეჯრის ქუდი. მისტერ ჰენრი ბეიკერს შეუძლია მიიღოს დანაკარგი საღამოს 7-ის ნახევარზე ბეიკერის ქუჩა № 221 ბ-ში“.

— ნახავს ამ განცხადებას ის?

— მე ვფიქრობ, თუ დანაკარგი მძიმეა მისთვის, ის უემველად დაათვალიერებს გაზეთებს. აი, ინებეთ პეტერსონ, წადით განცხადებების ბიუროში, მოათავსეთ ეს სტრიქონები საღამოს გაზეთებში. უკან დაბრუნებ ,სას კი იყიდეთ ბატი და მე მომიტანეთ, ხომ უნდა მიეცეთ იმ ჯენტლმენს ბატი იმის ნაცვლად, რომელსაც ამჟამად შენი ოჯახი სანსლავს.

შიკრიკი გავიდა, ხოლო ჰოლმსმა ქვა აიღო და სინათლეზე დაუწყო სინჯვა. მშვენიერი რამეა, შეხედეთ, როგორ ბრწყინავს. მე მას ჩემს სეიფში შევინახავ და გრაფის ცოლს კი შევატყობინებ, რომ ის ჩვენთან ინახება.

— თქვენ ჰორნერი უდანაშაულო გგონიათ?

— არაფრის მტკიცება არ შემიძლია.

— ფიქრობთ, რომ ჰენრი ბეიკერს კავშირი ჰქონდა ამ საქმესთან?

— მე დარწმუნებული ვარ, რომ ჰენრი ბეიკერი სრულიად უდანაშაულოა. მას აზრადაც არ მოსდის ეს ბატი. სულ ოქროსი რომ ყოფილიყო მაშინაც კი ამ ქვასთან შედარებით უფრო იაფი იქნებოდა.

— ახლა მე წავალ ჩემს პაციენტებთან, საღამოს კი დანიშნულ დროს ისევ მოვალ მინდა ვიცოდე რით დამთავრდება ეს დახლართული საქმე.

— ძალიან მასიამოვნებთ — მითხრა ჰოლმსმა.

მე ცოტა დამაგვიანდა და შვიდის ნახევარზე მეტი იყო როდესაც კვლავ მოვხვედი ბეიკერის ქუჩაზე. კარებთან რომ მივედი. დავინახე მაღალი მამაკაცი. სწორედ იმ დროს როდესაც მივუახლოვდი, მას კარები გაუღეს და ჩვენ ერთდროულად შევედით შერლოკ ჰოლმსის ბინაში.

— თუ არ ვცდები მისტერ ჰენრი ბეიკერი ხართ?—თქვა ჰოლმსმა. წამოდგა სავარძლიდან და გულთბილად მიესალმა მოსულს: მისტერ ბეიკერ, მოიწიეთ ცეცხლთან ახლოს გეთაყვა ,ოპ. უოტსონ, თქვენ სწორედ დროზე მოხვედით. ეს თქვენი ქუდია მისტერ ბეიკერ?

— დიახ სერ. ეს უთუოდ ჩემი ქუდია.

— რაც შეეხება ბატს, ჩვენ ის გეახელით.

— მიირთვით?!

ჩვენი სტუმარი აღელდა და წამოიწია.

— ის ხომ მაინც გაფუჭდებოდა. ჩვენ რომ არ გვეჭამა. განაგრძობდა ჰოლმსი. მე მიმაჩნია, რომ აი ის ბატი ბუფეტზე რომაა. სრულიად ახალია და იმავე წონისაა როგორიც თქვენი ბატი იყო.

— რასაკვირველია, რასაკვირველია! — თქვა ბეიკერმა და შვებით ამოისუნთქა.

— სხვათაშორის, თუ შეგიძლიათ მითხრათ სად იშოვეთ ის ბატი? მე იშვიათად მინახია ასეთი კარგად ნაკვები ეგზემპლარი.

— სიამოვნებით სერ — თქვა ბეიკერმა — სასტუმრო „ალფას“ პატრონმა დააარსა „ბატების კლუბი“, ჩვენ კვირაში ვიხდით რამდენიმე პენსს და შობის წინ თითოეული ჩვენთაგანი ღებულობს ერთ ბატს. მე მთლიანად გადავიხადე ჩემი წილი. დანარჩენი თქვენთვის ცნობილია. დიდად დამავალეთ, სერ.

ის გამოგვეთხოვა ჩვენ საზეიმო კომიკური იერით და წავიდა.

— აი, ყველაფერი, რაც მისტერ ბეიკერს შეეხება — თქვა ჰოლმსმა და კარები მიხურა. სრულიად აშკარაა, რომ მან არაფერი არ იცის ძვირფას ქვაზე. არ გშიათ უოტსონ?

— არც ისე.

— მაშინ სადილი ვახშმად გადავაქციოთ და სასწრაფოდ მივყვეთ კვალს.

— სიამოვნებით.

15 წუთში ჩვენ უკვე „ალფაში“ ვიყავით. ჰოლმსი ბარში შევიდა და თეთრწინსაფრიან. წითელლოყება მიკიტანს ორი ჭიქა ლუდი შეუკვეთა.

— თქვენი ლუდი ჩინებული იქნება თუ ის თქვენი ბატებივით კარგია — თქვა ჰოლსმა.

— ჩემი ბატები?

მიკიტანს ეტყობოდა გაოცებული დარჩა.

— დიახ, ნახევარი საათის წინ მე ვესაუბრებოდი თქვენი „ბატების კლუბის“ წევრს, მისტერ ბეიკერს.

— ა! დიახ, გასაგებია. მაგრამ იცით, სერ, ის ჩემი ბატები არ არიან.

— მართლა? მაშ ვისია?

— მე ის შევიძინე კოვენტ გარდენში გამყიდველისაგან.

— მართლა? მე ზოგიერთ მათგანს ვიცნობ, რა ჰქვია მას?

— ბრეკინრიჯი.

— ა! არა, ბრეკინრიჯს მე არ ვიცნობ. თქვენი ჯანმრთელობისა იყოს. მასპინძელო! ღამე მშვიდობის!

— ახლა კი მისტერ ბრეკინრიჯთან წავიდეთ — თქვა ჰოლმსმა, როცა გარეთ გამოვედით. გამოვია-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეთ რამდენიმე ქუჩა და მალე აღმოვჩნდით კოვენტ გარდენის ბაზარში. ერთ-ერთ ყველაზე დიდ ფარდულზე ბრეკინრიჯის გვარი ეწერა. ფარდულის მეპატრონე ბიჭს ეხმარებოდა დარაბების დახურვაში.

— საღამო მშვიდობისა, როგორ ცივა, ჰა? თქვა ჰოლსმა. როგორც ვხედავ ბატები გაგიყიდიათ.

— ხვალ დილით თუ გინდ 500 ბატი შეგიძლიათ შეიძინოთ.

— ხვალ არ მჭირდება.

— მაშინ თქვენ სხვა ფარდულში შეგიძლიათ იყიდოთ.

კი მაგრამ მე თქვენთან მომასწავლეს.

— ვინ მოგასწავლათ?

— სასტუმრო „ალფას“ პატრონმა.

— ო, დიახ. მე მას რამდენიმე ცალი გავუგზავნე.

— საუცხოო ბატები იყვნენ! სად იშოვეთ?

ჩემდა გასაოცრად შეკითხვამ ძლიერ გააბრაზა გამყიდველი.

— მერე თქვენ რა გნებავთ მისტერ?

— მე მაინტერესებს გავიგო, ვისგან ყიდულობთ იმ ბატებს, რომლებსაც თქვენ სასტუმრო „ალფას“ პატრონს უგზავნით.

— ამას კი არ გეტყვით!

— არ მეტყვით და არც არის საჭირო. დიდი ამბავი. საინტერესო კია რისთვის ბრაზდებით?

— იცით, თქვენ, რამდენს მეკითხებიან ბატების შესახებ? — სადაა ბატები? ვის მიჰყიდეთ ბატები? რა აიღეთ ბატებში? დავიღალე ამდენი შეკითხვებით!

— მე სრულიად არაფერი მესაქმება იმ ხალხთან, ვინც თქვენ ამ შეკითხვებს გაძლევთ. — თქვა ჰოლმსმა უდარდელად. — თუ თქვენ არ მეტყვით, სანაძლეოს ვაგებ — ეს არის სულ. მაგრამ მე დარწმუნებული ვარ, ფრინველი, რომელიც მე გეახელით სოფლიდან იყო.

მაშინ თქვენ წაგიგიათ, რადგან ის ქალაქიდან იყო — თქვა გამყიდველმა სწრაფად.

— შეუძლებელია!

ხომ არ გგონიათ, რომ იმ ბატების შესახებ უფრო მეტი იცით ვიდრე მე? მე თქვენ გეუბნებით, რომ ყველა ის ფრინველი, რომელიც „ალფას“ მივყიდეთ, ქალაქშია გამოკვებილი და არა სოფელში.

— ამაში თქვენ მე ვერასოდეს ვერ დამარწმუნებთ. გინდათ დავნიძლავდეთ?

კარგით, მაგრამ მე ვიცი, რომ მართალი ვარ და მოვიგებ.

— მომიტანეთ წიგნები, ბილ! — თქვა ვაჭარმა. ბიჭმა ორი წიგნი მოიტანა და დახლზე დააწყო.

— ხედავთ ამ წიგნს?

— მერე რა?

— ეს იმათი სიაა, ვისგანაც მე ბატებს ვყიდულობ. ხედავთ? აი, ამ გვერდზე, სოფლის მომწოდებელთა გვარებია, ამ გვერდზე კი ქალაქელი მომწოდებლებია. ახლა კი შეხედეთ მესამე გვერდს და წაიკითხეთ ხმამაღლა.

— „ქალბატონი ოკშოტი ბრიქსონ როუდი 117“, გვერდი 249 — წაიკითხა ჰოლმსმა.

— ახლა 249 გვერდი გადაშალეთ მეორე წიგნში, როდის გამომიგზავნა ისინი ქალბატონმა ოკშოტმა მე.

— 22 დეკემბერს, 24 ბატი.

— სწორია, აქ რა წერია?

„გაეგზავნოს მისტერ უინდიგეტს სასტუმრო „ალფაში“.

— აბა, ახლა რას იტყვით?

შერლოკ ჰოლმსი ძალიან შეწუხებული ჩანდა. მან ჯიბიდან ამოიღო ოქროს ფული და დახლზე დააგდო, შემოტრიალდა და უხმოდ გავიდა მოწყენილი სახით. ცოტა რომ გავიარეთ, ჰოლმსი შეჩერდა ფანრის ქვეშ და გულწრფელად გაიცინა. თუ თქვენ ხედავთ კაცს ასეთი ულვაშებითა და ასეთი ცხვირსახოცით ჯიბეში, თქვენ შეგიძლიათ შეიტყოთ მისგან ყველაფერი ნიძლავის დადებით — თქვა მან. — მე რომ 100 გირვანქა დამედო მის წინ, მაშინაც კი ვერ მივიღებდი მისგან ისეთ სრულ ცნობებს, როგორიც მე მივიღე ნიძლავის გზით. დღეს საღამოს წავიდეთ თუ ხვალ დილით ქალბატონ ოკშოტთან, უოტსონ? იმ უკმეხი კაცის სიტყვებიდან ჩანს, რომ ამ საქმით სხვაც ბევრი ყოფილა დაინტერესებული..

მას საუბარი შეაწყვეტინა ყვირილმა, რომელიც მოდიოდა იმ ფარდულიდან ჩვენ რომ ახლახან დავტოვეთ. როდესაც მოვბრუნდით, დავინახეთ პატარა წითური კაცი. ფარდულის კარებთან მდგარი ბრეკინრიჯი გააფთრებული უქნევდა მას მუშტებს.

— მეყო მე ამდენი თქვენგან და თქვენი ბატებისაგან, ღრიალებდა ის. თუ თქვენ კვლავ მოხვალთ აქ, მე თქვენ ძაღლებს მოგისევთ. მოიყვანეთ ქალბატონი ოკშოტი და მას ვუპასუხებ. თქვენ რა შუაში ხართ? თქვენი ბატები ვიყიდე?

— არა, მაგრამ ერთი მათგანი ჩემი იყო, დაიჩივლა პატარა კაცმა.

— მაშინ ჰკითხეთ ქალბატონ ოკშოტს მის შესახებ.

— მან მითხრა რომ თქვენთვის მეკითხა.

— თუ გინდ პრუსიის მეფეს ჰკითხეთ. მე მეყოფა! საკმარისია! წადით აქედან!

მან აღშფოთებულმა გასწია წინ და კაცი სწრაფად გაუჩინარდა სიბნელეში.

— მე მგონია ჩვენ აღარ მოგვიხდება წასვლა ქალბატონ ოკშოტთან, — წაიჩურჩულა ჰოლმსმა. წავიდეთ, გავიგოთ, გამოგვადგება თუ არა ეს სუბიექტი.

მალე ჩვენ მივუახლოვდით იმ კაცს. ჩემმა მეგო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბარმა მხარზე დაადო ხელი. ის სწრაფად მობრუნდა და გაზის ფანრის შუქზე დავინახე საშინლად გაფითრდა.

— ვინ ხართ, რა გინდათ? იკითხა მან აცახცახებული ხმით.

— მაპატიეთ, მაგრამ მე მოვისმინე თქვენი საუბარი გამყიდველთან და ვფიქრობ, შემიძლია დახმარება გაგიწიოთ.

— თქვენ? ვინ ხართ თქვენ?

— მე მქვია შერლოკ ჰოლმსი. ჩემი პროფესიაა ვიცოდე ის, რაც არ იციან სხვებმა.

— ო, სერ, თქვენ სწორედ ის კაცი ხართ მე რომ მჭირდება — წამოიძახა პატარა კაცმა. მე არ შემიძლია აგიხსნათ, თუ როგორ ვარ დანტერესებული ამ საქმით.

შერლოკ ჰოლმსმა გააჩერა ეტლი, რომელმაც წინ ჩაგვიარა.

— ამ შემთხვევაში საუბარი უკეთესია მყუდრო ოთახში, ვიდრე ამ ქარიან ბაზრის მოედანზე — თქვა მან. მაგრამ ვიდრე გავემგზავრებოდეთ, მითხარით თქვენი სახელი.

კაცი ცოტა ხანს შეყოყმანდა.

— ჩემი სახელია ჯონ რობინზონი — უპასუხა მან ისე, რომ ჰოლმსისთვის არ შეუხედია.

— არა, არა, მე მინდა თქვენი ნამდვილი სახელი — თქვა ჰოლმსმა.

უცნობი გაწითლდა.—მაშ კარგით, ჩემი ნამდვილი სახელია ჯემს რაიდერი.

— ეს სხვა საქმეა! თქვენ ხომ სასტუმრო „ჯოსმოპოლიტენში“ მუშაობთ. ჩაჯექით ეტლში და მე გეტყვით ყველაფერს, რასაც თქვენ მოისურვებთ იცოდეთ.

პატარა კაცი შეშინებული არ იძროდა ადგილიდან და გვიყურებდა ხან ერთს და ხან მეორეს. საბოლოოდ ის ჩაჯდა ეტლში და ნახევარ საათში ჩვენ კვლავ სასტუმრო ოთახში ვიყავით ბეიკერის ქუჩაზე.

— აი, ჩვენც მოვედით! — თქვა ჰოლმსმა მხიარულად. თქვენ გეტყობათ გაიყინეთ მისტერ რაიდერ. მოსწიეთ სკამი ცეცხლთან ახლოს. მე მგონია თქვენ გაინტერესებთ რა მოუვიდათ იმ ბატებს.

— დიახ, სერ.

— უფრო სწორად იმ ბატს; მე მგონია თქვენ გაინტერესებთ ერთი მათგანი — თეთრი, კუდზე შავი ზოლით.

— ოჰ, სერ, — წამოიყვირა მან. შეგიძლიათ მითხრათ სად არის ახლა ბატი?

— ის აქაა.

— აქ?

— დიახ, ის არაჩვეულებრივი ბატი აღმოჩნდა. გასაკვირველი არ არის, რომ თქვენ ასე დაინტერესდით იმ ბატით. გაჭრისას მასში ვიპოვეთ ბრჭყვიალა ლამაზი კვერცხი. ის აქაა, მე მაქვს მუზეუმში.

ჰოლმსმა გააღო სეიფი და გამოიღო ცისფერი ლალი, რომელიც ვარსკვლავივით ბრწყინავდა. რაიდერი იდგა და გაოცებული უყურებდა.

— თამაში წააგეთ რაიდერ! — წყნარად თქვა ჰოლმსმა. — მაგრად დადექით. თორემ ალბათ ცეცხლში ჩავარდებით, მიეხმარეთ უოტსონ ჩაჯდეს სავარძელში და მიაწოდეთ არაყი. ასე, ახლა ცოტა უფრო დაემსგავსა ადამიანს.

— არაყმა ფერზე მოიყვანა ის. რაიდერი დაჯდა და შეშინებული უყურებდა თავის მამხილებელს.

— ახლა თქვენ უნდა მითხრათ სიმართლე რაიდერ, ვინ გითხრათ თქვენ ამ ცისფერი ლალის შესახებ?

— გრაფის ცოლის ერთ-ერთმა მოახლემ — უპასუხა რაიდერმა აკანკალებული ხმით.

— ამგვარად ქვა თქვენ წაიღეთ, ჰორნერი კი სატუსაღოშია.

— მე შემიძლია გავიქცე მისტერ ჰოლმს! მე დავტოვებ ინგლისს! სერ, მაშინ ბრალდება მოეხსნება ჰორნერს.

— ჰმ! ამის შესახებ მერე ვიმსჯელებთ. საიდან გაჩნდა ქვა ბატში და როგორ აღმოჩნდა ეს ბატი ბაზარზე?

— მე თქვენ სრულ სიმართლეს გეტყვით — თქვა მან. როდესაც ჰორნერი დააპატიმრეს, მე ვიფიქრე, რომ უკეთესი იქნებოდა, სასწრაფოდ დამემალა ქვა, ვინაიდან არ ვიცოდი რა წუთში გამჩხრეკდა პოლიცია. სასტუმროში შესაფერი ადგილი მის შესანახად არ მეგულებოდა. წავედი ჩემ დასთან. ის გათხოვილია ვინმე ოკშოტზე, ცხოვრობს ბრიგსონ როუდში და ინახავს შინაურ ფრინველებს ბაზრისათვის. დამ მკითხა თუ რად ვიყავი ასე ფერმიხდილი, მე ვუპასუხე რომ შეძრწუ-

ნებული ვიყავი იმით, რომ სასტუმროში დაიკარგა ძვირფასი ქვა. შემდეგ მე გავედი უკანა ეზოში და პაპიროსი მოვწიე. უცებ თავში ერთმა აზრმა გამიელვა. რამდენიმე კვირის წინ ჩემმა დამ მითხრა, რომ შობისთვის მომცემდა შერჩეულ ბატს საჩუქრად და მე ვიცოდი, რომ ის თავისი სიტყვის პატრონი იყო. მე გადავწყიტე მაშინვე ამეყვანა ბატი და გადამეყლაპებინა მისთვის ქვა. დავიჭირე ერთი კარგი, თეთრი ბატი ზოლიანი კუდით, გავუღე პირი და რაც შემეძლო ღრმად ჩაუდე ხახაში ქვა. ბატმა გადაყლაპა. მე ხელით ვიგრძენი, რომ ქვა ჩინჩახვში ჩავიდა. ბატმა გაიბრძოლა და ახმაურდა. ხმაურზე ჩემი და გამოვიდა. როდესაც მე მისკენ მოვბრუნდი, ბატი ხელიდან გამისხლტდა და შეუერთდა სხვა ბატებს.

— რა გინდოდა ბატთან ჯემ? — მკითხა დამ.

— შენ ხომ გქონდა ნათქვამი, რომ შობისათვის ერთ ბატს მაჩუქებდი და მე ვარჩევდი, რომელი იყო მათგან უფრო მსუქანი.

— ჩვენ უკვე არჩეული გვყავს შენთვის მსუქანი ბატი და ასეც ვუძახით მას: „ჯემის ბატი“.

— გმადლობთ მეგი, მაგრამ შენთვის თუ სულ ერთია, მე ის მომეცი ახლახანს ხელში რომ მეჭირა.

— შენი ნებაა. რომელი გინდა წაიყვანო?—მკითხა ოდნავ ნაწყენმა.

— აი, ის თეთრი, კუდზე შავი ზოლით.

— სიამოვნებით, დაკალი და წაიღე თან!

მე ისე მოვიქეცი, მისტერ ჰოლმს, როგორც მან მითხრა და წავიღე ფრინველი ჩემი ამხანაგის სახლში. იგი იმ ადამიანთაგანია, ვისაც ადვილად მოუყვები მსგავს ამბებს. მე ყველაფერი ვუამბე. მან ბევრი იცინა, მერე ავიღეთ დანა და გავჭერით ბატი. მაგრამ ქვა იქ არ იყო. მივხვდი, რომ დიდი შეცდომა დავუშვი; მივატოვე ფრინველი, გავიქეცი ჩემ დასთან და შევვარდი უკანა ეზოში. მაგრამ ბატები იქ აღარ დამხვდნენ. ბურმეგის ისინი ბაზარში გაეგზავნა.

— სხვა ბატიც იყო ზოლიანი კუდით? ვკითხე მე.

— კი ჯემ, ორი იყო და საოცრად გავდნენ ერთმანეთს. მე რა თქმა უნდა მივხვდი ჩემს შეცდომას და გავიქეცი იმ ბრეკინრიჯთან, მაგრამ ბატები უკვე გაყიდული ყავდა და არაფრით არ მეუბნეოდა ვის მიჰყიდა. თქვენ გესმოდათ როგორ უხეშად მპასუხობდა ის. ჩემ დას ეგონა რომ გავგიჟდი. ხანდახან მეც ასე მეჩვენებოდა. ღმერთო, მიშველე! ღმერთო მიშველე! მან სახე ხელებში ჩამალა და ატირდა.

ხანგრძლივი სიჩუმის შემდეგ ჰოლმსი წამოდგა და სადარბაზო კარი ფართოდ გააღო.

— მოშორდით! წაილაპარაკა ჰოლმსმა.

— როგორ, სერ?... ღმერთმა გაგახაროთ!

— არც ერთი სიტყვა! მოშორდით აქედან!

— განმეორება არ დასჭირებია. რაიდერმა სასწრაფოდ დატოვა ოთახი და ჩვენ ქუჩიდან მოგვესმა მისი სწრაფი ნაბიჯების ხმა.

— ბოლოს და ბოლოს, უოტსონ — თქვა ჰოლმსმა და ჩიბუხი აიღო, — მე სრულიადაც არ ვმუშაობ იმისათვის, რომ პოლიციის ჩავარდნები გამოვასწორო. ახლა ჰორნერს საფრთხე არ ემუქრება. ეს კაციც არასოდეს გამოვა მის წინააღმდეგ, ვინაიდან ლალი ნაპოვნია, ბრალდებაც მოეხსნება. რაიდერისათვის ეს კარგი გაკვეთილია. ის ისეა შეშინებული, რომ მსგავს საქციელს არასოდეს ჩაიდენს. ახლა ექიმო, თუ თქვენ ზარს დარეკავთ, ჩვენ დავიწყებთ სხვა „გამოძიებას“, სადაც მთავარ როლს მაინც ფრინველი შეასრულებს: არ დაგავიწყდეთ, რომ სადილად ჩვენ კაკბები გვაქვს.

თარგმანი ლეილა იოგაშვილისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის

დადგენილება № 14

ქ. მოსკოვი, 1962 წლის 29 ნოემბერი.

სისხლის სამართლის საქმეებზე სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის ზოგიერთი დადგენილების გაუქმებისა და შეცვლის შესახებ

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების, სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის სასამართლო წარმოების საფუძვლების მიღებასთან, და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსების სამოქმედოდ შემოღებასთან დაკავშირებით, სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმი ადგენს:

1. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1941 წლის 22 მაისის დადგენილება № 20 (7) უ „იმის შესახებ, რომ სამოქალაქო მოსარჩელეს უფლება არ აქვს საკასაციო საჩივარი შეიტანოს გამამართლებელ განაჩენზე“, ძალადაკარგულად ჩაითვალოს.

2. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1959 წლის 19 ივნისის დადგენილებაში „სასამართლოების მიერ სისხლის სამართლის სასჯელის ღონისძიებათა გამოყენების პრაქტიკის შესახებ“, შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებანი:

1. პირველი პუნქტის პირველი წინადადება გადმოცემულ იქნეს შემდეგი რედაქციით: „უფარდებენ რა სისხლის სამართლის სასჯელის ღონისძიებებს პირთ, რომლებსაც ბრალი მიუძღვით დანაშაულის ჩადენაში, სასამართლოები უნდა გამომდინარეობდნენ იქიდან, რომ სასჯელი არა მარტო სათანადო მიზღვაა ჩადენილი დანაშაულისათვის, არამედ იგი მიზნად ისახავს მსჯავრდებულთა ხელახალ აღზრდას და ახალი დანაშაულის ჩადენის თავიდან აცილებას“.

2. დადგენილების მეხუთე პუნქტი გადმოცემულ იქნეს შემდეგი რედაქციით: „სასამართლოებმა უფრო ფართოდ უნდა გამოიყენონ საზოგადოებრიობის განსახილველად საქმეების გადაცემა იმ დანაშაულის შესახებ, რომელიც არ წარმოადგენს მნიშვნელოვან საზოგადოებრივ საშიშროებას, მოსპონ რა ამგვარი საქმეები წარმოებით სისხლის სამართლის წესით რუსეთის სფს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 51-ე, 52-ე და 63-ე მუხლებისა და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსების შესაბამისი მუხლების თანახმად“.

3. მეშვიდე პუნქტიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები: „საპატიმრო ადგილების ადმინისტრაცია“.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე
ა. გორკინი

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის მდივანი
ი. გრიშანინი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის

დადგენილება № 15

ქ. მოსკოვი, 1962 წლის 3 დეკემბერი.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1962 წლის 14 მაისის № 7 დადგენილების — „დამნაშავეობასთან ბრძოლაში სასამართლოების საქმიანობაში ნაკლოვანებათა აღმოფხვრისა და მათი საქმიანობის შემდგომი გაუმჯობესების ამოცანების შესახებ“ შესრულების მიმდინარეობა

მოისმინა და განიხილა რა ყაზახეთის სს რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის ამხ. ბ. ჯუსუპოვის, ბელორუსიის სს რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის ამხ. ს. ტ. შარდიკოს, თურქმენეთის სს რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის ამხ. ა. აიმამედოვის მოხსენებები და სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის ამხ. ვ. ვ. კულიკოვის მოხსენება დამნაშავეობასთან ბრძოლაში სასამართლოების საქმიანობაში ნაკლოვანებათა აღმოფხვრის შესახებ, სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმი აღნიშნავს, რომ ზემოაღნიშნული და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სასამართლო ორგანოების პრაქტიკაში ამჟამად ძირითადად აღმოფხვრილია საშიშ დამნაშავეებისათვის შეღავათის გავრცელების ფაქტები, რაც სამართლიანად იქნა გაკრიტიკებული; უფრო სწორად ხორციელდება საშიშ დამნაშავეებისადმი კანონით გათვალისწინებული სასჯელის მკაცრი ღონისძიებების შეხამება საზოგადოებრივი ზემოქმედების ღონისძიებებთან იმ პირთა მიმართ, რომლებმაც პირველად ჩაიდინეს ნაკლებად საშიში დანაშაული, შეიგნეს თავიანთი ბრალეულობა და შეუძლიათ გამოსწორდნენ ისე, რომ იზოლირებული არ იქნენ საზოგადოებიდან. მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესმა სასამართლოებმა განამტკიცეს კავშირი საოლქო, სამხარეო და სახალხო სასამართლოებთან, უფრო მეტ პრაქტიკულ დახმარებას უწევენ მათ, ისწრაფვიან რა გააქტიურდეს სასამართლო ორგანოების საქმიანობა დანაშაულის ჩადენის ხელშემწყობი მიზეზებისა და პირობების გამოვლინებასა და აღმოფხვრაში. გაიზარდა სასამართლო პროცესების რიცხვი საწარმოებში, მშენებლობებზე, დაწესებულებებში, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში გასვლით; ამ პროცესებში უფრო მეტად მონაწილეობენ საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

ამასთან ერთად სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმი აღნიშნავს, რომ ჯერ კიდევ ნელა სწორდება სასამართლო ორგანოების საქმიანობაში სერიოზული შეცდომები და ნაკლოვანებები, რომლებზედაც არაერთხელ იქნა მიქცეული ყურადღება პარტიის გადაწყვეტილებებში. რიგ შემთხვევებში საქმის განხილვის დროს სამსჯავრო გამოძიება ტარდება არასრულად, ცალმხრივად, მატერიალური და საპროცესო კანონების უხეში დარღვევით; არ არის აღმოფხვრილი საბჭოთა მოქალაქეებისათვის დაუსაბუთებლად მსჯავრის დადების ფაქტები, საქმის განხილვისა და სასამართლო გადაწყვეტილების გაჭიანურება, რაც შეუწყნარებელია ჩვენს პირობებში. იმის გამო, რომ არასაკმარისი ყურადღება ექცევა აღმზრდელობით მუშაობას და არ არსებობს სათანადო მომთხოვნელობა, სასამართლო მუშაკებს შორის არ არის აღმოფხვრილი ამორალური ქცევის გამოვლინებანი და სამსახურებრივი ბოროტმოქმედებანი.

ჯერ კიდევ სუსტად წარმოებს მუშაობა დანაშაულთა და სამართლის დარღვევათა თავიდან აცილებისათვის; სრულად არ არის გამოყენებული ამისათვის არსებული შესაძლებლობები.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმი ადგენს:

1. სასამართლოების ყურადღება მიექცეს იმას, რომ არავითარი შეღავათი არ დაუშვან საშიშ დამნაშავეებისა და რეციდივისტების მიმართ, ბოლომდე დასძლიონ გამაფრთხილებელი და აღმზრდელობითი მნიშვნელობის შეუფასებლობა სასჯელის იმ ღონისძიებათა შეფარდებისა, რაც არ არის დაკავშირებული თავისუფლების აღკვეთასთან და რაც გამოყენებული უნდა იქნას იმ პირთა მიმართ, რომლებმაც ჩაიდინეს ნაკლებად საშიში დანაშაული.

იმ შემთხვევაში, როცა კანონის სანქციის შესაბამისად შეიძლება დაინიშნოს სასჯელი არახანგრძლივი ვადით თავისუფლების აღკვეთის სახით, სასამართლოებმა საქმის გარემოებათა და დამნაშავის პიროვნების გათვალისწინებით უნდა განიხილონ საკითხი სასჯელის იმ ღონისძიებათა შეფარდების შესაძლებლობის შესახებ, რომლებიც დაკავშირებული არ არის თავისუფლების აღკვეთასთან, მსჯავრდებულის გადაცემით ხელახლა აღსაზრდელად საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მშრომელთა კოლექტივებისათვის მათი თხოვნით. თავისუფლების აღკვეთის შეფარდება მოკლე ვადით, როცა კანონით ამ დანაშაულისათვის გათვალისწინებულია აგრეთვე სასჯელის სხვა ღონისძიებანი, რომლებიც დაკავშირებული არ არის თავისუფლების აღკვეთას-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თან, სასამართლომ უნდა დაასაბუთოს. უნდა გამოირიცხოს სასამართლო პრაქტიკიდან დაუსაბუთებელი უარყოფა საზოგადოებრივი ორგანიზაციების შუამდგომლობებისა მათთვის იმ პირთა ხელახლა აღსაზრდელად გადაცემის შესახებ, რომლებმაც პირველად ჩაიდინეს ნაკლებად საშიში დანაშაული.

სასამართლოებმა მტკიცედ უნდა დაიცვან კანონის მოთხოვნა სასჯელის ინდივიდუალიზაციის შესახებ, ყველა შემთხვევაში სასჯელის ღონისძიება განსაზღვრონ ჩადენილი დანაშაულის საზოგადოებრივი საშიშროების ხასიათისა და ხარისხის, დამნაშავის პიროვნებისა და პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ და დამამძიმებელ გარემოებათა გათვალისწინებით.

2. უმაღლესმა, სამხარეო და საოლქო სასამართლოებმა გააძლიერონ ზედამხედველობა სასამართლოების მიერ სისხლის სამართლის საქმეთა განხილვის ხარისხისადმი, სოციალისტური კანონიერების დაცვისადმი, განახორციელონ ღონისძიებანი, რათა არ იქნეს დაშვებული მოქალაქეთა დაუსაბუთებელი მსჯავრდების, სამსჯავრო გამოძიების ცალმხრივი, არასრული და არაობიექტური ჩატარების შემთხვევები, აღმოიფხვრას საქმის გაჭიანურების ფაქტები და დამყარდეს სათანადო წესრიგი საკასაციო და საზედამხედველო სასამართლო ინსტანციებში საქმის განხილვის დროს. არაობიექტური მსჯავრის დადების ყოველი შემთხვევა სპეციალური განხილვის საგანი უნდა გახდეს.

სასამართლოს მუშაკებს მუდამ უნდა ახსოვდეთ, რომ ისინი საქმის განხილვის დროს წყვეტენ ადამიანის ბედს და მათ ეკისრებათ განსაკუთრებული პასუხისმგებლობა მიღებულ გადაწყვეტილებათა კანონიერებისათვის, რომ კანონის თუნდაც უმცირესი დარღვევის შემთხვევაც კი არყევს სასამართლო ორგანოების ავტორიტეტს, გამოტანილი განაჩენებისა და გადაწყვეტილებების აღმზრდელობითსა და გამაფრთხილებელ მნიშვნელობას. სოციალისტური მართლმსაჯულების აღსრულება შეუთავსებელია კანონიერების დარღვევასთან.

3. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოების სასამართლო კოლეგიებმა, სამხარეო და საოლქო სასამართლოებმა სისტემატურად შეისწავლონ საქმეები, რომლებზედაც გაუქმებულია სასამართლოების განაჩენები დამატებით წინასწარ გამოძიებაზე ან ახალ სასამართლო განხილვაზე დაბრუნებით, აგრეთვე საქმეები, რომლებიც მოსპობილია საკასაციო და საზედამხედველო წესით. ამ შესწავლის შედეგები და წინადადებანი უკანონო და დაუსაბუთებელი განაჩენების გამოტანის მიზეზების აღმოფხვრის ღონისძიებათა შესახებ შეტანილ იქნეს სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოების, სამხარეო და საოლქო სასამართლოების პრეზიდიუმებისა და პლენუმების განსახილველად.

4. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმს საჭიროდ მიაჩნია, რომ ყოველი ღონისძიება განხორციელდეს რათა გააქტიურდეს სასამართლო ორგანოების მუშაობის ხარისხი დანაშაულის ჩადენის ხელშემწყობი მიზეზებისა და გარემოებების გამოსავლინებლად და აღმოსაფხვრელად, დანაშაულის თავიდან აცილების პროფილაქტიკური ღონისძიებების განსახორციელებლად.

არასწორად იქნეს მიჩნეული პრაქტიკა, როცა სასამართლოების საქმიანობას აფასებენ მხოლოდ განხორციელებული ღონისძიების რაოდენობით ან სხვა სტატისტიკური მაჩვენებლებით, მიღწეული შედეგების გაუთვალისწინებლად. პროფილაქტიკური მუშაობის შეფასებისადმი ასეთი კანცელარული მიდგომა ზოგიერთ სასამართლო მუშაკს შორის წარმოშობს მათზე დაკისრებულ მოვალეობათა შესრულებისადმი ფორმალურ დამოკიდებულებას, ეს კი იწვევს იმას, რომ განხორციელებულ ღონისძიებათა შედეგები უმნიშვნელოა, ხოლო ზოგჯერ სრულებით არ ახდენს გავლენას დანაშაულისა და სამართლის დარღვევათა თავიდან აცილებაზე. უკეთუ საჭიროა გამოტანილ იქნეს კერძო (განსაკუთრებული) განჩინება დანაშაულის ხელშემწყობი მიზეზებისა და პირობების შესახებ, სასამართლომ უნდა დაასაბუთოს ეს განჩინება საგულდაგულოდ შემოწმებული და საქმეზე დადგენილი გარემოებებით და უნდა მიაღწიოს ამ მიზეზებისა და პირობების აღმოფხვრას.

5. გამომდინარე იქიდან, რომ ქვემდგომი სასამართლოებისადმი ხელმძღვანელობის ფუნქციები უნდა განახორციელონ შესაბამისი სასამართლოების მოსამართლეებმა, პრეზიდიუმებმა და პლენუმებმა, წინადადება მიეცეთ მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლეს სასამართლოებს განახორციელონ ღონისძიებანი პლენუმებისა და პრეზიდიუმების საქმიანობის გასაუმჯობესებლად იმისათვის, რომ უკანასკნელნი არ დაკმაყოფილდნენ საქმეების განხილვით, სასამართლოებისათვის კანონმდებლობის გამოყენების განმარტების თაობაზე დადგენილებების მიღებით, არამედ განახორციელონ რესპუბლიკის, მხარის, ოლქის სასამართლო სისტემის მთელი საქმიანობის ორგანიზაციული ხელმძღვანელობა.

სსრ კავშირის უმაღლესმა სასამართლომ, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესმა სასამართლოებმა, სამხარეო და საოლქო სასამართლოებმა გაუუმჯობესონ კონტროლი სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმისა და მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი სასა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მართლოების პლენუმების დადგენილებათა შესრულებისადმი.

6. მიექცეს სასამართლოების ყურადღება იმას, რომ უნდა აღმოიფხვრას სერიოზული ნაკლოვანებანი მუშაობის დაგეგმვასა და სასამართლოს საქმიანობის შემოწმების განხორციელებაში. მუშაობის გეგმებში უნდა გათვალისწინებული იქნას არა მარტო სასამართლო პრაქტიკის განზოგადება ცალკეული კატეგორიის საქმეებზე, არამედ აგრეთვე დაისახოს ღონისძიებანი სასამართლოების მუშაობის ორგანიზაციის გასაუმჯობესებლად, პლენუმებისა და პრეზიდიუმების დადგენილებათა შესრულების შესამოწმებლად, დამნაშავეობასთან და სოციალისტური კანონიერების დარღვევებთან ბრძოლაში იმ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად, რომლებიც გამოაშკარავდნენ სასამართლო პრაქტიკის განზოგადების დროს. სასამართლოების მუშაობის შემოწმება არ უნდა იქნეს დაყვანილი მხოლოდ ადრე დაშვებული ნაკლოვანებებისა და შეცდომების გამოვლინებამდე, არამედ იგი მოწოდებულია პრაქტიკული დახმარება გაუწიოს სასამართლოს მისი საქმიანობის ყველა მხარის გაუმჯობესებაში, ხელი შეუწყოს კადრების მომზადებას მაღალი იდეური პრინციპულობის, კანონების მტკიცე დაცვისა და სამსახურებრივი მოვალეობის უმწიკვლოდ შესრულების სულისკვეთებით.

7. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმი ხელახლა მიაქცევს სასამართლოების ყურადღებას იმას, რომ საჭიროა დამნაშავეობასთან ბრძოლაში მათი საქმიანობის მეტი კოორდინაცია პროკურატურისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროების ორგანოებთან. ყოველ რაიონში, ქალაქში, ოლქში, მხარესა და რესპუბლიკაში სასამართლოებმა, პროკურატურისა და მილიციის ორგანოებმა პერიოდულად უნდა განიხილონ მასალები დამნაშავეობის მდგომარეობის შესახებ, უნდა შეიმუშაონ კონკრეტული ღონისძიებანი, რომელთა მიზანია სამართლის დარღვევის თავიდან აცილება და აღმოფხვრა, და შეერთებული ძალებით უნდა მიაღწიონ მათ განხორციელებას.

8. სასამართლოებმა ყოველი ღონისძიებით უნდა გააფართოონ და განამტკიცონ კავშირი საზოგადოებრიობასთან, სახალხო რაზმეულებთან და ამხანაგურ სასამართლოებთან, უფრო აქტიურად ჩააბან მშრომელები იმ ღონისძიებათა განხორციელებაში მონაწილეობისათვის, რომლებიც დაკავშირებული არიან დამნაშავეობასა და სამართლის დარღვევათა თავიდან აცილებასთან რაიონში, ქალაქში, საწარმოში, დაწესებულებაში, კოლმეურნეობაში, საბჭოთა მეურნეობაში. წინადადება მიეცეთ მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლეს სასამართლოებს, სამხარეო და საოლქო სასამართლოებს, უფრო ფართოდ გამოიყენონ რიგ რაიონებსა და ქალაქებში არსებული ისეთი თვითმოქმედი ორგანიზაციების მუშაობის დადებითი გამოცდილება, როგორიც არიან სახალხო მსაჯულთა საბჭოები, რომლებიც სახალხო მსაჯულთა ძალებს მიმართავენ იმისაკენ, რომ გაუმჯობესდეს სასამართლოების საქმიანობა სასამართლო გადაწყვეტილებათა და კერძო (განსაკუთრებულ) განჩინებათა თავის დროზე აღსრულების საქმეში, აღმოიფხვრას საქმის გაჭიანურება მშრომელთა საჩივრების განხილვაში.

9. მიექცეს მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოების, სამხარეო, საოლქო და საქალაქო სასამართლოების თავმჯდომარეთა ყურადღება იმას, რომ უნდა გაუმჯობესდეს მუშაობა სასამართლოს მუშაკთა კადრების მომზადებისათვის, გაძლიერდეს კონტროლი მათი სამსახურებრივი საქმიანობისადმი. უნდა შეიქმნას სასამართლო მუშაკებისათვის შეუფერებელი ქცევის ფაქტებისადმი შეუწყნარებლობის ვითარება, გულდასმით გაარკვიონ მიზეზები და განიხილონ ყოველი ასეთი შემთხვევა, თავის დროზე განახორციელონ სათანადო ღონისძიებები დამნაშავე პირის მიმართ.

წინადადება მიეცეთ მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლეს სასამართლოებს, სამხარეო და საოლქო სასამართლოებს არსებული შესაძლებლობების გათვალისწინებით მოაწყონ სასამართლო მუშაკთა კვალიფიკაციის ასამაღლებლად მუდმივად ან პერიოდულად მოქმედი სემინარები, რომლებზედაც, თეორიულ საკითხებთან ერთად განიხილონ პრაქტიკაში კანონის შეფარდებისას დაშვებული კონკრეტული შეცდომები, აგრეთვე ნაკლოვანებები სასამართლო ორგანოთა საქმიანობის ორგანიზაციაში, ხელმძღვანელობასა და შემოწმებაში.

სსრ კავშირის უმაღლესმა სასამართლომ და მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესმა სასამართლოებმა განახორციელონ ღონისძიებანი, რათა სახალხო სასამართლოები უზრუნველყონ შესაბამისი საკანონმდებლო მასალებით და საჭირო ლიტერატურით სამართლებრივ თემებზე.

10. სსრ კავშირის უმაღლესმა სასამართლომ დაამყაროს უფრო რეგულარული კავშირი მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლეს სასამართლოებთან იმისათვის, რომ ოპერატიულად აღმოფხვრას ნაკლოვანებები როგორც სასამართლო პრაქტიკაში ცალკეული კატეგორიის საქმეებზე, ისე სასამართლო საქმიანობის მოწყობაში.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სასამართლო კოლეგიებმა, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესმა სასამართლოებმა, სამხარეო და საოლქო სასამართლო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ებმა უზრუნველყონ სასამართლოების დადებითი გამოცდილების გაზიარება სასამართლო და დანაშაულის თავიდან აცილების — პროფილაქტიკური მუშაობის საქმეში, როგორც მიმოხილვის შედგენით, ისე სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოსა და მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოების ბიულეტენებში შესაბამისი მასალების გამოქვეყნების გზით.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე
ა. გორკინი

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის მდივანი
ი. გრიშანინი

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის

დადგენილება № 16

ქ. მოსკოვი, 1962 წლის 3 დეკემბერი.

სასამართლო პრაქტიკის შესახებ იმ საქმეებზე, რომლებიც ითვალისწინებენ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას მოქმედებისათვის, რასაც დეზორგანიზაცია შეაქვს შრომა-გასწორებით დაწესებულებათა მუშაობაში

უკანასკნელ წლებში განხორციელდა რიგი ღონისძიებანი, რომლებიც მიზნად ისახავენ შრომა-გასწორებით დაწესებულებათა საქმიანობის გაუმჯობესებას; შეიქმნა საჭირო პირობები, რაც უზრუნველყოფს მსჯავრდებულთა გამოსწორებასა და ხელახლა აღზრდას და მათ დაბრუნებას პატიოსანი შრომითი ცხოვრებისათვის. ამის შედეგად თავისუფლების აღკვეთის ადგილებში მნიშვნელოვნად შემცირდა დანაშაულებრივ გამოვლინებათა რიცხვი.

მაგრამ ზოგიერთი პატიმარი, უმთავრესად, განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტთა და მძიმე დანაშაულისათვის მსჯავრდებულ პირთა რიცხვიდან, არღვევს რეჟიმის დადგენილ წესებს, ხოლო რიგ შემთხვევებში სჩადის დანაშაულს, რომელსაც დეზორგანიზაცია შეაქვს შრომა-გასწორებით დაწესებულებათა მუშაობაში.

ამ სახის დანაშულთან ბრძოლის გაძლიერების მიზნით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1961 წლის 5 მაისის ბრძანებულებით (მუხლი 14-1 კანონისა სახელმწიფო დანაშაულისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ) დაწესდა გაზრდილი პასუხისმგებლობა განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტთა და მძიმე დანაშაულისათვის მსჯავრდებულ პირთათვის, რომლებიც სასჯელს იხდიან და რომლებიც ტერორით აშინებენ თავისუფლების აღკვეთის ადგილებში გამოსწორების გზაზე დამდგარ პატიმრებს და აწყობენ თავდასხმებს ადმინისტრაციაზე ან ამ მიზნით ქმნიან დანაშაულებრივ დაჯგუფებებს, ან აქტიურად მონაწილეობენ ასეთ დაჯგუფებებში.

განიხილა რა სსრ კავშირის გენერალური პროკურორის წარდგინება და სასამართლო პრაქტიკის განზოგადების მასალები, სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმი აღნიშნავს, რომ სასამართლოში ძირითადად სწორად იხილავენ საქმეებს იმ დანაშაულის შესახებ, რომელსაც დეზორგანიზაცია შეაქვს შრომა-გასწორებით დაწესებულებათა მუშაობაში. მაგრამ სასამართლოების საქმიანობაში არსებობს სერიოზული ნაკლოვანებანი, რომლებიც კანონის ცალკეულ დებულებათა არასწორი გაგების შედეგია, დაშვებულია შეცდომები, რაც გავლენას ახდენს დანაშაულის კვალიფიკაციისა და სასჯელის ღონისძიების არჩევის სისწორეზე.

სასამართლოები მუდამ სწორად როდი განასხვავებენ სახელმწიფო დანაშაულისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ კანონის 14-1 მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულს მის მსგავს სხვა ხელყოფისაგან, არასწორად აკვალიფიცირებენ რა მოცემულ დანაშაულს ხულიგნობის, სხეულის დაზიანების, ხელისუფლებისათვის წინააღმდეგობის გაწევის და სხვ. მუხლებით, რაც იწვევს ამ საშიში ხელყოფისათვის სასჯელის დაუსაბუთებელ შემსუბუქებას.

ასე მაგალითად, კემეროვოს საოლქო სასამარ-

ეროვნული ბიბლიოთ

თლომ არასწორად დააკვალიფიცირა რუსეთის სფს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 193 მუხლით პატიმარ ი. პ. მირონოვის მოქმედება, რომელიც, იყო რა განსაკუთრებით საშიში რეციდივისტი, მუშაობისაგან თავის არიდების გამო რაზმის უფროსის შენიშვნის საპასუხოდ, თავს დაესხა მას და დაარტყა ლითონის საგანი. ამ მოქმედებისათვის მირონოვს პასუხი უნდა ეგო რუსეთის სფს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 77-1 მუხლით.

ამავე დროს გვხვდება შემთხვევები, როცა წინასწარი გამოძიების ორგანოები უსაფუძვლოდ აძლევენ პასუხისგებაში შრომა-გასწორებით დაწესებულებათა მუშაობაში დეზორგანიზაციის ბრალდებით იმ პირთ, რომლებიც ადრე არ ყოფილან ცნობილი განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტებად, ან, რომლებსაც მსჯავრი დაედოთ არა მძიმე დანაშაულისათვის. სასამართლოები მუდამ როდი ანიჭებენ სათანადო მნიშვნელობას კანონის ამ მოთხოვნას, რის გამოც არ არკვევენ და არ უთითებენ განაჩენებში ცნობილი იყო თუ არა ბრალდებული დანაშაულის ჩადენის მომენტისათვის განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტად ან იყო თუ არა პირი, მსჯავრდებული მძიმე დანაშაულისათვის.

არსებობს რუსეთის სფს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 77-1 მუხლით და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსების შესაბამისი მუხლებით იმ დანაშაულის არასწორი კვალიფიკაციის ფაქტები, რომელსაც, თუმცა კი შეაქვს დეზორგანიზაციის ელემენტები შრომა-გასწორებით დაწესებულებათა მუშაობაში, ისევე როგორც ყველა სხვა დანაშაულს, მაგრამ ეს დანაშაული ჩადენილია პატიმრებს შორის წარმოშობილი კონფლიქტების შედეგად პირადი ურთიერთობის საფუძველზე ან საყოფაცხოვრებო ხასიათის მოტივებით, ან იმ შემთხვევით გარემოებათა დამთხვევის შედეგად, რომლებიც ხშირად დაკავშირებულია თვით დაზარალებულის აშკარა უკანონო მოქმედებებთან.

სასამართლოები სხვადასხვაგვარად აკვალიფიცირებენ იმ განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტთა და მძიმე დანაშაულისათვის მსჯავრდებულ პირთა მოქმედებას, რომლებიც ცნობილი არიან დამნაშავეებად გაქცევაში, რასაც თან სდევდა ადმინისტრაციაზე თავდასხმა. ზოგიერთი სასამართლო ასეთ მოქმედებებს ყველა შემთხვევაში აკვალიფიცირებს რუსეთის სფს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 77-1 მუხლითა და 188 მუხლით (გაქცევა) და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსების შესაბამისი მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულის ერთობლიობით, ხოლო ზოგიერთი — მხოლოდ სისხლის სამართლის კოდექსის მუხლით, რომელიც ითვალისწინებს პასუხისგებლობას გაქცევისათვის.

არ არის ერთგვაროვნება სასამართლოების მიერ იმ პირთა წრის გაგებაში, რომლებიც მიეკუთვნება შრომა-გასწორებით დაწესებულებათა ადმინისტრაციას და რომლებზედაც თავდასხმა იწვევს პასუხისმგებლობას რუსეთის სფს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 77-1 მუხლით და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსების შესაბამისი მუხლებით.

დაშვებულია შეცდომები გამოსწორების გზაზე დაქდგარ პატიმართა ტერორით დაშინების ნიშნით დამნაშავეთა მოქმედების კვალიფიკაციაში, რაც აიხსნება დანაშაულის მოტივებისა და საქმის ყველა იმ ფაქტიურ გარემოებათა არასაკმარისად გამოკვლევით, რომლებზედაც დამოკიდებულია ამ საკითხის სწორი გადაწყვეტა. ზოგჯერ სასამართლოები განიხილავენ როგორც პატიმართა ტერორით დაშინებას ისეთ დანაშაულებრივ გამოვლინებებს, რომლებიც ჩადენილი იყო დაზარალებულთან სამართალში მიცემულის ჩხუბის, პირადი ურთიერთობის და სხვ. ნიადაგზე. ამის შედეგად არის სხეულის დაზიანების მიყენებისათვის, ხულიგნობისათვის, შეურაცხყოფისათვის და სხვ. დამნაშავეთა არასწორი გასამართლების შემთხვევები რუსეთის სფს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 77-1 მუხლით და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსების მუხლებით, მაშინ როცა მათ პასუხი უნდა აგონ სისხლის სამართლის კოდექსის სხვა, მათი მოქმედების შესაბამისი მუხლებით.

ბუხარის საოლქო სასამართლომ უზბეკეთის სს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 67-1 მუხლით მსჯავრი დასდო ა. მ. ბეკბაევს, რომელიც ცნობილ იქნა დამნაშავედ გამოსწორების გზაზე დამდგარი პატიმრების კულაგინისა და ზაკიროვის ტერორით დაშინებაში. მაგრამ საქმით დადგინდა, რომ ბეკბაევმა სცემა ზაკიროვი ჩხუბის დროს, რომელიც ატეხა თვით დაზარალებულმა, რომელმაც პირველმა გაარტყა ბეკბაევს. კულაგინის ცემის მოტივები სასამართლომ არ გამოარკვია.

სასჯელის ღონისძიებათა დანიშვნის დროს სასამართლოები მუდამ როდი იცავენ კანონის მოთხოვნებს. ცალკეული სასამართლო, უფარდებს არათანაზომიერად მკაცრ სასჯელს ჩადენილი ქმედობისა და მისი ხასიათის, აგრეთვე დამნაშავის პიროვნების გაუთვალისწინებლად, ან პირიქით, ეგუება პასუხისმგებლობის შემწყნარებლობას, რაც არაფრით არ არის დასაბუთებული.

აღნიშნულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის მიზ-

ნით სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმი ადგენს:

1. მიექცეს სასამართლოების ყურადღება იმას, რომ დამნაშავეობასთან ბრძოლის გაძლიერების მიზნით დიდი მნიშვნელობა აქვს გადაჭრით აღიკვეთოს ცალკეული დანაშაულებრივი ელემენტების ცდა დეზორგანიზაცია შეიტანონ შრომა-გასწორებით დაწესებულებათა საქმიანობაში. ამას ხელი უნდა შეუწყოს სასამართლოების მიერ იმ კანონის სწორად და განუხრელად გამოყენებამ, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას ასეთი სახის მოქმედებისათვის.

სასამართლოები მოვალენი არიან უზრუნველყონ კანონით დადგენილი სანქციის შესაბამისად სასჯელის შეფარდება დანაშაულისათვის, რასაც დეზორგანიზაცია შეაქვს შრომა-გასწორებით დაწესებულებათა მუშაობაში და მკაცრად დასაჯონ მოურჯულებელი ბოროტმოქმედნი. ამასთან უნდა გავითვალისწინოთ დამნაშავის პიროვნება, მისი ყოფაქცევა თავისუფლების აღკვეთის ადგილებში, მის მიერ ჩადენილი დანაშაულის საშიშროებისა და შედეგთა სიმძიმის ხარისხი.

2. რუსეთის სფს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 77-1 მუხლისა და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსების შესაბამისი მუხლების გამოყენების დროს სასამართლოებმა მხედველობაში უნდა იქონიონ, რომ ამ მუხლით პასუხს აგებენ მხოლოდ ის პირნი:

ა) რომლებიც ცნობილი არიან კანონით დადგენილი წესით განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტებად იმ მოქმედებების ჩადენამდე, რომლებსაც დეზორგანიზაცია შეაქვთ შრომა-გასწორებით დაწესებულებათა მუშაობაში.

ბ) რომლებიც სასჯელს იხდიან ყოველგვარი დანაშაულისათვის, რომელიც იმ მოკავშირე რესპუბლიკის კანონმდებლობამ, რომლის კანონებითაც მოცემულ პირს მსჯავრი დაედო, მძიმე დანაშაულთა რიცხვს მიაკუთვნა.

3. განემარტოს სასამართლოებს, რომ რუსეთის სფს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 77-1 მუხლითა და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსების შესაბამისი მუხლებით უნდა დაკვალიფიცირდეს შრომა-გასწორებითი დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებზე თავდასხმა მათი სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით. უკეთუ სასამართლო დაადგენს, რომ ადმინისტრაციაზე თავდასხმა ჩადენილია დაზარალებულის აშკარა უკანონო მოქმედების გამო, შესაბამის შემთხვევებში პასუხისმგებლობა უნდა წარმოიშვას არა რუსეთის სფს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 77-1 მუხლით, არამედ პიროვნების ხელყოფის მუხლებით.

ადმინისტრაციის წარმომადგენლებად მიჩნეულ უნდა იქნენ: შრომა-გასწორებითი დაწესებულებების უფროსთა შემადგენლობის პირნი; სამადრაგო დაცვის პირადი შემადგენლობა და მეთვალყურე შემადგენლობა; თავისუფლად დაქირავებული შემადგენლობა, რომელიც თავისუფლების აღკვეთის ადგილებში ახორციელებს პოლიტიკურ-აღმზრდელობით მუშაობას და სამედიცინო მომსახურებას; ადმინისტრაციული და საინჟინრო ტექნიკური პერსონალი, რომელიც ხელმძღვანელობს პატიმართა საწარმოო საქმიანობას.

4. განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტთა და მძიმე დანაშაულისათვის მსჯავრდებულ პირთა მოქმედებანი, რომლებიც ცნობილი არიან დამნაშავეებად გაქცევაში იმ ვითარების დროს, რომელიც იწვევს პასუხისმგებლობას რუსეთის სფს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 77-1 მუხლით, უნდა დაკვალიფიცირდეს რუსეთის სფს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 77-1 და 188 მუხლებით და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსების შესაბამისი მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულთა ერთობლიობით.

5. კანონის მითითებათა შესაბამისად, განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტთა და მძიმე დანაშაულისათვის მსჯავრდებულ პირთა მიერ დანაშაულებრივი დაჯგუფებების შექმნა იმ მიზნით, რომ თავს დაესხან ადმინისტრაციას და ტერორით დააშინონ გამოსწორების გზაზე დამდგარი პატიმრები, ან ასეთ დაჯგუფებებში აღნიშნულ პირთა მონაწილეობა წარმოშობს დანაშაულის შემადგენლობას, რომელიც გათვალისწინებულია რუსეთის სფს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 77-1 მუხლით და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსების შესაბამისი მუხლებით, იმ შემთხვევაში, როცა ჯგუფს ჯერ კიდევ არ ჩაუდენია დასახული დანაშაულებრივი მოქმედებანი. ამ შემთხვევაში პასუხისგებაში უნდა მიეცეს ასეთი ჯგუფების ორგანიზატორები და აქტიური მონაწილენი. საქმის განხილვის დროს სასამართლოებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ ყოველი სამართალში მიცემულის ქმედითი როლისა და მონაწილეობის ხარისხის დადგენას და არ დაუშვან მსჯავრის დადების ფაქტები მხოლოდ და მხოლოდ ჯგუფში მონაწილეობისათვის.

6. გამოსწორების გზაზე დამდგარ პატიმართა ტერორით დაშინებად უნდა მივიჩნიოთ შემთხვევები ძალადობის ან ძალადობის გამოყენების მუქარისა იმ მიზნით, რომ უარი ათქმევინონ შრომისადმი კეთილსინდისიერ დამოკიდებულებასა და რეჟიმის წესების დაცვაზე, ანდა მოქმედებანი, რომლებიც ჩადენილია შურისძიების ნიადაგზე შრომა-გასწორებით დაწესებულებაში

ეროვნული ბიბლიოთეკა

დისციპლინისა და წესრიგის განსამტკიცებლად საზოგადოებრივი მოვალეობის შესრულებისათვის. როგორც ტერორით დაშინება განხილულ უნდა იქნას აგრეთვე პატიმართა დაშინება და აბუჩად აგდება მათი შეშინებისა და ხელახლა აღზრდის ხელის შეშლის მიზნით.

გამოსწორების გზაზე დამდგარ პატიმართა ტერორით დაშინებისაგან სასამართლოებმა უნდა განასხვაონ სხვა, ობიექტური მხრივ მსგავსი დანაშაულებრივი გამოვლინებანი (ცემა, სხეულის დაზიანება და ა. შ.), რომლებიც ჩადენილი იყო დაზარალებულთან სამართალში მიცემულის ჩხუბის, პირადი ურთიერთობის ნიადაგზე და სხვა მსგავსი ვითარების დროს.

7. ადმინისტრაციაზე თავდასხმა ან გამოსწორების გზაზე დამდგარ პატიმართა ტერორით დაშინება, უკეთუ მას თან ახლდა მუქარა, სხეულის დაზიანება და სხვა მსგავსი ქმედობანი, შეიცავს დანაშაულის შემადგენლობას, რომელიც გათვალისწინებულია რუსეთის სფს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 77-1 მუხლით და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსების შესაბამის მუხლებით და აღარ არის საჭირო დამატებითი კვალიფიკაცია სისხლის სამართლის კოდექსის სხვა მუხლებით.

8. სასამართლოები ახორციელებენ რა თავისუფლების აღკვეთის ადგილებში ჩადენილ დანაშაულთან ბრძოლას, ამასთან ერთად არ უნდა დაუშვან მსჯავრდების შემთხვევები იმ უმნიშვნელო მოქმედებებისათვის, რომლებიც არ შეიცავენ დანაშაულის ნიშნებს და წარმოადგენენ რეჟიმის წესების დარღვევას, რაც დისციპლინური წესით ისჯება.

9. სასამართლოებმა უნდა გამოავლინონ თავისუფლების აღკვეთის ადგილებში დანაშაულის ჩადენის ხელშემწყობი მიზეზები და პირობები და მათ შესახებ კერძო განჩინებებით აცნობონ შესაბამის ორგანოებს, რათა აღმოიფხვრას პატიმართა ყოფნასთან, გამოსწორებასა და ხელახლა აღზრდასთან დაკავშირებული ნაკლოვანებები შრომა-გასწორებით დაწესებულებათა საქმიანობაში.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე
ა. გორკინი

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის მდივანი
ი. გრიშანინი

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის

დადგენილება № 17

ქ. მოსკოვი, 1962 წლის 3 დეკემბერი.

ახალი ერთგვაროვანი ან არანაკლებ მძიმე დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში სასამართლოების მიერ სასჯელის დანიშვნის პრაქტიკის შესახებ

სასამართლო პრაქტიკის შესწავლა გვიჩვენებს, რომ სასამართლოები ხშირად არღვევენ სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების 38 და 44 მუხლების მოთხოვნებს სასჯელის დამატების შესახებ იმ შემთხვევაში, როცა პირობით მსჯავრდებულმა გამოსაცდელი ვადის პერიოდში ან ვადამდე პირობით განთავისუფლებულმა სასჯელის მოუსდელი ნაწილის მსვლელობაში ჩაიდინა ახალი ერთგვაროვანი ან არანაკლები მძიმე დანაშაული.

ხშირ შემთხვევაში ეს გამოწვეულია იმით, რომ პირობით მჯავრდებულის ან ვადამდე პირობით განთავისუფლებულის მიერ ჩადენილი ახალი დანაშაულის გამო საქმეთა განხილვის დროს, სასამართლოები არ არჩევენ საკითხს იმის შესახებ, არის თუ არა ახალი დანაშაული ერთგვაროვანი ან არანაკლებ მძიმე.

ზოგიერთი სასამართლო შეცდომას უშვებს, მიაჩნია რა, რომ კანონი თითქოს არ მოითხოვდეს პირობითი მსჯავრის დადების დროს დანიშნული სასჯელის ან ვადამდე პირობით განთავისუფლებასთან დაკავშირებული სასჯელის მოუსდელი ნაწილის აუცილებელ მთლიან ან ნაწილობრივ დამატებას სასჯელზე, რომელიც განისაზღვრა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახლად ჩადენილი ერთგვაროვანი ან არანაკლებ მძიმე დანაშაულისათვის.

სასამართლო პრაქტიკაში არ არის ერთიანობა ერთგვაროვანი და არანაკლებ მძიმე დანაშაულის ნიშნების გაგებაში. მაგალითად, ცალკეული სასამართლოები მცდარად გამომდინარეობენ იქიდან, რომ ყველა დანაშაული, რომელიც გათვალისწინებულია საბჭოთა სამართლის კოდექსის ერთსა და იმავე თავით, ერთგვაროვანია. დასკვნა იმის შესახებ, რომ ახლად ჩადენილი დანაშაული არანაკლებ მძიმეა, ზოგჯერ არასწორად გამოაქვთ მხოლოდ მავნე შედეგების სიმძიმის შედარების საფუძველზე.

წინასწარი და სამსჯავრო გამოძიების მსვლელობაში ჯერ კიდევ სათანადო ყურადღება არ ექცევა ადრე ჩადენილი დანაშაულის იმ მონაცემების დადგენას, რომლებიც საჭიროა მისი ერთგვაროვნებისა და სიმძიმის ხარისხის მიხედვით ახალ დანაშაულთან დაპირისპირებისათვის. მთელ რიგ შემთხვევებში ნაცვლად ადრე ჩადენილი დანაშაულისათვის გამოტანილი განაჩენის ასლისა, საქმეებს ერთვის მხოლოდ მოკლე ცნობა ნასამართლობის შესახებ. საქმეებში მუდამ როდი არის აგრეთვე საკმარისი ცნობები განჩინების შესახებ, რომელიც სასამართლომ გამოიტანა ვადამდე პირობით განთავისუფლების დროს.

ამის შედეგად სასჯელის დანიშვნის დროს ზოგჯერ უშვებენ სერიოზულ შეცდომებს, რაც ასუსტებს ბრძოლას დამნაშავეებთან, რომლებსაც ურჩად არ სურთ დაადგნენ გამოსწორებისა და ხელახალი აღზრდის გზას. ადგილი აქვს აგრეთვე სასჯელის უსაფუძვლო დამატებას.

ხშირად სასამართლოები დასამატებელი სასჯელის განსაზღვრის დროს მხედველობაში არ იღებენ ადრე ჩადენილი და ახალი დანაშაულის სიმძიმეს, მონაცემებს დამნაშავის პიროვნების შესახებ, აგრეთვე პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ და დამაძიმებელ გარემოებებს, რომლებიც გათვალისწინებულია სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების 33-ე და 34-ე მუხლებით.

ნაცვლად სასჯელისა, რომელიც არ არის მოხდილი პირობითი მსჯავრის დადების გამო, სასამართლოები ახალი ერთგვაროვანი ან არანაკლებ მძიმე დანაშაულისათვის სასჯელს ზოგჯერ შეცდომით უმატებენ გამოსაცდელი ვადის დროს. რიგ შემთხვევებში სასჯელის დამატების დროს სასამართლოები, არღვევენ რა სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების 36-ე მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნებს, ამეტებენ მაქსიმალურ ვადას, რომელიც დადგენილია მოცემული სახის დანაშაულისათვის.

აღნიშნულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის მიზნით და, სასამართლო პრაქტიკაში წამოჭრილ საკითხებთან დაკავშირებით სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმი ადგენს:

1. მიექცეს სასამართლოების ყურადღება იმას, რომ სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების 38-ე და 44-ე მუხლების დებულება პირობით მსჯავრდებულის ან ვადამდე პირობით განთავისუფლებულის მიერ ახალი, ერთგვაროვანი ან არანაკლებ მძიმე დანაშაულის ჩადენის შედეგების შესახებ მიზნად ისახავს ბრძოლის გაძლიერებას დამნაშავეებთან, რომლებიც ჯიუტად არ ემორჩილებიან გამოსწორებასა და ხელახლა აღზრდას. სასამართლო პრაქტიკაში კანონის ამ მოთხოვნათა მტკიცე დაცვა ახალი დანაშაულის თავიდან აცილების ერთ-ერთი პირობაა.

პირობით მსჯავრდებულის ან ვადამდე პირობით განთავისუფლებულის მიერ ჩადენილი დანაშაულის შესახებ საქმეთა განხილვის დროს სასამართლოებმა ყოველმხრივ უნდა გამოარკვიონ, არის თუ არა ახალი დანაშაული ერთგვაროვანი ან არანაკლებ მძიმე ადრე ჩადენილ დანაშაულთან შედარებით იმისათვის, რომ სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების 36-ე, 38-ე და 44-ე მუხლების შესაბამისად წინა განაჩენით მოუხდელ სასჯელს მთლიანად ან ნაწილობრივ დაამატონ ახალი განაჩენით დანიშნული სასჯელი, მიღებული გადაწყვეტილების მოტივების აუცილებელი მოყვანით განაჩენში.

2. განმარტებულ იქნას, რომ ერთგვაროვნად უნდა ჩაითვალოს ისეთი დანაშაული, რომელიც მიმართული იყო ერთნაირი ან მსგავსი უშუალო ობიექტებისადმი და ჩადენილია ორივე განზრახ ან ორივე გაუფრთხილებლობით. მაგალითად, ერთგვაროვნად, როგორც ეს გამომდინარეობს რუსეთის სფს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 89-ე და 144-ე მუხლების შენიშვნებიდან და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსების შესაბამისი დებულებებიდან, უნდა ჩაითვალოს სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების და მოქალაქეთა პირადი ქონების დატაცება და ბანდიტიზმი. ერთგვაროვნად უნდა ჩაითვალოს ისეთი დანაშაული, რომელიც ხელყოფს მოქალაქეთა სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, როგორიც არის განზრახ მკვლელობა, უაჩადობა, სხეულის განზრახ დაზიანება და ხულიგნობა, რომელსაც თან ახლავს ძალადობა. ერთგვაროვანია აგრეთვე მოკვლის მუქარა, ხულიგნობა და ხელისუფლების

ეროვნული ბიბლიოთეკა

წარმომადგენელისათვის წინააღმდეგობის გაწევა ან შესაბამისად თაღლითობა, სპეკულაცია, ყალბი ფულისა და ფასიანი ქაღალდების დამზადება და სავალუტო ოპერაციების წესების დარღვევა.

3. არანაკლებ მძიმედ უნდა ჩაითვალოს დანაშაული, რომლისთვისაც კანონით შეიძლება დაინიშნოს ისეთივე ან უფრო მკაცრი სასჯელი იმ სასჯელთან შედარებით, რომელიც სასამართლომ ფაქტიურად დანიშნა ადრე ჩადენილი დანაშაულისათვის.

სხვადასხვა სახის სასჯელის შედარებითი სიმძიმის განსაზღვრის დროს სასამართლოები უნდა გამომდინარეობდნენ იმ რიგით, რომლითაც ჩამოთვლილია სასჯელთა ეს სახეები სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების 21-ე მუხლსა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსების შესაბამის მუხლებში.

4. ჭრიან რა საკითხს იმის შესახებ უნდა დაეშატოს თუ არა სასჯელი ახალი დანაშაულისათვის მთლიანად ან ნაწილობრივ და რა ფარგლებში, სასამართლოები ვალდებული არიან გაითვალისწინონ ადრე და ახლად ჩადენილი დანაშაულის სიმძიმე, მონაცემები პიროვნების ვინაობის შესახებ და იმ გარემოებათა მთელი ერთობლიობა, რომლებიც ამსუბუქებენ და ამძიმებენ პასუხისმგებლობას.

ამასთან მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ სასჯელის საბოლოო ღონისძიება ყოველ შემთხვევაში არ შეიძლება იყოს იმაზე ნაკლები, ვიდრე ის ღონისძიება, რომელიც პირობით დაინიშნა, ან სასჯელის ის ნაწილი, რომელიც მოუხდელი დარჩა ვადამდე პირობითი განთავისუფლების გამო.

იმ შემთხვევაში, როცა ადრე გამოტანილი განაჩენით პირს მსჯავრი დაედო იმ დანაშაულთა ერთობლიობით, რომელთაგანაც ერთ-ერთი არის ერთგვაროვანი, სიმძიმის მიხედვით თანაბარი ან უფრო ნაკლებად მძიმე ახალ დანაშაულთან შედარებით, ახალი განაჩენით დანიშნულ სასჯელს მთლიანად ან ნაწილობრივ უნდა დაეშატოს სასჯელის ის ღონისძიება, რომელიც პირველი განაჩენით საბოლოოდ განისაზღვრა ჩადენილ დანაშაულთა ერთობლიობით. ამასთან ერთად დაცულ უნდა იქნას სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების 36-ე მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნები იმის შესახებ, რომ სასჯელის საერთო ვადა არ უნდა აღემატებოდეს მაქსიმალურ ვადას, რომელიც დადგენილია მოცემული სახის დანაშაულისათვის.

5. ზემდგომმა სასამართლოებმა საკასაციო და საზედამხედველო წესით საქმეთა განხილვის დროს ყურადღება უნდა მიაქციონ იმას, რომ დაცულ იქნას სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების 38-ე და 44-ე მუხლების დებულებანი პირობით მსჯავრდებულთა ან ვადამდე პირობით განთავისუფლებულთა მიერ ახალი ერთგვაროვანი ან არანაკლებ მძიმე დანაშაულის ჩადენის შედეგების შესახებ.

იმ შემთხვევაში, როცა სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების 38-ე და 44-ე მუხლების საწინააღმდეგოდ წინა განაჩენით პირობით დანიშნული სასჯელი ან ვადამდე პირობით განთავისუფლებასთან დაკავშირებული სასჯელის მოუხდელი ნაწილი მთლიანად ან ნაწილობრივ არ დამატებია სასჯელს ახლად ჩადენილი დანაშაულისათვის, სასჯელის დამატება შეიძლება მხოლოდ საქმის ახალი განხილვისას ამ მოტივებით შეტანილი პროტესტის ან დაზარალებულის საჩივრის საფუძველზე განაჩენის გაუქმების შემდეგ, უკეთუ რესპუბლიკურ კანონმდებლობაში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

6. ძალადაკარგულად ჩაითვალოს „პირობითი მსჯავრის დადების თაობაზე სასამართლო პრაქტიკის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1961 წლის 4 მარტის № 1 დადგენილების მე-5 და მე-6 პუნქტები და „მსჯავრდებულთა სასჯელისაგან ვადამდე პირობითი განთავისუფლების თაობაზე სასამართლო პრაქტიკის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1961 წლის 4 მარტის № 2 დადგენილების მე-5 პუნქტი.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე
ა. გორკინი

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის მდივანი
ი. გრიშანინი

რეფორმაცია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადმინისტრაციული ორგანოების მუშაკთა რესპუბლიკური თათბირი

10 აპრილს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა ადმინისტრაციული ორგანოების მუშაკთა რესპუბლიკური თათბირი პარტიულ, პროფკავშირულ და კომკავშირულ აქტივთან ერთად.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ამიერკავკასიის ბიუროს თავმჯდომარის მოადგილე **ო. დ. გოცირიძე**, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნები **დ. ს. ზემლიანსკი, გ. ა. გეგეშიძე, მ. ი. კუჭავა**, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატები **მ. მ. ლელაშვილი, გ. ი. ჩოგოვაძე, რ. ი. ფრუიძე**, სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის კომიტეტის განყოფილების გამგე **ა. ა. ტუუიკოვი**, სკკპ ცენტრალური კომიტეტის ადმინისტრაციული ორგანოების განყოფილების ინსტრუქტორი **ა. პ. ბელოვი**.

მოხსენება — დამნაშავეობისა და სოციალისტური კანონიერების დარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლის მდგომარეობა რესპუბლიკაში — გააკეთა საქართველოს სსრ პროკურორმა **პ. ე. ბერძენიშვილმა.**

ახორციელებენ რა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ყრილობის გადაწყვეტილებებს, — აღნიშნა მომხსენებელმა, — საქართველოს სსრ პროკურატურის, სასამართლოსა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ორგანოებმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით, უკანასკნელ ხანს განახორციელეს დიდი ღონისძიებანი დამნაშავეობასთან ბრძოლის გასაძლიერებლად. ამან უზრუნველყო ზოგიერთ საშიშ დანაშაულობათა შემცირება. ასე მაგალითად, უკანასკნელ წლებში შემცირდა ისეთი დანაშაულობანი, როგორიცაა განზრახ მკვლელობა და თავდასხმა მკვლელობის მიზნით, გაუპატიურება, ყაჩაღობა, მოქალაქეთა პირადი საკუთრების ქურდობა.

მიუხედავად ამისა რესპუბლიკის ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობაში, ჯერ კიდევ ვხვდებით პასიურობის, საქმეთა გაჭიანურების აშკარა უკანონობის ფაქტებს.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, ჯერ კიდევ, არასაკმაოდ წარმოებს ბრძოლა სახელმწიფო ქონების გამტაცებელთა წინააღმდეგ. შემოწმებამ ნათელყო, რომ სახალხო დოვლათის გატაცებას ხშირად ხელს უწყობს ცალკეული ორგანიზაციებისა და დაწესებულებების ხელმძღვანელთა დაუდევრობა, სიბეცე. ისინი სათანადო კონტროლს არ ახორციელებენ სახელმწიფო ქონების დასაცავად, ცუდად ამოწმებენ კადრებს, რის შედეგადაც მატერიალურად პასუხსაგებ თანამდებობებზე და სარევიზიო აპარატში გაძვრნენ სახელგატეხილი ადამიანები, ანგარებით დანაშაულისათვის, თაღლითობისათვის პასუხისგებაში ნამყოფი პირები.

გორის სავაჭრო ქსელში საწყობის გამგედ მიიღეს ვინმე გოდერძიშვილი, რომლის ბრალდების საქმე გაფლანგვაზე იმ პერიოდში საგამომძიებლო ორგანოების წარმოებაში იმყოფებოდა. ახალ სამუშაოზე გოდერძიშვილმა რამდენიმე თვეში მოასწრო 15 ათასი მანეთის გატაცება.

ბევრ შემთხვევაში სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების დიდი ოდენობით გატაცება დროულად არ ვლინდება უხარისხოდ ჩატარებული რევიზიის მიზეზით, ხოლო ზოგჯერ რევიზორების დანაშაულებრივი კავშირის გამოც გამტაცებლებთან.

მომხსენებელი ლაპარაკობს ინვენტარიზაციის ჩატარების წესებისა და ვადების დარღვევებზე. ზოგიერთი სამეურნეო ხელმძღვანელი საგამომძიებლო ორგანოებს არ გადასცემს მასალებს გამფლანგველებზე, ხოლო ზოგიერთი თვით მონაწილეობს სახალხო დოვლათის გატაცებაში. მოხსენებაში დიდი ადგილი დაეთმო მექრთამეობასთან, აგრეთვე სხვა განსაკუთრებით საშიშ დანაშაულობასთან ბრძოლის საკითხებს.

დანაშაულთან ბრძოლისა და კანონიერების განმტკიცების საქმეში, — განაგრძობს მომხსენებელი, — დიდ როლს ასრულებს ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანი კონტაქტი, რაც უკანასკნელ დროს მნიშვნელოვნად განმტკიცდა. ეს გამოიხატება პროკურატურის, სასამართლოსა და მილიციის ადგილობრივი ორგანოების ერთობლივ შემოწმებაში, განსაკუთრებით საშიშ დანაშაულთა ერთობლივად გახსნასა და გამოძიებაში. დიდი მნიშვნელობა აქვს ამ საქმეში აგრეთვე პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ორგანოებს, რომლებიც ადმინისტრაციულ ორგანოებთან ერთად აქტიურად იბრძვიან სოცია-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლისტური კანონიერების დარღვევათა წინააღმდეგ.

ამხ. პ. ბერძენიშვილი ლაპარაკობს საზოგადოების როლზე დანაშაულობათა წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში, საბჭოთა კანონმდებლობის პროპაგანდის გაძლიერების აუცილებლობაზე, კადრების სწორად შერჩევაზე.

დასასრულ მომხსენებელმა აღნიშნა: ვამტკიცებთ რა კონტაქტს ჩვენს ყოველდღიურ პრაქტიკულ საქმიანობაში, ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით, საქალაქო და რაიონული ადგილობრივი პარტიული ორგანოების, აგრეთვე სსრ კავშირის პროკურატურისა და უმაღლესი სასამართლოს დახმარებით ყოველ ღონეს ვიხმართ იმისათვის, რომ უახლოეს ხანში აღმოვფხვრათ ნაკლოვანებანი ადმინისტრაციული ორგანოების მუშაობაში, განვამტკიცოთ სოციალისტური კანონიერება ჩვენს რესპუბლიკაში.

პარტიის პროგრამა, — ამბობს საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მინისტრი **ო. ქავთარაძე,** — მოითხოვს ჩვენგან მტკიცედ დავიცვათ კანონიერება, აღმოვფხვრათ მართლწესრიგის დარღვევა, დამნაშავეობა და მისი წარმომშობი ყველა მიზეზები. ჩვენს პირობებში, ჯერ კიდევ, აქვს ადგილი განსაკუთრებით საშიშ დანაშაულს, განზრახ მკვლელობას, გაუპატიურებას და სხვა. დამნაშავეთა მიმართ არ არის შექმნილი შეურიგებლობის ატმოსფერო, დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში არ არის ჩაბმული მთელი საზოგადოებრიობა, ჯეროვნად არ არიან გამოყენებული რაზმეულები და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები. ილაპარაკა რა არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილ დანაშაულობებზე, ამხ. ო. ქავთარაძემ მიზანშეწონილად მიიჩნია შეიქმნას საზოგადოებრივი ორგანიზაცია — „მილიციის ნორჩი მეგობარი“.

პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივანმა **ს. ჩხარტიშვილმა** თავის გამოსვლაში თქვა: მიუხედავად მეტად დიდი და სერიოზული მუშაობისა, რაც ჩატარებული აქვს ქალაქის პარტიულ ორგანოებს, გაფლანგვა-მტაცებლობის, მექრთამეობისა და სხვა ანტისაზოგადოებრივ მოვლენათა წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში, ეს საქმიანობა ჯერ კიდევ არ არის საკმარისი. ქალაქის ადმინისტრაციული ორგანოები, მათი პირველადი პარტიული ორგანიზაციები სათანადოდ ვერ იყენებენ ამ საქმეში საზოგადოებრიობას. ქალაქში კიდევ აქვს ადგილი მრავალ დანაშაულებრივ გამოვლინებას, რაც სამართლიან უკმაყოფილებას იწვევს რესპუბლიკის დედაქალაქის მშრომელებში.

ჩვენი ამოცანა ახლა იმაში მდგომარეობს, — ამბობს სიტყვის დასასრულს ს. ჩხარტიშვილი,— **რომ ყოველმხრივ** აღიკვეთოს დანაშაულის გზები და **ხაშუალებანი,** მისი გამოვლინება. დამნაშავეთა მიმართ მიღებულ უნდა იქნას **უკიდურესი** ზომები.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე **ვ. მაისურაძე** აღნიშნავს, რომ დანაშაულობასთან ბრძოლის საქმეში მნიშვნელოვანი როლი ეკუთვნის როგორც ადმინისტრაციულ ორგანოებს, ასევე ფართო საზოგადოებრიობას. ამხ. ვ. მაისურაძეს სასამართლო პრაქტიკიდან მოჰყავს კონკრეტული მაგალითები ცალკეულ საქმეებზე, ამბობს, რომ ბევრჯერ სასამართლოები დაუსაბუთებლად გზავნიან საქმეებს დამატებითი გამოძიებისათვის, ხშირად ირღვევა საქმეების განხილვის ვადები.

კამათში მონაწილეობა მიიღო სსრ კავშირის გენერალური პროკურორის მოადგილემ **ა. პანკრატოვმა,** რომელმაც მოიყვანა ფაქტები მილიციისა და სხვა ადმინისტრაციული ორგანოების ფორმალურ მუშაობაზე, საგამომძიებლო ვადების დარღვევაზე. ამხ. ა. პანკრატოვი ვრცლად შეჩერდა კადრების შერჩევის, აღზრდისა და განაწილების შესახებ.

თათბირზე სიტყვით გამოვიდა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო პროკურორი, იუსტიციის გენერალ-მაიორი **ბ. ცალაგოვი.**

დამნაშავეობასთან ბრძოლის საქმეში საზოგადოებრიობის ჩაბმის შესანიშნავი ფორმაა პროცესში საზოგადოებრივ ბრალმდებელთა და საზოგადოებრივ დამცველთა მონაწილეობა, — აღნიშნა თელავის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარემ **გ. მირიმანაშვილმა.** საზოგადოებრივი ბრალმდებლის ან დამცველის გამოყოფისათვის სავალდებულოა საერთო კრების დადგენილება, ამის შესაძლებლობა კი ხშირად სირთულეებთან არის დაკავშირებული. ამიტომ საჭიროა, საქმეში დამცველთა და ბრალმდებელთა ჩაბმის პირობების გამარტივება.

სიტყვით გამოვიდა მახარაძის ტერიტორიულ-საწარმოო სამმართველოს პარტკომის მდივანი **ვ. თოხაძე.** მან თათბირის მონაწილეებს გააცნო თუ რა მნიშვნელოვანი ღონისძიებანი ტარდება მახარაძის რაიონში დანაშაულობათა წინააღმდეგ საბრძოლველად და ამ საქმეში ფართო საზოგადოებრიობის ჩაბმისათვის. დამნაშავეობის წინააღმდეგ მნიშვნელოვანი პროფილაქტიკური ღონისძიებაა იდეოლოგიური მუშაობის მაღალ დონეზე დაყენება. პარტიული კომიტეტი, პირველადი პარტიული ორგანიზაციები მასობრივ-პოლიტიკურ და პროპაგანდისტულ საქმიანობაში სერიოზულ ყურადღებას უთმობენ მართლწესრიგის დარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებს. შტატგარეშე ლექტორები, პოლიტიკური მომხსენებლები სისტემატურად კითხულობენ ლექცია-მოხსენებებს ისეთ თემებზე, რომლებიც ეხება სოცია-

ლისტური თანაცხოვრების წესების, საბჭოთა კანონმდებლობის დაცვის, შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების აღზრდისა და სხვა საკითხებს.

გორის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანმა **თ. ბერიშვილმა** გააცნო თათბირის მონაწილეებს გორის საქალაქო კომიტეტის მუშაობა დამნაშავეობათა და სოციალისტური კანონიერების დარღვევებთან ბრძოლის გაუმჯობესების საქმეში.

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი **ო. ჩერქეზია** შეეხო არასრულწლოვანთა დამნაშავეობასთან ბრძოლის გაძლიერების საკითხს. მოიყვანა რა მაჩვენებლები, რომლებიც ახასიათებენ საქართველოს კომკავშირის მონაწილეობას დამნაშავეობასთან ბრძოლაში, ორატორმა მიუთითა, რომ ამ მხრივ ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი. სახალხო რაზმეულების მუშაობაში უფრო აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ კომკავშირელმა ქალიშვილებმა და ჭაბუკებმა. ამხ. ო. ჩერქეზია შეეხო აგრეთვე ზოგიერთი წარმოებისა და დაწესებულების ხელმძღვანელთა მხრივ შრომის კანონმდებლობის დარღვევის ფაქტებს.

თათბირზე ვრცელი სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა **დ. ზემლიანსკიმ.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ პროკურატურის კოლეგიაზე

გაიმართა საქართველოს სსრ პროკურატურის კოლეგიის გაფართოებული სხდომა, აფხაზეთის, აჭარის ასსრ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების პროკურორების მონაწილეობით. კოლეგიაზე განხილულ იქნა შემდეგი საკითხები:

1. სასამართლოების მიერ გამოტანილი გამამართლებელი განაჩენების და მოსპობილ საქმეთა შემოწმების შედეგების შესახებ.

2. გაფლანგვა-მტაცებლობით სახელმწიფოსათვის მიყენებული ზარალის ანაზღაურებაზე საპროკურორო ზედამხედველობის შესახებ.

კოლეგიის მუშაობაში მონაწილეობას იღებდნენ სსრ კავშირის გენერალური პროკურორის მოდგილე ა. პანკრატოვი და საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე ვ. მაისურაძე.

კოლეგიამ ზემოთ აღნიშნულ საკითხებზე მოისმინა საქართველოს სსრ პროკურატურის სასამართლოებში სისხლის და სამოქალაქო სამართლის საქმეთა განხილვაზე ზედამხედველობის განყოფილებების უფროსების ლ. ზაიჩიკისა და ვ. ასეიშვილის მოხსენებები.

მომხსენებლებმა და კამათში გამოსულებმა, აღნიშნეს, რომ უკანასკნელ ხანს რესპუბლიკის ქალაქისა და რაიონების პროკურორები უფრო სწორად სწყვეტენ საკითხს სისხლის სამართლის საქმეთა აღძვრის, მოქალაქეთა პასუხისგებაში მიცემისა და მათ მიმართ აღმკვეთი ღონისძიებების შეფარდების შესახებ.

ამის შედეგად შემცირდა სისხლის სამართლის საქმეთა უსაფუძვლოდ აღძვრის, პასუხისგებაში მიცემულ პირთა უკანონო დაპატიმრების ფაქტები, ამასთანავე აღნიშნული იქნა, რომ ამ დარგში ადგილი აქვს ნაკლოვანებებს.

კოლეგიის სხდომაზე მწვავედ იქნა გაკრიტიკებული იმ პროკურატურათა საქმიანობა, რომელთა მუშაობაში ადგილი აქვს კანონის დარღვევის, დამახინჯების ფაქტებს.

გაფლანგვა-მტაცებლობით სახელმწიფოსათვის მიყენებული ზარალის ანაზღაურების საქმეში დადებით მუშაობასთან ერთად აღინიშნა ამ მიმართებით მთელი რიგი ქალაქებისა და რაიონის პროკურატურების მუშაობაში არსებითი ნაკლოვანებები.

კოლეგიის სხდომაზე სიტყვით გამოვიდა სსრ კავშირის გენერალური პროკურორის მოდგილე ა. პანკრატოვი, რომელიც ვრცლად შეჩერდა პროკურატურის ორგანოების მუშაობაში არსებული ნაკლოვანებების გამომწვევ მიზეზებზე, ილაპარაკა იმ კონკრეტულ ამოცანებზე, რომელიც დგას პროკურატურის ორგანოების წინაშე.

განხილული საკითხის ირგვლივ კოლეგიამ მიიღო სათანადო გადაწყვეტილებები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადმინისტრაციული ორგანოების მუშაკების საოლქო თათბირი

15 ივნისს ქ. ბათუმში გაიმართა აჭარის პროკურატურის, სასამართლოსა და მილიციის ორგანოების მუშაკების თათბირი პარტიულ, საბჭოთა და კომკავშირულ აქტივთან ერთად, რომელმაც განიხილა „დანაშაულობათა და სოციალისტური კანონიერების დარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლის მდგომარეობა აჭარის ასსრ რესპუბლიკაში“.

თათბირი გახსნა საქართველოს კპ აჭარის საოლქო კომიტეტის მეორე მდივანმა ლ. მ. უჯლებამ.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობას იღებდნენ: საბჭოთა კავშირის კპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის კომიტეტის სექტორის გამგე გ. ვ. ეროვი, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ადმინისტრაციული ორგანოების განყოფილების გამგის მოადგილე ზ. რ. რატიანი, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე ვ. ი. მაისურაძე, საქართველოს სსრ პროკურორი პ. ე. ბერძენიშვილი, სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის მდივანი ი. ფ. გრიშანინი, აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე რ. მ. კომახიძე, აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ლ. მ. დავითაძე, საქართველოს კპ აჭარის საოლქო კომიტეტისა და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარე ა. ა. ანთაძე, პროფესიული კავშირების აჭარის საოლქო საბჭოს თავმჯდომარე მ. გ. ეკიზაშვილი, აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ტ. ს. ჩიქოვანი.

თათბირზე მოხსენებით გამოვიდა აჭარის ასსრ პროკურორი ჯ. ი. ბაჯელიძე. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ აჭარის ასსრ პროკურატურის, სასამართლოსა და მილიციის ორგანოებმა, რომლებიც ხელმძღვანელობდნენ საბჭოთა კავშირის კპ XXII ყრილობისა და ყრილობის შემდგომ პერიოდში პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმებზე მიღებული ისტორიული გადაწყვეტილებებით, ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანოების დახმარებით, გარკვეულ წარმატებას მიაღწიეს დანაშაულობათა წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებისა და სოციალისტური კანონიერების შემდგომი განმტკიცების საქმეში.

წინა წლებთან შედარებით, გაფლანგვა-მტაცებლობის, მექრთამეობის და სხვა საშიში კატეგორიის დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა უფრო კონკრეტული და ეფექტური გახდა. ყურადღება ექცევა დანაშაულობათა წარმოშობის, ხელისშემწყობი მიზეზების შესწავლას, დანაშაულის თავიდან აცილების მიზნით პროფილაქტიკური ღონისძიებების გატარებას, სოციალისტური მართლწესრიგის დამრღვევთა წინააღმდეგ საზოგადოების ფართო მასების ზემოქმედებას.

შემდეგ მომხსენებელი შეჩერდა ადმინისტრაციული ორგანოების მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებებზე და აღნიშნა, რომ არასაკმაო მუშაობა ტარდება დანაშაულის გახსნის, მიმალვაში მყოფ დამნაშავე პირების დასაძებნად. არ არის აღმოფხვრილი სისხლის სამართლის საქმეთა უხარისხოდ გამოძიების, გაჭიანურების, მოქალაქეთა უსაფუძვლოდ პასუხისგებაში მიცემის, პატიმრობის, სასამართლო ორგანოების მხრივ ლიბერალური და უსწორო განაჩენების გამოტანის ფაქტები.

მიმდინარე წელს გამოძიების ხაზით რესპუბლიკაში შედარებით არადამაკმაყოფილებელი მაჩვენებელი აქვს ქ. ბათუმის პროკურატურას და ამ პროკურატურაში მომუშავე გამომძიებელ ლ. ა. ჩიქოვანს და სხვებს. სისხლის სამართლის საქმეთა უხარისხოდ გამოძიების ფაქტებს აგრეთვე ადგილი აქვს ჩაქვის სარაიონთაშორისო პროკურატურასა და რესპუბლიკის მომკვლევი ორგანოების მუშაობაში.

1962 წელს გაუხსნელი დარჩა სოციალისტური საკუთრების დატაცების 7 შემთხვევა, თუ დავუმატებთ, — აღნიშნა მომხსენებელმა, — წინა წლებიდან მომდინარე გაუხსნელ საქმეებს, რომელთა რიცხვი კიდევ უფრო დიდია, ნათელი გახდება, რომ ამ მიმართულებით მუშაობაში სერიოზული ხარვეზებია.

ქ. ბათუმისა და ჩაქვის სარაიონთაშორისო პროკურატურის, მილიციის ორგანოს სუსტ მუშაობას უნდა მიეწეროს ის, რომ წლების მანძილზე გაუხსნელია და უმოძრაოდ დევს ჩაქვის რაიონის სალიბაურის სოფლის კოოპერატივის სავაჭროს, „ბათუმვაჭრობის“ № 27 მაღაზიის გაქურდვის, სასადილოების ტრესტის სალაროდან 1500 მანეთის მოპარვისა და სხვა საქმეები.

ნაკლოვანებებია საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს სოციალისტური საკუთრების მტაცებლობისა და სპეკულაციის წინააღმდეგ მებრძოლი განყოფილების მუშაობაში, წარმოება-დაწესებულებების ხელმძღვანელების მიერ კადრების შერჩევის მხრივ.

„ბათუმვაჭრობის“ № 57 მაღაზიის მუშაკები წლების მანძილზე ფლანგავდნენ სახელმწიფო ქონებას. აღნიშნული ფაქტი ცნობილი გახდა აჭარის საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს სოციალისტური საკუთრების მტაცებლობისა და სპეკულაციის წინააღმდეგ მებრძოლი განყოფილების მუშაკებისათვის, მხოლოდ მას შემდეგ, როცა ამ მაღაზიაში დატაცებულ თანხამ დიდ რაოდენობას მიაღწია. გარდა ამისა მაღაზიაში რეგულარულად ტარდებოდა ინვენტარიზაცია, მაგრამ უშედეგოდ. საინვენტარიზაციო სია სდგებოდა მაღაზიის მუშაკების სურვილისა და შეხედულებისამებრ. ამით იჩქმალებოდა ასეთი დიდი ოდენობის დანაკლისი. კიდევ მეტი „ბათუმვაჭრობის“ დირექცია იქამდე მივიდა, რომ მაღაზიის გამგე გოგიბერიძე მოწინავე დაფაზე შეიტანა რუბრიკით „მიბაძეთ ჩვენი მოწინავეა“, ამასთან იგი რამდენჯერმე გამოიყვანეს კრებებსა და საწარმოო თათბირებზე მუშაობის გამოცდილების გაზიარების მიზნით.

ქ. ბათუმის ფეხსაცმელების ფაბრიკაში ბუღალტრის თანამდებობაზე მიიღეს ვინმე რომანოვსკი, რომელიც განუსაზღვრელი უფლებებით სარგებლობდა. არ იყო მის მუშაობაზე დაწესებული სათანადო კონტროლი, რის გამოც ფაბრიკის მოლარესთან ერთად მიითვისა 9000 მანეთი, მხოლოდ ამის შემდეგ გახდა ცნობილი, რომ ადრე მას სახელმწიფო ქონების გაფლანგვა-მტაცებლობისათვის მისჯილი ჰქონდა 25 წლიო თავისუფლების აღკვეთა. ცუდი მდგომარეობაა „აჭარკოოპკავშირის“ სისტემაში. ხშირია შემთხვევები, როდესაც ნასამართლები და ნდობადაკარგული პირები მატერიალურ პასუხსაგებ სამუშაოზე მუშაობენ.

მომხსენებელმა თავისი გამოსვლის საკმაო ნაწილი დაუთმო ავტოტრანსპორტის მოძრაობის, საბჭოთა ვაჭრობის წესების დარღვევის, სპეკულაციის, არასრულწლოვანთა და სხვა დანაშაულის წინააღმდეგ მუშაობის გაძლიერებას.

ნაკლოვანებებია პარაზიტული ელემენტების, იმ პირების მიმართ ბრძოლის გაძლიერებისა და გამოვლინებისათვის, რომლებმაც არაშრომითი შემოსავლით აიშენეს ბინები. 1962 წელს, მომდინარე წლის 5 თვეში, საზოგადოების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების ინიციატივით არცერთი პარაზიტული ელემენტი არ ყოფილა გასახლებული.

მომხსენებელმა შემდეგ ვრცლად ილაპარაკა სასამართლო ორგანოებისა და საპროკურორო ზედამხედველობის საქმეში არსებულ ნაკლოვანებებზე. ნაკლებად ეწყობა საჩვენებელი, გამსვლელი სესიები საზოგადოებრივი ბრალმდებლების მონაწილეობით.

ქალაქისა და რაიონების პროკურორების მიერ დროულად, საკასაციო ვადებში არ პროტესტდება სასამართლოს მიერ გამოტანილი უსწორო განაჩენები, გადაწყვეტილებები და სხვა.

მოხსენების ირგვლივ გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს: აჭარის ასსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მინისტრმა ა. ე. კეთილაძემ, აჭარის ასსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარემ ს. ბ. მაკარაძემ, საქართველოს კპ ბათუმის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ა. ი. კოპლატაძემ, ჩაქვის მშრომელთა დეპუტატების რაიონის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ა. ო. ანანიძემ, საქართველოს ალკკ აჭარის საოლქო კომიტეტის მეორე მდივანმა რ. მ. სარიშვილმა, ჩაქვის სარაიონთაშორისო პროკურორმა დ. ხ. თამაზაშვილმა, მიკრორაიონის ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულის უფროსმა ა. ი. თოქმანჯიანმა, ქ. ბათუმის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარემ დ. კ. ჩხარტიშვილმა, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარემ ვ. ი. მაისურაძემ, საქართველოს სსრ პროკურორმა პ. ე. ბერძენიშვილმა.

კამათში გამოსულმა ამხანაგებმა ილაპარაკეს ადმინისტრაციული ორგანოების დადებით მუშაობაზე, ამასთან სწორი ანალიზი გაუკეთეს და საქმიანი კრიტიკით ამხილეს ის ნაკლოვანებები, რომლებსაც ადგილი აქვს კანონიერების, მართლწესრიგის განმტკიცების მხრივ და წამოაყენეს მთელი რიგი კონკრეტული წინადადებები არსებული ნაკლოვანებების დროულად აღმოფხვრისა და მუშაობის ახლებურად გარდაქმნის მიზნით.

ვ. გოგუაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროკურორის მოხსენება პარტიული აქტივის კრებაზე

მიმდინარე წლის 12 მაისს გარდაბნის რაიონის პარტიული აქტივის კრებამ განიხილა რაიონის პროკურორის, იუსტიციის უმცროსი მრჩეველის ნ. აბესაძის მოხსენება — „რაიონში სოციალისტური კანონიერების მდგომარეობისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ“.

მომხსენებელი დაწვრილებით შეჩერდა იმ დადებით მუშაობაზე, რასაც ადმინისტრაციული ორგანოები ატარებენ ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების დახმარებით.

შემდეგ მომხსენებელმა აღნიშნა, რომ რაიონის პროკურატურის, სასამართლოს, მილიციის ორგანოების საქმიანობაში ჯერ კიდევ აქვს ადგილი სერიოზულ ნაკლოვანებებს. ეფექტურად არ წარმოებს ბრძოლა მტაცებლობის, სპეკულაციის, ავტოტრანსპორტზე მოძრაობის წესების დარღვევისა და სხვა დანაშაულებრივ მოქმედებათა აღმოფხვრისათვის. ზოგიერთი დანაშაული გაუხსნელია; ადგილი აქვს პროკურატურასა და მილიციაში შემოსული მასალების შემოწმების, სისხლის სამართლის საქმეთა გამოძიების კანონით დადგენილი ვადების დარღვევის ფაქტებს.

დანაშაულის თავიდან აცილების მიზნით ნაკლებად ტარდება პროფილაქტიკური ღონისძიებები, ლექცია-მოხსენებები, კითხვა-პასუხის საღამოები, მცირე რაოდენობით ეწყობა სასამართლოს გამსვლელი სესიები საზოგადოებრივი ბრალმდებლებისა და დამცველების მონაწილეობით.

მომხსენებელმა ყურადღება გაამახვილა სახალხო რაზმეულების და ამხანაგური სასამართლოების მუშაობის გარდაქმნაზე, პარაზიტული ელემენტების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების, მშრომელთა საჩივრების განხილვა-გადაწყვეტის გაუმჯობესებისა და საპროკურორო მუშაობის სხვა საკითხებზე.

მოხსენების ირგვლივ გაიმართა კამათი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს სახალხო სასამართლოს თავმჯდომარემ გ. კაკაურიძემ, ახალი სამგორის საბჭოთა მეურნეობის პარტიული ბიუროს მდივანმა გ. გუსეინოვმა, მილიციის განყოფილების უფროსმა ი. ღუდუშაურმა, მარტყოფის საბჭოთა მეურნეობის ამხანაგური სასამართლოს თავმჯდომარემ ნ. ნიკურაძემ, საქართველოს ალკკ გარდაბნის სასოფლო-საწარმოო კომიტეტის მდივანმა ი. მათიაშვილმა, მეფრინველეობის ფაბრიკასთან არსებული პარტიული-სახელმწიფო კონტროლის ხელის შემწყობი ჯგუფის თავმჯდომარემ ს. დანელიამ, გარდაბნის მებოსტნეობა-მეხილეობის საბჭოთა მეურნეობის დიოექტორმა გ. ბაღდასაროვმა, სართიჭალის საბჭოთა მეურნეობის დირექტორმა ა. დემეტრაძემ.

კამათში გამოსულმა ამხანაგებმა წამოაყენეს ღონისძიებები დანაშაულობის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებისა და სოციალისტური კანონიერების განმტკიცების საქმეში საზოგადოების ფართო მასების აქტიური მონაწილეობის უზრუნველსაყოფად.

აქტივის კრებაზე სიტყვით გამოვიდა საქართველოს კომპარტიის გარდაბნის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოს კომიტეტის მდივანი ვ. მირიანაშვილი.

ვ. არტემიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოჩენილი იურისტისა და პედაგოგის სსოვნას

1963 წლის 12 ივნისს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა გამოჩენილი იურისტის, ნიჭიერი მკვლევარის, პედაგოგისა და საზოგადო მოღვაწის პროფ. იროდიონ აპოლონის-ძე სურგულაძის დაბადების 70 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო.

საღამო შესავალი სიტყვით გახსნა სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, აკადემიკოსმა ევ. ხარაძემ.

ირ. სურგულაძის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე მოხსენებით გამოვიდა პროფ. ივ. სურგულაძე.

ნიჭიერი მკვლევარი, პედაგოგი, მოღვაწე, გულისხმიერი ადამიანი — ასე იცნობდნენ იურისტთა საზოგადოება, ფართო მასები, სტუდენტები პროფესორ ირ. სურგულაძეს, აღნიშნავს მომხსენებელი.

ირ. სურგულაძემ იურიდიული განათლება მიიღო დორპატის (ახლანდელი ტარტუს) ცნობილ უნივერსიტეტში, სადაც აქტიურად მონაწილეობდა სტუდენტთა სამეცნიერო მუშაობაში. სახელმწიფოსა და სამართლის საკითხებთან ერთად გატაცებული იყო ფილოსოფიით. ამ პრობლემებზე ბეჭითი მუშაობის შედეგად ჯერ კიდევ მეოთხე კურსის სტუდენტმა დაწერა შრომა მნიშვნელოვან საკითხზე „სამართლის ფილოსოფიური წინამძღვრები“, რომელმაც მაშინვე მიიპყრო პროფესორ-მასწავლებელთა ყურადღება. შრომამ ოქროს მედალი დაიმსახურა.

1917 წელს ირ. სურგულაძე, როგორც მეცნიერული მუშაობისათვის მოწოდებული ნიჭიერი ახალგაზრდა, პროფესორობისათვის მოსამზადებლად სახელმწიფო სამართლის განხრით დატოვეს პროფ. ლ. შალლანდთან.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებით დაიწყო ახალი ეტაპი ირ. სურგულაძის ცხოვრებაში. რევოლუციას მშობლიურ რაჭაში შეხვდა და მას აქტიურად გამოეხმაურა. 1922 წელს ასპირანტად ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტზე. ორ წელიწადში წარმატებით აბარებს ზეპირ სადოქტორო გამოცდებს, რის შემდეგაც იწყებს ლექციების კითხვას სახელმწიფო სამართალში.

პროფ. ირ. სურგულაძის ლექციები ყოველთვის საინტერესო და შინაარსიანი იყო. იგი მდიდარ პრაქტიკულ გამოცდილებას ფართოდ იყენებდა ლექციების კითხვისა და სემინარული მუშაობის დროს.

1925 წელს ირ. სურგულაძემ გერმანულ ენაზე გამოაქვეყნა სადოქტორო შრომა „ხელისუფლება და სამართალი“, რომელიც დაიცვა 1927 წელს. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ეს პირველი შემთხვევა იყო იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად დისერტაციის დაცვისა. ამას მოჰყვა მეცნიერებისათვის მეტად საინტერესო შრომები: „იურიდიული მეთოლოგიისათვის“ და „საჯარო სამართლებრივი ხელშეკრულების პრობლემა“.

ნაყოფიერ პედაგოგიურ და პრაქტიკულ მუშაობასთან ერთად ამ შრომებმა ფართოდ გაუთქვა სახელი და პროფესორის წოდება მიენიჭა.

თავისი ცხოვრების უკანასკნელ ხანებში პროფ. სურგულაძე მუშაობდა ქართული სამართლის ისტორიის ძეგლებზე. ის იშვიათი გულმოდგინებით სწავლობდა წყაროებს. სურგულაძე უკანასკნელი წლების განმავლობაში მუშაობდა ბექა აღბუღას სამართლის წიგნზე, მაგრამ ამ შრომის დამთავრება არ დასცალდა.

პროფ. ირ. სურგულაძე ღრმად იყო დაუფლებული სამართლის კატეგორიებს. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი დიდი ერუდიცია სამართლის ფილოსოფიაში. საერთოდ ირ. სურგულაძე ფართო ჰორიზონტის და დიდი დიაპაზონის მეცნიერი იყო. როგორც მოაზროვნე, ის ორიგინალურია. მისი მიზანი იყო სამართლის შესახებ თავისი ორიგინალური შეხედულება გამოეტანა ევროპელ მეცნიერთა სამსჯავროს წინაშე. ეს განახორციელა მან გერმანულ ენაზე დაწერილი შრომით.

პროფ. ირ. სურგულაძე გარდაიცვალა 52 წლის ასაკში, 1945 წლის 22 ნოემბერს, უნივერსიტეტში სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს (ლექციის დაწყების წინ). მის მიერ დასახული მიზნებიდან მრავალი განუხორციელებელი დარჩა.

გულთბილი მოგონებით ირ. სურგულაძის შესახებ გამოვიდა მისი ყოფილი სტუდენტი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, პროფ. თ. წერეთელი. მან გაიხსენა 1923 წელი, უნივერსიტეტის ის აუდიტორია, სადაც პირველად შეხვდა ირ. სურგულაძეს. მოიგონა მისი პიროვნება, როგორც დიდი მეცნიერული მომავლის მქონე და მომთხოვნი ლექტორისა.

ირ. სურგულაძე მეტად პოპულარული და საყვარელი ლექტორი იყო. იგი იყო მკაცრი და პრინციპული სტუდენტების გამოცდის დროს, ასევე საკანდიდატო მინიმუმის ჩაბარების დროს. ყველაზე მკაცრი კი იგი იყო თავისი თავის მიმართ. მას ემარჯვებოდა მეცნიერული პრობლემის სიღრმეში ჩაწვდომა და თანაც ისე ცოცხლად და ისეთი უშუალობით გადაუშლიდა მსმენელებს საკითხის გამოკვლევის პროცესს, თითქოს ლექტორის აზრი იქვე ლექციის კითხვისას იშედებოდა.

მისი სიკვდილი, — ამბობს დასასრულ თ. წერეთელი, — თითქოს ადექვატური გამოხატულება იყო იმ სურვილებისა, რაც ირ. სურგულაძეს აკავშირებდა უნივერსიტეტთან და თავის სამშობლოსთან. იგი გარდაიცვალა შემოქმედებითი გაფურჩქვნის პერიოდში და მისი იდეები საქართველოს სამართლის ისტორიის დარგში გამოუქვეყნებელი და შეუსწავლელი დარჩა.

უნივერსიტეტში პროფ. ირ. სურგულაძესთან ერთად გატარებულ დღეებზე მსმენელებს ესაუბრა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი გ. ახვლედიანი. მან ილაპარაკა ირ. სურგულაძეზე, როგორც დიდ მეცნიერზე, რომელმაც დიდი ძალღონე და სიყვარული მოახმარა ახალგაზრდა იურისტ მეცნიერთა კადრების აღზრდის საქმეს. დაუღალავად და გატაცებით მუშაობდა იგი თავის ასპირანტებთან და ყველასთან, ვინც იჩენდა მეცნიერულ ინტერესს და კვლევითი მუშაობის უნარს.

ირ. სურგულაძე ღრმად მოაზროვნე ადამიანი იყო, ნამდვილი მეცნიერი, — აღნიშნა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა, პროფ. ლ. გოკიელმა, — ის მუდამ ფიქრით იყო გატაცებული და მეცნიერებაში თავს გრძნობდა, როგორც საკუთარ სტიქიაში. მისი ცხოვრება იყო ცხოვრება მეცნიერებაში და მეცნიერებისათვის. მისი ურთიერთობა მეგობრებთან, პირველ რიგში, ინტელექტუალურ სფეროში ინასკვებოდა. მას ძალიან უყვარდა აზრთა გაცვლა-გამოცვლა და კამათი. ის დიალექტიკოს-მეცნიერის ტიპს განასახიერებდა.

ჩემთვის დაუვიწყარ მოგონებად დარჩება, — ამბობს ლ. გოკიელი, — საათობით და თითქმის დღეობით გატარებული დრო მასთან სჯა-ბაასში და კამათში სხვადასხვა ფილოსოფიურ საკითხებზე. ირ. სურგულაძეს ძალიან გამახვილებული ლოგიკური აზროვნების უნარი და ღრმა ფილოსოფიური ცოდნა ჰქონდა.

ჩვენში, როგორც ფილოსოფიის, ისე იურიდიული მეცნიერების განვითარებისათვის ხელშემწყობ გარემოებად ის უნდა მივიჩნიოთ, რომ პირველი წყება ჩვენი გამოჩენილი იურისტი-მეცნიერებისა—ლუარსაბ ანდრონიკაშვილი, გიორგი ნანეიშვილი, იროდიონ სურგულაძე ღრმად ფილოსოფიურად განსწავლული და მოაზროვნე ადამიანები იყვნენ. ისინი ფართო ფილოსოფიური თვალსაზრისით უდგებოდნენ იურიდიული მეცნიერების საკითხების გაშუქებას.

ირ. სურგულაძე მე მინახავს სიხარულშიც და გაჭირვებაშიც, როცა ის სასიკვდილო საფრთხის წინაშე დადგა მოულოდნელი და მძიმე ავადმყოფობის გამო, — იგონებს პროფ. ლ. გოკიელი,— მისი მეგობრები ამაოდ ვცდილობდით მისი ამ მდგომარეობიდან გამოყვანას. იროდიონი გრძნობდა სიკვდილის მოახლოებას, მაგრამ ამას ფილოსოფიურად უდგებოდა.

პროფ. ლ. გოკიელმა გაიხსენა ერთი ფრაზა ილია ჭავჭავაძის მიერ გაზეთ „ივერიაში“ დაბეჭდილი ნეკროლოგიდან ალ. ყაზბეგის გარდაცვალების გამო: იმას, ვინც ორჯერ იბადება — ერთხელ ცხოვრებისათვის, მეორედ — შემოქმედებისათვის, ერთი სიკვდილი ვერ მოსპობს. ერთ სიკვდილს შეუძლია მხოლოდ ერთ და არა ორმაგ დაბადებას გაუმკლავდეს. ეს აზრი მე შემიძლია, — აღნიშნავს ლ. გოკიელი,— იროდიონის მიმართაც გამოვთქვა: ის ორჯერ დაიბადა — ერთხელ ცხოვრებისათვის, მეორედ — შემოქმედებისათვის. სიკვდილმა მოუსპო სიცოცხლე, ხოლო ის უძლურია ზღვარი გაავლოს იმას, რასაც მისი დაძაბული და ღრმა აზროვნების კვალი ამჩნევია.

საღამოზე სიტყვით გამოვიდა საქართველოს სსრ მინისტრი, პროფ. ი. მიქელაძე. მან ილაპარაკა ირ. სურგულაძეზე, როგორც მის ლექტორზე. პატივცემულ იროდიონსა და ჩვენს შორის,— აღნიშნა ი. მიქელაძემ, — ურთიერთობა თავიდანვე მეგობრობის, ურთიერთ სიმპატიისა და სიყვარულის ნიადაგზე წარიმართა. პროფ. მიქელაძემ გაიხსენა თავის ლექტორთან შეხვედრები, აკადემიურ თემებზე ბაასი, არამარტო უნივერსიტეტის ფარგლებში, არამედ მის ბინაზეც — ერთ შედარებით პატარა ოთახში, რომელიც სავსე იყო წიგნებით რუსულ და ევროპულ ენებზე, რაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

სტუდენტებზე დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა.

ირ. სურგულაძე იყო თავმდაბალი, გულთბილი, ადამიანი. მისი ზრუნვისა და ყურადღების ცენტრში იდგნენ ქართველი სტუდენტები, რომელთა პატრიოტული აღზრდის მიზნით იგი არაფერს არ ზოგავდა.

დოც. ს. ჯორბენაძემ გაიხსენა, თუ რა დიდი სიყვარულით უსმენდნენ სტუდენტები ირ. სურგულაძეს. აღნიშნა, რომ იგი ყოველგვარი გარეგნული ეფექტისა და შეფერადების გარეშე, მაგრამ ღრმა აზრიან და დიდი შინაარსის მქონე ლექციებს კითხულობდა.

პროფ. ლ. კარბელაშვილმა საღამოზე შეკრებილთ მოაგონა ირ. სურგულაძე, როგორც შესანიშნავი ნატურალისტი, რომელსაც გატაცებით უყვარდა ბუნება, ნადირობა, თუმცა ვერ შეეძლო გამოსთიშოდა მეცნიერული კვლევის საკითხებს.

პროფ. ირ. სურგულაძე იყო ჩვენი დროის მეცნიერების განვითარების ბურჯი. იგი მოკვდა ლამაზი სიკვდილით, თუ სიკვდილს ლამაზი შეიძლება ეწოდოს, მაგრამ მის ნათელ ხსოვნას, როგორც სამართლიანობისათვის უანგარო და დაუღალავი მებრძოლის, დიდი მეცნიერისა და პედაგოგის, იშვიათი ზნეობრივი მიმზიდველობით მოსილი ადამიანისა, საბჭოთა იურისტები ყოველთვის მადლიერების გრძნობით მოიგონებენ.

მ. ვაყელიშვილი.

კითხვა-პასუხის საღამო

ამას წინათ სოფელ საგურამოს მშრომელებისათვის, სიღნაღის რაიონის ჯაფარიძის სახელობისა და გორის რაიონის სოფელ ხიდისთავის კოლმეურნეობის წევრთათვის ჩატარდა კითხვა-პასუხის საღამო იურიდიულ საკითხებზე.

მშრომელთა მრავალ შეკითხვებზე პასუხი გასცეს: საქართველოს სსრ პროკურორმა პ. ე. ბერძენიშვილმა, რესპუბლიკის პროკურატურის განყოფილების უფროსებმა — ზ. რ. ბასიშვილმა და ვ. გ. ასეიშვილმა, დუშეთის, სიღნაღისა და გორის რაიონის პროკურატურის მუშაკებმა.

კითხვა-პასუხის საღამოს დაესწრო 1300-მდე კაცი, მათ შორის დუშეთის, სიღნაღისა და გორის კოლმეურნეობათა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოს პარტიული კომიტეტის მდივნები, სიღნაღის რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე.

კითხვა-პასუხის დამთავრების შემდეგ რესპუბლიკის პროკურორმა ადგილზე მიიღო 70-მდე მოქალაქე.

მშრომელები ჩატარებული ღონისძიებით კმაყოფილნი დარჩნენ.

მოსახლეობაში საბჭოთა კანონმდებლობის პროპაგანდა ხელს უწყობს იმას, რომ უზრუნველყოფილ იქნას სოციალისტური კანონიერების ზუსტად დაცვა, აღმოიფხვრას მართლწესრიგის ყოველგვარი დარღვევა, მოხდეს დანაშაულობის ლიკვიდაცია, აღიკვეთოს მისი წარმომშობი ყველა მიზეზი. საჭიროა, რომ საბჭოთა კანონების პროპაგანდის საქმეში აქტიური მონაწილეობა მიიღონ სასამართლო-პროკურატურის, მილიციის, იურიდიული კონსულტაციის მუშაკებმა.

შ. ჯანტურია,

საქართველოს სსრ პროკურატურის საერთო ზედამხედველობის განყოფილების პროკურორი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეშმაკის გვარი

სასამართლოში



— ბრალდებულო, კიდევ რას დასძენთ თქვენი თავის გასამართლებლად?

— ათას დოლარს, ბატონო მოსამართლევ, მეტს კაპიკსაც ვერ გავიმეტებ!

დაგვიანებული ყურადღება

საუზმის დროს პატარა კურტი სარკის პირდაპირ იჯდა, რომელშიც საწოლი ოთახი ჩანდა.

— მამიკო, —უცებ წამოიძახა ბავშვმა.

— ჩუმად, რამდენჯერ უნდა გითხრა, რომ ჭამის დროს ლაპარაკი არ შეიძლება,—გაუწყრა მამა.

ცოტა ხნის შემდეგ პატარამ კვლავ დაიწყო:

— მამიკო!

— დაგავიწყდა რა გითხარი?—დატუქსა კვლავ მამამ.

საუზმის შემდეგ, ახლა მამამ ჰკითხა ბავშვს.

— რა გინდოდა შვილო?

— არაფერი მამიკო, საწოლ ოთახში ვიღაც უცხო კაცი იყო, ტომარაში ნივთებს ალაგებდა. მერე ფანჯარასთან მივიდა, ტომარაც გადააგდო და თვითონაც გადახტა.

შოტლანდიელი და მძარცველები

შოტლანდიელს სამი მძარცველი გზაზე თავს დაესხა. მიუხედავად იმისა, რომ მძარცველები სამნი იყვნენ, შოტლანდიელი თავს მამაცად იცავდა. მძარცველებმა ის როგორც იქნა დაიმორჩილეს, ძირს დასცეს და ჯიბეები გაუჩხრიკეს. აღმოაჩინეს მხოლოდ ექვსი პენსი. „რაა?!— წამოიძახა ერთმა მათგანმა—ის ასე თავგამოდებით იბრძოდა ექვსი პენსისათვის? მას რომ რვა პენსი ჰქონოდა ის ჩვენ სამივეს დაგვხოცავდა“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სასიძო

პატიმარი ეკითხება კამერაში ახლადმოყვანილ ამხანაგს:

— რისთვის მოხვდი ოთხკედელში?

— მრავალ ქორწილში მონაწილეობისათვის.

— მაგრამ ეს ხომ დანაშაული არ არის?

— მართალია, მაგრამ ქორწილში ყოველთვის სასიძოს როლში გამოვდიოდი.

„ახლა მას იცნობთ“

ბატონმა და ქალბატონმა დიუპონებმა ოპერა „კარმენზე დასასწრებად ფოსტით მიიღეს ორი ბილეთი, რომელსაც ერთვოდა მოკლე წერილი: „ბილეთებს გიგზავნით მეგობარი. გამოიცანით, რომელი!?“

დიუპონები ოპერიდან ძალზე კმაყოფილი დაბრუნდნენ, მაგრამ ბინა გაძარცული დახვდათ.

მათი ყურადღება მიიპყრო მაგიდაზე დადებულმა წერილმა, რომელზეც იმავე ხელით კიდევ უფრო მოკლედ ეწერა:

„ახლა თქვენ მას იცნობთ“.

---

1. სიმართლე ზოგ მოსამართლეზე

კუდაბზიკა მოსამართლეს

დამცველს დასცქერი ბატონკაცურად,
არცხვენ ბრალდებულს, მოწმეს დარისხავ...
სამართლის ზღვაში მარტო დაცურავ,
ვშიშობ, არ შეხვდე სადმე ქარიშხალს.

საეჭვო მოუცლელობა

უსამართლოდ გემდურიან:
„მოსამართლე მკაცრიაო;
ვერ ისწავლა, ბრალდებული
ქალია თუ კაციაო!“
იმას კი არ იკითხავენ,
ცოლმა რა დღე გაწიაო:
„რომ კითხულობ, რას კითხულობ,
დაბაღივით გაცვიაო!“

2. ენას მთხოვს სამართალსა

ერთი დამცველის ენა

(მრავალთა სხვათა საგულისხმოდ)

სხვას იცავდი, მე კი მწვავდი სახმილითა!
ენა შენი შერყვნილი და იყო რთული...
რაც დავითმა დაიფარა მახვილითა,
ერთი დაკვრით დასწვი შენი ჩიქორთულით!

ბარათაშვილის „მემკვიდრეს“

სამართლის და განჩინების პალატაში
იჯდა ტატო, იჯდა მარტო, წერდა, წერდა...
თუმცა ბევრი საქმე ჰქონდა ბარათაშვილს,
მცველად ედგა ჩვენს ენას და აზრთა მწველთა.
შენც ხომ ზიხარ, წერ და წყურვილსაც იოკებ:
მისდგომიხარ ჩვენს ენას და აწიოკებ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ენაწყლიან“ ვექილს

შენს ენაში ისე უხვად არის წყალი,
სხდომის დარბაზს დაიხსნიდი, რომ იწვოდეს.
რამდენ რამეს „ისწავლიდა“ წიგნზე მწყარალი,
რა ენაზე ლაპარაკობ, რომ იცოდეს!

3. პარადოქსი ორატორებზე

ფიქრები სხდომათა დარბაზში

„ორატორები განიწრთვნებიან
და პოეტები იბადებიან,“—
თურმე ცდებოდენ რომაელები,
სიბრძნეს ტყუილად იმადლებიან:
ვზივარ და გისმენ, რაც აქ მოვედი,
ასე იტყოდა ყოველი ბრძენი:
„შენც დაიბადე, შენც ხარ პოეტი,
რადგანაც გაწვრთნა არ იქნა შენი!“

წარწერა დარბაზის დაფაზე

ძინავს ყველას, ერთი კაცი დასობილა,
თან ყვინთავს და თან დუდუნებს წყნარის ხმითა:
„შენზე მდარე ორატორი არ შობილა
დემოსთენის და ფარტაძის შობის დღიდან“.

ერთი სხდომის ოქმი

ენას ლესავს ორატორი,
მსმენელი ჰყავს ორად ორი:
ერთი არის ბრალდებული,
მეორეა ვალდებული.

აკაკი გელოვანი

ალექსი მიხეილის ძე ჭიჭინაძე



გარდაიცვალა ცნობილი ადვოკატი ალექსი მიხეილის-ძე ჭიჭინაძე, რომელიც მრავალი წლების განმავლობაში ღირსეულად ემსახურებოდა საბჭოთა მართლმსაჯულებას.

ა. ჭიჭინაძე დაიბადა 1899 წელს ქ. ქუთაისში დამსახურებული მასწავლებლის ოჯახში. ქ. ქუთაისის საშუალო სასწავლებლისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, 1929 წლიდან, მან მუშაობა დაიწყო საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიაში. აქ ის გამოირჩეოდა, როგორც მაღალი კვალიფიკაციის იურისტი. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი გამოსვლები სამეურნეო დანაშაულობათა საქმეებზე, სადაც ის ამყარებდა ღრმა ცოდნას.

გულისხმიერი და თავმდაბალი ადამიანი, ა. ჭიჭინაძე აქტიურად მონაწილეობდა ახალგაზრდა ადვოკატთა კადრების აღზრდაში, უზიარებდა მათ თავის დიდ გამოცდილებას. იგი ენერგიულად ეხმაურებოდა ყოველგვარ საზოგადოებრივ წამოწყებას საქართველოს ადვოკატურაში და თავისი დარბაისლური რჩევით და სანიმუშო ყოფაქცევით განამტკიცებდა საბჭოთა საქართველოს ადვოკატურის საუკეთესო ტრადიციებს.

მისი სახით საქართველოს ადვოკატურამ დაკარგა საუკეთესო სპეციალისტი, თავმდაბალი და გულისხმიერი ამხანაგი.

საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმი.

ჟურნალ „საბჭოთა სამართლის“ ამ ნომერს უფასო დამატების სახით ერთვის საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1963 წლის 3 მარტის დადგენილებები.

ფასი 50 კაპ.

ИНДЕКС 76185

СОВЕТСКОЕ ПРАВО № 3

(на грузинском языке)

Орган Верховного Суда ГССР, Прокуратуры ГССР
и Юридической комиссии при Совете Министров
Грузинской ССР